644/2
2011

ეროვნული ბიბლიოთეკა
12

სარკე

ქართული
სიტყვიერებითი
ჟურნალი

აკრძალული ლექსები
გალაკტიონ ტაბიძე

•

თორმეტი რჩეული ლექსი
ლია სტურუა
მაყვალა გონაშვილი

•

ახალი ლექსები
ჯარჯი ფხოველი
სერგი კაკალაშვილი

•

აკრძალული რომანი
ავთანდილ კვასხვაძე

•

პოლემიკა
ნოდარ გრიგალაშვილი

•

პოეზიის უსახელო
უფლისციხელები

•

ვაჟა-ფშაველა – 150
მიხო მოსულიშვილი

•

ჩეკას პირველი
თავმჯდომარის ჩანაწერები

•

ასი სამარცხვინო ლექსი

2011 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასი ერისი

რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს

ქართველმა

თეიმურაზ I

* * *

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოაწივე,
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
მოვკვდე _ მინაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,
მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მო, აწი, ვე!

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიკვდინედ? შენ მაღირსე არ დარჩენა!
არ გმართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

ქართული
სიტყვიერებითი
ჟურნალი

2011/9

რედაქტორ-გამომცემელი
სერგი კაკაბაძე

რედაქტორის მოადგილეები
ანდრო ბუაჩიძე
ელზა მეტრეველი

პოეზიის განყოფილების გამგე
ბალათერ არაბული

მხატვარი
გიორგი წერეთელი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ლაშა ბაქრაძე
ანდრო ბედუკაძე
ამირან გომართელი
ლევან თაქთაქიშვილი
თეონა იაშვილი
როსტომ ჩხეიძე
გიორგი ჭანტურია
ედიშერ ჭელიძე

დამკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

კორექტორი
ნანი ჭულუხაძე

დაარსებულია 1852 წელს
გამოდის თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2011

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 98-36-43, 98-47-62
emciskari@gmail.com
www.jurnaliciskari.ge

ყდის პირველ გვერდზე
ფრაგმენტი სურათიდან „ქართული ჰური“
მხატვარი **ნიკოლოზ იგნატოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

პოეზია

უჯრაში ჩაკეტილი ლექსები

გალაკტიონ ტაბიძე 3

ანტიკომუნისტური ლექსები

პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი

ლია სტურუა 50

მაყვალა გონაშვილი 58

ახალი ლექსები

ჯარჯი ფხოველი 96

სერგი კაკალაშვილი 37

ვაჟა-ფშაველა – 150

მიხო მოსულიშვილი – ჩანახატები 43

პოლემიკა

ნოდარ გრიგალაშვილი – გათამამებული სიბრიყვე 67

პოეზიის უსახელო უფლისციხელები

ტყიჩი (გაგა ჭინჭარაული) 89

პროზა

ზურაბ თორია – მოთხრობა 90

ციცი გურიელი – ნოველა 102

უჯრაში ჩაკეტილი რომანი

ავთანდილ კვასხვაძე – სიკვდილ-სიცოცხლის როკვა 5

საბავშვო ლექსები

მარიამ წიკლაური 105

მემუარები

ჩეკას პირველი თავმჯდომარის კოტე ცინცაძის მოგონებები 109

ასი სამარცხვინო ლექსი

სანდრო ეული 119

მწერლობის გადარჩენა

გალაკტიონ ტაბიძე

•

ტრფობას სამშობლოსადმი
გულში ვინ ამოშლიდა,
რომ არა სჩანს ქართველი,
ნეტა ვინ ამოჟლიტა?
სისხლის ღვარი ამდენი
ნეტა ვინ დააყენა,
ჭირი სხვადასხვაგვარი
კარზე ვინ მოგვაყენა?
არე მათი ცხედრებით
ნეტა ვინ გადაფარა?
ვინ ნაართვა სამარე,
ბნელს ვინ გადააბარა?
რატომ, რისთვის მითხარი
აქ ვინ რა დაეშავა?
მინა რამ გააწითლა,
ზეცა რამ გააშავა?
წინ მიმქროლი მერანი
ამ გზად ვინ შეაყენა
და აქამდე ნათელი
დიდი გზა ვინ გაჰყინა?!
ვინ სად გადაასახლეს?
სიბნელეევ, რა დაგარქვა?
ცხრა მთას იქით ეს ხალხი
ნეტა ვინ გადაჰკარგა?
კაცი, ვისაც სიმტკიცით
ვერავინ გადახრიდა,
ვინ, რომელი იუდა
კაცის ხელმა დახვრიტა?
წყლული ვით მოშუშდება
საამო მოშუშებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლობა, ოჯახები
აივსო ჯაშუშებით.
ვინ არის რომ ამდენი
სისხლი რომ დააქცია?
ვინ არის რომ ედემი
უდაბნოდ რომ აქცია?
სტალინია – სამშობლო
სისხლისფერად მოხატა,
სტალინია – ქართველ ერს
სული რომ ამოხადა!*

●

ეს ოცი წელიწადია –
სამშობლოვ! – გულით მწადია,
რომ გარს გეხვიოს, რაც ქვეყნად
სინათლე-სიდიადეა.
გადამთიელი გადია
სწუხს: ბევრი ღამე ათია,
არ სძინავს იმ შეჩვენებულს
ეს ოცი წელიწადია!

●

ეს ვალიას, ეს თედორეს,
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს...
ჯერ ვითვლებით ქართველებად,
თუ არ გაგვაესკიმოსეს.

* ლექსის სხვა ვარიანტში სტალინის ნაცვლად მოხსენიებულია ბერია.

ავთანდილ კვასხვაძე

რედაქციისგან:

*„ცისკარი“ აგრძელებს **ავთანდილ კვასხვაძის** რომანის გეგზავნას. ბევრმა, შესაძლოა, ჟურნალის წინა ნომრის წაკითხვა ვერ მოახერხა, ამიტომ რედაქცია თავს უფლებას აძლევს, რომანის ამ ნაწილს გამმეორებით დაეთმოს „ცისკარის“ მე-7-8-ე ნომრში გამოქვეყნებული შესავალი წერილი.*

ავთანდილი კვასხვაძე – ამ მწერალს ქართველი მკითხველი არ იცნობს, არა იმიტომ, რომ იგი ახალგაზრდა დებიუტანტია. არა, ავთანდილ კვასხვაძემ 83 წელი იცოცხლა (1904-1987 წწ.). ამ კაცს თავისი ხანგრძლივი ცხოვრება შინაგან ემიგრაციაში გაუტარებია – იყო ამ საზოგადოების წევრი და არც იყო. იცხოვრა რიგითი მასწავლებლის ცხოვრებით, გამორჩეულად უყვარდათ მის მონაფეებს, ბევრი მათგანი ახლა გამოჩენილი მოღვაწეა, მაგრამ არავინ უწყოდა, რომ მათი საყვარელი მასწავლებელი შესანიშნავი შემოქმედი იყო, რომელიც წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დაუწერია სამი რომანი და თავის სიცოცხლეში არ დაუტეხავს სტრიქონიც კი (მეფაგიური კვლევების გარდა). იქნებ, ეს მოკრძალებისა და საკუთარი ნიჭის მეუფასებლობის გამო მოხდა? არა, ავთანდილ კვასხვაძე იყო ის მწერალი, რომელიც შეგნებულად წერდა იმას, რაც საბჭოთა რეჟიმის დროში არათუ დაიბეჭდებოდა, არამედ მისი ნაწერების შინაარსის სათანადო ორგანოების მიერ გაცენის შემთხვევაში აუტორს აუცილებლად დააპატიმრებდნენ. როგორი სრულყოფილი თვითშეგნების უნდა იყო ადამიანი, როგორი მწერლური გმირობა სჭირდება იმას, რომ წერდე რომანებს, რომელიც, იცი, არასოდეს დაიბეჭდება, უფრო მეტიც, ეს რომანები უნდა დაუშალო ყველას, რათა შენს ოჯახს უტიფურება არ დაატყდეს თავს, და მაინც წერდე... წერდე, ალბათ, იმ იმედით, რომ ოდესმე საკართველო წითელი ჭირის სასაფლაოს მოიხდის და სანთელ-საკმეველიც თავის გზას არ დაკარგავს.

„ცისკარი“ ინყებს ერთი ყველასთვის უცნობი, მაგრამ, იმედია, დღეიდან ყველასთვის საყვარელი მწერლის ავთანდილ კვასხვაძის ეროვნული რომანის ბეჭდვას. რომანი მოგვაწოდა მწერლის სიძემ (ქალიშვილის მეუღლემ) ბაგრატნა გიორგი ნიკოლაიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვნირავთ მას.

ასეთი რომანი (დაიწერა 1970-იან წლებში) მაშინდელ ქართულ სინამდვილეში არ შექმნილა (სხვა ჯურჯურობით ცნობილი არ არის). ამას ვამბობთ არა მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, არამედ იმის გამო, რომ ეს გახლავთ იმ დროში შექმნილი ყველაზე გაბედული, ყველაზე მართალი მხატვრულ-დოკუმენტური რომანი.

აქ მთავარი გმირის გარდა ყველა ძირითადი პერსონაჟი, დაწყებული ნოე ყორდანიადან დამთავრებული ბერია-სტალინით, რეალური პროტაგონისტია და რეალური, ნამდვილი ამბებია გადმოცემული (რომანში აღწერილი ამბები მოიცავს 1921-1953 წლებს – ნოე ყორდანიას გაქცევიდან სტალინის სიკვდილამდე).

ამას წინათ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მესანიშნავი ჩერქეზი მწერლის ისა კოალის თხზულება, სადაც აღწერილია თუ როგორ ცდილობს მოსწავლე, გადაარჩინოს მისი საყვარელი მასწავლებელი დაპატიმრებას. მოსწავლემ მამისგან, რომელიც რუსების სამსახურში იდგა, შეიტყო, რომ მის მასწავლებელს იჭერდნენ...

ეს სიუჟეტი განმეორდა ავთანდილ კვასხვაძის ცხოვრებაშიც – 30-იან წლებში მისმა მონაფემ ჩეკისტი მამისგან შეიტყო, რომ მის მასწავლებელს დაპატიმრებას უპირებდნენ და სასწრაფოდ შეატყობინა ეს მასწავლებელს. მოსწავლის საყვარელმა გადაარჩინა ეს კაცი. მეოთხეი საუკუნეა, ის ჩვენს შორის ალარ არის. იმედია, ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ მკითხველის საყვარელით იგი დავინყებასაც გადაურჩება...

ცისკარი

სიკვდილ-სიცოცხლის როკვა

რომანი

ნაწილი პირველი

VI

26 მარტს ორ საათზე ორმა ცხენოსანმა ბარ-ცხანა უკან მოიტოვა, რკინიგზის ხაზი გადაჭრა და გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. აუჩქარებლად მიდიოდნენ მგზავრები. წინ კაჟია მიაგელვებდა ბედაურს, უკან, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, გური მიპყვებოდა. მახინჯაურის მთის კალთებიდან და ფართოდ გაშლილი ხეობებიდან კანტიკუნტად თოფების სროლის ხმა ისმოდა. მახინჯაურის სადგურის უკანა მოედანზე მაგნოლიებისა და პალმების ქვეშ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და გაუთავებელი ყაყანი ისმოდა. მარაგზეხიც სავსე იყო წამსვლელ-მომსვლელებით, ჯარისკაცებითა და მეზღვაურებით, განსაკუთრებით მამაკაცთა მრავლობა მოგხვდებოდათ თვალში, ქალები აქა-იქ თუ გამოერეოდნენ ბრბოში. ახალგაზრდები კი მოუსვენრად დაბორიალებდნენ და ცალკე ჯგუფებად იკრიბებოდნენ, რაღაცაზე გაუთავებლად კამათობდნენ და გამომწვევად ხარხარებდნენ.

ცხენოსნებმა მწვანე კონცხის აღმართიც აიარეს, უღელტეხილი უკან მოიტოვეს და ჩაქვის დაღმართზე დაეშვნენ. დაუფასა ძველი მეგობრობა ხავთასმა გიორგი ხალეაშს. გემმა რომ გეზი სტამბოლისაკენ აიღო, დათამ გურისა და ვახოს ცხენები უშოვა და ქალაქის კარიბჭემდე მიაცილა. მერე ღმერთი იყო მათი მფარველი, თავადვე უნდა ემარჯვაო, ხიფათიან გზას მშვიდობიანად რომ გასცლოდნენ.

გზა უხიფათოდ გალიეს.

საკმაოდ შემოაღამდათ. გაოფლილ ცხენებს ძალღონე გამოლეოდათ. შეყოვნება მანნც არ შეიძლებოდა. ხიფათი ღამით უფრო იყო მოსალოდნელი.

– გური, თუ მარჯვენედ ვიქცეთ, ღამის ორი საათისათვის ავაღწევთ სოფელში, შეიძლება გოგიას წისქვილში შეეჩერდეთ. ისიც მოსალოდნელია, რომ დედაშენი და ცალხელა ლუკაიაც წისქვილში დგაეხვდნენ. მაშინ საჩქარო არაფერი დგაკრჩება, ბუხარში ცეცხლს გავაჩაღებთ, გოგიას გოგრებსა და ლვინოზე იერიშს მივიტანთ და დილამდის მოვისვენებთ. ჰა, რას იტყვი? ხომ ასე აჯობებს?

– აჯობებს თუ არა, სხვა რა გამოსავალი გვაქვს?!

ამ საუბარში სოფლის ბოლოს გზაჯვარედინსაც მიაღწიეს. ერთი გზა სოფლებზე გადიოდა და შედარებით გრძელი იყო, მეორე რკინიგზას მიუყვებოდა, სოფელ ლესასა და გომბაურს გადაჭრილი და ზემო ჩიბპალიდან თავდგირიძის ველისა და დაფნარის გადავლით, შარაგზებითა და ბილიკებით ორაგვისწყლის ხეობაში დაეშვებოდა.

ცხენოსნები ცოტა ხნით გზაჯვარედინზე შედგნენ. გონების თვალით დრო და მანძილი გაზომეს და მოკლე გზა აირჩიეს.

ცაზე ღრუბლები თანდათან გადაიკრიფა, დასავლეთით მაგ ფარდად დაეშვა და ვარსკვლავებიც აკიაციდან. ნამაალა მთვარე დიდი ხანია ჭორაზონგს მიეფარა და სადღაც კავკასიონისა და ზღვის შესაყართან გაუჩინარდა.

სიბნელეს თითქოს ნათელი შეეპარა, მაგრამ ირგვლივ ყოველივე ღამის სუდარაში იყო გახვეული. მხოლოდ ლოცვად დამდგარი ხეები ზეცას ხელებით ეპოტინებოდნენ, სიზმრის ლანდებივით ირხეოდნენ და სამყაროს გაჩენისა და დასასრულის ზღაპარს უყვებოდნენ ერთმანეთს.

შორეული სოფლიდან ძაღლების ყრუ და გაბმული გნიასი მიგანიშნებდათ, რომ სადღაც ფერდობებსა და ხეობებში სიცოცხლეს ეძინა და ადამიანთა მოსვენებას ჭკვიანი ოთხფეხნი ედგნენ დარაჯად.

მგზავრი ხან აჩჩარებდნენ ცხენებს, ხან კი ოღრონოღრო გზას ნელი და ფრთხილი ნაბიჯებით მიუყვებოდნენ. დაღლილი ცხენოსნები საკუთარ ფიქრებში ჩაძირულიყვნენ და ხანდახან შეეხმიანებოდნენ ერთმანეთს.

–კარგად აეწყო, გური, ჩვენი საქმე, ამოდენა გზა მშვიდობით გამოვიარეთ, კიდევ სამიოდე საათი და ჩვენს ჭერქვეშ მოვისვენებთ. რა სჯობია, ბიჭო, იმას, შენს ლოგინზე რომ არხეინად გაიჭიმები და საკუთარ თავთან მარტო დარჩები შენივე გუდითა და ნაბადით. წამოდგები, როცა მოგესურვება, არა-და... იძინე რამდენიც გინდა, ვინ გაგცემს ხმას, ვინ შეგაშფოთებს? – ეტყობა, ვახო ისე დაიღალა მგზავრობით, რომ ახლა მართლა ძილი, სიმშვიდე და მოსვენება ყველაფერს ერჩია.

– ჰო, ასეა, ძია ვახო, მაგრამ მე ამ კუნაპეტ ღამეში სიარული, ისიც ცხენებით და თან შენ-

გაგრძელება. დასაწყისი. „ცისკარი" №7-8 2011.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის. ახლა ვგრძნობ, რომ უკვე გავიზარდე და დიდი ვარ. შემიძლია საქვეყნო საქმეში ჩავერო და სადღაც ჩემი სიტყვა ეთქვა. უცნაურია... წინათ, წინათ კი არა, აი, თუგინდ რამდენიმე დღის წინ ღამისა და ქარის მეშინოდა, ახლა კი მზად ვარ, ქარდაქარ ვიარო ქვეყნის დასასრულამდე დღითაც და ღამითაც. პირიქით, ღამე უკეთესია ყოფილა, ის ძალასაც გმატებს და გამბედაობასაც. ასე მგონია, როგორც სიმშვიდე, ისე დღე ბრძოლის მონაპოვარია. ამიტომ ქარსაც და ღამესაც პირდაპირ, მოურიდებლად უნდა შეება და დღეც გაგითენდება ნანატრი და მზიანი.

– ეს რა უცნაური აზრი გაგიჩნდა ამ ბოლო დროს, გური, მახარებს შენი ვაჟკაცური შემართება, მაგრამ მაშინებს კიდეც. ნაადრევად მეჩვენება შენი დაბრძენება. თხუთმეტი წლის ბიჭი ჯერ კიდევ ჩალის ცხენს უნდა დაეჭენებდე სოფლის ორლობეებში, ჯერ მხოლოდ სიკეთესა და მზეს უნდა ხედავდე ქვეყნად. ზოგჯერ ტებასთან ბრძოლისა და ქარდაქარ ნავარდის დროც დაგიდგება. ყველაფერს მამკვეყნად დრო წაიღებს და დრო მოიტანს. არც ნამტანი დაგვიანებული ვარგა და არც ზედმეტად ნაადრეი. კაცობრიობის ცხოვრება დასაბამიდან ბრძოლა ყოფილა და ამ ხვეულს, ბევრსაც რომ ეცადო, ვერც შენ აცდები...

ვახოს უნდოდა, კიდევ რაღაც ეთქვა, დაბრძენებული და ბევრის მნახველი გონების თვალით დაენახვებინა დისწულისათვის ცხოვრების სასავალდასავალი, დაეროგებინა ნაადრევად დაკაცებული ბაგეში, რომ ამ დროს სიბნელიდან გამოსული სამი კაცის ლანდი აიმართა ცხენოსნების წინაშე და მგზავრებს ცხენებიდან ჩამოსვლა უბრძანა.

ვახომ ჯარიისკენ გააცოცა ხელი. გაიფიქრა, ახლა გამომადგება გიორგის ნაწუქარი რევოლვერიო. თუ დაასწრებდა, შეიძლება გაემარჯვება კიდეც, მაგრამ, როცა სიბნელეში გაარჩია, რომ ყარაღები შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულნი და ძლიერი ვაჟკაცებიც ჩანდნენ, განზრახვაზე ხელი აიღო, რადგან შეიძლებოდა გაბრძოლებას საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა. მცრის ტყვეი ხომ ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდა მრუდსა და მართალს, ვაჟკაცსა და ბაყშს. ახლა მისთვის მთავარი იყო, გური მშვიდობით მიეყვანა სახლში. ვახომ ისიც გაარჩია, რომ ერთი მთაგანი მოშორებით დადგა, შაშხანას საკეტი ახსნა და ცხენოსნები ნიშანში ამოიღო.

– რატომ აყოვნებთ! ჩქარა ჩამოდით ცხენებიდან!

– გური, ჩამოხტი ცხენიდან, ხომ ხედავ, დაღლილი ჯარისკაცები არიან, – მიმართა დისშვილს კაფიამ და თვითონაც ანგარიშმიუცემლად გადმოხტა ცხენიდან. აღვირი პირველსავე ჯარისკაცს მიაგება ხელში, თან დაადოცა:

– ღმერთმა მშვიდობით მოგახმაროს, დაღლილია, მაგრამ მაგარი და უღალატო ცხენია.

გურინაძეს ბიძას მიჰბაძა.

დაღლილი პირუტყვები გაუძალიანებლად დაემორჩილნენ ახალ პატრონებს.

– თქვენ ალბათ შარაგზის ყაჩაღები გგონივართ, – მიმართა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, – დავიღალეთ, მეტი აღარ შეგვიძლია. ახლა იმედი მოგვეცა, როგორმე სახლამდის ჩავაღწევეთ. ჩვენ გურიანთელი არობელიძეები ვართ, ბიძაშვილები. ცხენებს არ დაგიკარგავთ. გვითხარით კი, სად მოგიყვანოთ, რომელი სოფლიდან ბრძანდებით?

– არ არის საჭირო. მე ორაგველი ვახტანგ კაჟია გახლავართ. ეს კი ჩემი დისშვილია. აქედან არ არის შორს ჩემი სოფელი, როგორც იქნება, გათენებამდის მივაღწევთ. გეტყობათ, კარგი ვაჟკაცები ხართ, დიდი გაგიჭირვება დადგდგომიათ, თორემ ცხენების წართმევასაც არ იკადრებდით.

– რას იზამ, ძმაო, ჩვენი საქციელი აკაცობაში არ ჩამოგვართვა. ღმერთია მოწამე, მსგავსი რამ არამცთუ ოდესმე ჩაგვიდენია, გულშიაც კი არ გაგვივლია, – თავისთვის, თითქოს დარცხვენილად ჩაილაპარაკა ჯარისკაცმა. ზურგიდან ტომარა მოიხსნა, ფარაჯაც გაიხადა და შაშხანასთან ერთად ცხენს აჰკიდა.

– კაცო, შაშხანას სადღა მივათრევთ, რაში გვჭირდება, აქვე გადაეყაროთ, ბარდეში. ომი უკვე მოვათავეთ და მართლა ყაჩაღად ტყეში გასვლას ხომ არ ვაპირებთ. ფუ! ამის გამჭედს გაუწყდეს სინსიილ! – და მართლა დააპირა შაშხანის გადაგდება, მაგრამ წვერმოშვებულმა ჯარისკაცმა შეაჩერა ამხანაგი, – ვინ იცის, ჯერ კიდევ შორი გზა გვიძევს, იქნებ საჭირო გახდეს!

ვახო და გური გამოეთხოვნენ უცხო ყაჩაღ-ჯარისკაცებს და თავიანთ გზას გაუდგნენ.

– გური, ახლა მთავარ გზას გადავუხვევეთ. ამ ტალახიან საურმე გზას ხომ ხედავ? პირდაპირ ქობანში გაგვიყვანს. მეტად უკაცრიელი ადგილია, ნაყანევ-ჩალიანი, ალაგ-ალაგ ჯაგნარ-ბარდნარით დაფფარული, ძალზე ტალახიანიც არის, მაგრამ, სამაგიეროდ, სამი-ოთხი კილომეტრით შევიმოკლებთ გზას და ეს ჩვენთვის რად ღირს?

– გავუყვეთო, ბიძაჩემო, თუ სხვები დადიან ამ გზით, ჩვენ რა, სხვებზნე ნაკლები ვართ?!

– არა, სხვებზე ნაკლები არა, მაგრამ ღამით მაინც გაგვიძნელდება გზის გაგება, არა, გზის გაგება კი არა, ტალახში გაღწევა. დღე რომ იყოს, მოხერხებული საცალფეხო ბილიკებს გავარჩევდით. მაგრამ რაც არის, არის. ახლა რჩევის დრო არ არის. გავწითით!

გულის შემალინებელი სიჩუმე ჩამოსწოლოდა სიერცეს. ქარი მთლიანად ჩადგა და მიყუჩდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნივ კოლხეთის უსასრულო სივრცე ჩალურჯებულ-ჩაშავებულიყო. მარჯვნივ მთების შორს შეჰფენოდა სოფლები და ძაღლების კიდევ უფრო შორეული ღაღადი ძლივს აღწევდა მგზავრებამდის.

ციდან ღრუბლები თანდათან გადაკრიოდა და ვარსკვლავებიც სხივმოძალებით აკიაფდა.

– აი, ვახო, ორიონის თანავარსკვლავედი, აი, დიდი დათვიც, ის ჩრდილოეთის პოლარული ვარსკვლავია. იმ ნოთელ მნათობს ხომ ხედავ? ის მარსია, ძველად რომ ქართველები მარეხს ეძახდნენ. სისხლიანია ეს ვარსკვლავი. ძველმა ბერძნებმა მას ომის ღმერთი შეარქვეს.

– საიდან იცი, ბიჭო, ყველაფერი ეს? უყურე ერთი ამას?!

– ვიცი, ბიძაჩემო, ვიცი. მათემატიკას გვასწავლის დიდი მეცნიერი, გვარად ბელოხვოსტოვი. ის რევოლუციამდე თურმე პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. შემდეგში, სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, რუსეთიდან გამოიქცა და საქართველოს შეაფარა თავი ცოლ-შვილით, ბოლოს ლანჩხუთში ჩამოეხეტა და ახლა ეს პროფესორი ჩვენ გვასწავლის ფიზიკას, ასტრონომიას და მათემატიკას. უცნაური კაცია. ერთი სიტყვაც არ იცოდა ქართული, ყოველგვარ ქართულს და ქართველს დაცინვითაც უცქერდა. თურმე წარსულში მეფის პარტიას ემხრობოდა და ამიტომ არ ეედგიმებოდა რუსეთში. ახლა ქართული ენა შეისწავლა და გაკვეთილებსაც ქართულად გვიხსნის. რა არ იცის პროფესორმა ბელოხოსტოვმა. წარმოიდგინე, სამკურნალოდაც მასთან დადიან ავადმყოფები. შეგვკრაბა გლეხის ბიჭები და ფეხსაცმლის შეკერვაც შეგვასწავლა, ღარიბები ხართ და ცხოვრებაში დაგჭირდებათო. დურგლობაც იცის, ზვინკლობაც. ტანსაცმელსაც თავისი ხელით იკერავს. ციცა და მიწის საიდუმლო ხომ იცის და იცის, უძველესი ქვეყნის ამბებსაც ისე ჰყვება, თითქოს ყველაფერი თავის თვალით ენახოს და განეცადოს.

– ვიცი, ვიცი ეს პროფესორი, ერთხელ ჩვენთანაც ამოვიდა სოფელში და ჯუმათის ეკლესიის დასათვალიერებლად წავყევი. მეგზურობა გავუწიე. გაუხარდა, რომ რუსულად ველაპარაკე. მართლაც დიდი მეცნიერი და უცნაური კაციც ჩანს. მე ბევრი რამ ვიცოდი ჩემი ქვეყნის შესახებ, ამ რუსმა კი ისეთი რამეები მითხრა და ამიხსნა, რომ ცოტა კიდევ შემრცხვა, მაგრამ რას ვიზამდი.

– ჰოდა, ამ ჩემმა პროფესორ-მასწავლებელმა მთელი ზეცა მოგვატარა, გაგგაცნო მზე, მთვარე და ვარსკვლავები. თურმე ეს წითელი ვარსკვლავი – მარსი ისეთივე ქვეყანაა, როგორიც ჩვენი დედამიწა. საოჯახო ტელესკოპშიც ჩაგვახედა. დავინახეთ დიდი, მრგვალი და წითელი ბურთი. შეიძლება მასზე ცოცხალი არსებებიც ცხოვრობდნენ, – გაგვანდო მეცნიერთა ნაფიქრალი. პროფესორის ქალიშვილმა ისიც გვითხრა, რომ მარსის გამოჩნესა დედამიწაზეც უბედურება მოაქვსო. 1914 წელს, როცა წითელი ვარსკვლავი გამოჩნდა, დიდი ომი დაიწყო. 1917 წელს მეფე ჩამოაგდეს და წითელი წარღვნა დაიწყოო. ახლაც წითლად ანთია ცაზე მარეხი, ახალ უბედურებას ხომ არ გვიქადის?

– ახლა ჩვენ უბედურება გვაკლია? ამაზე უარესი რა უნდა მოუვიდეს ჩვენს ქვეყანას? ღმერთო, შენ გვიშველე!

– ეჰ, ჩემო ბიძია, შენგან გამიგონია, არც უკეთესის უკეთესი გამოელევა ქვეყანას და არც უარესის უარესიო.

– ღმერთო, ნუ შეგვასწრებ, გვაკმარე, გვაკმარე!! – ჩაილაპარაკა თავისთვის ვახომ, ცოტა შეჩერდა, ჩალის ღერი გადატეხა და ფეხზე მოდებული ტალახი და მიწის ბელტი ჩაშოიფხიკა.

ბიძას დისშვილმაც მიბაძა და ტალახით დამძიმებული ფეხები გაითავისუფლა. მგზავრები ბორძიკით და მძიმედ მიარღვევდნენ ღამის წყვდიადს და კოობანის ტალახიან სივრცეს.

გამოდარებასთან ერთად მარტის სუსხმაც იძალა, მაგრამ მგზავრები მას არ გრძნობდნენ, პირიქით, უგზოობასა და ტალახთან ბრძოლით ტანში სითბო მოსძალებოდათ და ოფლის ცვარი სახესა და ტანს უნამავდათ.

დაღლილები ცოტა ხანს შედგნენ, გაუვალ სივრცეს თვალი მოავლეს. სიამოვნებით ჩაიმუხლებდნენ კიდეც, შესაფერისი ადგილი რომ ეპოვათ.

ოცდაათი-ორმოცეიოდე ფეხის ნაბიჯზე დაბარჯწლული და ტოტებშეკვეცილი ხე შენიშნეს. სიბნელეში ვერ გაარჩიეს, მურყნალი იყო თუ მუხა. მგზავრებმა ანგარიშმიუცემლად ამ ხისკენ გასწიეს ის იმედით, რომ შეიძლებოდა, იქ მაინც ეპოვათ ჩამოსაჯდომი ადგილი. გურული კაცი ასეთ ხეს საგანგებოდ რგავს და უკლის, რომ დამაშვრალმა მის ჩრდილში დაისვენოს. იქ გაშლის სუფრას და ხშირად დაღლილი იქვე დაიძინებს. ხის ჩრდილის მოძრაობაა გლეხის საათი. სახლის კერასავით ელოლიავება ასეთი საჩრდილობელს.

და... გულმა გაუწიაო ხისაკენ, რომ რამდენიმე წუთით შეეცესნათ და ტალახმოდებული ფეხსაცმელები საგულდაგულოდ გაეწმინდათ.

ერთი წუთით შეჩერდნენ.

შემზარავ სიჩუმეს დაესადგურებინა კოლხეთის ველზე.

შორიდან, ძალზე შორიდან, მთის კალთებზე გაფანტული ეზოებიდან ძაღლების მისუსტებული, ერთიანი და გაბმული ყმუილი ისმოდა.

ვახოს რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

ცუდად ენიშნა ძალლების გაბმული ყმუილი და ავის მომასწავებელი ჩამკვდარი სიწუმე. ჩრდილოეთის ცის დასავლეზე რომელღაც ვარსკვლავებმა მაცდურად ჩაუკრა თვალი, თითქოს ნიშნი მოუგო, თითქოს დასცინა კიდეც. არც ეს ენიშნა კარგად ვახოს, მაგრამ რა უნდა ექნა? ვარსკვლავს ხომ ვერ მისწვდებოდა? უნდოდა, საუბარი გაება გურონსთან. უნდოდა, სახელი და სადაურობა გაეგო მაცდურდამცინავი ვარსკვლავისა, მაგრამ აზრი ტვინში გაეკენა და სიტყვა პირშივე ჩაკვდა, არ გამოდიოდა.

გუშანით რაღაც ცუდს გრძნობდა.

და უცებ... არც ისე შორს მარტოხელა მგლის ღმეილი შემოესმა. ღმეილი კიდევ და კიდევ განმეორდა.

შორსაც და ახლოსაც ტურების კიკილ-ხორხოცმა ჩამკვდარი სიწუმე შესძრა. ჯაგნარ-ბარდნალში უცნაური ამოძრავება და ნაფიერთა დაფეთებული გაშლიგინება შეამჩნია კაჟიამ.

ახლა კი იგრძნო ვახომ ავისმომასწავებლის მოახლოება. დისშეილის კი არაფერი აგრძნობინა. თვითონაც არაფერი შეიმჩნია. სწრაფი ნაბიჯით გასწია ეელზე გამმარტოებით მდგარი ხისაკენ და გურონაც მკაცრად უთხრა, მიჰყოლოდა მას და არ ჩამორჩენოდა.

ხესთან მიახლოებისას მგზავრებმა აშკარად დაინახეს, რომ ბარდნარიდან ანთებული წყვილ-წყვილი სანთლები დაიძრა. ტურების გნიასი მიწყდა. მარტოხელა მგელმაც შეწყვიტა ღმეილი. შორეულ სოფელში კი ძაღლების ერთობლივი ყმუილი ხეივიდან ხეივებში გადადიოდა და დაყრუებულ სივრცეს ერთიანად ავსებდა.

მგლების ხროვა სისწრაფით ყველა მხრიდან უახლოვდებოდა მგზავრებს. სიტყვისა და ფიქრისთვის დრო აღარ რჩებოდა.

ნყვილი სანთელი კელაპტრებად შეერთდა. მგლები ოთხახმით მოქრიდნენ და მინაზე გართხმული თქარათქარი სიკვდილის შავ დროშად ეულად მდგარ მუხას გარს ეკლებოდა.

ერთადერთი ხსნა მხოლოდ ტრიალ მინდორზე აღმართული მუხა იყო. სხვა გზა ყველა მოჭრილი აღმოჩნდა.

ვახო და გური მგლის ხროვის აღყაში მოექცნენ. წამის დაკარგვა, ერთი ზედმეტი მოძრაობა და ყველაფერი დამთავრდებოდა.

კორძებიანი და ძველი ნამეხარი მუხა ადვილად ასაღები აღმოჩნდა. პირველი იერიშის შედეგად გურიმ აიღო სიმაღლე. ყველაფერი ინსტინქტურად მოხდა. ბიძის მხრებზე აღმართული გური მძლავრ ტოტს შემოეჭდო. ტანი ერთი მოქნევით მაღლა აისროლა და საკმაოდ მაღლა, ორ ერთმანეთზე გადაჭდობილ ტოტს შორის სიმედიდან მოიკალათა.

ვახო ელვის სისწრაფით მიჰყვა დისშეილს, აიჭრა ხეზე და სწორედ ამ დროს მგლები ერთიანად რკალად შემოერტყნენ მუხას. კაჟია მარჯვენა ფეხით გამოშვერილ, გადაცტეხილ გამმპარ ტოტს დაეყრდნო და როდესაც მარცხენა ფეხი მაღლა აპქონდა, ერთი კბილებადალესილი მგელი წაეტანა ფეხსაცმლის ქუსლზე, მაგრამ ვაჟკაცმა იმძლავრა, მგელი ერთი მეტრით მაღლა აიტაცა, ფეხსაცმელი მგლის კბილებს შეატოვა და თავად კი დისშეილის გვერდით მოხერხებულ მძლავრ ტოტზე ჩამოჯდა.

მგლის ხახას გადარჩენილი ვახო ერთიანად კანკალებდა და დიდხანს ვერ შეძლო ყალყზე შემდგარი ნერვებიის დაოკება.

პირველად გურის შიში არ უგრძნია, თითქოს ყველაფერი ბუნებრივად მოხდა, ბიძის გვერდით ყოფნამაც ერთგვარად დაამშვიდა. მაგრამ, როდესაც ლაშებდადებული და კბილებდაელვებული ნაცრისფერი ტყის ყაჩაღები მაღლა ხტომით შეეცადნენ საკბილოს ხიდან ჩამოეტანა, მაშინ იგრძნო მთელი საშიშროება და შიში გაუორკეცდა. თან მარტის ღამის სიცივეშ იძალა. ცივი ნესტი ნემსებივით იჩხლეტებოდა და ხორცი და სული ერთიანად ეყინებოდა. ჯერ ნელი კანკალი შეუდგა ტანში, შემდგომ კი დაუმორჩილებელი ძაგძაგი დაანყებინა.

ვახო ერთბაშად გამოიერკვა, განაგონი ჰქონდა, მგლის ხროვის მომნუსხველ ძალას შეუძლია ადამიანი ხიდან ჩამოაგდოსო და შეშინდა, როცა ერთიანად აკანკალებულ დისშეილს შეხედა. სხვა გამოსავალი რომ ვერ გამონახა, ქაძარი მოიხსნა და გური მუხის ტოტზე მოხერხებულად მიაბა. ცოტა სული მოიოქვა, დარწმუნებულმა იმაში, რომ, თუ ვინმე დანით გაჭრიდა ტყავის ღვედის ქამარს, თორემ სხვა გზით გური ვანთავისუფლება ტყვეობიდან არ მოხერხდებოდა. ამგვარად მგლის ხროვას ხელი არ მოუწვდებოდა საიმედოდ თავშეფარებულებამდის.

დაბლა კი მგლები არ ცხრებოდნენ, შლიგინით გარს უვლიდნენ მუხას. მაღლა ხტებოდნენ, კანს ულრჭნიდნენ ნაზამთრალ ხეს, ერთმანეთს უღრენდნენ, ეძიძგილავებოდნენ. ხან ერთად შეუტეკვდნენ მუხას, ხან ცალ-ცალკე ცდიდნენ ძალას სიმაღლეზე ხტომაში. შემდეგ ხის ძირის გამოთხრაც დაიწყეს, მაგრამ სამშვიდობოს გასულ და გადარჩენილ მგზავრებს ამით არაფერი აკლდებოდათ.

ნნიელი, სისხლიანი ვარსკვლავი დასავლეთით გადაიხარა. ჰაერიც თითქოს შეგუბდა და ნაიგიც არსაიდან ქროდა. დამცინავმა ვარსკვლავმა ერთხელ კიდევ გაუღიმა ვახოს, კიდევ ერთხელ დასცინა მის ადამიანურ სისუსტეს და ცის დასალიერში ერთადერთ ზოლად გაწოლილ შავ ღრუბელს მიეფარა.

დაბლა კი მგლები მეტი ძალით და თავგამეტებით უტევდნენ შეუვალ მუხას, რაკი საკბილოს ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოს ხედავდნენ. შიოდათ. მართლაც რომ გამგელებული იყვნენ ეს ფარ-ხმალს ხომ არ დაყრიდნენ?? ხეზე მიყუჟულები კარგად ხედავდნენ თეთრ ეშვთა ნათებას.

შიშს სძლია გადარჩენის იმედმა. გონს მოეგნენ. თითქოს დამშვიდნენ კიდეც. მგლების დაუცხრომელი გნიასი ახლა კიდევაც ართობდა მათ. აინტერესებდათ, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს. ვახომ იცოდა, რომ ეს შარა-ტყის ყაჩაღები მზის ამოსვლისას გაიფანტებოდნენ და შორს, უსიერ ტყეებსა და ჯაგბარიანებში ნაილებდნენ უძლეებ, დამშეულ სტომაქს.

ერთი მგელი, ყველაზე დიდი, როგორც ჩანდა, მთელი ხროვის მეთაური, დანარჩენებზე მეტად ავობდა, ბრისხანებდა და ყველა იერიშის წამოწყებას მეთაურობდა.

კაჟიას ახლა გაახსენდა, რომ გულის ჯიბეში ნაგანი ედო, ლულაში შვიდტყვიამიცემული. მარჯვენა ხელით მოსინჯა. თავის ადგილზე დინჯად თვლემდა განსაცდელში ჩავარდნილთა მეგობარი. ამოიღო. საკეტი მოუსინჯა. ყველაფერი თავის ადგილზე და წესიერად იყო.

– ა, გური, როგორ ფიქრობ, კარგი იქნება, ერთხელ ჩვენც ვუყუროთ სეირს და ნაცარა აკვიეს ჩვენი ძალაც ვაგრძნობინოთო?

– ეს როგორ, ვახო, მგლებთან შებმას ხომ არ აპირებ? – შეეხმიანა ტოტზე საიმედოდ მიბმული გური ბიძას. მან არ იცოდა, რომ ვახოს ცეცხლმსროლელი იარაღი თან ჰქონდა, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის, უკანასკნელ საჩუქრად გამოატანა უცხოეთში მიმავალმა გიორგი ხალვაშმა.

– არა, ამ ყაჩაღების ბუქნა-ცეკვაც უნდა განახო, კარგი საყურებელი კი იქნება, – და თვალნინ დაუტრიალა დისშვილს შავად მოელვარე რევოლვერი.

– ?!

გური გაოცებით მიაჩერდა იმედის ტალკვესს. ამას კი აღარ მოელოდა. გაჩუმდა, ხმა არ ამოუღია, თითქოს სული შეეკრა და მოვლენების უცნაურად განვითარების მოლოდინში გაირინდა.

– როგორც ჩანს, ძალიან შიათ ამ საწყლებს.მგრედა, ჩვენი ხორცი გაადღებდა ამ გაუმაძღრებს?! მაინც რამდენი არიან ეგ ობრები? – და გუფში თვლა დაუწყო უთავბოლოდ მორიალე ნაცარებს. ერთმანეთში ვერ არჩევდა. სიბნელე უმლიდა ხელს, – ცამეტი დავთვალე, ყოველ შემთხვევაში მეტი თუ იქნება, ნაკლები კი არა.

– რას ითვლი, ბიძია, რაში გჭირდება?

– ვახშამი მინდა მოვუშაზადო და ვანგარიშობ, – ვახომ ერთი მოზრდილი ტოტი მოამტვრია მუხას და ძირს ჩააგდო. მგლის ხროვა ერთად მიეტანა მათთვის უცნობ საგანს, შეიკრა, დაიბურთა. შემდეგ გაიშალა და ახალი ძალით გამართეს მუხის ირგვლივ მარწალა.

მეთაური მგელი არ ისვენებდა. ყველაზე მაღლის ტტებზედ. მგლურ ენაზე მთელ ხროვას განკარგულებას ის აძლევდა. ჩანდა, ნადავლი მეტ ნილსაც ის მოითხოვდა.

ვახომ ნაგანის საკეტი გახსნა და, რაც შეიძლებოდა მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის, მეთაურს მიზანში ამოღება დაუწყო.

– უყურე, გური, კარგად უყურე სეირს! თუ არ ავაცდენე, საყურებელი და სანახაობა კი, ეს იქნება, – ვახო დაელოდა ყაჩაღთა აბდანის მაღლა ასტმასს. ეს მომენტიც დადგა და რევოლვერმაც იგრიალა. სროლის ხმაზე მგლის ხროვა გაიფანტა. დაჭრილი ყაჩაღი კი ღრიალით დაენარცხა მიწაზე. წამოხტა. შემზარავად დაიღმუვლა.

სისხლის სუნმა გამოაფხიზლა მგლები. გაშმაგებით მიცვივდნენ მეთაურს და სასნრაფოდ წესის აგება დაუწყეს. ჭლეკვდნენ. აჭაკვიებდნენ. ინანილებდნენ. თქლეფდნენ.

– ა, როგორ აბყოშ, გური? ეს არ ეყოფათ. დამძრახავენ. ძუნწ მასპინძლად ჩამთვლიან.

გური გაოცებით შესცქეროდა ამ გულისამრევ საშინელ სანახაობას, მხეცთა მხეცურ ღრეობას.

– ამას რას ვხედავ, ბიძაჩემო, მგლები ერთმანეთისაც არ ინდობენ. დაჭრილ მეთაურს სულის მოთქმაც არ აცალეს. როგორ გაშმაგებით თქლეფენ თანამომძმის სისხლსა და ხორცს? უცნაურზე უცნაური და ამოუცნობი ყოფილა ბუნების საიდუმლო. ადამიანი კი ოდესმე შესძლებს მისი წეს-განაჯარის ამოხსნას?!.

– ჯერ ბალი ხარ, ჩემო დისშვილო, სიმწიფეში შესული კი ბევრს გაიგებ და ბევრსაც ამოხსნი, მაგრამ გაუგებარი და ამოუხსნელი კიდევ მეტი დაგარჩება. როგორ ფიქრობ? თუ ადამიანის თავისუფალ მოქმედებას საზღვარი მოეხსნა, მგლებზე უარესს არ ჩაიდენენ? ორფეხა მგლებს ისეთი სისაძაგლის ჩადენა შეუძლიათ, რომ კაცობრიობაზ შეძრწუნდეს, ადამიანის მოდგმას სისხლი გაეყინოს. შეიძლება ისეთი დროც დადგეს, მგლების საქციელი მოკრძალებულ თავდაცვად მოგეჩვენოს.

– ?!

გური დუმდა. ვახოს სიტყვების აზრი ვერ აეხსნა. ხის ძირში კი მგლები მომძის უკანასკნელ ნარჩენებს – ტკავსა და ნანლავებს ინანილებდნენ. ერთმანეთს უტეკვნენ, კბენდნენ, არ ინდობდნენ, ძვლებს ხრაკვნენ, თავს ესხმოდნენ. ცდილობდნენ მეტი ნაგლეჯადა, მეტი მოსწეოდათ საერთო ნადავლიდან.

ვახო ამ დროს გულდაგული მიზანში ილებდა მორიგ მსხვერპლს. კიდევ ერთი გასროლა, დაჭრილი მგლის ღმუილი და ხროვის ანგარიშმიუცემელი თავდასხმა განნირულზე.

ასე განმეორდა რამდენჯერმე. ხროვა საკმაოდ შეთხელდა. ცოცხლები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

საკბილო რომ საკმაო გაუწნდათ, ხეზე მოკალთეებული ტყვეები თითქმის გადაავიწყდათ. ერთმანეთის ღრენასაა და ნაკიდებას თავი მიანებეს. დადინჯდნენ. დამძიმდნენ კიდეც, ის კი არ იცოდნენ, თუ ვინ მოუვლინა მათ ეს წყალობა. ნარჩენებს ალარ ეტანებოდნენ, ძვლებს ხვრასაც თავი მიანებეს.

– უმადურნი რომ არ წავიდნენ თავიანთი ბუნაგებში, უკანასკნელი კერძით შევაერთოთ მგლის მგლური სუფრა. ასე უფრო კარგი იქნება, გური?

–კარგი იქნება, კარგი, ბიძია ვახო, აბა ვნახოთ, რა სიურპრიზს მოუწყობ ამ მოძალადეებს... – სიტყვა დამთავრებულიც კი არ ჰქონდა გურის, რომ ერთხელ კიდევ დასცალა ვახომ რევოლვერი და უკანასკნელი ღამეული ყაჩაღი დაეცა მიწაზე. ტყვიისგან ისე მარჯვედ მოხვედროდა განნირული, რომ დაცემულმა ფეხზე წამოდგომაც ვერ მოახერხა. ერთი მძლავრად გაიზმორა, უკანა ფეხებით მიწა ჩაფცცა, გაიყინა, ჩასისხლეანებული თვალები გადაატრიალა, წითელი ენა ლაშებიდან გარეთ გამოაგდო და არყოფნის სამყოფელს საბოლოოდ შეეხიზნა.

მომძენი უხალისოდ მიეტანენ დაცემულს. სიმსუნაგემ მაინც ხძლია გაუმამძღრების მოდგმას. სისხლის სურნელების მაცდურება ვერ დაძლიეს და დაგლიჯეს ლეშად ქცეული, რამდენიმე წუთის წინ კი სიცოცხლეს და სისხლს მოწყურებული გასულდიდებული არიფინონი. დაგლიჯეს, დაფლითეს, ტყვეი და ნაწლავები მიწის სუფრაზე გაფინეს, მაგრამ ნადაკი შეუჭმელი ადგილზეეე დატოვეს, კბილი არაფრისთვის უზღიათ.

ღამე მიიწურა. კაკკასიონის მთაგრეხილზე იალბუზის წითელი ქუდი გამიჩნდა, კოლხეთის ველზე კი ისევ უკუნი ღამე იწვა. აისის მოახლოება იგრძნეს თუ არა მგლებმა, ხროვა ერთბაშად დაიშალა, თითქოს უხილავმა ძალამ კვერთხი დაუქნია და სერობის დამთავრების ბრძანება გაიცაო. მგლები ყველა მიმართულებით გაიფანტნენ. ცოტა ხანს კიდევ ისმოდა ბარდნარების მგლების შლიგინი; შემდეგ კი ყველაფერი ერთიანად მიინავლა და მიწყნარდა.

მყუდროება ერთბაშად დაარღვია ტურების შეცხადებამ, ბარდნარ-ჯაგნარები შეინძრა. ყველაფერი ისევ ამოძრავდა. წვრილფეხა ღამის ქურდ-ბაცაცები გნიასით ყოველი მიმართულებით დაიძრა. ნაყაცების განაპირა სიერცე წყვილი მბუტბავი სანლოით დაიფარა. გაშლილი ფრონტით შემოუტიეს მუხას. ნაცრისფერი ტყის ყაჩაღები ქერა-მოწითალო გაიძვერებმა შეცვალეს.

მგლების ნასუფრალს ტურები დაეუფლნენ.

გულმოდგინედ და გააფრენებით შეუტიეს სისხლით, ნაწლავებით და ძვლებით მოფენილ მიწას დაუპატიჟებელმა წვრილფეხა ბანდიტებმა. ტურები ძვლებს მიეტანნენ. სისხლში ამოსვრილ ნაცრისფერ ტყავს ინაწილებდნენ ღრენით და ჩხუბით. ჯერ, სანამდის ნადავი ყველას ეყო, ჩუმად იტაცებდნენ ნაკბილოს, შემდეგში, როცა სუფრა გაღარიბდა, დასაკბენად შეუტიეს ერთმანეთს, წკმუტუნი, ღრენა და საერთო გნიასი გაძლიერედა.

– ბიძია ვახო, რა ხდება ამ ღამით ჩვენს ირგვლივ. კარგი, მგლებმა თავიისი საქმე მოთავიეს და წავიდნენ, მაგრამ ესენი ვინღა არიან, საიდან გაჩნდნენ?

– ტურები არიან, ჩემი გური, ტურები. ასე იციან ამ ღამის მოზარეებმა. როცა მოშივდებათ, ერთად გამოძვრებიან ხვრელებიდან. სოფლებს გორაკებიდან გადმოადგებიან, მთელ ცას გაპყურებენ და მოპყვებიან შეცხადებთან კიბელს, შემდეგ გაიფანტებიან და ცალ-ცალკე იწყებენ ქურდბაცაცობას. თითქოს ნადირობენ, მაგრამ ვერაფერი შეილი მონადირეები არიან. ძლიერებთან მშიშრები და ჯაბანნები, სუსტებთან და ძლეულებთან – გულადნი. ასე მოსდგამს ამ ნადირთა ჯგუმსა და ჯილაგს.

– კი, მაგრამ ახლა საიდან გაჩნდნენ ეს. მერე რამდენია! შეხედე! შეხედე!!

– ვხედავ, ჩემო გური, ვხედავ და განა პირველად! როცა მგელი სანადიროდ გამოვა, მას ყოველთვის თითო-ოროლა ტურა აედევნება; ხოლო როცა მგლების ხროვა სანადიროდ დაიძრება, მას ასევე მორიახლოს მიჰყვება ტურების გუნდი და ელოდება... ელოდება ომის გადახდას და ნასუფრალს.

– მართლაც რომ სასწაულია ბუნება, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ მათთვის, ვინც მას ჩაწვდება.

– ასეა, ღმერთს ამქვეყნად ყველაფრისთვის თავისი წესი და კანონი გაუწესია. მგლები მუდამ მგლობდნენ, ტურები ტურობდნენ, ხოხბები კი ხოხბობდნენ, ძნელად რომ მოშინაურდნენ და ცხოვრების წესი შეიცვალონ. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება ის არის, რომ ღმერთს ადამიანებისათვის მიუცია ნიჭი, მიჰბაძონ ბუნებას, გადმოიღონ მათთვის საჭირო წეს-კანონები და გამოიყენონ, გამოიყენონ ყოველი ფეხის ნაბიჯზე და დაუსრულებლად. მგლებს ვაძაგებთ, მაგრამ ცოტაა ქეეყნად მგელ-ადამიანი? ტურას დავცინით, მაგრამ რამდენია ამ ქვეყნად ტურა-ადამიანი?!

– მართლაც რომ ასეა, ვახო ბიძია: ძველად, ძალიან ძველ დროში ადამიანი თურმე ადამიანზე ისე ნადირობდა, როგორც ღორსა და ზვეულზე, მგელს ის ამით არაფერთი ჩამოუვარდებოდა. უნავავ-უხარშავად მადიანად შეექცეოდა კაცის ხორცს. მაგრამ შემდეგში, როცა ადამიანმა თავიისი თავი თვითონვე მოიშინაურა და გაადამიანების გზაზე შედგა, კაცის ხორცის ჭამამ თავი ანება, მაგრამ მგლური ბუნებისათვის დღემდის არ უღალატია. ეშმაკობა და გაიძვერობა ისწავლა. ისწავლა სხვისი სისხლი-

თა და ხორცით, სხვისი ოფლითა და სიცოცხლით მეტის მოპოვება, ისნაული ბატონობა და თავის სასარგებლოდ ათასებისა და მილიონების ფულები შებმა. ეშმაკი და ჭკვიანი ორფეხა მგელი უფრო საშიში გახდა, ვიდრე მგელი და მგლების ბროვა.

– ვინ გასნავლა, გური, ამდენი რამ? შენმა ბელოხვოსსტოვმა ხომ არა? აღრე შენთვის, ჩემო დისშვილო, ამდენის ცოდნა. საშიშია აღრე დაბრძენება, სიკეთის ნაცვლად მან შეიძლება უმადურობას გაზიაროს.

– არა, ვახო ბიძია, გულუბრყვილობას და დოყლაპიობას მაინც ის სჯობია, ბევრი იცოდე, აღვილად არ ტყუვდებოდე, მგელსა და ტურას ერთმანეთისისგან არჩევდე და უბედურ კაცის სახელით დადიოდე ამქვეყნად. აბა, დაუკვირდი, თუ სწორს არ ვამბობ?

– ძნელია, ძნელი წინასწარ სისწორისა და სიმრუდის ერთმანეთისგან გარჩევა. დრო ყველაფერს გააშიშვლებს. ხომ გაგიგონია, დროის სასნორი თვით აფთიაქის სასწორზე უტყუვარიაო, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ დრო ჩვენ არ გვიცდის და, როდესაც ბრუნდსა და მართალს საბოლოოდ ნათელი მოეფინება, ამქვეყნად ჩვენ აღარ ვიქნებით.

ბიძა-დისშვილის საუბრის დროს ძირს ტურების გნიასი არ შეწყვეტილა. განთიადი კი მოულოდნელად წამოეპარა მიდამოს. ჯერ კავკასიონის თოვლით დაბურული მწვერვალები თეთრ-ძონისფრად განათდა, ცაც იისფერ-ნითელნარევით შეიღება. შემდეგ კი ჩრდილოეთიდან კოლხეთის ველის მცვალი მთის კალთები და ჩაბნელებული ხეობები მოთეთრო-მონაცრისფროდ გაფერმკრთალდა. კოლხეთის ველმაც თანდათან მოიხადა სიბნელის ჩადრი და საგნებმა გამოკვეთილი სახე მიიღო.

ქონაში გულჩახორობილი და ნაომარი ხვდებოდა განთიადს.

ტურებმა იგრძნეს რა ალიონი, ჩუმად და უხმაროდ გაიკრიფნენ მოედნიდან. ჩირგვებ-ჯაგნარი ირგვლივ შეინძრა, ერთხანს კიდევ ისმოდა წვრილფეხა ნადირთა შლიგინი, შემდეგ კი ყველაფერი მიწყდა-მინელდა. სრული მყუდროება დაეუფლა ქობაქს. რამდენიმე წუთი... და სადღაც შაშვი აჭახჭახდა. მუხის კენწეროზე შეეუფლა ჭიკჭავებიც აფლურტულდნენ.

წავიდა ღამე თავისი ბოღმით, სისხლით და ღამური საზრუნავით.

განთიადს მოჰქონდა დიდი ღღე თავისი სიხარულით და მწუხარებით, ათასნაირი წვრილმანი საზრუნავით დატვირთული. კოლხეთის ველზე ილვიძებდა ღამის საფარქვეშ დადუმებული სიცოცხლე.

– ახლა ყოველგვარი საშიშროება გაველილა. შეგვიძლია დაბლა ჩავიდეთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ, – მიმართა კაკიამ გურის.

გურის და ვახოს მთელი ღამის მუხის ტოტზე ჯდომისასგან ტანი დაპბუჟებოდათ, თითქოს ძარღვებში სისხლი გაყინოდათ და ნერვებს დამბალ შეჭპაროდათ. განსაკუთრებით ფეხზე წამოდგომა გაუჭირდა გურის. ხეზე მიბმამ თავისი გაიტანა. ვახო მაინც მოძრაობდა დროდადრო და ამ გარემოებამ ერთგვარად უშველა. ხელები და ფეხები დაუზოლა, გამოაფხიზლა, გამოაცოცხლა და ფეხზე დააყენა.

პირველი ვახო ჩამოცოცდა ხიდან.

შემდეგ მას გური მიჰყვა. ტოტზე დაეკიდა. გამოშვებული კუნძს ფეხი მიაბჯინა და ჩამოხტა.

ბიძა-დისშვილს თვალწინ გადაეშალათ ნაომარი ველი. დღის სინათლე საკმაოდ მოჰფენოდა მიდამოს. მოშორებით მდგარი მაღალი ხეების კენწეროებიდან შაშვისა და ჩხართვის გალობა მოისმოდა, სადღაც, კიდევ უფრო შორს, კოდალა უკაკუნებდა ხეს. ყვავებიც გამოჩნდნენ გულის წამლები ყრანტალ-ჩხვეილით, მუხას გადაეფარნენს და ნაჩალევში დაეშვნენ. ქიკჭაკვთა გუნდი სოფლისაკენ კამარაშეკერული მიფრინავდა. შორიდან სამუშაოზე მიმავალ მეურმეთა შეძახილი და ურმის ჭრიალიც ჩაერთო საერთო გამოლვიძებაში.

მგლებისა და ტურების ღამით გამართულ ნადიმს თავისი კვალი დაეჩნია მუხის ირგვლივ გაშლილ ველზე. მინა ერთიანად აჩიჩქნილ-გადათხრილი იყო. ვახოს ცალი ფეხსაცმელი ტალახში იყო ალესილი და მგლებს ისე დაეგლეჯათ, რომ ჩასაცმელად აღარ გამოდგებოდა. სანამდე ხორცის კერძი გამოჩნდებოდა სუფრაზე, ჩანდა, მანამდე ონავრები ვახოს ფეხსაცმელზე იყრიდნენ ჯავრს.

დაუშაბტფუბელ სტუმრებს არაფერი დარჩენოდათ შეუჭმელ-დაუხვრელი. მინაზე აქა-იქ მოჩანდა მხოლოდ გამოხრული ძვლების უბადრუკი ნარჩენები. ხორცისა და ტკბეგის ნაგლეჯსაც ვერსად შენიშნავდით, მხოლოდ ნაცრისფერი ბეწვი ბღუჯა-ბღუჯად იყო აქა-იქ მიმობნეული. ეტყობოდა, ნადაელის თქვეფისა და ტკბეგის განაწილების დროს ეს ყარაღების უსარგებლო სამკაული არავის სჭირდებოდა და გადახდილი ომის უტყეურ ნიშნად შემორჩენოდა შრავლისმნახველ მინას.

ერთბაშად ჰაერი ყორნების ყრანტალმა შეარხია. ეს შემზარავი და გულისგამაწვრილებელი ხმები მუხას ყოველი მხრივ ერტყმოდა.

შაჰზე შავი ფრინველები, ყვავებზე უფრო მოზრდილები, მუხის იერიშით აღებას ლამობდნენ. სწრაფად ნანაობით ეშვებოდნენ მინაზე და გამოხრულ ძვლებთან იჭიტნენ ადგილ.

გური პირველად ხედავდა ამ უცნობ და უცნაურ ფრინველებს და თავის გოოცება-გაკვირვებას ვერ მალავდა.

– ვახო ბიძია, რა ფრინველები არიან ესენი, ან ასე მოულოდნელად და ერთბაშად საიდან გაჩნდ-

ნენ? – დაუფარავი ცნობისმოყვარეობით მიმართა ბიძას დისმენიმა.

ყორნები ეი თანდათან ემატებოდნენ სივრცეს და იქაურობას თავის სიშავითა და ძაძა-ფლასით ამშვენებდნენ და აბნელებდნენ.

ცალკეულ ყორნთა ყრანტალი თანდათან გაძლიერდა, გაერთიანდა და ერთიანან გლოვის ზარად იქცა.

– ეს ფრინველები ყორნებია, ჩემო გური, თუ აქამდე არ გინახავს, გაგონილი მაინც გექნება.

– როგორ არა! ნამიკითხავს კიდეც და გამიგონია კიდეც, მაგრამ ნახვით არასოდეს მინახავს. ახლა პირველად ვხედავ. ყვავის მსგავსი ფრინველები მეგონა. ესენი კი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თავიანთი მოშავო-მორუხო (მოხაცრისფრო) ნინაპრებისაგან, სიდიდითაც და ბუნებითაც. როგორც ჩანს, ცხოვრების წესებიც სხვანაირი ჰქონიათ.

– განსხვავდებიან და საკმაოდაც, ჩემო დისშვილო! მართლაც რომ უცნაური ფრინველებია. ბუნებასაც თითქოს განგებ უზრუნია, რომ შავითა და ბნელით შეემოსა ეს თავისებური არსებანი. ყორნები არიან უპატრონოდ დალუპულთა და მიგდებულთა ერთადერთი დამტირებელნი. მშვიდობა და სიცოცხლე კი უყვართ ამ ეშმაკის გაჩენილებს. მაშინ ხარობენ და ზეიმობენ, როცა ქვეყნად ომი და ნგრევაა, როცა სიკვდილი ზეიმობს სიცოცხლეზე გამარჯვებულს. მკვდრებით მოფენილი მინდორ-ველი ყორნების ბაღნარია. ყოველი ღეში ყორნების საქორწილო სუფრაა. თავაზიანად მოუსხდებიან ამ ღვთის ბოძებულთ პურ-მარილს, გაილეშებიან, გამოთვრებიან, ბოლოს ყორნულ მრავალჟამიერსაც შემოსცამენ. შემდეგ აიშლებიან, ულარან ნეკლოდეებს შეეხიზნებიან და კმაყოფილნი არხეინად განისვენებენ ახალი ღრეობის მოლოდინში.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აქ ვინ მოიპატიჟა ეს გაუმაძღრები?! ვინ გაგებინა ამ ოხრებს, რომ აქ და სწორედ აქ, ამ ღამით, ომი და სისხლის ღვრა იყო?

– ბუნებამ ამ მხრივაც დაავჯილდოვა ეს შავოსნები. უცნაური ყნოსვა და გუმანი აქვთ ყორნებს. ორმოცდაათ-ას კილომეტრზეც კი შეიგრძნობენ ლეშისა და სისხლის სუნს და შეუშეცდარად მიაყვებიან ყნოსვით გაჭრილ გზას. ვინ იცის, ეს ფრთოსნები საიდან არ მოფრენილან აქ; რიონის ჭალეებიდან თუ მთიანი ბამბარელოდან, სულორის თუ სურეშის ხეობებიდან, აჭარის მთებიდან თუ იმერეთის ბარიდან.

– მართლაც რომ უცნაურია!!!

– უცნაურია ისიც, რომ მოყრანტალე ყმაღები ერთნაირად ეტანებიან კლდეზე გადაჩეხილ ხარჯიხვებს თუ ამომშრალ ფშანში ფეხგაფშეკილ გომბეშოებს, ბრძოლაში დაცემულ ვეფხვის ლეშს თუ სანაგვეზე გადაყრილ ძვლისა და ხორცის ნარჩენებს. ყორნები ერთნაირი სიამაყით და თავმოწონებით მოუსხდებიან ხელუსლებელ სუფრას, ნასუფრალს თუ ნასუფრალის ნასუფრალს. არასოდეს უკან არ იხევენ. ყოველთვის ყველაფერში გამოსარჩენსა და სარგებელს ეძებენ.

– საოცარია, რა ფორმისა და სახის არსებებით არ არის დასახლებული ეს ქვეყანა. ალბათ ადამიანს ერთი სიცოცხლე არ ეყოფა, მთლიანად შეიცნოს ზღვა და ხმელეთი.

– საოცარია, აბა რა არის. აი, თუნდაც ახლა, ეს ჯოჯოხეთის კერძები აქ დაუპატიჟებლად მოვიდნენ ნასუფრალის ნასუფრალზე. აი, შეხედე! მაინც პოულობენ რაღაცას. სისხლის სუნი ალალებს ამ ბედკრულებს. უკანასკნელ ნამცეცს არ დატოვებენ მინაზე თუ მინაში. შემდეგ აიშლებიან და თავიანთ სამყოფელს მიაშურებენ.

– როგორ მაგონებს ეგ მგლები, ტურები, ყორნები ადამიანებს!..

– ასეა, როგორც მგელ-ადამიანებით და ტურა-ადამიანებით, ისე ყორან-ადამიანებითაცაა დასახლებული დედამინა. განსაკუთრებით ნვრილფეხა ნასუფრალის ნასუფრალის მაძიებელი კაც-ყორნები დღედაღამ დაძრწიან ქალაქებსა და სოფლებში. მათ გამორჩენის, ხორცისა და სისხლის სუნი არ ასვენებთ. ტყავიდან ძვრებიან, რას არ აკეთებენ. მძორის მოყვარულნი სულით და ხორციით აყრილებული არიან. მათთვის უცხოა კეთილის ცნება. სული ეწო უჭირავთ ხელში და ყველაფერს თავისკენ მიითლიან. თავადაც ბნელნი კიდეე უფრო აბნელებენ და აღამებენ ისედაც ჩაღამებულ ადამიანთა წუთისოფელსაც.

– კი, მაგრამ მუდამ ასე იყო და ასე იქნება? სიკეთის თესლი როგორღა გაიხარების დედამინაზე?

– ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, ჩემო გური! ადამიანი ბუნების შვილია და ბუნების გარდაქმნა ძნელი და გრძელი პროცესია. ყორან-ადამიანები დროს მოჰყავს და მიჰყავს. ხან მრავლდებიან, ხან მცირდებიან, მაგრამ არასოდეს ისპობიან. განსაკუთრებით მოედებიან ისინი ქვეყანასს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, ძველის დაცემისა და ახლის წარმოქმნის დროს. ჩვენი დრო, როგორც ნანვიმარზე სოკოებს, ისე მოამრავლებს კაც-ყორნებს, თქვენს თაობას მოუხდება მათთან გადამწყვეტი ბრძოლა. გაუფლებთ კი ყოველივე ამას?!

– ვინ იცის, ამასაც დრო გასცემს პასუხს, ვახო ბიძია! მაგრამ ხომ ისიც შეიძლება, ცხოვრება სხვაგვარად წარიმართოს და ამქვეყნიურ უკუღმართობას ერთხელ და საბოლოოდ წერტილი დაესვას?!

– შენს პირს თაფლი და შაქარი, ჩემო დისშვილო! მაგრამ რაც გითხარი, ამას გამოცდილება მალაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკებს. შეიძლება ყველაფერს საზღვარი დაედოს ამქვეყნიდან. შეიძლება მომავალი თაობა სახნავ-სათესად მთვარეზე ავიდეს, მაგრამ მგელ-ადამიანი და ყვავ-ყორანი ყოველთვის იქნება და შეეგუება დროგარეშოს. ქვეწარმავალივით პერანგს გამოიცვლის, ქვესკნელში ჩაძვრება და დროებით დაიძინებს, მაგრამ, შეიცვლება თუ არა ამინდი, მინდიან ამოძვრება და სახალხო ტაძარში დაიდებს ბინას.

– ძალიან მკაცრად სჯი და მეტად შავი ფერებით ჭვიხატავ, ვახო ბიძია, ადამიანთა მოდგმას.

– ასეა, ჩემო გური, და რას იზამ?! აეკაცოობას თუ თავიდანვე არ ჩაუკეტე და ჩაუხერგე ავის გამოვლინების გზა და ბილიკი, იმრავლებს, ათას ყლორტს გამოიბამს და ხვიარა მცენარესავით ყველაფერს მოეგება, დაიმორჩილებს, დაჩრდილავს და მოიდნობს. მთავარი ის არის, რომ უკეთეს კაცთა ხელმა ამის საშუალება თავიდანვე წაართვას მგელ-კაცებსა და ყორან-ადამიანებს. არ გეგონოს, რომ ეს ადვილი იყოს. ამისთვის მარტო სიკეთე და საერთოდ კეთილკაცობა არ კმარა. არც განათლება და ჭკუაა საკმარისი, რაღაც მეტია საჭირო. აეკაცოობას სადავე თავიდან თუ არ გამოსტაცე და თავის ნებაზე მიუშვი, შემდეგ ვეღარ დაიმორჩილებ და უფსკრულში გადაგეხვაზი. მთელი უბედურება იმაშია, რომ ხშირად ქვეყნის სადავე მგელ-კაცებსა და ყორან-ადამიანებს ჩაუვარდებათ ხელში. თუ ასეთი დრო დადგა ოდესმე, კაცობრობას ბენ-ვისხიდზე მოუწევს გავლა და აი, სწორედ მაშინ უნდა ველოდოთ განკითხვის დღეს. ერთნაირად განსაცდელში აღმოჩნდებიან ხიდთან მირეკილნი, ბენვის ხიდზე შემდგარნი და მოჩვენებით სამშვიდობოს გაღნეულები...

– ღმერთმა ნუ ქნას, ბიძია ვახო, ქვეყანას ასეთი დრო დასდგომოდეს! განა ადამიანს მამაზეციერმა იმიტომ მისცა ჭკუა-გონება, რომ სიკეთე დაიმოს და ავკაცობას დაუფლოცოს ბაღ-ბოსტანი სასხლავ-სამარგლავად?!!

– ხომ კარგად დაინახე წუხელ ღამით, თუ რა მოხდა ჩვენი თანდასხრებით. მგლებმა ერთმანეთი არ დაინდეს და ერთმანეთი შეთქვლიფეს, მშობლეობის ხოტკი და ტყავი ვერ გაინაწილეს. ხომ კარგად გაარჩე – ხროვად გაერთიანებულებმა ჩვენი შეჭმა მოინდომეს, მაგრამ როცა ხელი მოეცარათ, ერთმანეთს დაერივნენ. არც ტურები ჩამორჩნენ მგლებს ნასუფრალის განაწილებაში, მათ ერთმანეთის შესათქვეფად ძალა არ ეყოთ, თორემ, როგორ გგონია? მოერიდებოდნენ თანამოძმის ტყავის დაგლეჯვას? რასაკვირველია, არა. მხეცებმა ნიჭიერად წარმოადგინეს ადამიანთა ყოფის დამახასიათებელი ტრაგიკომედია, ყორნებმა კი ჩვენი ცხოვრების აპოთეოზი გვიჩვენეს.

– საიდან იცი, ბიძია ვახო, ყოველივე ეს? რომელ წიგნებში ამოიკითხე ასე დაწერილებით ყველაფერი? ნინაა ასეთ რამეებზე ჩემთან არასოდეს გისაუბრია!

– ნინათ ეს საჭირო არ იყო. ბავშვი ცხოვრებას წმინდათ თვალებით უნდა უყურებდეს და დედის სიყვარულით ზომავდეს ყოველივე მრუდსა და მართალს. მოზარდს თუ სისხლიანი ხელებით წერა და ბარვა ასწავლე, გამუდმებით ჩირქსა და ბალლაშში ამბანავე, მისგან რაიმე სასიკეთოს და სიყვარულით გამთბარ გულს ვერასოდეს მიიღებ.

– ვახო ბიძია, მგონი, დროა გზას გავუდგეთ, ოღონდ ერთი პირობით, სხვა საგანზე ნუ გადავიტანთ საუბარს. ვფიქრობ, ეს ღამე სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში არა მარტო როგორც ფათერაკიანი თავგადასავალის ღამე, არამედ ჩემი ახლად დაბადების განთიადი. იმდენი რამე ვნახე და ვისწავლე, მანათობელ ლამპრად წარმძღვეები ნინ მრავალი წლის განმავლობაში.

– სკოლა ხომ სკოლაა, ჩემო გური, მაგრამ ყველაზე დიდი სკოლა მაინც ცხოვრებაა. რასაც შენი თვალით ნახავ, იმას, აბა, რა დაგავიწყებს? რასაც ბრძოლით მოიპოვებ, ის ყოველთვის შენი საკუთარი სიცოცხლის ნაწილად იქცევა, მას სხვა ვერ მოგტაცებს და არც დაუთმობ. თუ ცხოვრების საერთო ქვაბში არ იხარშები ყოველდღიურად, უნდილი და უმი დარჩები. უმი და უნდილი ადამიანი კი ნახეკვარადამიანია და ასეთი კაცი შარაგზაზე დაკარგულ და მიტოვებულ ბავშვად დარჩება მთელ ცხოვრებაში.

ყორნებმა ნასუფრალის ნასუფრალზე დაამთავრეს სერობა. აიშალნენ, ფრთა ფრთას შემოჭკრეს და ნამეხარ მუხას თავს გადაევლნენ, მზიანი დილა სიმპვით დააბნელეს და სხეადასხვა მიმართულებით გაეშურნენ.

ქობანის დაბლოზე საბალახოდ გამორეკილი პირუტყვებიც გამოიკრიბნენნ. მარტი იწურებოდა, მაგრამ ზამთრის სუსხი ჯერ კიდევ ძვალსა და რბილში ატანდა. ნაზამთრი საქონელი სიმინდის ნაყანაზე მოსდებოდა და ხარბად კორტნიდა ნახრილ ჩალის ღეროებს და ბუჩქნარის ძირას ახლად გაღივებულ ლორთქიო ბალახს. ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობა ავსებდა გაღვიძებულ არემარეს. გამოჩნდნა სამუშაოდ მიმავალი გლეხობაც. შორს, ბურუსში, გამოჩნდა ფეიდრობებზე შეფენილი სოფლები და სამზარეულო სახლებიდან უსასრულობაში აღმავალი ცისფერი კვამლი.

ორმა მგზავრმა აუჩქარებლად გადაჭრა ქობანის ნაჩალევი, სოფლის გზას მარცხნივ აუქციეს, მუხნარის ტყე გადაკვეთეს და ორაგვინოლელის ხეობისკენ აიღეს გეზი.

VII

გოგია მეწისქვილე კარებზე ბრახუნმა გამოაღვიძა. ასე ადრე დილით საფქვავს არაკინ მოიტანდა, ეს კარგად იცოდა გოგიამ. ამიტომ შეშფოთებით წამოდგა. ეჭვმა გაჰკრა, გაიფიქრა: რაიმე უბედურება ხომ არ დაგრიალდა სოფელშო. ჭრაქი ანათო. ჩაიცვა და ფრთხილით ჩაკეტილი კარი გააღო.

გოგია პირისპირ შეჩრა ელენეს, ცალხელა ლუკაიას და კიდევ ერთ ახლად წამოჩიტული გოგონას, რომელიც ბინდბუნდში ვერ გაარჩია და ერთი შეხედვით ვერც კი იცნო.

– დავიღუპე, გოგია, რაღაც უბედურებაა ჩემს თავს. გუშინ საღამოდე უნდა დაბრუნებულიყენენ ჩემი ბიჭი და ვახო. არა, ნამდვილად რაღაც უბედურება მოხდა, თორემ ვახო ასეთ დღეში არ ჩამაგდებდა! – ტირილმოძალებული და თვალცრემლიანი იმეორებდა ერთსა და იმავეს ელენე, – მიშველე, გოგია, იქნებ შენ იცი რამე!

– რამ შეგაშფოთა, ქალო, რა უნდა მომხდარიყო. ქვეყანა არეულია, გზა მოშლილი, ალბათ საადე შემოაღამდათ და ღამე იქ გაათიეს, სუფსაში ან ნიგვზანინი; შეიძლება გუშინ სულ არ ნამოსულან და დღეს გამოვიდნენ ბათუმიდან, შეიძლება დღესაც არ ჩამოვიდნენ, მერე და რა დამავდება ამით?! – დაამშვიდა ელენე გოგია მეწისქვილემ, მაგრამ ეჭვის დემონმა კვანძი მაინც განასკვა მის გულში.

– ხომ გიოხარი, დეიდა ელენე, საშინი არაფერია-მეთქი. სადაც ვახო ბიძიაა, იქ ხიფათის რა უნდა, – ენა ამოიდგა გოგიას სიტყვებით დაიმედებულმა გოგონამ.

ცალხელა ლუკაია ღია კარს მიაჯრდნობოდა და გარინდული იდგა; ან რა უნდა ეთქვა? სანუგეშო და სათქმელი ყველაფერი თქვა, მაგრამ დედის დამშვიდება მაინც ვერ შეძლეს.

– დრო რომ არ იყოს არეული და ქვეყანა გადარეული, მაშინ რა შემაშფოთებდა?!

– ნუ ასკდები შენს გულს, ახლა სახლში წადი. ლუკაია მეგაზეთე ლანჩხუთში მიდის და ერთ-ორ საათში ყველაფერს შეგაგზავნინებს; ქოთქოთითა და ტირილით ვითომ საქმეს უშველი?! ხომ მარადაა ვამბობ, ლუკაია? – მიმართა მეწისქვილემ ცალხელას. ჩაახვევა, გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა და ელენე ძალით მიაბრუნა სოფლისკენ. წყალგაღმა გაიცილა კიდევ. შემდეგ გოგონას მიუბრუნდა, – გოგო, ელვისა, კინაღამ ვერ გიცანი. ახლა შენთვის მომინდეკია ელენეს სახლამდე აყვანა. მე და ლუკაია შუადღემდის თავად ამოვალთ ორაგვეში, კარგ ამბავსაც ამოვიტანთნ, ნუ შიშობთ, გურისა და ვახოსაც ამოვიყვანთ.

– კი, ასე აჯობებს, ბაბუა, ხომ იცით ელენეს ამბავი, ნაშუადღეევს აუცილებლად გელოდებით, – წყალგაღმიდან გამოსძახა გოგონამ მეწისქვილეს, ელენეს ხელ-მკლავი გაუყარა და ნელი ნაბიჯით გაუყვნენ სოფლისაკენ.

წისქვილის წინ დგადებულ გაშავებულ და დაბზარულ მუხის კუნძზე ჩამოსხდნენ ლუკაია და გოგია, ყალიონიც გააბოლეს, საკუთარ ფიქრებში ჩაიძირნენ და დიდხანს დუმდნენ.

– ა, როგორ ფიქრობ, ლუკაია, იმ საცოდავ ქალთან არაფერი ეთქვი, თორემ არ მომწონს ვახოს დაგვიანება. ვითომ რას უნდა მივაწეროთ ეს?!

– მოსაწონი არ არის, მაგრამ არც განგაშის ატეხა ღირს ამისათვის. ბათუმიდან ახლა მატარებლებიც არ მოდის, გზაც სახიფათოა და ჯარის ნანლებითაა გაჭედილი. ათასი დეზერტირი და მამაძაღლი დაძრნის ახლა გზაშარაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვახოს გამოცდილება და მოხერხებულობა მაინც თავისას გაიტანს. ვფიქრობ, დღესვე, დაღამებამდის მაინც, უვნებელი დაგვიბრუნებიან სახლში.

– ვნახოთ, დაველოდოთ, მაგრამ დღეს თუ არ გამოჩნდნენ, ამ გადარეულ ქალს ვინ გადაუურჩება?! – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მეწისქვილემ.

– ჩემო გოგია, ახლა ვარაუდებს თავი დავანებოთ, მე ლანჩხუთში საქმე მაქვს და ხვალ ადრე წავიდე, ჩემს საქმესაც მივხედავ, ამბავსაც მივიკითხ-მოვიკითხავ, არ შეიძლება ვინმე ბათუმიდან დაბრუნებული არ ვნახო და რაიმე ხელის მოსაკიდი არ გავიგო. ერთი სიტყვით, ჩემს საცდელს არ დავაკლებ. ორ-სამ საათში დავბრუნდები და, თუ მანამდის არ გამოჩნდნენ, შემდეგ ერთად მოვისაზროთ, რა გზას დავადგეთ და როგორ ვიმოქმედოთ. გული კი მეუბნება, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

– ღმერთო, შენი სახელი დაილოცოს, შენ მოხედე ყველა გაჭირვებულსა და გზააბნეულს ამ ქვეყანაზე, – ხელაპყრობით და პირჯვრის გადასახვით აღმოსავლეთისაკენ პირმბრუნებულმა ჩამარცვლა ბერიკაცმა.

ლუკაია მეგაზეთეს არ დაუყოვნებია, არც კი გამომშვიდობებია მეწისქვილეს, ისე გადაჭრა ბილიკი და თავქვე დაეშვა.

დღე მზიანი დადგა, წყნარი და უქარო, მარტისთვის უჩვეულო. „ალბათ რამდენიმე დღეს კარგი დარი იქნება. ორაგვის ღელე ზემოთ ხმაურობს“, – თავის თავს გამოელაპარაკა გოგია მეწისქვილე. მან დაკვირვებით იცოდა, რომ, როცა მდინარე წისქვილს ქვემოდან ახმაურებდაო, აუცილებლად ავდარს მოიტანდაო. ამ დაკვირვებას არსაოდეს უღალატია მეწისქვილისათვის. ამინდის გამოსაცნობად ბერიკაცი წყალს აღმა, სათავისაკენ აუყვებოდა, რომ წისქვილის ხმაურს ხელი არ შეეშალა. დაკვირვებით ყურს მიუგდებდა ბუნების ძახილს, მდი-

ნარის ჩხრიალს და გამეფულ-გამომეფელთათვის რამდენნიმე დღის პროგნოზი ხელთ ჰქონდა. ისე შეეჩვია გოგია და ხალხი ამ ამბავს, რომ სხვაგვარად ვერც კი წარმოედგინათ. მეწისქვილისათვის აუცილებლად უნდა ეკითხათ და გოგიასაც შეუმცდარი პასუხი მზად ჰქონდა.

მეწისქვილე გაუნძრეველად იჯდა ხის კუნძზე და, ვინმეს შორიდან რომ შეეხედა, ერთიანი ჯირკვი ეგონებოდა, ადიდებული მდინარის მიერ ნაპირზე გამორიყული, ტოტებშემოწყლული და ქვიან ჩქერებში თრევისაგან კანგაცლილი. თვალუნერი ფიქრებს მისცემოდა ბერიკაცი და ფეხებთან დგადგებულ ჟანგისფერ ქვას ჩაშტერებოდა. ქვა თითქოს სუნთქავდა, იბერებოდა, და იფშუკებოდა, ნაპზარი ხან განიერდებოდა, ხან კი ერთდებოდა და უბრალო ხაზსაც ვერ ამჩნევდა ბერიკაცი. ხან ფიქრის ქარავანი შორდებ ჩაუვლიდა მეწისქვილეს და შორს, ნისლსა და ბურუსში, სადღაც მოუსაოლეთში ინთქმებოდა. ფიქრი იყო მარტოხელა ბერიკაცის მბერვება და მეგობარიც, მას ანდობდა თავის გულის საიდუმლოს: ბევრჯერ დაუჭერია თავისი თავი მარტო, ხმამაღალი მოსაუბრე ფიქრის მორვიდან ამოსულ გმირებთან. შეწუხებული, ირგვლივ მიმოუხედავს, ხომ არავინ უგდებს ყურს მარტო ბერიკაცის ლაპარაკსო. გიგი არავის ეეგონო და, როცა დარწმუნდებოდა, რომ მახლობლად არავინ იყო, დამშვიდდებოდა და ფიქრთა კორიანტელი ძველი გზით განაგრძობდა მსჯელობას.

საფქვავის მოძალების დროს მეწისქვილეს სად ეცალა ფიქრისა და მობორიალე ლანდების გამოდევნებისათვის? წყალი და ღარი, ღოლაბი და სარეკელა, წამსვლელი და მომსვლელი ავსებდა გოგია მეწისქვილის ცხოვრებას და საგნების ტყვედქცეული ბერიკაცი ათას საზრუნავსა და გაუთავებელ ფუსფუსში ერთიანნად ინთქმებოდა.

ახლა კი, ამ არეულობასა და მეორედ მოსვლის დროს, საფქვაი არავის მოჰქონდა და დაყრუებული ნისქვილი კიდევ უფრო აყრუებდა და აღონებდა მეწისქვილეს. ახალმა დრომ ნეტავი ჭამაც ხომ არ გადაავიწყა ხალხს, რომ ასე მოიძულეს გოგია მეწისქვილეე? – ფიქრობდა გოგია და თვალწინ ისევ ელენე, გური და ვახო ედგნენ.

საკმაო დრო გავიდა. შუადღემაც მოატანა და არავინ გამოჩენილა. „ეს ცალხელა ლუკაია მაინც სად ჯანდაბაში წავიდა ამდენ ხანს?! ჩემს ჯინაზე ისიც მოუსავლეთში ხომ არ გამგზავრებულა?!“ — ფიქრობდა მეწისქვილე და დაფინებოდა გასაცქერელი ჭალის გასწვრივ გაჭიმული შარაგზა. დასასკენა, ნამდვილად სამი კაცი მოდიოდა გოგიას ნისქვილისაკენ.

მგზავრები მოახლოვდნენ. ბერიკაცმა თვალეგზზე ხელი მოიჩრდილა და აშკარად გაარჩია, რომ ერთი მგზავრთაგანი ცალხელა ლუკაია იყო, ერთიც ვახო და, მესამე, თქმა არ უნდა, გური იყო. ათასში გამოარჩევდა გოგია თავისი წისქვილის მუდმივ სტუმარსა და უამრავი ამბის წამლებ-მომგამეს.

გიიხარა ბერიკაცმა და მგზავრებს სიხარულით შეეგება.

მხლოდ ის აკვირვებდა მეწისქვილეს, რომ ეს სალ-სალამათი კაცი – ვახო კაჟია კოჭლობით მოიკელეططდა გზას. გიორგი ხალვაშმა ხომ არ გამოატანა თავისი მტკივანი ფეხი ცოლისძმას სამახსოვროო, – ხუმრობით გაიცინა გული მეწისქვილეს.

ელენეს ვერ მოეთმინა და ამბის გასაგებად ელენისა გამოეგზავნა წისქვილში, მაგრამ, დაინახა თუ არა მომავალი მგზავრები, სასწრაფოდ უკან გაბრუნდა, რომ სასიხარულო ამბავი დაუგვიანებლად მიეტანა ელენე დეიდასათვის.

ლუკაია მეგაზეთემ მხოლოდ ორიოდე სიტყვა დაადევნა სირბილით აღმართში მიმავალ ელენისას:

– ჩხავერი და ჩაზობინი არ დაივიწყოს ელენემ!

ელენისა დასთან ცხოვრობდა, რომელიც ორაგვეში იყო გათხოვილი. აქ გაატარა ბავშვობა და, ახლა, ქალობაშიც აქვე შედგომდა.

ელენისა ერთი წლით უმცროსი იყო გურიზე და მას ერთი კლასითაც ჩამორჩებოდა. ერთად თამაშობდნენ ბავშვობაში ცხენობანასა და კლასობანას, ყაჩაღობანას და ცოლქმრობანას. ერთად „დაავჯირითებდნენ“ ორაგვის გზა-შარა-ორლობე-შუკებში ჩალის ცხენებს. შემდეგში, როცა ორაგვის ოთხკლასიანი სოფლის სკოლა დაამთავრეს, ერთად სწავლობდნენ ლანჩხუთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში. მთელი სოფლის გოგო-ბიჭები გათენებამდის მიდიოდნენ სკოლაში და მათი ფრიალული ჩიტების ფიცილ-ხიცილთან ერთად აღვიძებდა სოფელს. გაკვეთილებს შემდეგ ერთად გროგდებოდნენ ეკლესიის ეზოში სამასწლოვანი ფრთხილის ქვეშ და ასევე ერთიმეორეთ ბრუნდებოდნენ უკან. როგორც წესი, ყოველთვის, დარსა თუ ავდარში, შემოდგომაზე, ზამთარში თუ გაზაფხულზე აუცილებლად გოგიას ნისქვილთან დაისვენებდნენ, ბერიკაცს გაამხიარულებდნენ, საქმეში ხელსაც მიაშველებდნენ, ქალაქიდან საინტერესო ამბებს ამოუტანდნენ და ისევ ფლურტაციით შეუდგებოდნენ სოფლის აღმართს.

ელენისა ერთნაირი და განურჩევეული სიყვარულით მეგობრობდა ორაგველ თანაკოლეგთან, მაგრამ მეტ სიახლოვეს და სითბოს გურისთან მეგობრობაში გრძნობდა.

გური რაინდული გატაცებით მფარველობდა გოგოს, სითბოს გადამტებული სითბოთი უბრუნებდა და ელენისას ცივ ნიავს არ აკარებდა. გოგოსთან სიახლოვე ახარებდა და დაშორება ანაღვლებდა. თხუთმეტ წლამდე ამ ბავშვურ გატაცებას უსაზღვრო და მოკრძალებული პატივისცემაც თან ახლდა.

VIII

გადიოდა დრო ზლაზნით და აუჩქარებლად. ზამთარს გაზაფხული ცვლიდა და ზაფხულს – შემოდგომა. ერთფეროვანი დღეები მოუსავლეთში იკეცებოდა, იფერფლებოდა და იძირებოდა. ახალი ადამიანები მოედვნენ ქვეყანასა, რეკლოუციური ნესრიგი ყოველი ადამიანის სულში იდგამდა ბინას. რეკვიმები დამკვიდრდა სოფლად და ქალაქად.

ღარიბკიმეები, გლეხკიმები და ქალაქკიმები დაეპატრონნენ ყველაფერს. გახშირდა კრებები და თათბირები, მიტინგები და დემონსტრაციები. ვიანაც ორი სიტყვა ერთად არასოდეს წარმოუთქვამს, ახლა ორატორობას იწერებდა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის სახელით მუქარით მიმართავდა „დამპალ კაპიტალისტურ ეროპას“.

შრომას დაჩვეულები შრომობდნენ და ნელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ცხოვრებისათვის თავი და ბოლო მოებათ: ხნავდნენ და ბარავდნენ, თესდნენ და კაფავდნენ, კრეფდნენ და თიბავდნენ, სანნახველში ყურძენს წურავდნენ და ქვევრებში ასხამდნენ. ინიშნებოდნენ, ქორწინდებოდნენ და მრავლდებოდნენ. უხვი მოსავლისა და შეძლებული ცხოვრებისათვის რეკვიმებს შავ სიაში შეპქონდათ გლეხები, ბაღ-ვენახებს ორთმეცდნენ და სოფლიდანაც ასახლებდნენ ღარიბების ინტერესების დაცვისა და ღარიბკიმების მოთხოვნით.

პარტიის წევრები და კომკავშირელები მაუზრებით შეიარაღებული დადიოდნენ სოფლებსა და უბნებში, დადიოდნენ თავაწეული „ახალი ქვეყნის მშენებლები“, წითელი წარეფსის მედროშენი, ფრენჭ-გალიფეში გამოწყობილნი, უძირო მაღალყელიანი ნაღებით. დადიოდნენ კრებიდან კრებაზე, ენას ილესავდნენ და სჯერწოდათ, რომ მართლაც თავკაცები იყვნენ სოფლად. არც არაფერს სნავლობდნენ და არც მუშაობდნენ, მუშებისა და ღარიბი გლეხების სახელით კი ქვეყნის მართვას იწმებდნენ. კრებაზე და საზოგადოებაში გაზეპირებული საგიბაც�n ლოზუნგებით ინყებდნენ და ამთავრებდნენ სიტყვას.

●

ვახო კაჟიას ცხოვრებაში არსებითად არაფერი შეცვლილა: ზუმად, უსიტყვოდ ებრძოდა მინას, პატიოსნად, ჭკვიანად შრომობდა. სასიმინდე მუდამ სავსე ჰქონდა სიმინდით და ქვევრში – ღვინო გამოუღეველი.

მასთან ისევ ძველებურად დადიოდნენ მეზობლები რჩევის საკითხავად. ვახოს რჩევაც მუდამ საქმიანი და სასარგებლო იყო.

არც პური და მარილი უძველდებოდა კაჟიას, მუყაოთ შრომასთან ერთად პურის ჭამაც გემრიელი იცოდა; ზამთარში მამაპაპურად გუგუნებდა მისი ბუხარი და მეზობლებიც ალალი გულით ეტანებოდნენ ვახოს სიტყვის მადლსაც, ბუხრის სითბოსაც და სუფრის ბარაქასაც.

ვახომ სმა-ჭამაც ზომიერი იცოდა; იშვიათად ნახავდით მისი ეზოდან გადმოსული კაცს, რომელსაც აზრი, სიტყვა და ფეხი შეშლოდეს.

სიამოვნებდა ვახოს სტუმრების მოსვლა და სტუმრებიც ნასიამოვნებ-მხიარულნი ტოვებდნენ კაჟიას ჭერს.

ვახოს და ელენეს სუფრის მადლს ყოველთვის იზიარებდნენ მეგაზეთე ლუკაია და გოგია მეწისქვილე. სხვას არაფერს ეხარებდათ ეს ორი, ცხოვრებაში ხელმოცარული კაცი, ელენეს და ვახოს ბატკანეითი ალალი გული და სუფრა იზიდავდა მათ და მარგხოლოობას ავინყებდა.

სოფლის უსაქმური, გაბლეფნილი თავკაცები – რეკვიმისა და ღარიბკიმის თავმეჯდომარეები, მილიციელები, თავცარიელი „კომსომოლები“, მაუზერიანი საფრთხობელები არ უყვარდა კაჟიას, ანდა რა საერთო ჰქონდა მათთან? კაჟიას პურ-მარილის გემო ერთხელაც არ გაუსინჯავთ ძალად გადდაკაცებულებს.

არ უყვარდა ვახოს სოფლის ახლად წამოჩიტული მეთაურები. სამაგიეროდ, არც მათ უყვარდათ კაჟია; ეჭვის თვალით უყურებდნენ მას და მის სტუმრებს. წითელი სოფლის მოწინააღმდეგეს და მტერს ხედავდნენ მასში. ავი სიტყვა და მითქმა- მოთქმა თანდათან ბაღს მიიკვლევდა ზედდა ფეხებში. დაშინება და ტერორი გველ-მორიელებივით მიძვრებოდა კაჟიას მყუდრო სახლში, შხამი და გესლი გზას მიიკვლევდა ნდობისა და სიყვარულის მოსანამლავად.

კაჟია დიდხანს ყურადღებას არ აქცევდა მოძუოლეთა ბოროტ გამოხედვას, გზას უხვევდა, თავისთვის იყო. შრომობდა, სიკეთე თესავდა, ეკალს კაფავდა და ვარდს ამრავლებდა. ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ ვარდსაც ეკალი ახლავს და ვარდის დასაკრეფად განვდილი ხელი შეიძლებოდა გაეკაწრა, სასიკეფილოდაც მოეწამლა.

დასმენა ჩეკამდისაც აღნევდა, მაგრამ, ჯერ გასამწვავებელი და ხელმოსაკიდი არაფერი ჩანდა.

საქმე კი... შავყდინი საქმე გაიხსნა ცალ-ცალკე ვახოსა და ელენეზე, ცალხელა ლუკაიასა და გოგია მეწისქვილეზე და კიდევ მრავალ სხვაზე.

დღეები კი ისევ გადამფრენი ნეროებივით მიინევდა ნინ.

გაზაფხულობა ზამთარს ცვლიდა და შემოდგომას – ზამთარი.

ელენეს ნაწნავში ვერცხლის ძაფები მომრავლდა და ვახოს თმა-წვერში – დაგვიანებული ჭაღარა.

შრომის ძალა და ხალისი ისევ ძველი დარჩა. არ ილეღობდა ვახო. მისი ბაღ-ვენახი და ნახნავ-ნათესი სხვისაკი არ ჰგავდა. გურიც გვერდში ედგა

ბიძას და თავისუფალ დროს ვახოსთან ატარებდა: ხნავდა და თესავდა, ჭრიდა და კაფავდა. ვახოსთან ახლოს ყოფნა და შრომა მთელი სკოლა იყო ბუნებით ნიჭიერი, დაკვირვებული და მშრომელი ახალგაზრდისათვის.

კაჟიას მზე და მთვარე გურნზე ამოსდიოდა. მისთვის შრომობდა, მისთვის ცხოვრობდა, გურის სიხარულით ხარობდა და გურის სიყვარულით უცემდა გული. მეტი რაღა დარჩენოდა მარტოხელად დარჩენილ კაცს, უშვილოდ გადადგებულს, თუ არა შეილვით გაზრდილი დისშეილის მომავალზე ზრუნვა!

სკოლაში იშვიათად აკითხავდა ვახო დისშვილს და, როცა მასწავლებლები ეტყოდნენ, – ნეტავი მის მშობელ დედას! ისეთი ნიჭიერი, მეცადინე და ზრდილია, სკოლაში ტოლი არ მოეძებნებაო, – კაჟია ფრთებშესხმული ბრწყინვებოდა სოფელში და სამკილომეტრინან აღმართს ისე ამოივლიდა, რომ გული დაღლას არ გრძნობდა. დასვამდა ელენეს და უამბობდა ნახულსა და მოსმენილის. ორჯერ, სამჯერ, მრავალჯერ, ისე რომ, დისშეილის კაიკაცობაზე საუბარი არ სწყნდებოდა.

რაინინს კომკავშირულ ორგანიზაციას, რომლის მდივნებად ნესტორა შტერი და ცალთვალა გიგაია იყვნენ, გურიმ განცხადებით მიმართა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მიღების შესახებ, მაგრამ აგერ ერთ თვეზე მეტი გავიდა და განცხადება არ განუხილავთ. საერთოდ, პირისპირ შეხვედრის დროს ჰპირდებოდნენ საკითხის დადებითად გადაწყვეტას, მაგრამ თან დასძენდნენ, სამაზრო კომიტეტს მოველაპარაკებით, საქმეს გავაცნობთ, შეკუთანხმდებით და უახლოეს ხანში განვიხილავთო. საქმე ის იყო, რომ გიმნაზიის უკანასკნელ კლასში იყო ხალვაში, დარჩენილი დრო სწრაფად გაირბენდა, ატესტატს მიიღებდა, მაგრამ თუ კომკავშირისა და რევკომის მიერ გაცვეშელ სიღარიბის მოწმობას არ წარადგენდა უნივერსიტეტში, ისე გამოცდებზე არ დაუშვებდნენ და ეს უკანასკნელი იმედიც მარტის თოვლივით ხელიდან გაუქრებოდა.

შტერი ნესტორა და ცალთვალა გიგაია ნინაადმდეგი იყვნენ გურის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მიღებისა. მიზეზად ასახელებდნენ იმას, დემოკრატიული მთავრობის წევრისა და ამჟამად ემიგრანტის შვილიაო. მთელმა რაინმმა და მაზრამაც კარგად იცოდა, რომ გურის გაჩენაში ბრალი გიორგი ხალვაშს ედებოდა, ხოლო მის აღზრდაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია; მამის საქართველოში დაბრუნების შემდეგ თითქმის არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა მასთან. სამი წლის განმავლობაში გურიმ ერთხელ ინახულა მამა თბილისში, ერთი კვირით დარჩა გამოკეტილ ოთახში, მაგრამ ერთი საათიც არ უსაუბრია მამასთან.

გიგაიასა და ნესტორას დაგეშილი ჰყავდათ ორაგვისა და ლანჩხუთის „კომსომოლები" ხალვაშის შესახებ „მამხილებელი" ცნობების შეგროვებაზე, რათა შემდეგში საერთო კრებაზე საჯაროდ გაეთრიათ და გაეულანძღათ. ეს ყველაფერი იცოდა გურიმ, ისიც იცოდა, რომ ნესტორასა და გიგაიასთან ერთ ორგანიზაციაში ყოფნა საბოლოოდ გაუტეხავდა სახელს, თავლაფს დაასხამდა, მეგობრებს დაუკარგავდა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა და ამ მოლიპულ, სამარცხვინო გზაზე დადგომა გადაწყვიტა.

როგორც იქნა, კრებაზე განიხილეს მისი განცხადება და როგორც კონტრრევოლუციონერის, მავნებლისა და ხალხის მტრის შვილს, უარი უთხრეს ორგანიზაციაში მიღებაზე.

ამ ამბის შემდეგ დიდი ხნით დაიხუმრებოდა ალბათ გურისათვის უნივერსიტეტის კარი, მაგრამ გამოსავალი მისმა მასწავლებელმა ია ეკალაძემ მოუნახა. იგი დაპპირდა დახმარებოდა საქართველოს რომელიმე კუთხეში მასწავლებლად მოწყობაში და ერთი ან ორი წლის შემდეგ აღარ დასჭირდებოდა არც კომკავშირის მანდატი და არც სიღარიბის მოწმობა; სამსახურის ადგილიდან დახასიათების მოწმობით შეძლებდა უნივერსიტეტში ჩარიცხვას.

●

ყველაფერი ეს საგაზაფხულო არდადეგების უკანასკნელ დღეს, შაბათ დილით მოხდა. გური ისე დაბრუნდა სახლში, რომ არსად არ შეუვლია, არც ლუკაია მეგაზეთესთან ჯიბურში და არც გოგია მენოსქვილესთან.

არდადეგების დროს ელვისა დასთან იყო ჩამოსული მთელი კვირით. გური ყოველთვის მასთან ატარებდა თავისუფალ დროს. ახლაც მასთან უნდოდა შევლა, რომ გულიდან დარდი გადაეყარა, მაგრამ თავის ეზოში რომ ცხენი დაინახა, ბალაზზე მიშვებული, აზრი შეიცვალა; იფიქრა, ხომ რაღ არ მომხდარაო, ჭიშკარი შეაღო და პირდაპირ სამზარეულო სახლისაკენ გაქანდა, სადაც დედის მოფუსფუსე ლანდს ხედავდა.

ელენე კარებთან შეეგება თავის დავაჟკაცებულ შვილს, თმა გაისწორა, წინსაფარზე ხელები შეინმინდა; გულში კი გაიფიქრა: ღმერთო, დაიფარე ჩემი შვილი და ჩემი ოჯახი ავი თვალისა და ავი გულისაგანო, და ბუტბუტებით ლოცვის მსგავსი რამ ჩუმად ნარმოსთქვა. გური ჩვეულებად ჰქონდა, სანამ რამეს იტყოფდა, დედას მოეხვეოდა, ლოყებსა და უშულს დაუკოცნიდა, თმაზე ხელს გადაუსვამდა, მოეფერებოდა და სათქმელს შემდეგ ეტყოდა. ახლაც ასე მოიქცა, მაგრამ შვილის სახეზე და

თვალებში აღბეჭდილი სევდა დედას არ გამოპარვია. ელენეს გუშმა არ მოუთმინა და მიზეზი უმადლეს ჰკითხა შვილს:

– უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა, შვილო, რაღაც თვალები გამხელს!..

– იყო ასეთი...

– მაინც რა?

– ჩემი განცხადება განიხილეს და კომკავშიში მიღებაზე უარი მითხრეს. უკეთესს ცალთვალა გიგაიასა და ნესტორაა შტერისაგან არც მოველოდი.

ელენეს სახეზე ალმურმა გადაჰკრა. სადღაც გულის სიღრმეში ძარღვის ერთი სიმი ჩაწყდა. კარგად არ ენიშნა შვილის ნათქვამი, მაგრამ არ შეიიჩნია და გური ანუგეშა.

– არა უშავს, შვილო, არც ამით დაიქცევა ქვეყანა, მაინც რა საერთო უნდა გქონდეს იმ უსაქმურ ყოყლოჩინებთან. ამაზე არ იდარდო, იქნებ ასე ჯობდეს კიდეც.

– მაგრამ ეს ერთადერთი გზა იყო უნივერსიტეტში შესასვლელად. არა უშავს, ამასაც მოვერევი, ცოტა დამაკვიანდება, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწევ.

როდესაც დედა-შვილი ნელა საუბრობდნენ, ცხენებმა დაიფრუტუნეს და აჭიხვინდნენ.

– დედა, ვინ ჩამოიყვანა მთის საძოვრებიდან ცხენები, ან რა საქმე გასჩენია ვახო ბიძიას?

– არის ცოტა საქმე, შვილო!

– მაინც!

– ელვისასთან ხომ არ გამოგვლია?

– არა, რაზე მეკითხები?

– ისე, ვიკითხე.

– ისე გადაკრულად მელაპარაკები, ვერაფერი გავიგე.

– არა, შვილო, ისე, საუბარმა მოიტანა და გკითხე.

– რაღაცას მიმალავ, მითხარი, რაღა შორიდან ინყებ?

– ის უნდა მეთქვა, შვილო, რომ დღეს ელვისა სახლში მიდის. არდადეგებიც დამთავრდა და, გარდა ამისა, შემდეგ ნაკლები დრო მექნება და მამასაც მიხედვა უნდაო. დაიჟინა ამ დილით და დამ ვეღარ გადაათქმევინა.

– მერე და რა არის აქ მოულოდნელი და შემოვლით სათქმელი?

– საქმე იმაშია, რომ ელვისას ნამყვანი ბოხვაურში სხვა არავინაა. ან შენ უნდა ნაპყვე, ან ვახო.

– გამოდის, რომ მე უნდა წავიყვანო ელვისა, აბა, ვახო ბიძიას ხომ არ გაგუშვებ ამ გრძელ გზაზე?

– ასეა, შვილო, ეგ საქმე შენ უნდა ითავო, – გაიცინა ელენემ და თვალები ეშმაკურად და სიყვარულით აუელვარდა.

– დედა, ცოტა ხნით ელვისასთან გადავალ და მალე გადმოვალ. შენ კი მანამდე მგზავრობის თადარიგი დაიჭირე.

– ყველაფერი მზადაა მაქვს.

ელვისა საშუალოზე ცოტა მაღალი იყო, უკვე დაქალებული. ჩვიდმეტ გაზაფხულსა და შემოდგომას მოესწრო მის სახეზე გადავლა. ჩვიდმეტს ზამთარსა და ზაფხულს გამოეწეროო და აეშოლტა ეს ჰაეროვანი, ტანადი ქალიშვილი, ნაბლისფერი ორი ნანნავი წელს ქვეკეთ სცემდა და გამომწვეკად ირხეოდა, მუქი თაფლისფერი თვალები ისე უჟუჟუნებდა, რომ ძნელად გაუძლებდა მის მომაჯადოებელ-მომნუსხველობას ვაეკაცი, და რა გასაკვირი იყო, რომ გურიც დიდი ხანია დაება და დაეურვებინა.

მუდამ მხიარული იყო ელვისა, ბუღაბულივით უსტვენდა, გალობდა, ცეკვაობდა, იცინოდა და გაზაფხულის ფერიასავით თავს ეკლებოდა ეკლმინდვრების ყვავილებს; როცა ზაფხულობით თანატოლ გოგოებაზნ ორაგვისწყლის ჩანჩქერებთან გუბეებში ბანაობდა და მზის აბაზანის მისაღებად ხავსმოკიდებულ რუს ლოდებზე გაბვებოდა, მაშინ ხომ ფერიაში მართლაც რომ ძნელად გაარჩევდით. მაგრამ მას შემდეგ, რაც დედა გარდაეცვალა, ეს კი ორი წლის წინ მოხდა, ელვისა თითქმის გამოიცვალა, სევდა ჩაუსახლდა თვალებში და უდარდელი მხიარულება დაკარგა. ათასი საზრუნავი გაუჩნდა, ყველას და ყველაფრის მიმართ შიში დასჩენდა, აჟუჟუნებული თვალებშიც წყალი ჩაუდგა, გეგონებოდა, სატირლად არის გამზადებულიო. მაგრამ, მოუხედავად ამისა, სევდიანი ნა ხასიათგამოცვლილი ხავთასის ქალიშვილი უფრო საყვარელი, ლამაზი და მომხიბლავი გახდა.

ელვისას განსაკუთრებით უყვარდა ხალვაშების ოჯახი. ელენეს დედაში არასოდეს არჩევდა, ხოლო დედის სიკვდილის შემდეგ ის იყო ერთადერთი მყუდრო ნავსაყუდელი, სადაც თავისუფლად ასვენებდა დაღლილ სულს და ათასი ფიქრით აფორრაქებულ გულს.

გურიმ აღარ აცალა ალერს-მოფერებაში ჩართულ დედასა და ელვისას გულის მოყვერება:

– დედა, დადგინანება აღარ შეიძლება, ჩვენ ახლავე გავემგზავრებით; დიდი გზა გვიძევს წინ.

გურიმ ცხენები საგულდაგულოდ შეკაზმა, უფრო მშვიდ და მორჩილ ცხენს ქალის უნაგირი შეადგა, მოსართავები მოუჭირა, აკეთები გაუსინჯა, დაუჭიმა და გაუსწორა, ლაგამი პირში ამოსდო, აღვირს სველი ჩვარი დაუსვა, ოდნავ დაარბილა და უნაგირზე გადმოატარა. შემდეგ მეორე ცხენი შეკაზმა.

მზე საშუადღეოზე იდგა, როდესაც ცხენოსნები ორაგვიდან გავიდნენ.

გასაცილებლად მეზობლებს მრავლად მოეყარათ თავი. ზოგი სიყვარულით და აწყლიანებული თვალებით აცილებდა ახალგაზრდებს, ზოგი შურით და ზოგიც მტრობით.

და მანამდის არ დაშლილან გამცილებლები, სანამ ცხენოსნები უკანასკნელ მოსახვევში არ მიიმალნენ.

●

მარტის უკანასკნელი დღე სულს ლევდა და კარზე მომდგარ აპრილს აბარებდა თავის საბრძანისს.

ვიწრო საურმე გზა მთაში გაყრილ ხეობას მიუყვებოდა და ტყეში იყო ჩაფლული. განსაკუთრებით ხშირი ჩანდა ქვეტყე. იელის ყვითელ ყვავილნარს მთლად აევსო ტყის ქვესასყარო და ცეცხლის ალივით აბრიალებული ნაჭკიდებოდა მუხის, წიფლისა და ნაბლის კორომებს.

შქერი მარადწნაგე მუქ-ლურჯი და განიერი ფოთლებით თითქმის ყველა ხის ძირში მიყუჟულიყო და ღიია ისიფერი ყვავილებთან ანელებდა იელის ყვავილებით გაჩენილ ცეცხლს.

ტყე მთლიანად გაკოცხლებულიყო და ფრინველთა ათასნაირი ხმებით გალვიძებული ძარღვებში სისხლაჩქროლებულ ახალგაზრდობას ზღაპრულ ედემად ესახებოდა. ახლო შაში ჭახჭახებდა, იქვე გაბმით გალობდა იადონი, სადღაც მოლაღური „შვილო გოგიას“ მოუხმობდა, უფრო შორს გუგული მონოტონურად „კაფე-თესეს“ გასძახოდა, ხოლო ცელქი და მოუსვენარი ჩხიკვი წიფლის ტოტებზე დახტოდა და რომელიღაც ფრინველს და ცხოველს აჯავრებდა. შორს, ძალიან შორს, მთების გადაღმიდან, ფურირმის მომხმობი ბღავილი მოისმოდა და მგზავრთა სმენამდის ძლივს აღწევდა.

ცხენოსნები გზაზე ხან გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ხან კი, სადაც გზა უფრო ვიწროვდებოდა, გური ელვისას ცხენს დაუთმობდა გზას და თვითონ რაინდფული სიდარბაისლით უკან მიპყვებოდა.

მარჯვნივ მაღალ მთაზე გადმომდგარი სოფელი მაღალჯუმათი და ჯუმათის ძველისძველი ეკლესია გადმოჰყურებდათ. უკან, ჩრდილოეთით, კარგად ჩანდა კოლხეთის ველი, რიონის დაბლობი, და შორს, ძალიან შორს – ნისლის ნაბადწამოსსხმული კავკასიონის თოვლით დაბურული მთები და მწვერვალები, რომლებსაც თავი თფრრი ღრუბლებიდან პმოყოთ და თეთრად ელავდნენ. სამხრეთით სუფსის თავ-ლნარმტაცი ველი გადაეშალათ მგზავრებს. ახლოს სოფელი მამათი და ისლით დახურული სახლებიდან ამომავალი ცისფრად დახვეული ბოლი მოჩანდა, გარკვევით ისმოდა ძალღების ყეფაც. შორს, სუფსის გაღმა, კრიმანჭულიათი ერთმანეთში ჩახვეულიყო გურული სოფლები, ხან გორაკებზე წამომართულნი, ხან კი პატარა ღელე-მდინარეთა ხეობებში ჩაკარგულნი. ოზურგეთს, ბობვაურს, ასკანას და ვაკიჯვარს ნისლი მოსდებოდა და მახვილი თვალიც ვერაფერს გაარჩევდა. თეთრ საფენელში შებუმბლული აჭარა-გურიის მთები სიდიადით თავს დასდგომოდა გურიას და მის ლაე ცხოვრებას, მოუსვენარ დღეებსა და მშვიდ-წყნარ ღამეებს სდარაჯობდა.

ახალგაზრდების თვალში სასნაულს ჰგავდა ამ დროს საკართველო და ამ სასნაულით ტკბებოდნენ.

ელვისას ახედა ამაყად წამომართულ ეკლესიას და დაუფიქრებლად პირჯვარი გადაისახა. რომელიღაც ლოცვა ბუტბუტებით წარმოთქვა და შემწეობა სთხოვა ჯუმათის ჯვარსა და ანგელოზს.

– ელვისა, ცოტა ხნით დავისვენთო, ცხენებიც ბალაზზე მივუშვათ, აი, იმ რცხილის ძირში სუფრაც გავშალოთ.

– აბა, რა ვიცი, რომ დაგვაგვიანდეს და გზაში ღამემ მოგვისწროს?

– მზის ჩასვლამდე ჩავასწრებთ ბობვაურში.

გურიმ ხელი შეაშველა ქალიშვილს, ავფანდი მარჯვედ დაუჭირა და ცხენიდან ისე ჩამოსვა, რომ მისდაუნებურად ელვისა გული ჩაეკარა ვაჟს. ცოტა ხნით არც ერთს არ უცდია ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ელვისა თითქოს ერთბაშად გამოეთიშა მზისქვეშეთს, არც არაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა, მხოლოდ გული უცემდა უცნაურად, მკერდში არ ეტეოდა, საგულედან ამოვარდნას ლამობდა, საფეთქლებთან სისხლის შხეილი ესმოდა.

გურიმ, როგორც იქნა, ვნება ჩაიერო, ძალა მოიკრიბა, ქალს გაეცალა და ცხენებთან მივიდა, ლაგამი პირიდან გამოუღო, აღეირები შეხსნა და უნაგირმოუხსნელად ბალაზზე მიუშვა. რაღაც არ მოენონა, უნდოდა კიდევ რაღაც მოემოქმედა, მაგრამ ვერ გაეხსენებინა, რა უნდა ექნა. ბოლოს გაახსენდა, მოსართავები უნდა მოეშვა.

განმარტოებით მდგარ რცხილის ძირში ნორჩ-ფოთლებიანი ტოტები დაამტვრიე, ძირს დაფინეს და საგზალი დაალაგეს. ელვისამ ველი მოირნინა, მინდვრის ყვავილები დაკრიფა, დანნა, ერთი ვვირგვინი გურის დაადგა თავზე და ერთი თვითონ დაიდგა. ზღაპრულ რანდსა და მზეთუნახავს დამესგავსენენ ვაჟი და ქალიშვილი, განსაკუთრებით, ისეთი სანახავი გახდა ელვისა, რომ ადამიანი თვალს ვერ მოსწყვეტდა.

ქალ-ვაჟი პირისპირ დასხდნენ, ნინა გაშლილ ველზე ცხენები თავაუღებლად ძოვდნენ და დროგამოშვებით თუ დაიფრუტუნებდნენ. ირგვლივ ფრინველეთის ყივილ-ხივილი და შეწყობილი გალობა ისმოდა, უკვე პირველი მერცხლებიც გამოჩნდნენ და ლაჟვარდ ცას ყოველი მიმართულებით სერავდნენ.

გური ქალიშვილს გვერდით მოუჯდა, ეს ბუნებრივად მოხდა, გული ჩაიკრა და სიყვარულით სავსე თვალებში ჩაუშტერდა, საიდანაც ნეტარებისა და სურვილის ელვა ელავდა. ელვისამ ბედნიერებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახუჭა თვალები და ვაჟის ნებას მიენდო. ათასი მღვდელი და ეკლესია ვერ შეაკავშირებდა ისე ქალ-ვაჟს, როგორც თვით ბუნების კურთხევას შეუძლია ეს.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენ ხანს იყვნენ ასე ერთარსებად შეხორცებულნი, ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა კიდევ, რომ ცხენების ჭიხვინის არ გამოეფხიზლებინათ. მალე ჯუმათის მხრიდან, დაბურული ტყის კორომიდან გამოვიდა ორი ცხენოსანი, შავ ნაბადში გახვეულნი. უცხო მგზაურები თოხარიკით მოაჭენებდნენ ცხენებს. ცხენოსნებს თავი შავი მოსირმული ყაბალახით ჰქონდათ ნაკოწილი და ფეხებზე კოხტა აზიური ჩექმები ეცვათ, ტანი კი ნაბადში იყო ჩამალული და ვერ გაარჩევდი მათ ჩაცმულობას.

ცხენოსნები მისელისთანავე თავდაჭერილად და მორიდებით მიესალმნენ გურის. გურიმაც სალამი მოკრძალებით და პატივისცემით დაუბრუნა უცხო და უცნაურ მგზაურებს.

ცხენოსნებმა ნაბდები გადაიხსნეს და გურის თვალწინ წარმოუდგა მთლად იარაღში ჩასმული ორი ახალგაზრდა. ერთი მათგანი, ეტყობოდა, ქალი იყო, თუმცა ვაჟურად იყო ჩაცმული, მაგრამ დახვეწილი სახე და მაღალი მკერდი ამეღავნებდა მის ქალურ ბუნებას. ორივეს მხარზე გადაგდებული ჰქონდათ მოკლე კარაბინები, კონდახზე წამოგებული მაუზერის რევოლვერები წელზე ეკიდათ, ჯვარედინად გადაგდებული ვაზნებით სავსე სავაზნე მზის სხივებზე ელავდა. წელზე ორსავე მხარეს ორ-ორი ფოლადისფერი ყუმბარა ეკიდათ. ქალს ხელში ბრაუნინგის სისტემის პატარა პრიალა რევოლვერი ეჭირა და ათამაშებდა, ხან მარჯვენა ხელში გადაიტანდა, ხან მარცხენაში, საკეტს ხან გახსნიდა, ხან კიდევ ჩაკეტავდა, ყაბალახის ქვეშ ქერა კულულები მოუჩანდა.

აშკარად ჩანდა, რომ უცხო მგზაურები ყაჩაღები იყვნენ, ყველაფერი წარმოედგინა გურის, მაგრამ ყაჩაღი ქალის ხილვამ მეტად გააკვირვა და გააოცა. შემდეგ თავისთვის გაიფიქრა: ჩვენს დროში რომ ეცხოვრათ ამორძალებს, სწორედ ასეთები იქნებოდნენო.

ყაჩაღებმა ყაჩაღური ყნოსვით არემარე დაზვერეს და მოათვალიერეს.

– აქ რა გინდათ ან ამ დროს საიდან გაჩნდით? – მკაცრად იკითხა კაცმა.

– ორაგვიდან მოვდივართ, ბატონო, ბოხვაურში მივდივართ!

– ეს ქალი ვინ არის? – დაასწრო კითხვა ყაჩაღმა ქალმა.

– ბოხვაურელი ხავთასის ქალიშვილია და ახლა მამასთან მიმყავს.

– ვინ არის ამ ქალიშვილის მამა? – ისევ მკაცრად იკითხა უფროსმა ყაჩაღმა.

– კონსტანტინე ხავთასი, ბატონო, – სულმოუთქმელად მიაყარა გურიმ.

– კონსტანტინე ხავთასი?! საინტერესოა! მოულოდნელი შეხვედრაა!!

ყაჩაღები ცხენებიდან არ ჩამოსულან, ისე მიუახლოვდნენ ხავთასის ქალიშვილს.

– ქალიშვილო, კონსტანტინე ხავთასის ქალიშვილი ყოფილხართ, მესიამოვნა. მამაშენი კეთილი, პატიოსანი, გაბედული და მამაცი კაცია. მე კარგად ვიცნობ კონსტანტინეს, ციხეში კი მას კოსტას ვეძახდიით. ერთად ვიჯექით ართვინის საპატიმროს დილეგში.

– დიდი მადლობა, ბატონო, – ნაზად გაეპასუხა ხავთასის ქალიშვილი.

– თქვენ რა გქვიათ, ყმაწვილო? – ახლა გურის მიუბრუნდა ღლონტი.

– ხალვაში გახლავართ, სოფელ ორაგვიდან, გიორგი ხალვაშის ვაჟი.

– რომელი გიორგი ხალვაშისა? ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა ხომ არა?

– დიახ, ბატონო!

– დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი, რა რჩეული ხალხის შვილებს გადაყოფე დღეს. და მერე, ბიჭო, ხარ შენი სახელოვანი მამის შვილობის ღირსი, მინა ვაჟკაცობის რაიმე ნიშანი თუ გამოგყოლია მემკვიდრეობით? იცი, მე და მამაშენს ორი წელი ერთად მოგვიხდა კატორღაში ყოფნა? შემდეგ ერომანეთის დავცილდით. ის ჩინეთში გაიქცა, ჩინეთიდან იაპონიაში, იქიდან ევროპაში ამოყო თავი, მე რუსეთში გამოვიქეცი. ჩემი დღე და მოსწრება სულ უსამართლობას ვებრძოდი. ბედმა მხოლოდ სამი წელი მარგუნა თავისუფლება. შემდეგ საქართველოში ისევ დალამდა, ჟანდარმები ჩეკამ შეცვალა და მეც ორაღი ავიღე ხელში უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა კი „ტყის კაცი“ და „ყაჩაღი“ მქვია. მეც ტყის ნადირივით დამდევენ სახელმწიფო მოხელეები: ჩეკა, მილიცია, რევკომი და კომკავშირი, პარტია და დაქირავებული ჯაშუშები, თითოეული მთგანისათვის სხვადასხვა სახელი შეურქმევიათ, თორემ ყველა ერთია – დაქირავებული ჯაშუშები, რუსეთის მოსყიდული აგენტები და ქართველი ხალხის მტრები. თქვენ ახალგაზრდები ხართ და ბარე ორი ბობოლა ჩეკისტის თავს ნახავდით ჩემი ტყვიით გახვრეტილს. ცხადია, მე მთელ სახელმწიფოს ვერ მოვერევი, მაგრამ მინდა ჩეკისტთა სახელმწიფომ დაინახოს, რომ სიმართლისათვის მებრძოლი ძალა არ მომკვდარა, არც დაშინებული და არც უკან დაუხევია, ხალხის მებრძოლი სულის მოკვლა არ შეიძლება.

გური და ელვისა გაშეშებული იდგნენ ერთ ადგილას და ყურს უგდებდნენ ყაჩაღის შემთხვევით

მონოლოგს. ბოლოს გური გამოერკვა და ყაჩაღს ალალი გულით მიმართა:

– ბატონო, თუ შეიძლება, რამდენიმე წუთით ჩვენი სუფრა გაიზიარეთ, ჩამოხტით ცხენებიდან.

– არა, ისედაც დიდხანს შევჩერდით, შემიყოლია ნაცნობთა შეიღებთან საუბარმა. ახლა ჩემი დარიგება დაიხსომეთ: მე წინ ვივლი, თქვენ შუაზე ასე ერთად და წყვილად იარეთ, თავიდან ყვავილების გვირგვინი არ მოიხსნათ. ხათუნა ჩვენს გზას ბოლოდან ჩაკეტავს, ცოტა უფრო მოშორებით იცლის. რაც რამ მოულოდნელი არ უნდა შეგვემთხვეს, თქვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეშინდეთ და არც უნდა დაიბნეთ. დაელოდეთ ჩვენს განკარგულებას და ისე იმოქმედეთ, იცოდეთ, რაც არ უნდა მოგვივიდეს, თქვენ არავითარ შემთხვევაში ხიფათში არ გაგხვევთ. რაკი თქვენი მშვიდობიანი მგზავრობა ვიკისრეთ, დანარჩენი ჩვენ ვიცით.

მამათა მშვიდობით გაიარეს ცხენოსნებმა, გეზი გურიანთის ფონისაკენ აიღეს. სოფელს გარეგანთ უელიდნენ ცხენოსნები. სოფლელებიც იშვიათად ხვდებოდნენ.

სუფსა, მართალია, ადიდებული დაუხვდათ, ფონიც უხვნყლიანი აღმოჩნდა, მაგრამ მდინარე ისე იყო გაშლილი, რომ ცხენებს ფონის დაძლევა არ გასჭირვებიათ.

აღმართი სასწრაფოდ აიარეს მგზავრებმა, ინოვაკეს ხა ბეკობზე შეჩერდნენ. სახიფათო გზა გავლილი იყო. ყაჩაღებმა ზვებით ამოისუნთქეს. დაკვირვებით მოათვალიერეს სიფრეკე-მიდამო. შორიდან ძაღლების გაბმული ყეფა ისმოდა. ახლოს სოფელი გურიანთა იწყებოდა. ჯუმბათის ეკლესია, ნისლში გახვეული, უფრო პატარა და უფრო ამაყი მოჩნადა.

გოგია ყაჩაღი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ ხათუნასთან მივიდა და რაღაც საიდუმლო გაანდო, მობრუნდა და ბარეში ხალვაშს უთხრა:

– ჩვენ ახლა სხვა გზით უნდა წავიდეთ და ერთმანეთს დავშორდეთ, თქვენ კი გურიანთის გადადგრთ, სულ მარჯვნივ ივლით, სოფელს ჩაათავებთ თუ არა, ყორით აგებული ღარის ნისქვილთან გახვალთ, სიიდანაც ფართო საურმე გზა იწყება.

გვიან ღამით ავიდენ ბოხვაურში გური და ელვისა. კონსტანტინე სახლში დაუხვდათ, სამზარეულო სახლში ცეცხლი დაენთო, კერას მისჯდომოდა და ცეცხლზე ბოლით გამფრუული თიხის ქვაბიდან ყველი ამოჰყავდა. უფროსდა დიასახლისის მოვალეობის შესრულება ხავთასს, მაგრამ სხვა გზა არ იყო. შერიგებული იყო ბედთან და მდგომარეობასთან.

გაიხარა კონსტანტინემ ქალიშვილის მოსვლით და გურის სტუმრობით. საუკეთესო ღვინო მიართვა, ჭაშნიკი გურის გაასინჯა, სავსე ორშმიოები მარანში, ჭურის თავზე დაცალეს. ელვისა თავისებურად დატრიალდა, მარნიდან არც კი იყვნენ დაბრუნებული გური და კონსტანტინე, რომ მაგიდა უკვე გაწყობილი დახვდათ.

ვახშმები დიდხანს არ გაგრძელებულა.

დაღლილები იყვნენ და ადრე დაწვნენ. სახლში სიჩუმე გამეფდა, მხოლოდ კონსტანტინეს საძინებელი ოთახიდან ღრმა და შფოთიანი ხვრინვა ისმოდა.

გარეთ კი, ეზოს ბოლოში, ჩირგვნარიდან, იადონის გაბმული გალობა მოისმოდა და სოფლის მყუდრო ძილს ნანად ეკლებოდა თავზე.

დილით ადრე გური სოფლის ბოლომდე გამოაცილა ელვისამ. მიდიოდნენ ნელა, აუჩქარებლად.

– ელვისა, ჩვენი საქმე საბოლოოდ გაირკვა და გამოიკვეთა, – დაიწყო გურიმ, – ჩვენს სიყვარულს ვერავითარი ძალა ვერ აღუდგება წინ, ჩვენს გულში დანთებულ ცეცხლს ვერაფერი ჩააქრობს, გარდა სიკვდილისა.

– მე მზად ვარ, ყოველთვის შენთან ვიყო – სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. რომ იხრჩობოდე, თვალდახუჭული შემოგცურავ მორეცში და შენთან ერთად დავიხრჩობი. ცეცხლში რომ იწვოდე, დაუფიქრებლად გადმოვეშვები და შენთან ერთად დავიფერფლები. ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომ ჩვენი გათიშვა და დაშორება შეძლოს.

– ახლა კმარა, უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, – უთხრა გურიმ, – თბილისში გამგზავრებამდე აუცილებლად გინახულებ. შეიძლება მეტ უფრო ადრე ჩამოხვიდე ორაგვეში დასთან. ხანგრძლივად გაგვიჭირდება ერთმანეთის უნახობა.

ერთიხელ კიდევ მოეხვია ქალიშვილს, დაუკოცნა სახე, ყელი, თვალები, უკანასკნელად ტუჩებში ეამბორა და, მეტი რომ არ შეყოვნებულიყო, სწრაფად ცხენს გადაეკვეთა. ცხენი ნელა დაიძრა. გური უკან იხედებოდა, ეძნელებოდა განშორება.

ელვისა იდგა ცრემლმორეული და დამშვიდობის ნიშნად თეთრ ცხვირსახოცს მანამ აფრიალებდა, სანამ ცხენოსანები მოსახვევში მიიმალებოდა.

IX

იმ ნელს პირველი მაისი სამშაბათი დღე იყო. ყველა თავისებურად ემზადებოდა სამსისოდ: რეკვამზე და მილიცია, ჩეკა და კომკავშირი, უბრალო მშრომელი ხალხი და მოსწავლე ახალგაზრდობა.

პირველი მაისის აღსანიშნავად ჟორდანიას მოედანზე დიდი მიტინგი უნდა გამართულიყო, ლამაზად მოხარატებულ-მოჩუქურთმებული ტრიბუნაც აღმართეს შუა მოედანზე, ორატორთა რაოდენობაც წინასწარ განსაზღვრეს და კანდიდატებიც შეარჩიეს. წითლად მოხატული პლაკატებით დაამშვენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაფნის ჯიხურები, სახლები და ქუჩები. წითელი დროშები ორი დღით ადრე გამოფინეს ჭიშკრებთან, სახლების სახურავებზე, დარაბების გასწვრივ. მაინსობის დასასრულს დიდი სეირნობა – „ალეგრო“ იყო დანიშნული ხომერიკის ლამაზ და განიერ ეზოში.

მეორე მხრივ, სხვადასხვა ემზადებოდა საპირველმასისოდ მოსწავლე ახალგაზრდობა; ერთი კვირით ადრე ახალგაზრდობის არალეგალურ შეკრებაზე გადაწყვიტეს კონტრდემონსტრაციის მოწყობა. შუა მიმინგის დროს ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების მოსწავლეებს მწყობრად, წინასწარ ზუსტად განსაზღვრული გეგმის მიხედვით, უაურზაურად უნდა დაეტოვებინათ მატინგი ქართული ნაციონალური დროშით და ორი ალაკატ-ლოზუნგით: „გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს!“ და „ძირს სისხლიანი ტერორი! ზიზღი მოძალადეებს!“ გადამთიელი რუსები ნაეთრიონ თავის ქვეყანაში!“. გამოყოფილი იყო მეგროშე და ალეკატების დამჭერებიც. ნიშნის მიცემის დროს ყველაფერი ავტომატურად ამოქმედდებოდა.

გური საქმის კურსში იყო. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა მთელი საქმე, ყველაფერი ისე საიდუმლოდ და შენიღბულად, რომ არც ჩეკას, არც კომკავშირულ ორგანიზაციას არაფერი დაუყნოსავთ და არც რაიმე მინიშნება ჰქონიათ ამ მიმართულებით. საქმეში ჩართული მოსწავლე ახალგაზრდობა ზუსტად იცავდა კონსპირაციის წესებს, მონაწილეთა გარეთ საიდუმლოს არსად არ გაუფონავს. (ალეთვალა გიგაიძე და შტერმა ნესტორამაც ვერაფერი დაყნოსეს, თუმცა დაგეშილნი ყველგან დაძვრებოდნენ, ყველაფერს ეჭვის თვალით ზომავდნენ, ყველაფერში ცხვირს ყოფდნენ, მაგრამ მიახლოებითაც ვერაფერი იაზრეს.

ოცდაცხრა აპრილ ერთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, რამაც გური გეგმები არია. ელენემ ელვისას წერილი მიიღო, რომლითაც იტყობინებოდა, რომ ცოტა უგუნებოდა იყო, თავად მას ორაგვეში ჩამოსვლა არ შეეძლო და სამაისოდ ელენეს, ვახოს და გურის ბოხვაურში პატიჟებდა. წერილი ასე მთავრდებოდა: მამაჩემი სიყვარულით მოგელით და თქვენი მობრძანებით დიდად გიიხარებსო.

ვახოს როგორღაც გაეგო მოსწავლეთა საეჭვო მოძრაობის შესახებ და, თუ რამ ასეთი მართლაც მოხდებოდა, იცოდა, რომ ის გურის მონანილეობის გარეშე არ ჩატარდებოდა. ამ გარემოებამ აიფორიაქა და შეაშფოთა ვახო კაკია. ელენესაც საიდუმლოდ გაანდო, გურის არაფერი აგრძნობინა, იცოდნენ, რომ მტკიცე და პრინციპულ გურიაზე, სულ ერთია, გავლესას მაინც ვერ მოახდენდნენ და მდგომარეობას გაართულებდნენ, თორემ ვერაფერს შეცვლიდნენ, და და-ძმამ ბევრი იფიქრა, იკამათა, ითავეხეა, მაგრამ ჩიბში მომწყვდეულებმა გამოსავალი ვერ იპოვეს. იცოდნენ, რომ პირველი მაისი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო ოჯახისათვის, ისიც შეიძლებოდა, საპატიმროში მოხვედრილიყო გური და ულიეერსიტეტისაკენ მიმავალი გზა საბოლოოდ გადაკეტილიყო.

სწორედ ასეთ გამოუვალ, საჩოთირო მდგომარეობაში იყვნენ, როცა ელვისას გამოგზავნილმა წერილმა მოუსწრო. ელენე ფეხშიშველი გაიქცა ვახოსთან, რომელიც ამ დროს ცოტა მოშორებით ყანაში მუშაობდა. იმედმოცენელი ქალი ყველაფერზე დაწვრილებით მოეთათბირა ძმას. დაასკვნეს, რომ ბოხვაურში ნასვლა ერთადერთი გამოსავალი იყო, რასაც შეეძლო ნიფათი თავიდან აეცილებინა ხალვაშისა და კაკიას ოჯახებისათვის. თანაც ბოხვაურში საგანგებოდ მიპატიჟება ისეთი შემთხვევა იყო, რაზედაც ვერავითარ შემთხვევაში გური უარს ვერ იტყოდა. ისედაც წუხდა, შფოთავდა გური, რომ სატრფო, აგერ, თვე სრულდებოდა, რაც არ ენახა. დედა ყველაფერს ამას კარგად ამჩნევდა და ახლა ამ მდგომარეობის ხელიდან გაშვება არაფრით არ შეიძლებოდა.

შაბათ საღამოს გური შინ გვიან დაბრუნდა. ელენეს ვახშამი მზად ჰქონდა, გურის სთხოვა, გადასულიყო ვახოსთან და გადმოეყვანა, რომ ვახშამი ერთად ეჭამთო. ვახოსაც აღარ დაუყოვნებია, თან ნამოჰყვა დისშვილს.

სანამდე ვახშმად დასხდებოდნენ, ელენემ წერილი გადაესვა შვილს.

– ელვისას წერილია, საპირველმაისოდ გვეპატიჟებიან ბოხვაურში. თან თვალსაც წყალს დავალევინებთ, თან, რამდენი ხანია, ელვისა და კონსტანტინე არ მინახავს და ვნახავ. ჩვენც გავიხარებთ ელვისას ნახვით და ისინიც არანაკლებ გაიხარებენ, – ეშმაკური ჩაღიმებით დასძინა დედამ.

– კი, ბატონო, თქვენ წახვალთ, გაიხარებთ, მოიღხენთ, მაგრამ მე მარტო რა მომაცდენინებს აქ. ასე გინდათ გამათენებინოთ პირველი მაისი?! – თითქოს წერილის შინაარსი უცნობი იყო, ისე ჩაერთო საუბარში ვახო.

– მარტო რატომ დარჩები! სამივეს გვეპატიჟებიან! ჯერ გური ნაიკითხავს წერილს, შემდეგ გამოართვი და შენც ნაიკითხე!

გური მთელი ყურადღებით კითხულობდა წერილს, კითხვის დროს ხან გაიღიმებდა, ხან წარბებს შეიკრავდა. ელენე კარგად გრძნობდა, თუ რას ნიშნავდა ეს გაღიმებაც და წარბების შეკვრაც. აბა, დედას ადვილად ვინ რას გამოაპარებს?!

ერთხელ კიდევ ნაიკითხა გურიმ წერილი. ელვისას ლამაზი ხელით გამოყვანილი, მარცხნივ გადახრილ მრგვალ ასოებს თვალებით ჭამდა, ისუნთქავდა, თითოეულ ასოში თავდახრილ ნაზ ქა-

ლიშვილს ხედავდა, ხედავდა ელვისას ბუსუსმოდებულ გალიმებულ ტუჩებს, მრგვალ, დიდრონ, სიყვარულით სავსე თვალებს. ნარმოიდგინა, როგორი გულისფანტკლალი მოელის ქალიშვილი გურის მოსცლას, როგორ ულელავს მაღალი, სავსე მკერდი ქარდაკრულ პურის ყანასავით. ფიქრებში წასულმა წერილი დაკეცა და და ჯიბეში ჩაიდო.

– მეც თუ მეპატიჟებიან, არ უნდა წავიკითხო?! – და ხელი გაუწოდა ვახომ წერილის გამოსართმევად. ვითომ წაიკითხა, ისე ჩაათვალიერა წერილი ბოლომდის და ისევ გურის დაუბრუნა.

სუფრას მხიარულად შემოუსხდნენ. მიპატიჟებით დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ემუერებოდათ მომავალი საპაკრაძლოს ნახვა. დიდბანს ისაუბრეს, იკამათეს, მგზავრობის თადარიგიც დაიჭირეს. ბოლოს დაასკვნეს: კვირა დილით, საუზმის შემდეგ, ცხენებით ნასულიყნენ ბოხეაურში, მათ ალვისა და მისი მეუღლე ლერიც შეუერთდებოდნენ და ასე ხუთი ცხენოსანი მხიარულად ჩაალნევდა ბოხეაურში ადრე, მწუხრის დაწყებამდის.

ჩიხში მიმწყვდეულო გურო უშენიშვნოდ დათანხმდა.

ვახომ ყველაფერი მოამზადა. სამგზავროდ უმნიშვნელო ნვრილმანიც გაითვალისწინა და გვიან ღამით დაიძინა.

ეძინა გურისაც, მაგრამ არ იქნა და ელენეს თვალებს ძილი არ მიეკარა. ფიქრებმა გაიტაცა, ოცნებით ცა და ხმელეთი მოატარა, ვის არ შეხვდა, ვის არ ესაუბრა, ვის არ გაანდო თავისი დარდი და სიხარული. განსაკუთრებით ის ანუგეშდა ელენეს, რომ შვილი ძილში ბორგავდა, წუხდა, ვიღაცას ედავებოდა, ემუერებოდა, ელვისას უხმობდა, დედასაც სთხოვდა რაღაცას, ვახოსაც, მაგრამ რას, ელენემ ვერ გაიგო-ჩია. ისევ ღმერთს მოუხმო ელენემ, გრძელი ლოცვა ბოლომდის ჩაბარცვლა. შემდეგ ისევ გულაღმა გაიშოტა ლოგინში, თვლა დაიწყო, დათვალა ასამდის, ორასამდის, უკანაც წამოიითვალა და, როგესაც ფანჯარაში ცისკრის ვარსკვლავმა შემოიყცინა, ქუთუთოები ნელ-ნელა დაუმძიმდა და ძილის ანგელოზმა ყოფნა-არყოფნის შავ ნაბადში გაახვია.

●

გური, ელენე და ვახო ორ მაისს დაბრუნდნენ შინ. გვიან გამოვიდნენ ბოხეაურიდან და საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ჭიშკარი შეაღეს და ეზოში შემოვიდნენ, მათ თითქმის ფეხდაფეხ შემოჰყვა მეგაზეთე ლუკაია.

– რა ამბავია, ლუკაია? ხომ მშვიდობაა! – სხვებს დაასწრო ვახტანგ კაკიან.

– არის და არც არის, ჩემო ვახო. აბა როგორ გითხრა!

– ბარემ თქვი, შე კაცო, გული გადამიბრუნდა! – მოუთმენლად ჩაეკითხა ელენე.

გურის გულმა უგრძნო რაღაც, შავი ფიქრები მოეძალა, ცალხელა ლუკაიას სიტყვებში რაღაც ავის მომასნავებელი ამოიკითხა.

– აღარ იტყვი, ლუკა ბიძია, ბოლოს და ბოლოს რა მოხდა ასეთი?!

– ვახო ბატონო, ცხენები დაანბავე, სამგზავრო ტანსაცმელი გამოიცვალეთ, შევიდეთ სახლში და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ. ამბის სათქმელად გეახელი, ხომ ხედავთ, და არა სასიმღეროდ და საცეკვაოდ!

– ლუკა ბიძია! – არ ისვენებდა გური, – სანამდე ვახო ცხენებს უნაგირებს მოხდიდეს, მთავარი ამბავი მაინც მითხარი; საპირველმაისოდ ცუდი რამ ხომ არ მომხდარა?

– მოხდა, ჩემო ბიძია, მოხდა, ცუდზე უარესიც მოხდა და ეგ არის. მაგრამ ცალ-ცალკე ხომ არ მოგიყვებით. აი, მოვა ვახოც და ყველაფერს გაიგებთ!

ყველამ ოდა სახლის აივანზე მოიყარა თავი და მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. ცა ვარსკვლავებით დამშვენებულიყო, ახალი ნამგალა მთვარე დასავლეთისა და ჩრდილოეთის საზღვარზე მთის გადადმა გადასულიყო და ხეების აკოორიალ ტოტებში უხილავ ძალებს დამალობანაა ეთამაშებოდა. სოფელი ფხიზლობდა, ხმაურობდა. ვინ დასაძინებლად ბავშვს მოუხმობდა, ვინ – პირუტყვს, ვინ მეზობელს სახვალიო საქმეზე იპირებდა. ბავშვების სიმღერა-გნიანი ჯერ კიდევ სოფლის თავზე იდგა.

ღამფრენებიც გამოძვრნენ დღის სამალავიდან და აივანს ფარფატით უელიდნენ. ქათმებმაც დაიბუდეს და შენწყდა ბათი ყიეიდ-კრაიხი.

მახლობელ ჯაგნარში იადონმაც აიმაღლა ხმა. ეტყობოდა, მას საკუთარი სადარდებელი და სიხარული ჰქონდა და კაცთა ვარამი მის გულს ნაკლებად სწვდებოდა.

მწუხრმა თავი დაუკრა ქვეყანას და ღამე თავის საბრძანისს ამკვიდრებდა სოფლად.

ცალხელა ლუკაიამ დაწვრილებით უამბო მეზობლებს, რაც პირველ მაისს მოსწავლეთა დემონსტრაციის დროს მოხდა.

– სხვის ნანახს და გაგონილს არ გიამბობთ, ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. ნეტავი მე, ხეიბარი, მანამდე მოვმკედარიყავი და არ მენახა. ბავშვების სისხლი... სისხლი... სისხლი... და მერე რისთვის!!! ალბათ ასეთი რამ არც არასოდეს მომხდარა, არც არავის გაუგონია. ღმერთო ჩემო, ეს რა იყო, რა ვნახე! ბავშვებს ესროდნენ ანგარიშმოუცემლად, მოსწავლეებს ხოცავდნენ და ხელეიბიც კი არ უკანკალებდათ. ასეთ რამეს ალბათ თვით მურვან ყრუც არ ჩაიდენდა. მონლოლები, ყიზილბაშები და ფანა-

ტიკოსი თათრებიც არ იკადრებდნენ ასეთ საძრახის საქმეს. ღმერთო, უფალო, ჯვარცმულო ქრისტეკ, შენ მოგვხედე! შენ ხარ უმწეოთა შემწე, შენ დადგიფარე ამ ძალლთაპირებისაგან. იხსენი ჩვენი ახალგაზრდობა გაფლეგა-გადაშენებისაგან.

– ლუკაია ბიძია, ლოცვას შემდეგაც მოესწრები, გვიამმე, რაც შენი თვალით ნახე!

ლუკა�, როგორც იქნა, სული მოიბრუნა და მოსსაღლეთა დახვრეტის მთელი საშინელება თვალწინ გადაუშალა თანამოსაუბრეებს.

– მთელი ხალხი, – განაგრძობდა მეგაზეთე ლუკაია, – ნახირივით მიგვრეკეს მიტინგზე. დარაბები ყველას დაკეტნენს. მეც გადავრაზე ჩემი ჯიხიერი და სხვებთან ერთად ჟორდნიას მოედნიაკენ გავუყევი. სამოქალაქო სასნაველებლის, ქალთა და ვაჟთა გინნაზიების მოსნავლეები, საზეიმოდ მორთულნი ყვავილებით და დროშებით მწყობრში ჩამდგარნი, მოიყვანეს მასნაველებლებსა და ტრიბუნის ირგვლივ ჩაამწკრივეს. სასულე ორკესტრმა ინტერნაციონალი შეასრულა. მიტინგი რეკვემის თავმჯდომარემ გახსნა და ხალხს პირველი მაისი მიულოცა. ორატორმა ორატორობა დაინყო. ჯერ კაპიტალისტურ ევროპას დაემუქრა მომხსენებელი, შემდეგ ხალხისა და რევოლუციის სახელით სულის ამოხდომას დაჰპირდა და სიტყვისთვის რომ ძალა მიეცა, მაუზერი იძრო და ჰაერში შეათამაშა. ლაპარაკობდა ორატორი და მს, როგორც ყოველთვის, ყურს არავინ უგდებდა, ყველას სახლში გვეჩქარებოდა, დასვენება ყველაფერს გვერჩია. მუქარითა და გინებით ყელამდის ვიყავით სავსე.

ერთბაშად ხალხი შეინძრა: მოსნავლეთა მწყობრი გამოეყო მიტინგს და ეროვნული დროშა აფრიალეს. ღმერთო, რარიგ შვენოდა თეთრ გიორგის ლაბჯრით გველეშაპთან ბრძოლა! დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური სიმღერა „სამშობლო" დაიგუგუნეს და ქალაქის ცენტრისკენ გამოსწიეს. ორი პლაკატიც მოუძღოდა მოსნავლეთა დემონსტრაციას, მაგრამ მე არ დამინახავს.

მოსნავლეთა დემონსტრაციამ შეძრა მიტინგი, მთავრობა, ჩეკა, მილიციანი, პარტია და კომკავშირი. ორატორს ვინღა უსმენდა. ფაქტობრივად, მიტინგი დაიშალა და მოსნავლეთა დემონსტრაციას გავყევეთ უკან. ბავშვების დემონსტრაციაც მწყობრად მიემართებოდა წინ. ქალაქის ცენტრს რომ მიუახლოვდნენ, ყაფნის ახლოს, მწყობრს წინ ცხენზე ამხედრებული მილიციანი და ჩეკისტები გადაუდგნენ. მონინააღმდეგეებს წინ მოუძღოდნენ ცალთვალა გიგაია და ნესტორა ქვაბულიე.

– ნესტორა შტერი და გიგაია ჯაბუში? – ჩაურთო გურიმ.

– ჰოო! იმას ვამბობდი, – განაგრძო ლუკაია მეგაზეთემ, – აბყდა სროლა, ისროდა ყველა, გიგაიაც და ნესტორაც, მილიციაც და ჩეკისტებიც, მაგრამ დემოსტრანტებიის წინააღმდეგობა ვერ გატეხეს, ვერც სიმღერა ჩაახეს და ვერც დროშა გამოსტაცეს ხელიდან. აღმართული დროშა გადადიოდა ხელიდან ხელში, წმინდა გიორგი წინ მიუძღოდა მოსსაღლეებს შემართული ლაბჯრითა და განგმირული გველეშაპით, რომელსაც ლაშებიდან ცეცხლთან და კვამლთან ერთად სისხლი გადმოსჩქეფდა. უკანასკნელად დაიგუგუნა სიმღერამ „გადმოდუღდი, მარგალიტო, ნაგუბარში ჩადეკ, წყალო!"

და გიგაია ცალთვალაკაც დასცქეროდა: დასცხეთ ამ გველის წინნილებს, პროლეტარიატისა და რევოლუციის მტრებს, ბურჟუაზიის მოსყიდულ აგენტებსო და, ასლა არა დაშინების მიზნით, არამედ ჯიშდაპირი დამიზნებით ცეცხლის ენა გამოაჩინეს „მაუზერებმა" და „ნაგანებმა", გრძელლულიანმა შაშხანებმა და კარაბინებმა. ჩვენ თვალწინ მოიცვლა რამდენიმე ვაჟი და ბაფთიანი გოგონა, სისხლით შეიღება ქვაფენილი. მეორე გასროლამ კიდევ მეტი მოეცალა. მსნაველებმა დაინახეს თუ არა პირველი მსხვერპლი, დაცემეული თანაკლასელები და დაღვრილი სისხლი, ყველაფერი აირია. შემზარავმა კივილმა ცა და ქვეყანა შესძრა. ვიღაცამ დროშა დაახვია და სასწრაფოდ გადამალა. პლაკატები ქვაფენილზე დარჩა გაფენილი. მოსსაღლეებმა გაქცევით უშველეს თავს, გადაეკვლნენ ქვითკირ-ორღობებებს, შეცვივდნენ ჩიხებში, სახლებში, შეამტვრიეს ჭიშკრები, დარაბები და თავს უშველეს. ქუჩაში დარჩნენ დაჭრილები, დახვრეტილები და შედეგდებული სისხლი. მეც გავიქეცი და ჩემს ჯიხიერს შევაფარე თავი. დავინახე, როგორ აკრიფეს შვიდი დაჭრილი და სამი მკვდარი. დახვრეტილთა შორის ერთი მეშვიდეკლასელი გულიანელი ქალიშვილი მაგდა ნითელაძე აღმოჩნდა, ორნი – მერვეკლასელი ვაჟები: გვიმბარაულური ლეო მაღულარია და აკანტელი სოსო ჩხაიძე. დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვანეს, მკვდრები ურემზე დაყარეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს. ცალთვალა გიგაია და მდივანი ქვაბულიეძე მთელი დღე ცხენებს დააჭენებდნენ, რევოლვერებს ხელში აბრიალებდნენ, ისროდნენ, იგინებოდნენ, იმუქრებოდნენ. ხალხს, მასნაველებლებსა და მოსსაღლეებს უარესს ჰპირდებოდნენ, თავი ამაყად, გამომწვევად ეჭირათ და დღის გმირებად წარმოადგენდნენ თავიანთ დამთხვეულ სახეებს.

– რაღა ვარ ამის მნახველი, ანი ალბათ კაცად აღარ გამოვდგები, – თქვა ლუკაიამ და ღამეს თვალები გაუშტერა, გეგონებოდათ, მისგან მოითხოვდა ხსნას და პასუხს.

– მაშ, ასე, ჯაბუშ გიგაია ცალთვალას და შტერ ნესტორას დღის გმირებად მოჰქონდათ თავი?! სკო-

ლის ამხანაგები დასახვრეტად გაიმეტეს?! ქალიშვილებსაც ესროლეს?! გმირობაა, აბა, რა არის! ისტორია და რევოლუცია დაუფასებს მათ ამ „ლვაწლს".

– მადლობა ღმერთს, შვილო, რომ გუშინ შენც იქ არ იყავი და მთელ ამ საშინელებას გადარჩი, – ალელვებით ჩაილაპარაკა ელენემ, – ხომ შეიძლებოდა, ერთი ბრმა ტყვია შენც გრგვინდა და ეს ერთბაშად ხომ ოთხი ადამიანის სიკვდილი იქნებოდა?!

– ეს ყველაფერი შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ძალიან ცუდად მომივიდა, რომ მეც, ამ საბედისწერო ჟამს, ჩემს ამხანაგებთან არ ვიყავი. პირშავად სიცოცხლეს უმჯობესი იყო, მოვმკვდარიყავი.

– რას ამბობ, შვილო, სიკვდილით ვის რაა მოუტანნდი?! ახლა ასჯერ უფრო მეტად საჭიროა სიცოცხლე. ცოცხალმა უნდა შეინახოს დალუპული ამხანაგების ხსოვნა.

მოუხდავად დაღლილობისა, იმ ღამით არავის არ დაუძინია. გური დახვრეტილ ამხანაგებსა და პირველ მაისს მომხდარ ხოცვა-ჟლეტაზე ფიქრობდა მთელი ღამე. ერთხელ კიდევაც ადგა, ეზოში გამოვიდა და ფეხშიშველმა ცვრიან მოლზე გაიარა, ნყაროსთან მივიდა, სახეზე ცივი ნყალი შეისხა, მაგრამ მხურვალე გული და შუბლი მაინც ვერ გაიგრილა, ვერ დაიმშვიდა. ყველა ხის ძირში დახვრეტილი ამხანაგები ელანდებოდა, ყურში ცალთვალა გიგიასს და ნესტოროს შტერის ჭიხვინი ესმოდა. გამიმწვევი მუქარა და ვინება სულს უფორიაქებდა. ისე გათენდა, ოდნავი რულიც არ მიჰკარებია თვალებს.

შვილზე ფიქრით ელენემაც თეთრად გაათენა, ან კი რა დააძინებდა, როცა მთელი ღამით აბორგებულ და აფორიაქებულ შვილს უყურებდა.

●

დილით ადრე უძილობით თავბრუდახვეულნი და თვალებდანთალეებულნი წამოდგნენ საწოლიდან. გურის არც კი უსაუზმია ხეირიანად, ორგვეული თანაზოლენებისათვის არც კი დაუცდია, ისე წავიდა სკოლაში. დედამ პირველ მოსახვევამდის ჩააცილა შვილი, ათასნაირად დამიძღვრა, დაარიგა და შემდეგ გამობრუნდა. გური არაფერი ესმოდა, ისე, ინსტინქტურად თავს უქნევდა ელენეს, რაღაცაში ეთანხმებოდა, თან უმატებდა: კი, დედა, ასე მოვიქცევი, ნუ შიშობ, სიდინჯე და თავდაჭერილობა არ მოლალატებსო.

სკოლაში პირველი მივიდა გური, გავიდა ხანი და, ბარდა დაბალი კლასის ბავშვებისა, არავინ მისჯდომია მერხეს. შემდეგ გიგო ხალვაშმა, რომ მოსსწავლეთა დახვრეტის პროტესტის ნიშნად მოზრდილი, გაბსჯა-ცნობიერებაში შესული ახალგაზრდობა გაფიცულიყო და სკოლას ახლოსაც აღარ ეკარებოდა.

დაგვიანებით ცალთვალა გიგია და შტერი ნესტორა ქვაბულიძე გამოცხადდნენ სასწავლებელში ფრენნ-გალიფეში გამოწყობილნი, აზიური ჩექმებით და, ნიგნების ნაცვლად, გვერდზე მოგდებული რევოლვერებით.

– სანამდე გინდა, ხელიდან დაგვიძვრე, გურამ ხალვაში, – მიმართა გური ცალთვალამ, – ჭკვიანი ეშმაკი ხარ, მაგრამ იცოდე, ვერ გადდგეძლევ ჭკუით და მოგრეხებით. გაგიწყრა ღმერთი, არ აღმოჩნდი მოსყიდულთა რიგებში, თორემ ჩემი ტყვია პირველად შენ გაგიხვრეტდა მაგ დაბოღმილ გულს.

– კიდევ შემოიტან კომკავშირში განცხადებას?! – თავის მხრივ დაუმატა ნესტორა შტერმა, – ვერ ეღირსები, იცოდე, შენი ვერაგობა ჩვენთვის კარგად არის ცნობილი და დაიხსომე, ციმბირი სანატრელად გაგიხდება.

გურის პასუხი არ გაუცია, საკლასო ოთახი დატოვა და დერეფანში გავიდა. ცარიელი იყო მთელი სკოლა, მოსსწავლეთა ჭაჭანება არ ისმოდა, საკლასო ოთახებიდან ყრუ სიწუყე იმზარებოდა და რაღაც უცნაური და გამოუცნობი სუდდა დაუფლებოდა მუდამ მხიარულ და ფრიამეულთან გავსებულ შენობას.

სამასწავლებლოში მასწავლებლები შეკუეულიყვნენ, ისსხდნენ ფანჯარასთან განმარტოებით და იშვიათად თუ გასცემდნენ ერთმანეთს ხმას.

ნესტორა შტერისაგან და ერთ-ერთი მასწავლებლისაგან გურიმ გიგო, რომ არც ერთი დაჭრილი მოსსწავლის ჭრილობა სასიკედილო არ იყო და ზოგიერთი მთავანი ამ დღეებში გამოეწერებოდა საავადმყოფოდან, დახვრეტილი ახალგაზრდები რკინიგზის გადალმა ნაკელთ, ერთად ჩაეყართ გათხრილ ორმოში და მშობლებისათვის არ მიუცია დატირების საშუალება, მაგრამ მახლობლებსა და ნათესავებს ზუსტად დაედგინათ საფლავის ადგილსამყოფელი, ღამით მკედრები მოეპარათ და მამა-პაპთა სასაფლაოზე დაემარხათ. მხოლოდ გულიანელი მოსსწავლე გიგოისს ნათესავები აღმოჩნდნენ პრინციპული და უშიშარნი, ქალიშვილის დასაფლავება შაბათისათვის იყო დანიშნული, თან ჩეკას და კომკავშირს აცნობეს, რომ განყფდებოდნენ და მკედარს არავის დაანებებდნენ, არც მოძალადეებს დაუჯდებოდათ იაფად მათი მიცვალებულის ხელყოფა.

ისიც გიგო გურიმ, რომ რამდენიმე აქტიური მოსსწავლე და ორი მასსწავლებელიც დაეპატიმრებინათ და უკვე მოესწროთ სამაზრო ჩეკას განკარგულებაში გადგზავნა. ისიც გიგო გაკვრით, რომ ცალთვალას და ქვაბულიძის დაფინებული მოთხოვნით ემსჯელათ გურის დამატიმრების თაობაზე, მაგრამ საამისოდ ვერავითარი მიზეზი და საბაბი ვერ მოეძებნათ და დროებით განზრახეაზე ხელი აეღოთ, რათა უფრო მოხერხებულ შემთხვევას დალოდებოდნენ.

მზე უკვე ჩასული იყო, როდესაც გურიმ ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. ელენე საღამოს სადილასახლისო საქმით იყო დაკავებული, ძროხა მოეწველა და საჩიხიდან თიხის ქოთნით რძე გადმოჰქონდა. გაუხარდა შვილის მოსვლა, სახეზე ღიმილი გადაეფინა, ქოთანი მიწაზე დადგა და გურის შუა ეზოში შეეგება, შვილს უგულებლობა შეატყო, მაგრამ არ შეიმჩნია და არც რაიმე უკითხავს პირველ მისს მომხდარი ამბის შესახებ. გურიმ ვახო ბიძია მოიკითხა, მაგრამ ელენემ უთხრა, მთაში წავიდა ნაადრეცი სიმინდის სამარგლავად და შეიძლება ამ ღამით იქ დარჩეს და არ ჩამოვიდესო. სხვა არაფერი უკითხავს დედისათვის, ოდა-სახლში ავიდა, ნავთის ლამპა აანთო, წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. ელენემ ძრით სავსე ქოთანი სამზარეულოს სახლში შეიტანა, რძე გაწურა, სხვა ქოთანში გადაცალა, კვეთი ჩაასხა, კარგად მოურია ხის კოვზით, კერაზე ცხელი ნაცარი გაჩხრიკა და ცეცხლთან საკმაო მოშორებით დადგა. შემდეგ ცოტა ხნით საჩიხში გადავიდა, ხბო დედას დაუშორა, წინა ეზოში გადმოიყვანა და გაუშვა.

ოდა-სახლთან ფრთხილად მივიდა ელენე, აივანზე ავიდა და, რა დაინახა, გური წიგნს კითხულობდა, აღარ შეხმინავია, გამობრუნდა, სამზარეულო სახლში შევიდა, სუფთა თავსაკრავით თმა შეიკრა და ვახშმის თადარიგს შეუდგა.

●

ის-ის იყო, ივახშმა დედა-შვილმა და ელენე სუფრის აღებადას შეუდგა, რომ ჭიშკარს ვიღაც უცნობი მამაკაცი მოადგა და მასპინძელი მოიხმო. გური ოდა-სახლისაკენ წავიდა, რომ წიგნის კითხვა განეგრძო, ელენე სტუმრის შესაგებებლად გაეგზავნა. ბნელში უცნო სტუმარი ვერ იცნო ელენემ, ის კი გაარკვია, რომ ჭიშკარზე მომდგარი უცნობი კაცი ორაგველი არ იყო.

– უკაცრავად, ბატონო, ჩამობრძანდით ეზოში, – შეიპატიჟა უცნო მამაკაცი, – ბოდიშს ვიხდი, ბატონო, ღამეც თვალი ამიბა, ვერ გიცანით.

– ნახული გეყოლება აუცილებლად, მაგრამ, დღეც რომ იყოს, ვერ გიახსნენებ და ვერ მიცნობ.

– ვაიმე, რა ვქნა! ჯუნჯუთაელი ბრძანდება?

– არა, ქალბატონო, ლანჩხუთელი გახლავარ და ერთმა უდიდესმა და მეტად საიდუმლო საქმემ ამომიყვანა თქვენთან.

– მაინც ვინ ბრძანდებით, არ იტყვით? შვილს ხომ არ დავუძახო?

– არა, არ არის საჭირო, როცა საქმე მოითხოვს მის დაძახებას, მე თავად გეტყვი.

ასე ნელი საუბრით შეეფინენ ჭრაქით განათებულ სამზარეულო სახლში. სტუმარს ელენემ სამფეხა დაუდგა, თვითონ იქვე, პირისპირ, დაბალ ჯორკოზე ჩამოჯდა და სახეში ჩაუშტერდა უცნო კაცს.

– ბევრიც რომ. მათვალიერო, მაინც ვერ გაიხსენებ ჩემს სახელსა და გვარს. მე, ქალბატონო, ლევან გალოგრე გახლავარ. ქალაქის ცენტრში ყაფნის პირდაპირ, დალაქად ვმუშაობ ბელეშძესთან ერთად. თქვენი შვილისათვის, გურისათვის, რამდენიმეჯერ მექნება თავი გაკრეჭილი.

ცოტა ხანს უნერვიული სიწყმე ჩამოვარდა. სოფლის ბოლოში ვიღაცის ძალღმა ნიშანი მისცა და მთელი სოფლის ძალღები მას გამოეხმაურნენ. გაბმულმა ყეფამ ორაგვე შესძრა.

ამბობენ, მგლისა და ავი კაცის სოფელში შემოსვლამ იცისო ძალღების გაავება. შეიძლება მგელი დაყნოსეს ქოფაკებმა სადმე, – თავისთვის ჩაილაპარაკა ელენემ.

– შეიძლება; ქვეყანას არც მგლები გამოელევა და არც ავი კაცები, – დაუმოწმა სიტყვა დიალახლისს გალოგრემ.

ისევ დუმილი. გაძნელდა პირველი ნასკვის გახსნა.

ელენე თავჩაქინდრული იჯდა, გონების თვალით ყოველმხრივ ზომავდა ამ უცნო კაცის გამოჩენას, რა ფიქრები არ უტრიალებდა თავში, მაგრამ არ იქნა და გორგალს თავი ვერ მოუძებნა. ისევ პირველი მისის ამბების გადასნვდა მისი ფიქრი. შემდეგ ბოხვაურსაც ჩამოურბინა, ათას ბრუნდსა და მართალს ჩაუღრმავდებოდა. ან რა უნდა ჰქონდა ამ უცნო კაცს მასთან მეტად უდიდესი და საიდუმლო? იკრუბდა აზრებს და ისევ ეფუტტებოდა. არადა, უცნობი არ ჩქარობდა, შორიდან უცლიდა და მთავარ სათქმელს არ ინყებდა. ჭრაქის ალს კი ერთი ბედუკუღმართი ფარვანა გარს უვლიდა, დფარფატებდა. მანამდის არ მოუშვა, სანამდის შიგ არ ჩაიწვა და ჩაიფერფლა. ახია შენზე, – გაიკლო გუფში ელენემ, ვინც ცეცხლს ეთამაშება, ასე მოუვა ყოველთვის.

უცნო სტუმარი იჯდა თავისთვის, ღია კარებიდან მოშრიალე ტყეს და სიბნელეს გასაცქეროდა, ქუდი ხელში ეჭირა და ჭმუჭნიდა. ხან თავზე მოირგებდა, ხან თითს დაახურავდა და დაატრიალებდა. ბოლოს რაღაცამ წამოუარა, დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიტენა; ადგა, გულის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო და ელენეს გაუწოდა. სახეზე დამშვიდება დაეტყო და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

– ბატონო ლევან, ვინ გამოგზავნა ეს წერილი?

– უთხრა სტუმარს ისე, არც გაუხსნია დაკეცილი ქაღალდი.

– წერილი თქვენმა მეუღლემ, ბატონმა გიორგიმ გაიხლათ.

– უი, ჩემს დღეს და მოსწრებას! ვინ ჩამოიტანა უცნოეთიდან? თუ გაიგეს, ხომ მოგვთხარეს და

გადადგაუშენეს, – შეცხადების კილოთი წარმოთქვა ელენემ და ქალალი ხელიდან გაიგდო.

– ნუ ჩქარობთ და ნურც ცხარობთ, ქალბატონო! – ადგა გალოგრე, კარებთან მიდგა და ეზოს გახედა. არავინ ჩანდა, მხოლოდ ოდა-სახლიდან გამოკრთოდა მკრთალი სინათლის შუქი, ძალლების გნიასი კი სოფელს აყრუებდა.

– გამაგებინეთ, ბატონო, რაშია საქმე, საიდან გაჩნდა ეს წერილი თქვენს ხელში? – მოუთმენლად იკითხა ელენემ.

– აქ გახლავთ, ქალბატონო, ერთი კვირა იქნება, საგანგებო დავალებით ემიგრაციიდან დაბრუნდა და საიდუმლოდ გაძირულის ტყეში მიტოვებულ კარავშია თავმეფარებული. მასთან ერთად კიდევ ორი უცნობი კაცია ჩამოსული. მე მათი ვინაობა არ ვიცი.

– უიმე! უიმე! არც თვითონ ისვენებს ეს კაცი და არც ჩვენ გვასვენებს. ველარ დაეტია ამოდენა ევროპაში. თვითონ ხომ დაიღუპება და დაიღუპება, ახლა ჩვენც გვიპირებს ამოგდებას?!.

– არა, ქალბატონო, არც ასეა საქმე. ამ ცოტა ხანში დიდი ამბები მზადდება საქართველოში, საერთო-სახალხო აჯანყება უნდა მოეწყოს და ნიათები და რუსები უნდა განდევნონ ჩვენი ქვეყნიდან. პატარა საქმე ხომ არის! ამ უდიდეს საქმეს გიორგი ხალვაშმა უნდა უხელმძღვანელოს. მე და კიდევ სხვა ბევრი, ოზურგეთის მაზრაში, მისი თანაშემწეები ვიქნებით.

– არ გამაგონოთ, ბატონო, თქვენ რაც გინდათ ის ქენით, გინდ აჯანყდით, გინდ თავდაყირა დადექით, ჩვენთან რა გინდათ?! შეიბრალეთ ჩემი საცოდავი ოჯახი, სიმწრით გამოზრდილი შვილი. მოგვეშვით, თავი დაგვანებეთ! ასე გადაეცი, თუ სიკვდილი არ მონატრებია, ფლესეე დატოვოს ტყე და წავიდეს, სადაც უნდა წავიდეს. ჩვენ გულიდან ამოგვიღოს!! – თითქმის ტირილით, ჩუმი მოთქმით ერთსა და იმავეს იმეორებდა ელენე.

– ქალბატონო, იქონიეთ მოთმინება! არც ისეა საქმე, თქვენ რომ ფიქრობთ. წერილი მაინც გახსენით და წაიკითხეთ, იქნებ ისეთი რამ წერია ამ პატარა ბარათში, რომ სადავიდარაბო და თავსატეხი არაფერი დაგრჩეს.

– ღვთის გულისათვის, დამეხსენით, არავინ არ მინდიხართ, თქვენც მიბრძანდით, ბატონო, ცუდ რამეს ნუ შემამთხვევთ. ღმერთო, რა დავაშავე ასეთი, რა უბედურ ვარსკვლავზე დავბადებულვარ! – აწეული ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები ელენემ, წერილი მიწაზე დაადო და მისთვის არც კი მოუხედავს, წამოდგა, კარებთან მივიდა და გურის გასძახა, უნდოდა შვილი მოეშველებინა ამ უცხო და საჩოთირო კაცის სახლიდან გაძევებაში. ატყობდა, რომ მას ძალა არ ჰყოფნიდა, წუხდა, რომ სტუმარ კაცს ასე მწყრალად და უდიერად დაუხვედა. „ვახო მაინც ყოფილიყო სახლში, მაშინ მძიმე ტვირთი მომეხსნებოდა. ის ჭკვიანი კაცია და კარგად იცის, ვის რა პასუხი გასცეს", – გაიკლო თავისთვის გულში ელენემ.

ამასობაში გურონსაც გაეგინა დედის შეცხადება, წიგნის კითხვა მიეტოვებინა და სამზარეულო სახლოსაკენ სწრაფად მოდიოდა. უცხო კაცს არ მოელოდა სახლში, გაიკვირვა, კარებთან შედგა, დაკვირდა და იცნო. გაუკვირდა, ლევანი დალაქს რა უნდოდა მათთან, ან რა საქმეშ ამოოყვანა ორაგვეში, ამ გრძელი გზის გადმოლახვა რა გაჭირვებამ უკარნახა? გულში გაიკლო ყოველივე ეს და ვერაგითარი დასკვნა ვერ გამოიტანა. სტუმარს კი, მასპინძლის წესის მიხედვით, მოკრძალებით მიესალმა;

– რაშია საქმე? – მიმართა გურიმ ლევანა გალოგრეს.

– ისეთი არაფერი, გიორგის ჩამოსვლა გავაგებინე და წერილიც გადავეცი.

– ვინ გიორგი? რა წერილი? არაფერი მესმის?!

– როგორ ვერ გაიგე, შვილო, მამაშენი ჩამოსულა უცხოეთიდან. ახლა თურმე ტყეში რომელიღაც მიტოვებულ კარავში ათევს ღამეს და აი, ეს წერილიც გამოუტანებია ამ პატიოსანი კაცისათვის ჩვენთვის გადმოსაცემად, – ელენე დაიხარა, ოთხად მოკეცილი წერილი აიღო და გურის გაუწოდა. გურიმ სწრაფად ჩამოართვა დედას ქაღალდი, გახსნა, იცნო მამის ხელი.

– ნამდვილად მამაჩემის ნაწერია, ხელის მონერაც მისია.

– გური, შვილო!

– ჯერ წერილს წავიკითხავ, დედა, და მერე მითხარი, რაც სათქმელი გაქვს.

გურიმ დაკვირვებით წაიკითხა.

– რაო, შვილო, რას იწერება გიორგი?

– წერილს მე მწერს, დედა!

– რაო, რა მნიდაო!

– ჩემს ნახვას თხოულობს. ლევანნა ნამოგიყვანსო, იწერება, იმან იცისო ჩემი სამყოფელი.

– რა გვეშველება, გური?! ჩეკამ რომ ამ ამბავს ყური მოჰკრას, ხომ მთლიანად ამოგვთოხნის?

– ვინ უნდა გაიგოს ეს საიდუმლო, როცა ჩვენ ოთხის მეტმა არავინ იცის?! შენ არ ნახავ ჩეკაში, არც მე და გური, იქნებ გიორგიზე გეპარება ეჭვი? – ჩაიცინა გალოგრეს.

– არა, ბატონო, ამას არ ვფიქრობ, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, რაც ორმა იცის, ის ქვეყანამ იცისო. გურიზე ვშიშობ, თორემ გიორგის როგორც სურს, ისე მოიქცეს, ჩვენ მის გზა-კეკლს ვერ გავფვებით.

– მე ვნახავ, მოველაპარაკები და ჩვენს აზრს გადავცემ. ერთხელ ნახვამ რა უნდა დაგვიშავოს??

– რომ დაგვიშავოს, მაშინ პასუხი ვინ უნდა აგოს?! ამ შეხვედრაში სასიკეთოს ვერაფერს ვხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკ, შვილო! დანარჩენი შენ იცი, შენ თვითონ გადაწყვიტე!" – მიმართა გურის ელენემ და ხმაში ბზარი გაუჩნდა.

– კარგი იყო, ვახოსთვისაც გვეკითა რჩევა, გამოცდილი და დაკვირვებული კაცია.

– ვახო ბიძიას ამ საქმეში არც ჩავრევთ და ვერც გავხვევთ. ისე ჩათვალეთ, რომ არც შენ, არც ვახომ არაფერი იცით გიორგი ხალვაშის საიდუმლო დაბრუნების შესახებ. ასე არ აჯობებს, ლევან ბატონო?!

– ნამდვილად ასე აჯობებს.

– მაშ, ასე, დედა, მარტო მე მიედიარ და ყველაფერი მხოლოდ მე ვიცი.

– წინდახედულად, შვილო, ყველაფერი კარგად აწონე და გაზომე.

– ლევან ბატონო, როდის და როგორ მოვახერხებთ გიორგი ხალვაშის ნახვას?

– ხვალ. დაგვიანება არ ივარგებს. ვინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები.

– ხვალ სად შეეხვდეთ ერთმანეთს?

– დილის ექვს საათზე მატარებელი მოდის თბილისიდან. შენც და მეც ვიღაცას დავხვდებით; მატარებლის გასვლის შემდეგ ჩვენ ჩვენს გზას გავუდგებით, სამუშაო იარაღები – თოხს და ნალდს მე მოვიმარაგებ, თუ ვინმე შეგეხვედა, სამუშაოზე მიმავალი ვეგრნებით, ეჭვსაც ვერავინ აიღებს, გათენებისას ფიჩორის ხიდზე გადადავლთ, შემდეგ მიცვეთთ თავს ტყეს და მოხრაწგულამდის ჩავაღწევთ. მოხრაწგულთის ახლად გაჩეხილი ყამირი უმეტესად ორაგვეულებს ეკუთვნით და იქ, ეგვანი ბურნგლას სასინიდეში, დაგვიხვდება გიორგიც. ცოტა უგუნებოდ არის, გუშინ სიცხეც ჰქონდა, მაგრამ რთული და ძნელი ავადმყოფობა არ ჩანს. ტანსაცმელიც უბრალო და სამუშაო გეცვამ, ეჭვი არავის უნდა აღეცოროს.

– წერილმანებში შეთანხმებული ვართ. ხვალ დილით ექვს საათზე სადგურში თბილის-ბათუმის მატარებელს ვხვდებით. დანარჩენი კი ხვალეშ ხვალისა ხდება.

როცა შეხვედრის დრო და ადგილი დაეზუსტეს, შეხვედრის წერილმანებში შეთანხმდნენ. ლევანა დალაქმა ბოდიში მოუხადა დიასახლისს, ღამე ნებისა უსურვა და გურის თანხლებით ეზოდან გავიდა. მსაპინძელმა სოფლის ბოლომდეს ჩააცილა სტუმარი, გამოეშშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით აღმართი ამოიარა. ელენე იმავე სკამზე, ღრმად ჩაფიქრებული დაუხვდა შვილს.

გურის დანახვაზე ელენე გამოფხიზლდა, დარდი და შავნაღველი მოეხსნა. ახლა გაახსენდა, რომ საყვეელ რძით სავსე ქოთანი ცეცხლთან ჰქონდა დადგმული, მივარდა, თავზე მოხადა ქოთანს, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, რძე არა მარტო მედედებული, არამედ ჩაბარშული დაუხვდა. ჩვენი ჭირი წაულიაო, – თქვა და ქოთანი თაროზე შემოდგა. ძველ სკამზე შვილის გვერდით ჩამოჯდა ელენე და გურის გაანდო:

– არ მომეწონა, შვილო, ეგ შენი ლევანა დალაქი, რაღაც ცუდი წინათგრძნობა გამიჩნდა და არ ვიცი კი, რატომ?!

– არც მე მომეწონა, მაგრამ ეს რას შეცვლის ჩვენს ურთიერთობაში, ან რა საქმე მექნება მომავალში მასთან? ქლესა და გაქნილი ვინმე ჩანს. ასე მეჩვენება: ეს კაცი სულ სხვა რამეზე ფიქრობს და ცდილობს, თავი მამა აბრამის ბაბკანად მოგვაჩვენოს.

– შენი იმედი მაქვს, შვილო, ვიცი, ანკეცზე არ წამოეგები...

X

ლევანა დალაქმა და გურიმ ყველაფერი ისე შეასრულეს, როგორც დათქვეს, შედგენილი სცენარი ოდნავადაც არ შეუცვლიათ.

მზე თოხის ტარზე იყო წამოწეული, როდესაც ფიჩორის ხიდზე გავიდნენ. ეს პატარა მდინარე ისე იყო ადიდებული, რომ კალაპოტში ძლივს ეტეოდა, მღვრიე წყალი მდორედ და ზლაზვნით მიედინებოდა დასავლეთისაკენ და პალიასტმის ტბას უერთდებოდა. ასწლოვანი თელის, იფნისა და მურყნის ხეებით იყო ორივე ნაპირი შეკრული. მზის სხივი ვერ აღწევდა წყლის ზედაპირამდე და ირგვლივ ბუმბივი ნესტისა და დამპალი მცენარეების სუნი იდგა.

მდინარე კვებავდა პალიასტმს, მაგრამ არც პალიასტმში რჩებოდა თავის მხრივ ვალში. ტბის თევზები უხვად შემოდიოდა მდინარეში და ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობას გემრიელი ლოქოთი, კობრითა და სხვა ძვირფასი ჯიშის თევზებით ამარაგებდა. არ მოეწონა ლევანა დალაქს ადიდებული და პირჩაშავებული მღვრიე ფიჩორი. არ ენიშნა კარგად, ხასიათი წაუხდა, მაგრამ თავის ახალგაზრდა თანამგზავრს არაფერი აგრძნობინა. ხუთრობდა, იხტიბარს არ იტეხდა. მდინარის ასე ჩქარმა ცვალებადობამ და ორპირობამ გული აუმღვრია.

– მდინარეკ ადამიანს ჰგავს, ჩემო ბიძია, მიმართა ლევანამ გურის, – დღეს წყნარად არის, კარგ ხასიათზეა, მიედინება უდარდელად, მიიმღერის თავისთვის, უნყინარია და მეგობარი, ხვალ – მოიღუშება, გაწყრება, აბობოქრდება, ორპირი გახდება, ანგრევს ყველაფერს და ქვეყანას წალეკვით ეშუქრება.

– ბუნების წესია ასე, – დაემოწმა გური და დასძინა, – აი, თუ გინდა ფიჩორა. ზვიადიც არის, მრისხანეც, მაგრამ ბოროტება და ღალატი არ იცის, პირდაპირია, ზურგში ხანჯალს არ გაგიტარებს, ვაუკაცურად შეგებმება და შენგანაც ვაუკაცობას მოითხოვს.

ლევანა დალაქი გაყუჩდა, ფიქრები მოეძალა, არაფერი უთქვამს, ხიდის ხარიხაზზე გადადგა და დიდხანს გასცქეროდა მღვრიე ტალღების ერთმანეთში გადახლართვას და დაუსრულებელ დინებას.

შუადღისას მოხრაწყულს მიაღწიეს. გამოწნდა ცაში ატყორცნილი გარუჯული მურყნისა და კოპიტის ხეები. ტყის პირად განმარტოებით მდგარი ეკეკი ბურძგლას სასიმინდე დაინახეს. ნაბიჯს აუჩქარეს, რომ დროზე მისულიყვნენ დანიშნულ ადგილის.

სასიმინდე ჯარგვლით იყო შემორაგული. აქ ცხოვრობდნენ ჩამოსული გლეხები სიმინდის მარგალის, გათოხვნის და მოსავლის აღების დროს. სამზარეულოც ეს იყო, სასადილოც და საძინებელი ოთახიც.

ჯარგვლის კარი მიხურული იყო, შიგ არავინ დაუხვდათ. გაუკვირდა გურის. კიდევ უფრო მეტად გაიკვირვა ლევანა დალაქმა. სასიმინდეზე კიბე იყო მიდგმული, ცალპირი კარი ბოლომდე გაეღო ეიღაცას. სასწრაფოდ აირბინა ლევანამ კიბეზე, შეიხედა ნახევრად მიბინდულ სასიმინდეში. გიორგი ხალვაშს ლოგინი ფიცრებზე გაეშალა, ძველი საზაფხულო საბანი დაეხურა და ეძინა. სხვა არავინ ჩანდა. მარტო იყო.

– აქ არის, გური, სძინავს! – ჩამოსძახა ზემოდან ლევანამ.

ხმაურმა გიორგი გამოაღვიძა.

გიორგი გაბრუებული შესცქეროდა ზვილს. ოცდათვრამეტ წრდუსამდე სიცხეც აჰყვა ამ დილით. პირი უშრებოდა, ენას ძლიერ აბრუნებდა. მისი ორი ამხანაგი სამი დღეა, სადღაც წავიდნენ და ჯერაც არ გამოჩენილან. ეს ორი დღეა, არც რამე უუმძიმია და არც არა უნდა რა. ამ დილით წყალიც გაუთავდა. არადა, სულ სწყურია, ყელი უშრება.

ჯარგვალში შევიდნენ. ტოლანქად გამოჩორკნილი ძელსკამის მაგვარ მორზე ჩამოსხდნენ. ძალზე ეგმბდარი ეწვენა მამა გურის. ორი ხაჭაპური გამოეცხო ელენეს, ერთი დედალიც მრგვალად მოეხარშა, ჭმადიც გამოეცხო, ყველიც ზედ დაედო და ასე ხელდამშვენებული გამოეშვა ზვილი მამასთან. სადღაც სამფეხა სუფრა გამოძებნნეს, მთელი სანოვაგე ზედ გაშალეს და დაალაგეს. ყველაფერი ხელით დახლიჩეს და დატეხეს.

– წყალი რომ არა გვაქვს! – ჩაილაპარაკა გიორგიმ, – ჩემი ლევან, გური ვერ მიაგნებს წყაროს, შენ კი იცი, სადაც არის.

– კი ბატონო, რა დიდი საქმეა წყაროდან წყლის მოტანა?! – ლევანა დალაქმა ხელი დაავლო დოქს და თვალსა და ხელს შუა გაკრა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ასე ხდება ხოლმე მაშინ, როცა სალაპარაკო და საამბობი ბევრია.

ისევ გიორგი ხალვაშმა გატეხა ნავსი.

– ელენე როგორ არის, გური! რას შვრება!

– არა უშავს.

– ვახო ხომ ჯანმრთელად არის?

– კარგად არის, მამა!

– კარგი ქენი, რომ მინახულე. ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იქნება. კიდევ კარგი, რომ სადმე საქართველოს მიწაში გავდნები, სხვა ქვეყანას ტკბერთად არ დავაწვები.

– მამა, რაშია საქმე?! რატომ მოგძალებია შავი ნაღველი? მაშინ მხნედ გამოიყურებოდი, როცა მე და ვახოს ბათუშში გამოგვეშვიდობ! – შეშფოთებით ჩაეკითხა გური.

– არის, შვილო, საამისო საფუძველი და სწორედ ამისთვის დგებიარე. ბევრი რამ მაქვს სათქმელი და ლევანა დალაქის მოსვლამდე ყველაფერი უნდა მოვასწრო.

– მამა, ეს როგორ იქნება, დედას და ვახოს მაინც შეგახვედრებ.

– ელენეს და ვახოს ნახვა საჭირო და აუცილებელი რომ ყოფილიყო, განა ის წერილი, შენ რომ მოგწერე, მათ სახელებსაც ვერ დიიტვედა? ახლა, აი, წინ დამიჯექი და, რასაც ვეტყვი, კარგად გაიგონე და დაიხსომე! – გრიგალსა და ქარიშხალს, რომლებიც შენს შესახვედრად მოდის, მაგრად უნდა დაუხვედ და გაუძლო.

გური შეიშმუშნა, სკამი შეინაცვლა და გიორგის პირისპირ დაუჯდა. მთელ ქვეყანას გამოეთიშა და ყურადღებად იქცა.

– მზად ვარ, მამი, გისმენ!

– შვილო, გური! მე ემიგრანტული მთავრობის დავალებით ჩამოვედი საქართველოში. ჩემთან ერთად კიდევ ორი ამხანაგი ჩამოვიდა. ისინი ამჟამად აქ არ არიან. ერთი სოხუმშია წასული, მეორე – ქუთაისში. შეიძლება ამაღამ მოვიდნენ აქ, მაგრამ შენ ვერ მოგისწრებენ. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ ამბავთან, რაც შენ უნდა გაგანდო და რაც უნდა იცოდე. ჩვენ, როგორც შავი ქვის სპეციალისტები, საფრანგეთის გემს ჩამოვყევით ჩარიმანთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ჩამოვედით და ბინა აქ დავიდეთ, სადაც ახლა ვართ. რასაკვირველია, ჩვენ არც შავ ქვასთან გვქონია რაიმე საქმე და არც მრენელ ჰარიმანთან. ჩვენ ჩვენი მიზნები და ამოცანები გვქონდა. უნდა დაგვემყარებინა კავშირი პარტიულ კომიტეტთან და აღრე ჩამოსულ ჯგუფთანაც ერთად სათავეში ჩავდგომოდით ავაზყებას. ჩვენი მოქმედების სფერო ძირითადად დასაალეთ საქართველოთი შემოიფარგლებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენი საქმე სათავეშივე იქნა გაცეცხელი, ნიოლების დაზვერვამ ყველაფერი პარიზშივე გიიგო და დაიზუსტა. პარიზის საელჩოში ჩიჩერონისა და ლიტვინოვის დიპლომატები კი არ სხედან, არამედ ძერჟინსკისა და კვანტალიანის ჯაშუშები. ჰოდა, მოხდა ისე, რომ ჩვენს ჩამოსულამდის უფრო დაწვრილებით ყვე-

ლაფერი საქართველოს ჩეკამ იცოდა. ჩვენი საქმე მთლიანად გაცემულია და თითოეული ჩვენგანის ნაბიჯი დათვლილია. ფაქტობრივად, ამჟამად ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ ჩეკისტებით და აქედან თავის დაღწევა შეუძლებელია. თუ ჯერჯერობით არა ვართ დაჭერილნი, ეს იმიტომ, რომ გადაგდებული ბადეს მეტი მსხვილი და წვრილი თევზი უნდათ ამოაყოლონ. მთელი ტყე გავსებულია უცნაური მეტყველებით და ტყის მჭრელებით. მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდები. ხინამდვილეში ისინი გადაცმული ჩეკისტები არიან და ჩვენ გვიფთვალთვალებენ. ალბათ ლევანა დალაქსაც შეხვდებოდნენ აქ სადმე და ამიტომ შეიძლება კიდევაც შეაგვიანდეს ვაფაბტონს.

– კი, მაგრამ ლევანას რა საქმე აქვს მათთან?

– აქვს, შვილო, აქვს, ცოტა მოითმინე და ყველაფერს გიიგებ. წინ წარბენა საქმეს გაგვირთულებს და დაგვაბნევს. ჩვენი თანამოაზრეები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, აქ შეხვედროდნენ და სათანადო დავალებები მიეღოთ სამოქმედოდ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ყველა ისინი ერთდროულად დაიჭირეს და მათ მაგიერად ჩეკას დაქირავებული ჯაშუშ-პროვოკატორები მოგვიგზავნეს. ყველაფერი ეს მოხერხებულად გაკაკთა ჩეკამ, ვითომც პატიმრებმა მოახერხეს ორგანიზაციის სათადარიგო ნევრებთან კონტაქტის დამყარება და, ამგვარად ჩვენ მოგვიჩინეს მოღალატე-გამცემები ჩვენსა და ხალხს შორის კონტაქტების დასამყარებლად. ჩვენ ეს ყველაფერი გავიგეთ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ერთ-ერთი ასეთი ჯაშუშ-პროვოკატორი ნორედ ლევანა გალოგრე გახლავს.

– ეს როგორ, მამა! თუ იცოდი, რომ ლევანა დალაქი გამცემი და ჯაშუში იყო, რატომ გამოგზავნე ჩვენთან?!

– ესეც აუცილებელი და საჭირო იყო, შვილო! ყური დამიდგე. ლევანა დალაქმა მრავალი ალაბერმრთალი ადამიანი გაიბა თავის შნამიან ქსელში და ჯერ სად არის! კიდევ ბევრს უპირებს გაბმას. ალბათ მიხვდი, თუ ამდენ ხანს რაგომ არ გვაპატიმრებენ! რატომ ვართ გადაცმულ ჩეკისტთა ოკალში მოქცეულნი? ამიტომ იყო აუცილებელი შენი მოსვლა, შენ ერთს შეგიძლია კეთილი ადამიანების გაფრთხილება, შენ ერთს შეგიძლია მათი ხსნა. ლევანა გალოგრეს იმის ძალაც შესწევს, ხვალ ან ზეგ ვახოც ჩაინთროს მის ჯაშუშურ სიბინძურეში, შენს ჩათრევასაც მოახერხებდა, არც ელენეს დაზოგავდა, არც გოგია მენსქვეილეს, არც ცალფალა ლუკაიას და არც სხვა მრავალს. უნდა ძირშივე დავაჭრათ ხელები ამ გარეწარს, რომ გავაუვნებლოთ, ვერც ვერავის მისნდეს და ვერც ვერავინ დაშახმოს. როცა ხალხი ლევანას ავკაცობას გაიგებს, შემდეგ სათოფედაც არავინ გაიკარებს. ასეთია ყველა გამცემის ხვედრი და ვერც ლევანა დალაქი ასცდება მას, მაგრამ, სანამდე ეს მოხდებოდეს, მანამდე გამოუსწორებელი ზიანი შეუძლია მოგვაყენოს. აი, ეს მინდა შეიგნო, შვილო, და ყველაფერი ილონო, აქედან ნასვლის შემდეგ როგორმე ლევანა გალოგრეს გესლი პატიოსან ხალხს არ მისნდეს.

– სად არის ამდენ ხანს, რატომ იგვიანებს?! როგორც კი მოვა, კარებში შემოსვლას არ ვაცალო, აქვე მიგგუდავ, ჩემი ხელით დავაბრჩობ.

– ახალგაზრდა ხარ და ჩქარობ, შვილო, ჯერ შორს უნდა გაიხედო და ისე იმოქმედო. ლევანამ რომ რამე იგრძნოს, არასასიამოვნო სუნი დაყნოსოს, ყველაფერი დაილუშება. თავი ისე დაიჭირე, ვითომ არც არაფერი გაგიგია და არც არაფერს მიმხვდარხარ. პირიქით, მეტი ნდობა გამოუცხადე, გულუბრყვილოდ დაენდე, საქციელი გმირობად წარმოუჩინე, ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადებულის ვვიგრვანი ფაადგი.

– ეს როგორ, მამა! ასეთ თვალთმაქცობას განა შევძლებ?!

– უნდა შეძლო, ვაუკაცობაც და სიბრძნეც სწორედ ამაშია. როგორ გგონია?! მოსყიდული ჯაშუშები განა სულელები არიან? არა, ისინი საკმაოდ ჭკვიანი ეშმაკებიც არიან და ღვარძლისა და ბოროტების დამალვაც შეუძლიათ. ჩეკამ ახლა ისიც იცის, რომ თქვენ ჩემთან ხართ, ისიც იცის, რა კითხვებს აყენებს მათი ჯაშუში ჩვენს ნინაშე და რა პასუხს ვაძლევეთ ჩვენ. ისიც იცის, აქედან წასვლის შემდეგ ვისთან მიხვალ და როგორ განაწყობ ხელისუფლების წინააღმდეგ. პოლიტიკური ბრძოლა რთული ხელოვნებაა, ჩემი შვილო, და ამ დიდ თამაშში, არ გირჩევ, რომ ოდესმე ჩაება. სრულიად მოულოდნელად შეიძლება დაფნის გვირგვინი დაიდგა თავზე და ასევე მოულოდნელად გვირგვინმოხდილი თავი სანაგვეზე გადაისროლონ. დასაბამიდან კაცობრიობის ისტორია რამდენ მაგალითს წარმოადგენს საამისოდ! ასე ყოფილა და ასე იქნება დაუსრულებლად, მაგ ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის. ცხოვრება ისეა აწყობილი, რომ დიდი თამაშში ძალაუნებურად ჩაგითრევს შენი ნება-სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ შეეცადე, ძალა მოიკრიბო და განზე გაუფდგე მას. აი, ხომ ხედავ, შენი და ჩემი ნება-სურვილის გარეშე მაინც მოვხედით ამ ნუმპით სავსე მორეგში...

– ჯერ ადრე იყო, მამა, ამ უთავბოლო თამაშში ჩემი ჩათრევა. შევძლებ კი გადავუურჩე ამდენ მოწოლასა და დაწოლას?

– უნდა შეძლო, შვილო, უნდა გადაურჩე. ამიტომ სიდინჯე, აუჩქარებლობა და დაკვირვება გვმართებს. უნდა გახსოვდეს, რომ მონადირე

ყოველ საძრომში ხაფანგს გვიგებს, გვითვალთვალ-ლებს, დაგვდევს, ხელსაყრელ შემთხვევაში მწევარ-მეძებრებსაც მოგვისევს, მაგრამ უნდა შევძლოთ, რომ მწევრებიც ხელმოცარული დავტოვოთ და მონადირე თვით გავაბაში მის მიერვე დაგებულ ხაფანგში. როგორც ხედავ, ესეც უძნელესი და ურთულესი ხელოვნებაა, მაგრამ იყო დიდი ხელოვანი, შეგეძლოს გამოუვალი ჩიხიდან გამოსასვლელის მოძებნა, ყველას არ შეუძლია. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამიტომ, როცა ლევანა გალოგრე მოვა, ნერვებს ლაგამი ამოსდე და თავი ხან მიამიტად აჩვენე, ხან – ჭკვიან სულელად.

ასეთ საუბარში იყო მამა-შვილი, რომ ღია კარებში გამოჩნდა ლევანა დალაქი, რომელსაც ძველ ფარაჯაში გაბვეული ტყის მჭრელი მოჰყვებოდა.

– მართალია, დამაგვიანდა, მაგრამ ისეთი ცივი წყალი მოვიბანე, რომ მკვდარსაც გააცოცხლებს. საღილი გვექნება, მაგრამ რა საღილი, – ხმაურით შემოვიდა ლევანა ჯარგვალში და დოქი სამფეხა სუფრასთან დადგა, – ერმილე, შემოდი ბურძგლას ქარავასლაში!

– ვინ მოიყვანე, ლევანა, ვინ არის ეს კაცი?! – ხმადაბალი ჰკითხა გიორგიმ.

– აცანელი ერმილე ჩნაიძე გახლავს, ჩემი გიორგი, ტყის მჭრელია, თელის მორგბს ამზადებენ, იტალიიდან არის შეკვეთა და ამ საქმეზე მუშაობს მოხრანგაულის ტყეში. სხვა რამე არ იფიქროთ, ჩვენი კაცია, ჩვენი პარტიის წევრია. აცანაში ეს იღებს ჩვენს დავალებას და ხალხსაც ეს რაზმაცს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

– კარგი, კმარა ყველაფერი გასაგებია, კარგი ქენი, რომ მოიყვანე და გამაცანი!

ლევანა დალაქმა შემოიყვანა აცანელი ტყის მჭრელი და გაიცნო გიორგი და გური ხალვაშებს. გიორგიმ არაფერი შეიმჩნია, დრო შეურჩია და გური თვალი ჩაუკრა, ამით მიახვედრა, თუ როგორ ტყის მჭრელთან ჰქონდათ საქმე. სუფრასთან ადგილი მოუძებნეს შემოსტუმრებულ აცანელ ტყის მჭრელს. ყველა დუმდა, მხოლოდ ლევანა დალაქი ლაქლაქებდა უთავბოლოდ. ჭყვეზოდა, თუ რა მძიმე ტვირთი აიკიდა კომბატტის დავალებით და ჩეკას ზურგს უკან როგორ რაზმავდა ხალხს, როგორ ამზადებდა აჯანყებისათვის. ამ საქმეში მისი პროფესია პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო, ვინ რა ეჭვს აიღებდა?! კრეკნდა და პარსავდა, თან ეთათბირებოდა, დავალებებს აძლევდა, ხშირად სადალაქოში ჩეკისტებიც იყვნენ, მაგრამ ადვილად აცურებდა ყველას. ერმილე ტყის მჭრელსაც სადალაქოში დაუკავშირდა.

გიორგის ცალკე თავის ტკივილი აწუხებდა, ციებ-ცხელების, შეტევა ეწყებოდა და ცალკე – ფეხის ტკივილი. ტყემ და ჯარგვალის ნესტმა იძალა და ფეხის ტერფის ძვლები ერთიანად ტეხდა, მაგრამ ცდილობდა გური არ შეემჩნია, თავს ძალას ატანდა და გამძლეობაში ცდიდა.

ტყის მჭრელიც საკმაოდ აყბედა გიორგიმ. ისიც აქებდა ლევანას გამბედაობას და ვაჟკაცობას, ერთგულებას და კიკაკიცობას. აცანის მახლობელ სოფლებში – აკეთში, მამათსა და ძიმითში დიდი მუშაობა გაეშალა ერმილე ჩნაიძეს, ორგანიზაცია გაეფართოებინა და უკმაყოფილო გლეხები ჩაება საააჯანყებო სამზადისში, მაგრამ თავის კაცურ კაცობაში ნილს ლევანა დალაქს უდებდა და წარმოაჩენდა მის სახალხო საქმისათვის თავდადებას.

ლევანა გალოგრეს და აცანელმა ტყის მჭრელმა გიორგი ხალვაშს სთხოვეს: მასწავლებელ ილია თარგამაძესთან, გერმანე მგელაძესთან, მალაქია თავდგრჩიძესთან და კიდევ რამდენიმე კაცთან გაენია შუაკაცობა და რეკომენდაცია მიეცა გალოგრესა და ჩნაიძისათვის, რადგან, მათი სიტყვით, ვერ დაუსაბოლოდნენ მათ, ვერ მოიპოვეს მათი ნდობა და ეჭვის თვალით უყურებენ მთელ მათ საქმიანობას. გიორგიმ მოჭრით უთხრა უარი, ისინი ჩემთან დაასხლეტული არ არიან, წერილებს ვერ მიგწერ, სულ ერთია, მაინც არ გენდობიან და არ დგიფჯერებენო; მოსალოდნელია, კიდევაც გაგვცენ და ჩეკაშიც დაგვგბეზღონო. სცადეთ, შეიძლება გურიმ ჩემზე მეტი სამსახური გაგინიოთ ამ საქმეშიო და ისე გადახედა ცალკე გურის, ცალკე დალაქსა და ტყის მჭრელს, თითქოს დარწმუნებული იყო ამ გზით დასახლებულო პირების თავიანთ მხარეზე გადმობირებაში.

ლევანა დალაქმა და აცანელმა ტყის მჭრელმა ერთიანად გააჩანაგეს სუფრა. გური ოდნავ დაეხმარა სტუმრებს სუფრის მოსუფთავებაში. გიორგიმ მხოლოდ ხაჭაპურის ერი ნაჭერს გაუსინჯა გემო და ქათმის ერთი ბარკალი სანახევროდ გაფცქვნა, მჭადისა და ყველისათვის ხელი თითქმის არ უხლია.

– ღმერთმა შეგარგოთ, მადა მაქვსო, თქვენ გეთქმით, მაგრამ ნყალი რომ მთლიანად თავზე დაინწურთო?! რა მეშველება ამ ღამით, წყურვილი ყელში წამიჭერს და სასმელად ნყალიც აღარ მექნება. რა უნდა ვქნა სიცხით გათანგულმა და ხეიბარმა კაცმა?! – ერთგვარი საყვედურით ჩაილაპარაკა გიორგი ხალვაშმა.

– რა გაჭირეგება გვიდგას ასეთი, შე კაცო, საციფში ანკარა წყლის მეტი რაა! წაიდეთ, ერმილე, – მიმართა ტყის მჭრელს, – ბატონ გიორგის წყალს ნუ მოვაკლებთ.

ლევანამ დოქი აიღო ხელში, ტყის მჭრელმა – ცული და წყაროსკენ გასწიეს.

როცა მამა და შვილი მარტო დარჩნენ, ერთხანს დუმდნენ და ცალ-ცალკე თავ-თავიანთ საფიქრალს ფიქრობდნენ: შვილი – მამის უკუღმარი ბედზე, მამა – შვილის ძნელად დასაძლევ ხვედრზე, იმ

ძნელად გასაკეთ ბარდ-ეკალზე, რაც მამის სამშობლოში დაბრუნებამ შეუქმნა შვილს. დიდხანს იფიქრა გიორგიმ, სიიდან არ მოუარა დახლარეულ გზას, რა არ ილინა, ვის არ მოუხმო მოწმედ, რომ გაუვალი ჭაობიდან გაიღნია და გურისთან ერთად აშმორეულ გუზეში არ ჩამხრჩვალიყო, მაგრამ არ იქნა და არა, – სიიმედოს და სანუგეშოს ვერაფერს მიაგნო. ბოლოს სადღაც, ფიქრთა ტევრში ერთი მბეჭეტავი ნათელი წერტილი შენიშნა და მას ჩასჭიდა ხელი. წყალნაღებული კაცისთვის ხავსზე ხელის ნატანებაც ნუგეშია, გაიფიქრა გიორგი ხალვაშმა და შვილს მიუბრუნდა.

– ერთი აზრი დამებადა, შეიძლება ამან გაგიყვანოს ფონს. მე ჩემს თავზე ახლა აღარ ვფიქრობ, ყველაფერი მოთავებული და გადაწყვეტილია. ახლა უმთავრესია შენი შეელა, მორევიდან გამოყვანა. როგორც კი ლანჩხუთში ახვალთ, დალაქსა და ტყის მჭრელს აეთესები. გვიან ღამით ჩეკას უფროსთან გამოცხადდები და ამხელ ლევანა დალაქსა და აცანელ ტყის მჭრელსაც. სანამდე აქეთ დაგდებდნენ ბრალს, შენ იქით დაესხმები თავს და თავიდან ბოლომდე ყველაფერს დაწერილებით მოუყვები. არაფრის გამოგონება და დამატება არ დაგჭირდება. მეც ჩამრთვ ამ საქმეში, ნუ მოგერიდება, ჩემი ხსნა არავის არ შეუძლია და ახლა მხოლოდ შენს ხსნაზე უნდა ვიზრუნოთ. სიმართლის აღიარებით შეიძლება გადარჩე. სიმართლის აღიარებამ არ შეიძლება, ჩეკას შენზე აზრი არ შეაცვლევინოს. მამის გამცემს გენდობიან და დაგიჯერებენ. შემდეგში რაც იქნება, ამაზე მერმე იფიქრე.

გიორგი ხალვაშმა უბიდან ამოიღო და ყოველი შემოხვევისათვის შვილს გადასცა გერმანელი ხელოსნის გაკეთებული ნაგანის სისტემის ახალთახალი რევოლვერი, თან დაუმატა:

– მე არ გამომადგება ეს წყეული, საეჭვოა, რომ ოდესმე დამჭირდეს და დამეხმაროს. შეიძლება, შენ სამსახური გაგინოს. წინდახედული იყავი, ტყვია უმიზეზოდ და უადგილოდ არ დახარჯო. თუ დაგამიმოს, მოიშორე და გადაადგე.

არ გასულა დიდი ხანი და წყაროდან დაბრუნდნენ ლევანა დალაქი და აცანელი ტყის მჭრელი.

ასე, დღის ხუთი საათი იქნებოდა, როცა გიორგი ხალვაშს გამოეთხოვნენ გური, გალოგრე, ერმილე ჩხაიძე და ლანჩხუთის გზას გაუდგნენ.

●

თითქმის ბინდდებოდა, როდესაც ფიჩორის ხიდს მიუახლოვდნენ. ხიდთან, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, მარცხნივ, მეველის ნახევრად დანგრეული კარავი იდგა, ჩალის სახურავი მეტნილად ჩაშლილი იყო. სნორედ ამ კარავში შეიარეს ცოტა ხნით და შეისვენეს. მთელი დღის განმავლობაში, მთაში ნვიმის მოსცლის გამო, ფიჩორი კიდევ უფრო აღიდებულიყო, უფრო მლერიე და მრისხანე გამხდარიყო, ხიდის საყრდენები მთლიანად დაეფარა და ნაღვკვით ეშუქრებოდა.

– გიორგი ხალვაშს ალბათ ყველაფერზე მოელაპარკე და შეუთანხმდი, – დაინყო კარაგში შესვლისთანავე ლევანა დალაქმა, – ახლა სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. შენ უდიდესი დახმარების გაწევა შეგიძლია, – მიმართა გურის, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა, – განსაკუთრებით ახალგაზრდობა გენდობა და გაფსავებს, სადაც ჩვენ ვერაფერს გავხდებით, იქ შენ ადვილად გააკეთებ საქმეს.

– მე არ მესმის, რომელ საქმეზე მელაპარაკები, რა უნდა გავაკეთო? – დინჯად, მაგრამ გამომწვევად ჰკითხა გურიმ გალოგრე დალაქს.

– ახლა მაინც, მამასთან შეხვედრის შემდეგ, ყველაფერს მიმხედარი ხარ.

– მიმხედარი რომ ვიყო, ხომ არ გკითხავდი? გამარკვიე, რა უნდა გავაკეთო და მეც ისე ვიმოქმედებდ.

– კარგი, პირდაპირ დავიწყოთ, ერმილე! – მიმართა დალაქმა აცანელ ტყის მჭრელს, – მომეცი ის სია, გიორგისთან ერთად გუშინწინ რომ შევადგინეთ! – ერმილე ჩხაიძემაც გულის ჯიბე მოიჩხრიკა, შეყვითლებული, ორად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო და გადასცა დალაქს, – გური, ახლო მოდი! – და ქაღალდი გაშალა. ქაღალდზე გაკრული, მაგრამ ადვილად გასარჩევი ხელით ჩამოწერილი იყო ოცდათექვსმეტი კაცის სახელი და გვარი. – აი, ამ ხალხს უნდა დაუკავშირდ პირადად. როცა ვაცნობებთ, იარაღით უნდა გამოვიდნენ და აჯანყებაში მიიღონ მონაწილეობა. მანამდე კი მეზობლებში, მახლობლებში, საერთოდ, ხალხში აგიტაცია უნდა განსნონ მოძალადე წითლების წინააღმდეგ. ამასთან ერთად აი, რა უნდა გითხრა, ამ სიაში არც მასწავლებლები არიან და არც მოსწავლეები, მათი საერთო საქმეში ჩაბმა შენ უნდა იკისრო, მაგრამ უაღრესად სანდო და ნამდვილად ხელისუფლების მონინააღმდეგენი უნდა შეარჩინო, მხოლოდ ისეთები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არც გატყდებიან, არც გვიღალატებენ და არც გაგვცემენ.

– შეიძლება ასეთი ხალხის მოიებნა და შერჩევა. მომეცი ეს სია!.

გალოგრე დალაქმა სია გაუწოდა. გურიმ გულდასმით და აუუქარბლად გადაიკითხა – აღმასახლ და ლერი ლორიები ნამდვილად სანდო ხალხია, მაგრამ სიაში რატომ არ შეგიტანიათ?! ლუკაია მეგაზეთე, ბიძაჩემი ვახო, თუგინდ დედაჩემი, ან გოგია მენოსქვილე, ამათზე იმატომ შევჩერდი, რომ ისინი ჩემ მახლობლები არიან, მე მათ ვიცნობ და ვენდობი.

– მერე ამაზე ადვილი რაა?! მომეცი ქაღალდი! – გურიმაც სია გაუწოდა დალაქს, – ახლავე, აქვე შევიტანთ. აი, კიდევაც დამრგვალდა სია, უკვე ორმოცია.

– ახლა მოძებნე, სადმე სუფთა ქაღალდი გექნება, – დალაქმა ყველა ჯიბე მოიჩხრიკა, მაგრამ ვერ იპოვა. ტყის მჭრელს აღმოაჩნდა და გურის გადასცა.

– ლევან, ან ფანქარი, ეს ქაღალდიც და, რასაც გიკარნახებ, ჩაწერე...– და გურიმ ჩამოაწერინა ლევანსას შვიდი მასნავლებლისა და თორმეტი მოსნავლის სახელი და გვარი. მოსნავლეებიდან ცხრა ვაჟი და სამი ქალიშვილი იყო. – ამ ხალხს მე შევაკავშირებ ერთმანეთთან, მე მექნება მათთან საქმე.

ლევანსა დალაქმა პირველი სია გურის გადასცა, მეორე თვითონ დიიტოვა, დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

– ლევან ბატონო, ეს სიაც მე მიბოძე.

– არა, ჯერ ჩემთან იყოს, გადავინერ და ხვალ შემოიარე ჩემთან სადალაქოში და იქ გადმოგცემ, – გურის სია დაფინებით არ მოუთხოვია.

ცოტა ხნით სიჩუმე დამკვიდრდა ნესტრიან კარავში.

მყუდროება ისევ ლევანა დალაქმა დაარღვია.

– მთავარი სათქმელი ჯერ არ მითქვამს, დიდ საქმეს ახლა უნდა შევუდგეთ, – დაიწყო დალაქმა. გურიმ ყურადღება დაძაბა. აცაცელი ტყის მჭრელი იჯდა თავისთვის წყნარად და ხიდს გასაქქეროდა; – ერმილე, მომეცი ის, შენთან რომ არის, აი, ის, შეკრული ნიგნაკები, – ერმილემაც გაუწოდა და გადასცა ლევანა დალაქს საგანგებოდ შეფუთული და ოთხკეცი ზონრით შეკრული რაღაც საგანი. გური თვალს არ აშორებდა შეფუთულ ხალიუმლოებას. თანაც ფიქრობდა, რა უნდა იყოს ეს ასე საგანგებოდ შეკრული ნიფთი, ან გიორგის რატომ არაფერი უთქვამს ამ საიდუმლოს შესახებ?! ახალი თავსაატები გაუწნდა გურის, მაგრამ მიახლოებითაც ვერ წარმოიდგინა, თუ რა დიდი საქმე უნდა ჩატეულიყო ამ პატარა შეკვრაში.

– აი, ამ შეკვრაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობის ახალი ნიმუშის მანდატია. ჩვენი სიის მიბიდვით, ოცდათეძვსმეტ კაცზეი შევსებული, – თან ლაპარაკობდა ლევან გალოგრე და თან ნელა და აუჩქარებლად ხსნიდა ზონარს. მაგრამ ნასკვი ვერ გახსნა და იძულებული იყო გაეწყვიტა, კბილები მიეშვეებინა, – დანარჩენ ოცდაერთზე ხვალ შევავსებ და დასარიგებლად გადმოგცემ. მაგრამ საჭირო იქნება მათი მამის სახელებისა და დაბადების თარიღის ცოდნა. ეს ყველაფერი ხვალეე უნდა მომანოდო. მანდატები შენ უნდა ჩამოიტანგო ხალხს, ცოტა ზოგიერდად გარჯა მოგიხდება, მაგრამ ახალგაზრდა ხარ, ძალა და ღონე გერჩის, გარდა ამისა, ყველას ხომ ვერ ვენდობით ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმის შესრულებას!..

– მანახე ერთი, როგორია ეს ახალი მანდატი? – და გურიმ გამოსართმევად ხელი გაუწოდა ლევანა დალაქს.

– აი, ნახე, როგორ კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი. ყდაც რა ლამაზადაა გაფორმებული. წმინდაა გიორგი შუაზეა გამოხატული. ხუმრობა საქმე ხომ არაა, პარიზშია დაბეჭდილი, – ლევანამ ერთ-ერთი მანდატი შეარჩია და გურის გადასცა.

გურიმ ჩამოართვა, გადაფურცლა, კარგად დააკვირდა, ნაიკითხა და ბოლომდის ჩაათვალიერა.

– მართლაც რომ კარგად დაგიბეჭდავთ!

– ჩვენ რა შუაში ვართ, ფორდანიას შეკვეთით შიგ შუაგულ პარიზშია დაბეჭდილი. შვეცებით კი, ცხადია, ჩვენ შევავსეთ. ყოველგვარი ცნობა ჩვენი ხელითაა შეტანილი. მასნავლებელ იორდანე ღელეყვაის ხელითაა ყველაფერი ჩაწერილი.

– ხედავ, რა კარგი წერა სცოდნია, დაწერილი კი არა, პირდაპირ დახაბტულია, – მოუწონა ნამუშევარი გურიმ ლევან გალოგრეს.

– ისიც შეამჩნიე ალბათ, რომ მანდატს იქ ნოე ჟორდანია ანერს ხელს, აქ კი სეით დევდაურანაა! ეს ყველაფერი გიორგი ხალვაშმა ჩამოიტანა საფრანგეთიდან.

მზე საკმაოდ გადაიხარა და ტყის მხრიდან ჩრდილიც დაგრძელდა. სალამოს მოახლოებისას ფრინველთა ჭრიალით გაძლიერდა. ყვავები ჩხავლით მინდვრიდან ტყისკენ მიფრინავდნენ და რამდენჯერმე საშინლად დასჩხავლეს სახურავმოხდილ და გვერდზე გადახრილ კარავს. სოფლის ნახირიც გაიკრიფა საბალახოდან.

– დავიგვიანებთ, დროა წავიდეთ, – ხმამაღლა მიმართა ლევან გალოგრეს აცაცელმა ტყის მჭრელმა, რომელიც არხეინად იჯდა ხის კუნძზე და ყალიონს აბოლებდა.

– წავიდეთ, ამდენ ხანსაც არ უნდა შევჩერებულიყავით აქ, მაგრამ გური ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა. გური! – ახლა გურის მიუბრუნდა გალოგრე, – როგორც შევთანხმდითო, ყველაფერს ისე გააკეთებ. შვეცებული მანდატები და სია შენთან იყოს. ვიცი, რომ ვაფკაცურად მოუვლი საქმეს, საიდუმლოებასაც ისე დაიცავ, როგორც დედის სიცოცხლეს. ახლა კი გზას გავუდგეთ, – მოჭრა სიტყვა ლევანა დალაქმა.

●

სანამდე ხიდს მიაღნევდნენ, ჯერ გური მიდიოდა წინ, ლევანა და აცაცელი ტყის მჭრელი უკან მიჰყვებოდნენ, რაღაცაზე ჩუმად საუბრობდნენ. ძალიან დაიგრძელა ყურები გურიმ, მაგრამ გარდა გაბმული, ერთმანეთში გადახლართული ბგერებისა, ვერაფერი გაარჩია. მიდიოდნენ აჩქარებით, ხიდზე რომ შედგნენ, უკვე იგრძნეს ბინდის საგრძნობლად ჩამოწოლა. სადაცაა ღამე გადასწყდებოდა დღის საუფლოს.

ადიდებული ფიჩორი მღვრიე ტალღებს განუწყვეტლივ მოაგორებდა, ცოტაც და – ნაპირებზე გადავიდოდა. შეიძლებოდა მთელი ახლომახლო მიდა-

მო დაეტბორა და ხიდსაც თავისი დანიშნულება დაეკარგა. შორიდან ღორის სასოწარკვეთილი და გაბმული ყმეყირილი მოისმა. ჩანდა, მგლები სანადიროდ გამოვიდნენ დღის საფარიდან და პირველ საკბილოსაც ნაანყდნენ.

ხიდს რომ გასცდნენ, გური შეჩერდა, ცალი ფეხსაცმელი გაიხადა და შიგ ჩაცვენილი კენჭებები გადმოყარა. ამასობაში ლევანაც დალაქი და აცაცნელი ტყის მჭრელი დაწინაურდნენ, ასე, ოციოდე ნაბიჯით გაუსწრეს კიდეც. გურიმ ნაბიჯს აუჩქარა, ხუთიოდე ნაბიჯით მიუსწლოვდა. გზის მარჯვნივ ერთადერთი მურყნის ხე იდგა, ტოტებგაშლილი და ხმირი ფოთლებით დაყურსული. ტრიალ მინდორზე ეს ერთადერთი უტყვი ცოცხალი არსება იდგა ყველაფრის მოწმედ. ღამის გასათევად ხის ტოტებზე შეყუჟულები ბელურები უფრო აკიკეკივდნენ და ახმაურდნენ, უტყვი ხე ათმოძრავეს და გააცოცხლეს.

გურიმ მამისაგან ახლად ნაჩუქარ ნაგასს ხელი შეავლო, ტარი და ბუდე გაუსინჯა. ამოიღო, შეათვალიერა, საკეტი მოხსნა, ლულაში ჩახედა, დარწმუნდა, რომ ბუდე ვაზნებით იყო ამოვსებული. საბრძოლად მოემზადა. ვის მოელოდა ხალვაში, როცა ტრიალ მინდორზე გაბარჯღული მურყნის ფოთლებში შეყუჟული ბელურებისა და ორი თანამგზავრის გარდა არავინ იყო?!. მგლები იყო გაგტენილი მოხრაწეულის ტყე და გაშლილი სიერცეც მათი სანავარდო იყო. შეიძლება ღორის შორეულმა ყმეყირილმა მოაგონა გური, რომ ჯიბეში იარაღი ედო და მტაცებელ მხეცს მზადყოფნაში უნდა დახვედროდა?!

მაგრამ რა ხდებოდა ისეთი გურის არსებაში, რამ შეაცხელა, შეაცივა კიდეც და კანკალმა აიტანა?! ჯერ მკერდიდან გადმოფრენას ლამობდა. მთელ სხეულში ჭიანჭველები დაბობღვადნენ, მთელ ტანსა და შუბლზე ცივმა ოფლმა გამოკოსა. თვალებში ცეცხლი ჩასდგომოდა და ნაპრწყლებს ისროდა. შიშმა ხომ არ აიტანა გური? მაგრამ რისი უნდა შეშინებოდა სამ ვაჟაცს, მგელს კი არა, ღომს დაახრობდნენ ცარიელი ხელებით.

ერთბაშად შედგა გური, ციებ-ცხელებამაც გაუარა, ოფლიც შეაშრა სახეზე, თითქოს კიდევაც დამშვიდდა, ხელ-ფეხის კანკალი მოეხსნა, თვალებში ცეცხლი ერთგვარად შენელდა და ჯანღში გახვეული ვეღიც განათდა. ერთბაშად, სრულიად მოულოდნელად, არაადამიანური ძალით დაიყვირა გურიმ: ცოფიანნი მგლები გვიახლოვდებიან ხიდის მხრიდან, თავს ვუშველოთო. ლევანა დალაქი და აცაცნელი ტყის მჭრელი ანგარიშმიუცემლად შემობრუნდნენ, გურიმ შენიშნა, რომ მათ ხელებში რევოლვერები ელავდა.

– სად არის მგელი?! – დაიღრიალა ლევანამ, მაგრამ მისი ხმა გურის ნაგასიდან გასროლის ხმამ ჩაახშო. ოთხმა ტყვიამ ლევანაც მოცელა და აცაცნელი ტყის მჭრელიც. თითოჯერ გასროლა მოასწრეს, მაგრამ უაზროდ და უმისამართოდ. ლევანა დალაქს ზედ დასნოლოდა აცაცნელი ერმილე და ორივე ერთად სისხლიდან ილეკებოდა. ლევანას ერთი ტყვია თავში მოხვედრდა, ერთიც – მკერდის არეში. აცაცნელი ტყის მჭრელისათვის კი ორსავე ტყვიას გული გაეგხვრიტა და ხმის ამოუღებლად გაეცვალებინა.

დახოცილებს თავზე დაადგა გური, ჭრილობებიდან სისხლი თქრიალით გადმოსჩქეფდა ორივეს. იქვე შედეგდებული შავ-მოწითალო გუბე იდგა და გადმომდინარე სისხლის ახალი ნაკადი ემატებოდა. გურის შემართული, საკეტგახსნილი რევოლვერი ხელში ეჭირა და, როცა დარწმუნდა, რომ გაღმა ქვეყანაში გაეღნინათ მის თანამგზავრებსა და გამოღმა მათი მობრუნება არავითარ ძალას აღარ შეეძლო, ნაგასი ჯიბეში ჩაიდო და ხელი გაითავისუფლა. დახოცილებს ირაღი აართვა, ჯიბეები და უბეებიც გაუსინჯა. გაოცებული დარჩა, როცა თითოოეულ მათგანს ბრაუნინგის სისტემის რევოლვერებიც აღმოაჩნდა, სათადარიგოდ, ყოველი შემთხვევისათვის, ხოლო აცაცნელ ტყის მჭრელს ნელზე საიდუმლოდ ერთი ხელყუმბარაც ეკიდა. ისიც ფრთხილად მოხსნა გურიმ და სხვა იარაღებთან ერთად დაანყო. ასევე ამოაცალა ხიდგაღმა კარაკში შეეცხელო ახალი სიი, რომელიც გურის კარნახით ჩაწერა ლევანამ, რაღაც სხვა სიები და ჩანაწერებიც იპოვა. აცაცნელს შეუსვეპელი თხუთმეტი მანდატი აღმოაჩნდა და კიდევ გურისთვის უცნობი ადამიანების სია და სხვა ქაღალდებიც, რომლებიც გურის აღარ გაუსინჯავს.

გურიმ ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ დაათვალიერა თავისი ნახელავი. საუკუნო ძილით ეძინათ ძმაკაცებს, აღარაფერი აშფოთებდათ, აღარაფერი აწუხებდათ, არც არავინ მოუვიდოდათ საიდუმლოდ, არც თავად აპირებდნენ ვინმესთან საჯაშუშოდ მისვლას, არც დავალებას იღებდნენ და არც დავალების შესრულებაზე ფიქრობდნენ. თითოეულ მათგანს მხოლოდ ცოლ-შვილი მიელოდა სისხლით შეზღილი პურით და იუდას ოცდაათი ვერცხლით დატვირთულება, და გურიმ წარმოიდგინა, როგორო წრიალითა და მოთქმა-ტირილით შეხვდებოდნენ უდროოდ დაქვრიგებულნი და დაობლებულნი საზარელი ამბის შეტყობინებას.

ეძინათ ძმაკაცებს ერთმანეთზე გადაჭდობილებს. აცაცნელი ტყის მჭრელი თავქვე იყო ჩამბობილი. ისე მაგრად დასნოლოდა ლევანა დალაქს, რომ გეგონებოდა, ფალავანს მეტოქე ქვეშ მოუქცეცია, ბუბნის და რაიმე იელეთის შესრულებას საშუალებას არ აძლევსო.

ლევანას მხოლოდ მუხლში მოკეცილი ფეხები მოუწანდა და სისხლში ამოსვრილი თავ-კისერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახვრეტილი თავიდან სისხლი ჯერ კიდევ მოედინებოდა, თავ-პირს წითლად ულებავდა და გაღეღილ საყელოში იკარგებოდა. ცალი თვალის უპეები სისხლით ამოვსებოდა, ხოლო მეორე თვალი ღიად დარჩენოდა და, წითელ ფონზე უსიცოცხლოდ გაშტერებული, შეწყალებას მოითხოვდა.

ამ საზარელი სანახაობის ხილვამ გური შეაფრ-ქოლა, შემაცივნა კიდეც, თითქოს ძალა გამოელია და ჰაერში უთოკოდ დაეკიდა. ცოტა ხანს გაუნ-ძრევლად იჯდა, მაგრამ შემდეგ გონს მოეგო, წა-მოდგა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მკვდრების ჩურჩულიც ჩაესმა: „კაცის მკვლელო, სულერთია, ვერ გაიხარებ!“ ერთხელ კიდევ მოიხედა მიცვალე-ბულებისაკენ, მაგრამ სიკვდილის მყუდროებას ბუ-ნებაც დაებრმავებინა და დაეკურუებინა, ნიავიც კი არსაიდან იძროდა. სიჩუმემ კიდევ უფრო შეაშინა გური: სასწრაფოდ ჩაალაგა ჭიღლის ნაქსოვ კალათ-ში აცაცელისა და ლევანას იარაღები ხელყუმბარა, შევსებული და შეუფსებელი მანდატები, სიები და სხვა ქაღალდები და ჩქარი ნაბიჯით უკან მოუხედა-ვად დატოვა სისხლით მორწყული ბრძოლის ველი.

●

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა გური, შეშფოთებული, აფორიაქებული. ამინდიც შეიცვალა. ჯერ აღმოსა-ვლეთის მსუბუქმა ნიავმა დაქროლა, შემდეგ დასავ-ლეთის ქარმა აჯოგა, იმძლავრა, შავი ღრუბლე-ბის ლეგიონებიც დაიძრა შავი ზღვიდან. მტვერი და ნორჩი ფოთლები ერთმანეთში აირია. ჩანდა, გაზაფხულის ნიაღვარს და წყალდიდობას ვერ ასცა-დებოდა კოლხეთის ველები და ტყეები.

მიდიოდა გური ჩქარი ნაბიჯით, მიდიოდა კი არა, მირბოდა კიდეც, კეცავდა და ამოკლებდა გრძელ გზას. ღამეულ ფიქრებსა და შავ ღრუბლე-ბთან შერწყმულ შავ ნაღველს მთლიანად დაეფარა და დაესუდრა მისი არსება.

წვიმის პირველი წვეთები და გრილი ქარის სახეზე მოალერსება ესიამოვნა. მიიჩქაროდა შე-საძლო სისწრაფით. მიუახლოვდა სოფელს. ბათუ-მისაკენ მიმავალი მატარებლებიც კარგად გაარჩია. განათებული ვაგონის ფანჯრები გაკერულ სინათ-ლის ზოლად ხან გამოჩნდებოდა, ხან კიდეც მიი-კარგებოდა ხეებსა და ბუჩქებს შორის. ძაღლების ყეფაც შემოესმა. გაუხარდა, მკვდრების ლეგიონე-ბმაც უკან დაიხიე, მაგრამ ცალთვალდაჭყეტილი ლევანას სახე და პირქუე დამხობილი აცაცელი ტყის მჭიელი ხან წინ დაუხვდებოდა, ხან კიდეე უკან ჩამორჩებოდა. მათ სიახლოვეს მაინც გრძნობდა. წუხდა, შფოთავდა.

გზის პირას ხის მორი დაინახა დაგდებული და ცოტა ხნით ჩამოჯდა, მაგრამ ვერ მოისვენა, რქოსანი შავნაბადიანები ისევ მოეჯარა ირგვლივ. წამოდგა, ცას შეხედა და შავად გართხმულ ღრუ-ბელზე აშკარად დაინახა ლევანა დალაქის სიკვდი-ლის წინ ღიად დარჩენილი ცალი თვალი, რომე-ლიც გურის მიშტერებოდა და თითქოს ნიშნსაც უგებდა. ისევ მიწას დახედა, ქვას დასხედა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შორს ისროლა. ქვა გუბე-ში ჩაეშვა და ბაყაყების გნიასიც მინყდა. ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა, ქვენა ქარმა კიდევ უფრო მძლა-ვრად დაიქნია გამლილი ფრთები. წვიმის ხშირ და მსხვილ წვეთებს მთლიანად დასცვლელებინა გურის ტალლებად დაკეცილი თმა. ოფლი და წვიმა ორთ-ქლად ასდიოდა ტანზე, მთელი სხეული უხურდა, მაგრამ მაინც სიცივეს გრძნობდა.

ქალაქის ცენტრალურ მოედანამდე მიაღწია გურიმ, მაგრამ ძეხოროკიელი არ შეხვედრია. „რა მოუვიდა ამ ხალხს, ნუთუ წვიმამ ისე დააფრთხო, რომ საქმეს არავინ შემორჩა და ყველა სახლებში ჩაიკეტა?“ – გაიფიო გურში და კალათი მარცხენა ხელში გადაიტანა. მარჯვენა ხელი მთლად გაშეშე-ბოდა, ცოტა ხნით შედგა და მკლავები სახსარში რამდენჯერმე მოკეცა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი კაკალაშვილი

ორი მარტოსული უდაბნოსა შინა

ვინა ვარ?
რა ვარ?
რაა, სვეტად ჩემში რომ რგია?
არა ქიმერა, არც დემონი, არა ფერია,
ჩემი ცხოვრება მარტოსულის მონოლოგია,
მეტაფორაა და მის მეტი არაფერია.

არავისაგან არ მოველი არც თვით სიყვარულს,
არცა გაგებას, არცა პატივს და არც დიდებას –
ერთხელ იდუმალ ჩავეძე თუ რა სურს ამ გულს,
მან კი გამანდო საიდუმლო, სულს რაც სჭირდება.

ყველაფერი და არაფერი ჩემთვის ერთია...
ჩემში ტკივილი, მარტოობა ერთმანან ერთვისა...
სადღაც უშორეს მკრთალ იმედად ისევ ლმერთია,
მაგრამ, ეტყობა, ჩვენ არ გვესმის ერთმანეთისა.

ოჩანი

გავუჯიუტდი ცხოვრებას ოჩანს,
წასვლაც, დარჩენაც მე მეძნელება...
სიბრძნე ლამაზად გარედან მოჩანს –
შიგნიდან არის საშინელება.

მიგვათრევს ჟამი, ვით უცხო საგანს,
რა გვაქვს, რა დაგვაქვს ან რა გვქონია –
ირგვლივსამყარო ყველა ჩვენთაგანს
უფრო მეტად გვგავს, ვიდრე გვგონია.

წლები სიჩუმეს მაახლოვებენ –
ალბათ, სიჩუმედ ვიქცევი მალე,
იქნებ, როგორმე მაახლოთ ვნებებს,
თუ ჩემთვის ჩუმად გარდავიცვალე.

იქნებ, როგორმე, ნელა, სულ ნელა
სულის სინაზე წარსტაცოთ იებს...
მე პატიებას გთხოვთ ქვეყნად ყველას,
ვისაც რომ ერთხელ ვერ გაპატიეთ.

წავალ, ნირვანას ვპოვებ ზიანში –
ქარი ყვავილს რომ გაპენტავს ვაშლის
და მერე, თითქოს პოეზიაში,
თოვლის ფიფქებად სულ ფეხქვეშ გაშლის.

გავუჯიუტდი ცხოვრებას ოჩანს,
ვნერ და სიჩუმეს ვეჩვევი თითქოს,
ძალს აქეთ მე ვარ, იქით ის მოჩანს...
ვინც რა უნდა თქვას, მე ჩემი მითქვამს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა აზრით იქმნა?

რა აზრით იქმნა,
რა ნებამ შობა,
სამყარო ქმნილი თითქოს ბავშვობა?..
მის ყანაში რომ პური სთესია,
ყველა საზრდოზე უკეთესია...
და ვცოცხლობ...
ვცოცხლობთ მე და ბუნება,
დუმს, დუდუნებს და მებუბუნება –
ჩანს მთელი სიღრმით აზრი, გონება –
ჩაუნვდომელი გამოგონება,
უდარდელობის მაგალითია,
მავსებს, მაღელვებს მაგ ალით ია –
სუნთქავს ჩვენს ირგვლივ წეს-წყობა შვებით,
სანამ ვაზროვნებთ, როგორც ბავშვები.
მერე... სურვილს ვგრძნობ გადაულახავს,
რაც თვალს უნახავს, გადაუნახავს,
დავხატო სახედ, განვხატო ვნებად,
მსურს მთლად სამყაროს განხატოვნება.
კიდევ... მიზანი მაქვს დასახული,
ამქვეყნად ვნახო ყველა ზაფხული –
ჩავტოო, იქნებ, საოცრად სრული
სამყარო ლექსში, ვით ხორცში სული.

წარვსდექ... აღნიშნეთ!

წარვსდექ, აღნიშნეთ!..
მორჭმით ზიან შიგ –
ღმერთიც, დემონიც პოეზიაში,
თუმცა სხვადასხვა მათი მისია
ცოტა საეჭვო კომპრომისია.
წარვსდექ და შეცვნენ მათით იები,
გაუფერულდნენ მათითიები,
აგერ, მეორე გაზაფხულია,
რაც ტყუილია... სულ ტყუილია...
ო, იმ საშინელ დღეთა ხილვები,
ვით ატეხილი ქარტეხილები,
უკან მომდევენ მთაგრეხილები,
ბედივით აგრეხ-დაგრეხილები.
აჰა, ეს არის სულისთქმა, ყოფა,
მე სატანჯველად ესეც მეყოფა...
ყველა დრუიდში სუფევს ოდინი,
ფუჭი იმედი და მოლოდინი.

შაშიქრება

შავი ფიქრებით შავიფიქრები,
წამოვიკიდებ სივრციდან გლოვებს,
წამოვა კიდევ შავი ფიფქები,
იმ ციდან ამ ცას რაც მაახლოვებს.

ეს მერამდენე ღამეა უკვე,
ალაზნის ცაზე ვითვლი ვარსკვლავებს,
თითქოს სამყაროს ნაწილს განუყრელს
კვლავ მიგრეხავენ სულსა და მკლავებს.

იდუმალების ულერს ფერენც ლისტი,
ლანდად ეული დადის გოეთე...
მე მეცოდება ჯვარცმული ქრისტე,
ვერგაგებული, როგორც პოეტი.

ქურუმს იზიდა მარად ესობა
თვალში, ვით ჯვარცმა მესობა მომზერს,
მე სხვა მიზიდავს მარადისობა
წყვდიადისა და სინათლის ფონზე.

რა ვქნა, რა გითხრა, რით გაგახარო?
ვინც ერთხელ გახსნა – დახუროს ფარდა...
დიახ, მესამე მართავს სამყაროს
სიკვდილ-სიცოცხლის პრიმიტივს გარდა.

ან მოსვლით ვისი ნება აღსრულდა,
საიდუმლოა თვით წასვლა ჯერაც,
მე რომ მოვედი – არავის სურდა,
მე რომ მივდივარ – არავის სჯერა.

არა, ძვირფასო, თავს არ ვიმართლებ,
რომ გაგაკვირვებ გარდაცვალებით
და, თუ ოდესმე მეც გამიმართლებს,
მინდა დაგხატო შენი თვალები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲛᲗᲐᲨᲘ

მთაში ზამთარი უეცრად მოდის,
ზამთარი მთაში უეცრად დგება,
არავინ იცის, საიდან, როდის
მოვა და ზღურბლზე ჩამოგიდგება.

ჩემშიც, დიდ მთაში, დაზამთრდა უცებ,
თოვდა, ციოდა – წიოდა რკინა,
სიცივით ქვეყნად ვინ გამაოცებს,
ამჯერად სულიც კი ჩამეყინა.

არც განმკითხავი, არც ხმის გამცემი,
არცა ნუგეში იმედს ჰქარგავდა,
ჩამოდგა ნისლი თავზარდამცემი
და ცოდვის ხილვას ის უფრო ჰგავდა.

ასე დაიწყო დაყოფა დღეთა
მძიმე კაცრებად, მარტივ წამებად...
ძვირფასო, რიგში მოსამძიმრეთა
რა მძიმე იყო ჩემი წამება.

ჩაინგრა ჩემი გამოქვაბული,
იქნებ, მადროვო, იქნებ, მაცალო,
მე არსებულით არ ვარ ყაბული
და ირგვლივ, მინდა, რაღაც შევცვალო.

მაინც მწარეა პოეტის ხვედრი,
თუმცა ეს უკვე აღარ მაშინებს,
სევდის ქალწული, როცა მოხვედი,
გაიდუმალდი ჩემთვის მაშინვე.

მარტოსულობამ ხელი შემახო,
მთებმა დუმილით გამომიგლოვეს...
ვიცი, აქა ხარ, ძალიან ახლოს,
მაგრამ ვერა ვგრძნობ ამ სიახლოვეს.

შესდექ! შემინდე! – მოსული ელდით
წავალ, ვით რაში აფრენილიყო,
ერთხელ, როდესაც განვხორციელდი,
მიეხვდი, რომ უკვე გვიანი იყო.

თოვლის მინდორი, თითქოს სულ ია,
მე შენ მინდოდი, მაგრამ მზიანად...
პოეზიაში ჩემი სულია,
ხოლო სულში კი პოეზიაა.

ზამთარო, ჩემში რა დაინახე?
სული მიმძიმს და ცაში არ ადის!
მოდი, ჯერ ლექსის მიიღე სახე
და მერე დარჩი თუნდაც მარადის.

ᲪᲘᲪᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

– ჩემო ივლისო,
ოცნებობდი, შემოივლისო
შენში მაისის სილაჟვარდე დილის ხალისით
სიოდ ჰქროდეს თუ ღამლამობით ჩუმად ივლისო,
სადაც რომ ვსუფევთ,
იქ ჩვენს შორის სადღაც არის ის...
თუმცა სამყარო სიმშვიდეს რომ არ ფლობს, არ იცის?!

– ჩემო ივლისო,
გახსენ კარი; შემო, ივლისო,
რომ დაგიგია
უდარდელთა ნამჯა-ფართალი...
– ცოტას იდარდებ, იდარდებ და გადაგივლისო...
– ეს რა იკადრე, შენ არა ხარ ჩემთან მართალი!
ეჰ, სამართალი... საგანია თვით სამართავი.

●

აპრილო, წვიმის მძიმე წვეთებით
შეგინიღბია ეგ ღრმა ფიქრები,
რას წუხ... ჩავქრებით თუ ავენთებით,
ბოლოს და ბოლოს ერთად ვიქნებით.

აპრილო, ჰყვავი... დედოფლად ზიხარ,
გვერდით გარბიან სოფლის წუთები...
აპრილო, ისე შემყვარებიხარ,
ერთხელ მაისსაც გავებუტები.

გახსოვს ის მარტი, ბევრს რომ გვედავა? –
ვინ არის ქვეყნად მარად დამრჩენი...
მაინც, ყველაფრის მიუხედავად,
რა ლამაზია სამყარო ჩვენი!



მიხო მოსულიშვილი

ჩანაწერები ვაჟა-ფშაველაზე

ვაჟა რომ დაბრუნდება

ლელა რაზიკაშვილისთვის მოყოლილი

აი, როგორც ლონდონში იცის ხოლმე, ისეთი განწყნილი ნისლი იდგა ამ ჩემს მთაწმინდის უბანში და თქორავდა...
ორი ქვაფენილიანი ქუჩის, არსენასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის გადაკვეთაზე ვიდექი და საფლაც მივდიოდი. სახელდობრ – სად, ვეღარ ვიტყვი, რადგან ამ დროს ისეთი რაღაც მოხდა, რომ გადამავიწყდა...
არსენას ქუჩიდან ოთხცხენიანმა ეტლმა გამოიარა და, სანამ ჭავჭავაძეზე ჩაუხვევდა, კოფოზე მჯდარმა ცილინდრიანმა და ლაბადიანმა მეეტლემ სადავეს მონია და ჩემს წინ შეაჩერა ეკიპაჟი.
ნეტავ, რა ხდება-მეთქი, – ამის გაფიქრება ვერ მოვასწარი, რომ ეტლიდან ვაჟა-ფშაველა გადმოვიდა, სწორედ ისეთი, როგორიც უკანასკნელ სურათებში – მაღალი, შუბლზე გადმოყრილი ჭაღარაშერეული თმით და ხმელი-ხმელი;
დაშავებული მარჯვენა თვალი ისე მოუჩანდა, თითქოს მიბრიალებდა, არადა, მარცხენა საღიმილოდ ჰქონდა მონკურული.
გამილიმა მართლაც და, – აბა, ჩქარა, ეტლში ჩაჯექით! ავაპშე, როგორ გამიხარდა!..
ამას ხომ ნამდვილ ვაჟა-ფშაველას ვხედავდი და თან ყველაზე კარგი ის იყო, რომ სმოკინგი ეცვა, ხელჯოხი ეჭირა და პერანგის თეთრად გახამებული საყელოც მოუჩანდა იმ სმოკინგის ქვეშ...
და ჩამივარდა ენა.
ვუყურებ ამ ერთბაშად თავს დატეხილი ბედნიერებით გაოგნებული, რომ თვითონ ვაჟას ვხედავ, ნამდვილ ვაჟას...
და ცრემლები მომდის...
მოუთმენელი მოძრაობით ფართოდ გამოხსნა იმ თავისი ეტლის ლამაზად მოვარაყებული კარი და ხელჯოხით მიმითითა მწვანე მაუდით დამშვენებულ კაბინაზე, – ჩქარა, თორემ დაგვიგვიანდაო!..
სადა?.. სად უნდა წავიდეთ-მეთქი? – ძლივს ამოვილუღლუღე...
სადაც არის, გემი უნდა გავიდეს და იმაზე ვიგვიანებთ უკვეო!..
ვაჟასთან ეტლით სიარული ხომ როგორ მერიდება და მრცხვენია!..
და ახლა კიდევ გემით მგზავრობა!..
არადა, აქ თბილისია, გემს რა უნდა? რომელი საზღვაო პორტი ეს არის?..
და გეგონება, ნაფიქრს მიმიხვდაო, იმ განწყნილი ნისლებისკენ გაიშვირა ვაჟამ თავისი ხელჯოხი. იმ

ნისლებში დიდი, თეთრად ქათქათა ხომალდი იდგა და იმისი ხმამაღალი საყვირი მართლა თავისკენ გვეძახდა...
მე სანამ იმ გემის წარწერის გარჩევას ვცდილობდი, არაფი, ნისლის ფთილები ჩამოეფარებოდა ხოლმე ვერაგულად, კიდევ ერთხელ დაკვირვებით შემიმხედა ვაჟამ თავისი სულში ჩამნცვდენი მზერით, – კარგი, აქ იყავი... მე კიდევ დავბრუნდები! – მითხრა, ცილინდრიან მეეტლეს ხელჯოხი მსუბუქად მიუკაკუნა სველ ლაბადაზე და ეტლში ავიდა, კარი მიიკეტა.
მერე ეტლიც დაიძრა და იმ განეწილ-გამოწეწილ ნისლებში ჩაიკარგა დგრიალ-დგრიალით...
მერე, გამოღვიძებისას, ამ ჩემ არეულ-დარეულ ყოფას რომ გადავხედე, მაგრად ვინანე, – ნეტავი, გაეყოლოდი-მეთქი...
თუმცა, არა უშავს, – ხომ მითხრა, კიდევ მოვალო!.. ჰოდა, მეც დავუცდი და, ვაჟა რომ დაბრუნდება იმ თავისი შავი ეტლით და ქათქათა ხომალდით, აუცილებლად გავყვები, მერე რა, თუ იმის გვერდით ენაც ჩამივარდება და ვერც ვერაფერს ვეტყვი, იმ გემის სახელს მაინც ხო გავიგებ და, – რაც მთავარია, მოვუსმენ და თან რამდენ საოცრებას ვნახავ...

2011 წლის 20 ივლისი

მინაწერი: და ეს არ დამავიწყდეს, – ის ოთხი ცხენი მოუთმენლად სცემდა ნალიან ფლოქვებს ქვაფენილზე და სულ ნაპერწკლები ცვიოდა აქეთ-იქით...

ბამბალეა და შვლის ნუკრისა

1889 წლის 5 იანვრის „ივერიის“ მესამე ნომერში მართლაც მთლიანად დაიბეჭდა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, რომელსაც თარიღად 1885 წელი ეწერა, მაგრამ სინამდვილეში 1883 წელს იყო დაწერილი.
ამ შედეგის თავგადასავალი მარტო იმით კი არ მთავრდება, რომ ყველა წამკითხველს ბავშვობიდანვე აედვეგნება ეს შვლის ნუკრი და თავს აღარ დაანებებს, არამედ იმითაც, რომ, როგორც პოეტი ტარიელ ჭანტურია ფიქრობს, ჩვენი შვლის ნუკრის ამბავი „უაილ ვეიტ შოუს“ გურულ მხედრებს ჩუჩრხელასთან და გოზინაყოთან ერთად მეოცე საუკუნის დასაწყისში უნდა ჩაეტანთ ამერიკაში, აქედან უნდა გაეგო უოლტ დისნეის და ის თავისი მულტფილმი „ბემბიც“ სწორედ მაშინ უნდა ჰქონდეს გადაღებული...
საინტერესო ვერსიაა, ძებნად რომ ღირს, ისეთი.

Famous Georgian writer Vazha-Pshavela had earlier published a book called «A Fawn's Tale», about a little fawn whose mother is killed by a hunter.
link - http://tripatlas.com/Bambi,_A_Life_in_the_Woods

(ქართულად) – ცნობილმა ქართველმა მწერალმა ვაჟა-ფშაველამ უფრო ადრე გამოსცა ნიგნი, სახელად „შვლის მონათხრობი“, ამბარა ირემზე, რომლის დედა მონადირემ მოკლა.

აქ წარმოდგენილი და ინტერნეტული ბმულით დამონმებული ფრაზა ამოღებულია სტატიიდან: „ბემბი, ცხოვრება ტყეში“ (Bambi, A Life in the Woods).
თუ სხვა ნიგნებშიც მოვძებნით, შემდეგს დავადგენთ: ავსტრიელი მწერალი, ფურნალისტი და კრიტიკოსი ფელიქს ზალტენი (ნამდვილი სახელი – ზიგმუნდ ზალცმანი) დაიბადა 1869 წლის ექვსს სექტემბერს, ბუდაპეშტში და 1945 წლის რვა ოქტომბერს გარდაიცვალა ციურიხში. დაწერილი აქვს დრამა „ჩიგითი“, ანტიმონარქიული სატირა „მეფეთა ნიგნი“, რომანები „ოლგა ფროგემუტი“, „აფეულრებული ზარი“ და სხვა. მაგრამ ამ მწერალს მსოფლიო სახელი მოუტანა დილოგიამ „ბემბი“ – დრამატულმა ამბავმა, რომელიც გვიამბობს ირმის შვილის, ბემბის ცხოვრებაზე, მის მშობლებზე, შვილებზე და მეგობრებზე. ნიგნის პირველი ნაწილის „ბემბი, ცხოვრება ტყეში“ დაწერა მწერალს შთააგონა 1923 წელს, ალპებში მოგზაურობამ. ეს ნაწარმოები ამავე წელს ნიგნადაც დაიბეჭდა, უიტაკერ ჩეიმბერსმა ინგლისურად თარგმნა, ხოლო 1933 წელს ეკრანიზაციის უფლება სულ რაღაც ათას დოლარად შეისყიდა კინოსტუდია MGM-ს თანამშრომელმა, სიდნეი ფრანკლინმა, შემდეგში კი ეკრანიზაციის უფლება გადასცეს უოლტ დისნეის სტუდიას. ნიგნის ეკრანიზაციია განხორციელდა 1942 წელს. მულტფილმის სიუჟეტი და ემოციური ნყობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პირველწყაროსგან (მართლა ხომ არ სარგებლობდა გურული მხედრების მიერ ამერიკაში ჩატანილი შვლის ნუკრის ამბით უოლტ დისნეი? – ტარიელ ჭანტურიას ვერსია).
„ბემბი“ არის მოთხრობა ეკეთილშობილებაზე, სულის ზრდაზე და გონმობების აღზრდაზე. ნიგნი გვიამბობს ცხოვრების სიძნელეზე იმ სამყაროში, სადაც სიკეთე ვერ იმარჯვებს ბოროტებაზე ჯადოსნური გზით.
„ჩვენ, ირმები, არასოდეს ვკლავთ, მაგრამ ჩვენ უნდა ვუფროლდებოდეთ მათ ძალაში და სიცოცხლის ნყურვილში. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, რამდენიც არ უნდა გამოგვეგზავნოს იმან სიკვდილი. ჩვენ უნდა გავმრავლდეთ, დავიცვათ, გავაგრძელოთ ჩვენი მფრთხალი და ჯიუტი ჯიში, ხოდა დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე... უნდა ვიყოთ გულიანები, ფხიზლები, ფრთხილები, მარჯვეები, მოხერხებულები, მოუხელთებლები, მაგრამ არასდროს – ლაჩრები. ასეთია ცხოვრების დიადი კანონი“.
1936 წელს ნიგნი აკრძალა ადოლფ ჰიტლერმა, ხოლო ორი წლის შემდეგ, როცა ავსტრია გერმანიამ დაიპყრო, ზალტენი ციურიხში გადავიდა, სადაც 1939 წელს დაწერა თავისი მთავარი ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული ნანარმოების გაგრძელება „ბემბის შვილები“. თუმცა უოლტ დისნეის და ვაჟა-ფშაველას შესახებ გამოთქმული ლეგენდები მარტო „ბემბისა“ და „შელის ნუკრის ნაამბობის“ ერთიერთმიმართების ძებნით არ ამოიწურება, ზოგიერთ ნიგნში ასეთ რამესაც ამოიკითხავთ:

„უოლტ დისნეის რომ ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ბუნების მგოსნები“ წაუკითხავს, ასე ნამოუყვანია: „ეინ არის და სადაურია ეგ გენიოსი! რატომ არაფერი ვიცოდი ამაზე!“

რამდენიც არ უნდა ეძებოთ, – კონკრეტულად სად და როდის თქვა უოლტ დისნეიმ ეს ფრაზა, ვერსად იპოვით...

ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲠᲘ

ძველი დარდი ერთ სტენად

მონანილეობენ: *ვაჟა-ფშაველა, ანიკო კობიაშვილი (მონაწილეობის და), ნინო ვაშაკიძე-ციციშვილი (მონაწილეობის ფა), შიო ბლვიანელი (ბულთაფლიანინ), სანდალა (სანდრო რაზიკაშვილი, ვაჟას უმეტრონი ძმა), ქიშმიშელა (ნუტაკავი, ეს ვიღაა?..), საკრამენტო (არც ეს ვიცით. ისე კი, Sacramento იტალიურადაც და ესპანურადაც „საიდუმლოს“ ნიშნავს).*

მოქმედების დრო და ადგილი: *1915 წლის ივლისი, ოფიცერთა პალატა სამხედრო ლაზარეთის, ახლანდელი უნივერსიტეტის მესამე სართულზე, ოფიცერთა განყოფილებაში.*

(ისმის შორეული გრუხუნი.
შემოდის ნინო და ღიმილით უყურებს ვაჟას, რომელსაც ლაზარეთის თეთრი სამოსი აცვია და ჭერში იყურება).

ნინო – ჯერ ისევ ქალი ვიყავ გასათხოვარი. მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს სოფელ სხლოვანს, გარეთ, დერეფანში გვეძინა. შუაღამე იქნებოდა, დგანდგარი, ბრდგანილი დადგა ისეთი, მეგონა, მთა-ბარი თუ იქცევა-მეთქი. შაშინბუელი ნამოვჯე ლოგინში. გავხედე და მთელი ცა განათებული იყო *(სტენა ნათდება).* ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო ნამოსული: ერთი ჭიაურის ტყიდან, მეორე – სხლოვანის გორიდა. გადაბმულები. ზედ ცეცხლის ბალღები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ, და ისეთი მნკკპრ ხმაზე გალობდნენ, ისე ტკბილად, – ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყური.

(ისმის გალობა, შემდგომ პატარა ბავშვები თეთრი სამოსით. ერთი წაიქცევა და ატირდება).

ვაჟა – ახ, საკრამენტო!.. *(მიირბენს და წაქცეულ ბავშვს ნამოაყენებს).*

(შემოირბენს საკრამენტო მთიბავის სახით, ცელს მოიქნევს და უცნაური სიცილ-ხარხარით მიერეკება ამ ბავშვებს).

ვაჟა – სად მიერეკები, სადა?

საკრამენტო – სადა და, ჯანდაბაში! ცეცხლი ბალღების დროა?!

ვაჟა – ეს დედაჩემის ხილვა იყო, ჩემი გაჩენის წინ ნახა.

საკრამენტო – კარგი ზღაპრების მოყოლა იცოდა ფხიკლეი გუულანმა!

ვაჟა – ეს სურათი მეც მინახავს, მეც!

საკრამენტო – შენ თვალებზე თმა გქონდა ჩამოფარებული და რა უნდა დაგენახა?

ვაჟა – იმიტომ, რომ ქუდგდიანი გავჩენილვარ...

საკრამენტო – ნაადი, დანეკი! ძლიეს დგახარ ფეხზე. სული რომ შეგიბერო, ნაიქცევი...

ვაჟა – ახ, საკრამენტო!

(პალატის კუთხეში დგას თეთრი სანოლი, რომელთანაც ვაჟას მიაეიერეს ნინო და დაანვეს. სანოლის გვერდით ტუმბოა, სადაც შავი ღვინის ბოთლები ანყვია.
შემოდის მედდა ანიკო, სანოლთან მიდგმული სკამზე ჩამოუჯდება ვაჟას, წამშრომს დაიჭერს და, სანამ ვაჟას ცხვირთან ყურს მიიტანდეს, ერთ ღვინის ბოთლს აიღებს, საკოს უხმაუროდ მოხდის და პირდაპირ ბოთლიდან სვამს).

ანიკო – ერთი... ორი... სამი... ოთხ... ხუთ... ექვს... შვიდ... *(ითვლის ვაჟას სუნთქვის სიხშირეს).*

ვაჟა – აი, გიშველოს ქიშმიშელამა!

ანიკო – *(ბოთლს საკოს დაუეიერს და სხვა ბოთლებთან დადგამს. შეშინებული)* გეკვიანთ?

ქიშმიშელა – *(შემოდის მოხდენილი ქალპატონის სახით)* დიდი ხანია, ასეა?

სანდალა – *(თან შემოყვება)* ჩარგალშივე იყო ცუდად და, ჩემთან რომ ჩამოვიდა, მაშინაც მარცხენა ფეიდს იტკიედდა.

შიო – *(თან შემოყვება)* 23 მაისს რომ საიუბილეო საღამო გაუმართეს, მაშინაც ავად იყო.

ნინო – სუუუ... ავადმყოფი არ გაადეიძოთ!..

სანდალა – *(წურწურალთ)* ის საღამო რომ დამთავრდა, ორთაჭალის ბაღში დიდი ქეიფი გაუმართეს...

შიო – ეს ავადმყოფი კაცი ჩოხის ამარა წაეყვანათ...

სანდალა – იმ ვახშმიდან მეორე დილას დაბრუნდა და, რომ შეეკეითხე, რად დაიგვიანე-მეთქი?..

ვაჟა – *(თავს ნამაოსნევს, გაჯავრებული)* წამაბრიეე, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაცივეს!.. *(თავს დადებს და ძილს განაგრძობს).*

ანიკო – *(უკმაყოფილოდ)* თვლა ამერია! ჩუმად!.. თუ შეიძინება! *(თავიდან ინყებს თვლას და ვაჟას სუნთქვის მოსმენას).*

ნინო – ჩუუ...

ქიშმიშელა – *(ჩურჩულით)* მერე?

სანდალა – მერე ჩემთან იწვა და...

შიო – ხუთ ივნისს ოპერაცია გაუკეთა ქირურგმა გრიგოლ მუხალიძ...

ნინო – იმ ოპერაციაზე ბატონი გრიგოლის დამხმარე ვიყავი...

ქიშმიშელა – როგორ ჩაიარა?

ნინო – კარგად... *(პაუზა)* დიდძალი წყალი გამოუვიდა გვერდიდან.

სანდალა – ამის მერე თავს უკეთ გრძნობდა.

შიო – ექიმი ივანე გომაძრთელი იარებოდა და ვაჟას ჯაანმრთელობაც გაუფჯობესების გზას დაადგა.

ქიშმიშელა – *(ბაშს უკრავს)* ვაშა! ვაშა! და კიდევ ვაშა!

ანიკო – თუ შეიძლება, ჩუმად-მეთქი! ისევ ამერიკ! *(კიდევ თავიდან იწყებს თვლას).*

ნინო – სუუუ...

შიო – *(ჩურჩულით)* წერილიც კი მისწერა ჩარგალში ოჯახობას...

ვაჟა – *(თავს წამოსწევს)* ჩემო ჯალაფნო! *(პაუზა).* ამას წინად წერილი გამოგიგზავნეთ და არ ვიცი, მოგიიდათ თუ არა. მე დიდი აკადრა და მწუხარება გამოვიარე, ხოლო დღესდღეობით კარგადა ვარ, მაგრამ ექიმები წამოსულის ნებას არ მაძლევენ. ამ წერილს ნიკოს ვატან და ყველაფერს დაწერილებით გიამბობსთ... *(პაუზა).* მე ამ ცხრა-ათ დღეში გამოვჩნდები მანდა. თქვენ იცით, მანდაურობას როგორ შინაახავთ და გაუფრთხილდებით. თამარო...

სანდალა – თამარო მეორე ცოლია...

ვაჟა – თამარო, სათიბეებს უფრთხილდით, თვალი უნდა დაავლო ჩქარ-ჩქარა, თორო ხომ იცით ეხლანდელი ხალხის ამბავი.

შიო – მიკვირს, საკრამენტოს რომ არ ამბობს...

ნინო – საკრამენტოს რაგომ?

სანდალა – რა ვიცი, როცა გაბრაზდება, სულ საკრამენტო და საკრამენტო გაუდის...

ვაჟა – აბ, საკრამენტო!

ქიშმიშელა – აჰა!

სანდალა – და, თუ კაი გუნებაზეა, დაგლოცავს, – აი, გიშველოს ქიშმიშელამაო...

ქიშმიშელა – მართალს ამბობს...

ვაჟა – წისქვილი მაშინებდა, იქნება წყალმა წაიღო და ნიკომ მითხრა, – ბეკურმა გაამაგრაო.

ქიშმიშელა – რომელი ბეკური?

სანდალა – ჩარგალელი მეზობელი, ბეკურ ბაჩიაშვილი!

შიო – ... ვისთანაც სანახევროდ აქვს ვაჟას წისქვილი! ეგ როგორ არ იცი?!

ვაჟა – *(იკრინტს)* აბა, შანაყარი და მოურავი მაგისთანა უნდა! რო მოვალ, ერთი დიდი მენდალი უნდა მოუტანონ წადი-მოდისა. *(პაუზა).* მარადის თქვენი ერთგული ვაჟა. 1915 წლის 11 თიბათვე *(იძინებს).*

სანდალა – მერე ისევ სიცხემ უმატა...

ქიშმიშელა – ვაი!..

ნინო – ოხუთმეტ იელისს... აი, ძალიან ცხელი დღე რომ იყო...

შიო – პაპაანაქება! პა-პა-პა!..

ნინო – მეთოთხმეტე ქართული ლაზარეთის უფროსმა მითხრა...

ქიშმიშელა – ვლადიმერ მახვილაძემ?

ნინო – ჰოო, ბატონმა ვლადიმერმა წინადადება მომცა, წავსულიყავი ვაჟა-ფშაველას ლაზარეთში გადმოსაყვანად. თან სანიტრები და ეტლიც გამატანა.

შიო – ეგ ხო ისედაც ვიცი!

სანდალა – სუუ...

ქიშმიშელა – მე არ ვიცი, მე მითხარი...

ნინო – *(ჩურჩულით)* ვაჟა-ფშაველა ინვა თავის ძმასთან, ვერაზე.

შიო – მლეთის ქუჩა, ნომერი ცხრა!

ნინო – მძიმე მდგომარეობაში იყო და მეტად შეუფერებელ პირობებში...

სანდალა – რა ქქნა, რა ვუყო, ვიწროდ ვარ, ვიწროდა...

ნინო – პატარა ოთახში, საშინელ და მოუწყობელ კუთხეში...

ქიშმიშელა – მერე?

ნინო – ძალიან შევწუხდი!..

ქიშმიშელა – *(ბოლს)* დიდი პოეტი, რომლის ლექსებსაც ზეპირად სნავლობენ, მძიმე მდგომარეობაში დახვდა და შეწუხდებოდა, აბა, რა?!

ნინო – სანიტრების საშუალებით ჩვენი დიდი მგოსანი ეტლში მოვათავსეთ და სასწრაფოდ გადავიყვანეთ ლაზარეთში. ოფიცერთა განყოფილებაში, დიდ და ნათელ პალატაში.

(ისმის გაბშირებული სუნთქვა. გულის ცემის ხმა).

ნინო – *(ზანგრრების რეკულში იყურება)* ტემპერატურა – დილით 37, 2. შუადღით – 38, 5. საღამოს – 38, 3.

შიო – ეს თექვსმეტ ივნისს და ჩვიდმეტში...

სანდალა – *(ზეპირად ამბობს, ნინოსთან ერთად)* ჩვიდმეტში დილით – 37, 9. შუადღით – 37, 2. საღამოს – 38, 7.

ქიშმიშელა – ექიმთა კონსილიუმი იყო?

შიო – იმ საღამოსე შედგა კონსილიუმი. ექიმების: სპირიდონ ვირსალაძის, ივანე გომაძრთელის, გრიგოლ მუხალის, ვლადიმერ მახვილაძის მონაწილეობით...

ნინო – *(კითხულობს)* დასკვნა: მარჯვენა გვერდში წყალი კვლავ ჩასდგომია. ისე, როგორც პირველი ოპერაციის წინათ იყო. კონსილიუმი დაინიშნოს ორ დღეში ერთხელ. მორიგი კონსილიუმი შედგეს ცხრამეტ ივნისს, პირველ საათზე, გადასაწყვეტად იმისა, თუ როგორ გამოიდევნოს სხეულიდან წყალი, ოპერაციით თუ წამლობით.

ვაჟა – არა, ეგ არა!.. ეგ არ მინდა... ჩემი ეთეროს წერილი წამიკითხეთ...

ქიშმიშელა – ნაუკითხეთ!

სანდალა – *(ამოიღებს კონვერტს, გაშლის და კითხულობს)* ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბიძა! მამა ამოვიდა და გვითხრა თქვენი ავადმყოფობა. ჩვენ არ გვეგონა, თუ ისე ძალიან ავად იქნებოდით, მამამაც იმიტომ დაადგიანა. ეხლა კი ღმერთმა გვაღირსოს როგორც გულქანი, ისე შენი სრულებით გამოჯანსაღება. „თეატრში და ცხოვრებაში“ ვნახეთ თქვენი სურათი, სადაც მიწერილი აქვს – ბავშვების ნახვა უფრო ასიამოვნებსო და მეც ვიფიქრე, იქნებ ჩემს მაგივრად წერილს რომ გაკეთებ ზანი, იმანაც ასიამოვნოს და გადავწყვიტე, წერილი მომეწერა. მაგრამ რა მოგწერო? ვაითუ, შეგანუხო ბევრით და ქალალდიც კი არ დაიტევს. ჩვენ ყველანი კარგადა ვართ. ამას მამაც გეტყოდით. მხოლოდ, ძია, ეხლა როგორ გრძნობ თავს და ჩვენ სოფელს რიგი გაგვიდნიერებ შენის მოსვლით მშვიდობიანად? თუ მკითხავთ, რას აკეთებო – სულ ყველაფერს და თანაც არაფერს, ესე იგი, ეხლა კი ვმუშაობ, რაც შემიძლია, მაგრამ მერე რა გავაკეთო, არ ვიცი. მამას დავაბარე, ერთი ადგილი მიმოვნე სადმე მეთქი ქართველ საზოგადოებაში და, არ ვიცი, მარილია თუ ტყუილად, ვერ მიშოვა. ასე რომ, არ ვიცი, რა ვქნა. ნინა როდისეა უნდა მოგამზადოთ? მოკითხვა ყველასგან დიდი სიყვარულით. *(აუზა)* მართლა, ბიძა! თუმცა კი ეხლა დრო არ არის, მაგრამ დაპირებას ასრულება არ უნდა? ოქროს საათი რომ დამპირდი, არ უნდა ამომიტანო? სწორედ ეს კარგი მომაგონდა, თორემ ჩვენსა აღარც კი ამოხვიდოდი. ეხლა კი მეტი ჯანი არ არის, უნდა მოხვიდე. გაკოცებ მრავალს. თქვენი მოსიყვარულე ძმისწული, ეთერი. მკათათვის ჩვიდმეტი. 1915 წელი.

სანდალა – რაც მთავარია, ოქროს საათი არ ავიწყდება!

ნინო – ივნისის ცხრამეტი. ტემპერატურა – 38, 0.

შიო – შუადღეით – 38, 4.

სანდალა – საღამოს... ახლაა საღამო... ტემპერატურა – 38, 5.

ანიკო – ორმოცდათოთხმეტი! *(რვეულს აიღებს და იწერს)* სუნთქვა – ორმოცდათოთხმეტი.

ქიშმიშელა – ნუთში?

ანიკო – ჰო.

ქიშმიშელა – *(საათს მოიმარჯვებს, ცდილობს, წუთში ორმოცდათოთხმეტი ისუნთქოს, თავბრუ დაეხვევა)* ძალიან ბევრია!

ანიკო – *(ახლა მაჯას უსინჯავს და ისევ თვლის იწერს)* ერთი, ორი, სამი...

(შემოდის ნინო. ხელში მიჰყავდა სანდალა და შიო).

სანდალა – რაო?

შიო – რა თქვეს?

ქიშმიშელა – *(ტირის)* ალბათ, კარგი არაფერი...

ნინო – *(რვეულს აიღებს და შიგ წერს, თან ხმამაღლა ამბობს)* დასკვნა: თავიდათავი საკაკივარი ამოკმად მარჯვენა გვერდის სველი პლევრიტია. ექსუდატი აღწევს პლევრის სიღრუის სულ ზეკითა საძღვარს. მარცხენა გვერდში სიხთნის ამოცლის შემდეგ ახალმა სიხთეშ სწრაფად მოიყარა თავი სისხლის მილებში. ღვიძლსა, თირკმელებსა და ტყორშში ავადმყოფს ქრონიკული ცვლილებები ემჩნევა. დიდი სისხლნაკლულობა აქვს და მისი ორგანიზმი მეტად დასუსტებულია. ავადმყოფის სუნთქვისა და გულის მოქმედების სისწორე ნორმაზე მეტად არ არის დაშორებული. სიხთეს ჯერ ჯერობით არ იღებენ.

შიო – *(ისევ ატირდება)* სველი... სველი პლევრიტიო...

ქიშმიშელა – დი... დი... ექსუდატიო!

შიო – თანაც ტყორშიო!

სანდალა – ჰო, გაზეთები ერთ ამბავში არიან...

ნინო – ჩუუ!.. არ გაადვიძოთ!

ანიკო – კარგი რა, რა დროს ტირილია! ისევ ამირიეთ დათვლა!

შიო – ექსუ... ექსუ... მერე როგორო?

ქიშმიშელა – დატოო... დატოო!..

ვაჟა – ახ, საკრამენტო, შიო! საკრამენტო!

შიო – თუ ქიშმიშელა?

ვაჟა – საკრამენტო-მეთქი! საკრამენტო!

შიო – ჰოო?

ვაჟა – ჰო.

შიო – აბა, სადა?

ვაჟა – აგერ, რომ თიბავს და თიბვით რომ მოიწევს აქეთა!

(ისმის თიბვის ხმა – ცელის პირზე შრიალით წვება მაღალი ბალახი და ეს ხმა ზუმ კენწლას წაგაგავს).

ქიშმიშელა – ეჰ... წავალ, ხმამაღლა უნდა ვიტირო სადმე... *(გადის).*

ვაჟა – ნინ მოიწევს!..

(ისმის გამალებული თიბვის ხმა).

შიო – *(სანდალას)* ეს ვინ არის, ხომ არ იცი?

სანდალა – მე არა, შენ?

შიო – არც მე...

სანდალა – მე შენი ნაცნობი მეგონა.

შიო – მე კიდევ – შენი...

სანდალა – არა, ჩემი არა.

შიო – არც ჩემი...

სანდალა – აბა, ვისია?

შიო – მე რა ვიცი...

(გაკვირვებულები უყურებენ ერთმანეთს).

ვაჟა – აი, გიშველოსთ ქიშმიშელამ!..
სანდალა – იცოცხლე!
ვაჟა – დაგიფაროთო საკრამენტოსგანა!..
შიო – შენც დაგიფაროს!..
ვაჟა – ყური მიუგდეთ... გესმით?
შიო – რა?
ვაჟა – ნაქცეული ბალაბის სევდიანი შრიალი...
შიო – ჰო, თიბავს!
სანდალა – *(დაყურადებს)* კი მთიბველი კი ჩანს...
ვაჟა – მთიბველი მთიბველია, არც კარგია და არც ცუდი...
შიო – ჰო.
ვაჟა – მე კიდევ ბალაბი ვიყავი, ბალაბი... ცელობა არცა მწადდა და ნაქცეული თანამოძმეების ჩუმი კვნესა ჩამეესმოდა სულ...

(ბალაბში თიბვა-თიბვით შემოდის საკრამენტო. შეჩერდება, ცელს წვერწამახული ტარით დაადგენს ძირს და ცელის პირის გაფხაკვებას იწყებს ჯიბიდან ამოღებული ალესვასავით, – გალეულ ქვას აქეთ-იქიდან ულვაშს სისხლიან რკინას და შხივილ-შხივილით ავსებს მთელ პალატას.
ცელმლის ბალღები აღარსად ჩანან.
ძველი დარდის დასასრული).

მარიამიოხა ღამისა
ციკლიდან: „მოკლე ჩანახატები დიდი კინოსთვის“

წუხელ ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრები შემხვედნენ და, – შენი ახალი ნიგნის განხილვა უნდა მოვაწყოთ ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიაში, ჩვენ წავალთ, გავეშზადებით და ამა და ამ საათზე დაგინეყებთ. დროზე მოდი, არ დაიგვიანო შენებურადო. კარგი-მეთქი.
მოვედი მამაჩემთან, – ასე და ასეა საქმე, მანქანა უნდა მათხოვო, რომ უნივერსიტეტამდე მისვლა მოვასწრო-მეთქი. თან მერიდება, მაგრამ მიგვიანდება, საათის ისრები ულმობლად უახლოვდება იმა და იმ საათს.
კაი ხანს დუმს. ეტყობა, გვარიანად შეფიქრინდა, – ახლა მე რომ ამას ვათხოვო, ტარება არ იცის და, ვაითუ, გამიოხროს და გამიტბიალოს მანქანაო. არადა, ამხელა კაცია და უარი როგორ ვუთხრაო? ეჰ, ისევ ის მირჩევნია, რომ თავად წავიყვანოო...
მაგრამ მე აღარ დავაცადე ამ ფიქრის დამთავრება, – კარგი, აღარ მინდა-მეთქი!
როგორ თუ აღარ გინდა, ვერ მიასწრებ, შვილო, – დედაჩემმა დამიჭირა მხარი და ქმარს შეუტია, – ადექი, ნუ გეზარება! წაიყვანე ეს ბიჭო!..
ვის ეზარება, ქალოო?!
შენსო!
შენ ენა დაიმოკლე, თორემო...
აღარ მოვუსმინე იმათ ჩხუბს, წამოვედი გაბრაზებული. მოვდივარ, მიგვიანდება – საათს ვუყურებ და დანიშნული იმა და იმ საათს გვარიანად გადასცილდა. ალბათ, უკვე დაინყეს ის ჩემი ლიტსალამო, მალე ისიც შემოგვიერთდებაო.
ფეხს ვუჩქარებ.
ფიქლით გადახურული, მაღალი კოშკებია და იმათ ხავსიან კედლებში ვინნრიდ სავალი გზაა, ძონმადრომით სასიარული. აქ უნდა გავიარო და, გავეტევი თუ არა, ამისი ფიქრის დროც აღარ არის.
მივმვრები, მივუყვები ამ კედლებს და ერთგან რაღაც ფარსაგიდან გამოშვერილ ნვეტიან ქვას ზედ შევატოვე ჩემი მარვალი და იმისი შიგნითა ამხანაგი... შარვალი აღარ გამოდგება, ფხრწანანთ გაიხა და აღარ ნამოვიღე. აი, ამ შარვლის ამხანაგს რა უჭირს ვითომ? ამას ჩავიცემამ და ისე მივალ იმ ლიტსალამოზე, ვითომ პლაჟიდან მივსულვარ. მოვკიდე ხელი და თან გამოვიყოლე იმ კედლების ბოლოებამდე, რაკიღა იმის ჩაცმას იქ ვერაფერით მოვახერხებდი. გამოვცდი იმ კოშკების და დაღმაროს დავადექი მიმოხვეული ბილიკით, რომლის მერე დაბურული ტყით დაფარული ჭალაა – უშველებელი ხეებითა და რაღაც ჩაუნვდომელი, საშიში იდუმალებით არის სავსე. იქიდან მდინარის შხეილიც ისმის და, ალბათ, აქაფებული ტალღები შეუჩერებლად ანყდება შემოჯარულ კლდეებს.
სანამ იმას ვფიქრობ, რაკომ არის ეს იდუმალება ეგეთი საშიში და თან მოსაკრძალებელი, აღარც იმ ჩემი შარვლის ამხანაგის ჩაცმა მაგონდება და ფეხებზე ბათინკებით, წელსზემოთ კიდევ მუქლუფრენ ჯეკმპრით ვეშვები იმ დაღმართზე. მაჯაზე შებმულ საათზე აღარც ვიყურები, – იმა და იმ საათს კაი ერთი საათი და რაღაცა წუთები გადასცილდა უკვე. მოვდივარ ეგრე დაბლა და ქვემოდან სამი ტურისტი მოდის, სამივე ქალი და, რაგინდ უცნაურად მოჩანდეს, სამივე ქერათმიანი. დემი მური არც ერთი არ არის, მაგრამ ერთი გამხდარია და საამოდ საანახვინი, სწორედ ეს მომწერებია ყველაზე დაკვირვებით წელს ქვემოთ და, თუ ის ორი ქალი თავის ენაზე კისკისით დამცინის, ეს აღფრთოვანებულია და უკან მომდევს...
ნეტავ, დროზე მაინც ჩამეცვა ეს ჩემი გადარჩენილი შარვლის ამხანაგი... აბა, ახლა როგორღა უნდა მოვასწორო, რომ არ დამცინონ? და, მართლაც, სულ ამათ სტეენა-კისკისში და ტაშის დაკვრაში ვიცმეევ...
ეგ ჩაიცვა კი არა, წამოდი ჭალის ტყეში და მარტო ბათინკებით დაგტოვებო, – საამოდ სანახავი ქალი მეუბნება და მაცდურად მიღიმის.
აი, ანკეთიც გადმომიგდო და გამაღიზიანა, – არ მიყვარს, ქალიდან რომ მოდის ინიციატივა...
წამო, წამო, მაგ უშარვლოს დრო სად არის, იმხელა მთა გვაქვს გადასავლელიო, – ეხეევნებიან თანამგზა-

ვრები, – ვერ უყურებ, რომ ვილაცა გიჟი და არასმქონეიარ?! შარადალამიხეული მაინც ყოფილიყო, ხომ ხედავ, რომ სულ მთლად უშარვლოდ არისო!..

რას ამბობთ, სწორედ ამ უშარვლო გიჟის საძებრად ვარ წამოსული და არა მაგისი ქონებისაო, – უცხო ენაზე პასუხობს ჩემი საკარაულო პარტნიორი და მოლოდინით შემომყურებს.

ეგეთი მოლოდინი კი ძალიან ბიყვარს. თანაც, ჩემი დასაწერი რა აქვს, უნიფორსტატების ლიტსაღამოზე მაინც უიმედოდ დავიგვიანე და ეს კარგი ქალი ცინაზე შემრჩეს...

ჩაკვიდე ხელი და დაბურული ჭალის ტყისკენ მიმყავს. რა კარგიაო, – სულ სიცილ-კისკისით მომდევს და წინ გადასწრებასაც ცდილობს, რომ იმან მატაროს თავის ჭკუაზე.

კი, აბა, კი, სულ მაგას არ ვოცნებობდი?!

უკან ხვეწნით მოგვდევს ის ორი ქალბატონი, – აჯარ რა... რა დროს ეგ არისო... ჩვენ ხომ ბევრი უნდა ვიაროთ, რომ გავხდეთო...

იაროთ კი არა, აი, ამისთანა კაცი უნდა შეიყვაროთ და გაბდეთითო, – სიცილით აჩიგებს იმათ ჩემი თამამი პარტნიორი და იქვე მოწყვეტილ ვვირილას ფურცლავს – ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ; ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ...

არ გიცნობ და როგორ უნდა მიყვარდე-მეთქი? – ვუბღვერ.

დიდი ხანია მიცნობ. აი, ჩემი „სი-ვი“ ბახეო, – ზურგზანთიდან ლეტბოთს ამოიღებს, გახსნის, ჩართავს და გამომიწვდიხ.

დავყურებ იმ ლეტბოპის განათებულ ეკრანს და უცხო ენაზე დანერილ ბიოგრაფიულ ცნობებს ეკითხულობ გზადაგზა. თავად კი შემოხვევით ისარგებლა და წინ მიმიძღვის.

ამას კანდაფში ჩქონია ხნიერი ქალბატონების სასტუმრო ყველანაირი მომსახურებით-მეთქი, – ეიფიქრე და მპასუხობს:

ჰო, მე სწორედ ის ვარ, რამდენიმე წლის წინათ რომ მიგიწვიე ჩემს სასტუმროში და თვეში ათას ხუთას დოლარს დავპირდი, თუ ხანში შესულ ქალებს მოემსახურებოდი ღამეებმობითო.

მერე, ჩემი უარიც ხომ მიიღე-მეთქი?!

მივიღე და მაშინ მივხედი, რომ შევცდი. ჩემთვის მდომებიხარ. ახლა ვეღარ მოვითმინე და იმიტომაც ნამოვედი შენს საპოვნელადო...

ამასობაში მივედით იმ დაბურული ტყის შუაში მდგარ, ფიქალით გადახურულ ფარდაზთან, – ფანჯრები არა აქვს, კოხტად გაშლაშინებული კოჭებით არის აგებული და თან თითოს გამოტოვებით – კოჭსა და კოჭს შუა ჰაერი გადის თავისუფლად. კარის მაგიერ ცარიელი ადგილია დატოვებული.

ამ დროს მზემაც ჩამოიხედა, გაანათა დარბაზი და იმის შიგნით ზოლებად გამოაჩინა გრძნეულის თვალებიანი, თეთრთმიანი მოხუცი ქალი...

ეს ქადაგი ქალია და აქ რომ მოგვიყვანა-მეთქი, – გამისკდა გული...

ეს ჩემი კანადის სასტუმროს მეპატრონე ქალი ეხვეწება იმ ფუღ-ღილებიან ქადაგს, – ცოტა ხნით მოგვაქირავეთ, ქალბატონო, ეს თქვენი სახლი და კაი საფასიოს გადავიხდიო.

რას ამბობ, სულ გაგიჟდიო?! – გაოცებას ვეღარ მალავენ მისი თანამგზავრები, – ამას როგორ ეუბნები, შენ ხომ ამ კაცსაც მოიყვავილებ და მერე ჩვენისთანებს გადმოუგდებ თვეში ათას ხუთას დოლარადო?!

ქადაგი კიდევ უძირო ტბებივით ლოყრაგდ მოკამკამე, თითქოსდა ნაცნობი თვალებით უღიმის, – აქ მოსვლის საფასური მხოლოდ სიყვარულია, ნამდვილი სიყვარული და, აბა, ცოტა ხანს მოიითმინეთ, ბაგონი რას იტყვისო...

გამოცურდება იმ სახლის კერიის ქვემოდან მკლავის სიმსხო გველი. მთლიანად მუქად ლუოჯვი ფერი აღევს და, თუ დააკვირდები, შავად გადახატულ რომბულ ორნამენტებსაც გამოარჩევ იმის სხეულზე. იმ რომბებში კიდევ პატარ-პატარა ჯვრები ახატია წერილი ხაზებით.

წამოიწევს ეს გველი იატაკიდან, ჰაერში იწყებს მოძრაობას და გასასვლელისკენ მოაქვს თავი. ჩვენ თითქოს არც გვიყურებს.

ქერათმიან ქალბატონებს ფერი აქვთ დაკარგული და ჯერ ენები ჩავარდნიათ...

ქადაგი ნინ გადაუდგება მუქ ლუოჯ გველს, – აქედან ნინ ნახვალ, უფრო მეტად შეაშინებ სტუმრებსო. გველი უკან ბრუნდება, კოჭებსა და კოჭებს შორის დარჩენილ ადგილებში მიძვრება, საკვირველ ოთხკუთხედებად დატეხავს სხეულს, ასე ადის ფიქალის სახურავის ზემოთ და მერე ჰაერში გაქრება.

კიეველთ გარშიან ქერათმიანი ქალბატონები...

ცოტა ხნის მერე აქცენტდასმული ეაღრიკით ჩემს თვალებში გამეორდება კოჭებსა და კოჭებს შორის ოთხკუთხედებად გაკალკანილი სხარტი სხეული.

თავზარდაცემული ვდგავარ მუხლებზე და გამალებულ ბოდიშებს ვიხდი, – არ ვიცოდი, თუ პატრონთან მოვდიოდი-მეთქი.

ქალ-ვაჟის ერთად ყოფნა უყვარს ჩემს ბატონს და იმიტომ დაგითმოთ თავისი დარბაზიო, – ქადაგი მეუბნება და თავეუდმოგლეჯილ გაქცეულ ქალბატონებს სინანულით გაჰყურებს, – მაგრამ მაგათ ხომ არც რა სიყვარულ-ნანლონისა გაეგებათო, – და ფუღ-ღილ-მძივების ყლარუნ-ყლარუნით მიდის... სანამ გვიღვიძებდე, ეს ყლარუნ-ყლარუნი ჩამესმის სულ...

გაღვიძებულზეც...

ჯერ ეს ჩავიწერე, მერე ეკლესიაშიც დავანთე სანთლები, რაკი იმ ქერათმიან ბაცდურს გადავურჩი, და უკვე ის დროა, მარიამობა მოგალოცოთ ყველას, ამ ჩანაწერის წამკითხველსაც და აონმკითხველსაც, გამგებსაც და ვერგამგებსაც...

აი, როგორი სიზმრები სცოდნია ვაჟა-ფშაველას ბევრ კითხვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

დავიბადე ამა და ამ წლის მაისის თვეში. თვეს ვაზუსტებ იმიტომ, რომ მიყვარს, წელინადის და ზუსტება არ მომეთხოვება. დამადების თარიღი, ხშირად ისევე არ ჰგავს ადამიანს, როგორც პასპორტის სურათი, რომელიც უხასიათო გიჟის ნახატივით ამახვილებს და აძლიერებს ნაოჭს, მეჭეჭს, ცხვირის კუხს. და ა.შ. კანის ფერი, თვალის სინათლე, თავის ტკივილი ფოტოზე არ ჩანს.

ბავშვობაში ყველაფერს ვრითმავდი, მუსიკა მიყვარდა და ჩემთვის ხელმისაწვდომი საშუალებით გამოვხატავდი ამას. ვერლიბრი, ალბათ, თავიდან, უკურეაქცია იყო. მერე და მერე, – ყველაზე შესატყვისი ფორმა ა ზრის გამოთქმის, უა ზრო, ფარფატა მოტივებთან შედარებით.

ჯერ კიდევ 17 წლის რომ ვიყავი, ერთმა ცეკვას მდივანმა ასე შემამკო: „ლია სტურუამ შელახა ქართველი ქალის კდემამოსილება“ .

რამდენიმე წლის მერე ძალიან სოცრეალისტმა, ცნობილმა მწერალმა მითხრა: შენი სტურუაზმებით რყევნი ახალგაზრდობასო.

მაინც, ვნერვდი ისე, როგორც მინდოდა. მერე სურვილი გამიჩნდა, სონეტები დამეწერა. მინტერესებდა, მოვახერხებდი თუ არა, ჩემი თავი ამ ნატიფი, სიტყვათა თამაშზე აგებული, წმინდა პოეზიის ფორმით გამომეხატა.

ახლა, როცა რითმიანი ლექსი შემოვიდა მოდაში, ა ლა ბროდსკი არავითარი სურვილი არ მაქვს, კონვენციური პოეზიისკენ გავიხედო, თუმცა ი. ბროდსკი ძალიან მომწონს და რითმიანი ლექსიც ვუძღვენი, ერთადერთი რითმიანი ამ ოციოდე წლის განმავლობაში.

გამოცემული მაქვს 20-ზე მეტი ლექსების კრებული, ზუსტი რიცხვი ყოველთვის მავიწყდება, ერთიც ესროზა.

მაქვს მიღებული გალაკტიონ ტაბიძის, სახელმწიფო, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიები.

ღმერთს ვთხოვ, ლექსის წერის უნარი დამიტოვოს სიკვდილამდე, რადგან, როგორც ერთგან მინერია დედაჩემზე:

მან არ იცოდა,
თავიდან რომ ლურსმანს ამოვილებ,
მაშინვე მოკვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ჩვენი ვახშამი დამესიზმრა

გვიან დავბრუნდით, წამლის და შიშის
ლორწოთი მიწებებულები ერთმანეთს,
მარტო ფეხებს ვიწმენდდით ცალ-ცალკე,
ერთი ტელევიზორი ინფორმაციას უწვენებდა,
მეორე – სერიალს,
დედაჩემი რეკავდა,
პირდაპირ სისხლძარღვებით კრეფდა ნომერს,
ხელები გაუცვდა ჩემი შვილის მოვლაში,
ახლა მისი ახალგაზრდობა თვალებს ჭრიდა,
მე უფრო მეგუებოდა, გათლილი ვაშლივით.
ლიფტი არ მუშაობდა,
მეთორმეტე სართულის ფანჯრიდან
შენ არ გამიშვი, დანა აიღე
და ჩემი ნივროზის დაჭრა დაიწყე,
როგორც კარტოფილის,
ხახვი უმად იდო,
გუმბათებივით, ჩემი ტირილის გამართლებასავით
გუშინ ეს ვახშამი დამესიზმრა, ისე ტკბილად,
თითქოს არაფერი უკეთესი
არ მინახავს ცხოვრებაში.

ნიშნის მოგეგზა

აჰა, ჩაეშვი, ჩამოვარდი იშკილებიდან?
ახლა ფეხსაც მოგაყოლებენ,
ქვას, ქირქილს, მაინცდამაინც
ოქროს იარლიყების დარიგების დროს?
შენივე ლექსები შეუშვი ვენაში
და იკაიფე, სანამ მართლა
მოგხვედრია ქვა და სისხლი გამოგსვლია,
რომელიც მიკროსკოპის ქვეშ
დუღილს იწყებს
გენებში მელანქოლია, სათვალე,
ინტელიგენტურობა,
აბა, საიდან ეს დუღილი?
შეიძლება, სიგიჟე ცოდნასავით შეიძინო,
ან არეული გულისცემასავით?
შენი ფოტოებიც
მოციმციმე მაჯების პორტრეტებია,
თუმცა, ხელები პირადობის მოწმობაში
არ უნდა ჩანდეს.
სახე ჩაგიქრა?
მაგრამ ეს არავის აღარ აინტერესებს,
თქვენო მარტოობავ!

ლიტერატურა
ბიბლიოთეკა

●

ერთად აღარ ვზივართ მაგიდასთან,
რომ ვუყუროთ, რა მაღალია
ჩაის ჭიქებიდან ამოსული ორთქლი,
რა მონატრებული ლაპარაკი არაფერზე,
სიტყვას რომ დილის ჭირხლი ადევს
და უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე გამოხატავს...
ეკა მეორადი მაღაზიიდან მოტანილ კარადაში
სუფთა სარეცხის სუნს დებს,
ელენე ბგერა რ-ს
შოკოლადივით ღრღნის –
ფრანგულს სწავლობს
ელგუჯა საფლავში წევს,
მე იმ დროს ვიგონებ,
როცა ფანჯარას გავაღებდი
და ოთახი პეიზაჟით აივსებოდა...

სეზანი

ვინ დახატავს ატმების ჟრიალს?
ბატონი სეზანი, რომელმაც
ნატიფი ხელოვნების აკადემია დაამთავრა,
რომელსაც ქუჩაში სძინავს
და თავქვეშ ფეხსაცმელები აქვს ამოდებული,
შია, სითბის აუქციონზე
კი მის ატმებს ჭამენ.
ის არ უყვართ ფერ-ხორცის მხატვრებს
და სინატიფის მასწავლებლებს,
ის ოთხკუთხედია და ნახნაგი სტკივა,
ის ხატავს ატმებს და არა
მათ ხორკლებზე მოარულ შიშს,
სად სცალია ამ მისტიკისთვის,
როცა ფორმის სიმართლეს გაუგო?
აი, ღმერთი რომ დაინახავს,
პირველივეს, რასაც გააკეთებს,
ატმის ჟრუანტელს დაუხატავს,
გადაიბირებს თავისკენ
ვარდისფერხორციანი მხატვრობიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუილის ენერგეტიკა

საგნები ასხივებენ, ადამიანები, მითუმეტეს,
შეგიძლია ეს სინათლე დაინახო?
არც მზე, არც მთვარე,
არამედ სხივოსანი ენერგია!
არავითარი კოლბები და რეტორტები,
ადამიანს ოფლი სდის და ცრემლი,
სუნი აქვს, რომლითაც ძაღლები ცნობენ,
ხუმტურები ლაპარაკის და წერის დროს,
რასაც ხელნერას ეძახიან,
ეს მაღალ სფეროებში,
სადაც სინათლე კაშკაშებს
და ლათინური შესატყვისი აქვს,
ფიზიოლოგია უფრო ხარვეზიან
შუქს იძლევა, ნავთის ლამპასავით,
ტირილი, ტკივილი მონაწილეობენ
თეთრის ჩაყვითლებაში...
დახატე ჩემი სხივოსანი ენერგია
და აღარ მოვკვდები!
თუ მოლეკულებად დაშლა მიწერია,
აკრიფე ისინი, ხორბლის მარცვლებივით,
სინათლე მიეცი შიგნიდან
და უკვდავებისთვის გამიმეტე
გარემომცველ საგნებთან ერთად!

თანაგრძნობა

გახსოვს, როგორ გაასვენეს დედაშენი?
სახანძრო მანქანით,
უკან ცეცხლი მოსდევდა,
რომელზედაც ქვაბები ხტოდნენ –
მშიერი ქალაქის სასულე ორკესტრი...
ცარიელ სახლში
სიტყვებით რომ ვერ გამოთქვი
დარდი, ოთახის კუთხეებიდან
ამოფრიალებული ობობები
გამოიყენე ეპითეტებად...
ვიღა დაგირეკავს ყოველ წუთში,
ზამბარასავით რომ ამოგაგდოს
სიმყუდროვიდან?
საქმიანი გახდა ზარები,
სადღაც გეძახიან,
რაღაცას გთხოვენ:
ინტერვიუს, ლექსებს,
ნეკროლოგს საკუთარ თავზე.
ტელეფონის ძგიდიდან არ ჩანს,
როგორი დეპრესიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდუღარეში გიდგას ფეხები,
ან რამდენ ყინულს ითხოვს
შაკიკიანი თავი.
გახსოვს, დედაშენი რომ
დაგინახავდა,
ლაპარაკს მონატრებული ყელი
ისე უთბებოდა, თითქოს,
ქარვის მძივი ეკეთა...

გურამ რჩეულიშვილს

ისევ ის მარტივი,
სტუდენტურად მშიერი
დღეები რომ იყოს,
კაცი მოდიოდეს ქავჭავაძის გამზირზე
მანქანებზე უფრო მკაფიოდ,
მძიმე ფეხსაცმელების გამო
გამოველაპარაკო, გავაბრაზო,
უნივერსიტეტი აუფეთქდეს თვალებში,
ოლონდ არ ნავიდეს იმ ზღვაზე,
რომელსაც წაგვართმევენ!
აქეთა ზღვა
უფრო მშვიდი იქნება, დამყოლი,
ქვებს კი არ მიახეთქებს,
ისე ამოიყვანს, ყველის გუნდა
რომ ამოყავთ შრატიდან,
ხომ არაფერი,
ჩვეულებრივი საჭმელია ყველი,
სავსე მთვარეს კი გავს...

ტირაჟირება

ზღვას რევმატიზმი მივაწერე –
ბუზების ფრენა სახსრებში,
მთებს ფანჯარა ჩავუკეტე,
მათი პორტრეტები რუკაზე
არავითარ მოულოდნელობას
აღარ გამოაგდებენ:
არც თავის ხერგიანებს მოკლავენ,
არც ჩემს მეგობარ სიგიჟეს,
მაინც რომ დამტოვა,
როცა ბალახის შეჩერებას ვცდილობდი
სალათისფერი ხასხასის დონეზე
(ღრმა მწვანე მტკივნეულია),
უტკივილოდ ვაპირებ ცხოვრებას?
ფანჯრების სტადიაში გადასვლას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდანაც ადამიანები არ ჩანან,
მხოლოდ თეთრი, კბილებიანი დღე
ის რომ თვალებიდან ამომდის,
თავიდან – მისი ტირაჟი.
ამის შეეშინდა, უნიჭო გამრავლების?
რამდენჯერ დაამტკიცოს თავისი დედნობა?
რამდენჯერ შეინვას
ხელისგულზე ერბოკვერცხი, ბავშვის თვალებით?
კი დაეწეოდი, მაგრამ ამხელა ტირაჟს?

●

წვიმა, გადახრილი მარჯვნიდან მარცხნივ,
სიბერწის პოემას ეწერ –
აი, სადაა ფსკერები!
ტკიპები რძეზე, მტკივა,
მშიერი ბავშვები
ბოლომდე ვერ ავაშენე,
ხორცი არ მეყო,
იქნებ, ცოტა სიტყვა, ცოტა კედელი?
(მაინც, ჭამენ)
გახამებული საყელოს რეჟიმი...
მგვანან რამით?
ულერადობით, სინათლის ხარისხით?
ერთხელ ხომ უკვე მოვკვდი,
ცოტა ხნით, მაგრამ ხელები მოვიჭერი,
პირი ამოვიკერე,
ზაფხულის ბალებს
ვერავის თვალებში ვეღარ გადავიტან,
ყველაზე მტკივნეული რაც მაქვს,
ღვიძლით ვიყურები:
შავი ტკიპები რძეში
ყვითლად ჩანან,
ჟანგიანფერი ბავშვები...
ჟანგი ოქროს ნათესავია?
წყალწაღებულ მეოცნებეებს,
მაინც არ მოეკიდება,
იქამდე კლავენ...

ლიტერატურა
ბიბლიოთეკა

მეთორმეტე სართული

ზამთარი მოდის,
ჩონჩხი გამომიჩნდა
მრავალსართულიანი ხერხემალი
მთელ ოჯახებს ჩეკავს,
ნეკნები მტკივა...
გზადაგზა, გადასახადივით,
ვკრეფ ურთიერთობებს,
ნატურით ვიხდი:
მათი დანა, ჩემი კისერი
ადრენალინი, სისხლზე მეტი
მშიერ კუჭზე ღმერთთან შეხვედრა
პურის და თევზის
ლანდების ქროლა
მაგიდას აცდნენ,
რაღა გაასაგნებს?
შევდივარ სახლში
და მოვესუნინან ჰაერს ვეუბნები:
– ჩემო არავინ, როგორ დავიღალე...

●

მთელი ღამე ბამბის ფეხებზე,
დილას მათი ამპუტაცია.
ფანჯრის ხეები, მაცივრიდან ამოღებული,
კალასები და კარუზოები
იმავე მაცივრიდან.
სი ბემოლის შაქარყინული...
მისი ხელი, საბნიდან ამოყოფილი,
ხალიჩაზე მტვერი რომ აგორდება,
სიზარმაცის წინილებივით,
ისეთი შინაური...
მასზე ვიყავი დამოკიდებული,
მაინც წავიდა, სულ ბოლოს
პურზე სისხლს მისვამდა
და მაჭმევდა,
ნაწლავებით ვგრძნობდი სიმართლეს,
იქიდან ვკვივი,
სი ბემოლის წვეროზე ვდგავარ!
ღმერთო, მოუგრიხე კისერი
კობალტს და კინოვარს!
გადაფარე შავი მინა, თეთრი სუდარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაზე ვფიქრობ

რომელი კაცი დაიჯერებს,
რომ ზღვაზე ვარ ფეხმძიმედ,
რომ ამხელა მოცულობის ჩასახვა შეუძლია
ჩვეულებრივ საწოლში?
რა პანიკურად ვცდილობ
ერთი ორი ტალღა გავაჩინო.
ვის მოუნდება მათი მოკვლა,
რა ადგილას ჩაარჭობენ ლურსმანს?
ცრემლის ხელმძღვანელობით
ვფიქრობ ამაზე,
მარილი მიჭამს ფრჩხილებდაკვნეტილ ხელებს
რა სიმწარეა!
წამოვიფოფრები, ერთი ზღვით შემსუბუქებული,
ნერვიულობისგან ფსკერით მოსიარულე,
წყალმცენარეების თმით,
ისეთი აქტიური ენით,
ყელს რომ შემოეხვიოს, მოახრჩობს.
ვის უნახავს ჩემი აგრესია!
მაგრამ შვილები, ის კაცი?
რომელმაც ბოლო ცეცხლი დამახარჯა
და ზღვით მადლობელი ვარ,
ეს გავაგონე,
აკვარიუმი რამდენიმე ჭიქა წყლით
ოკეანეზე რომ ფიქრობს,
ისე დავანახე
დიდი და მტაცებელი სივრცეები,
შიში ჩემთვის დავიტოვე,
ტალღების გაჩენის შესაძლებლობაც,
თუნდაც, გულიდან
პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა გონაშვილი

*დავიბადე 1959 წლის 1 მარტს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიში პატარა გორაკზე, სადაც ერთად იყო სამშობიაროს შენობა, ეკლესია და სასაფლაო – სიცოცხლის, სიკვდილის და მარადისობის ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იმას ნიშნავს, არ წაიჩოქო,
სანამდის ძალა გიდგას მუხლებში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში.
არა მარტოდენ მამულის ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია
იყო პოეტი და იყო ქალი.

სიტყვა

შრიალებს სხეული,
ვერხვივით შრიალებს
წაქცევის შიშით...
იმ ბოლო სიტყვამდე
პირველად, პირველის
ბაგიდან ვიშვით.
ჩემს მკერდთან ეძებეთ
ისარი, რომელიც სამიზნეს ასცდა.
რა ჟამი დამდგარა, ჟამი უჟამური
უსიტყვო კაცთა.

მე მაინც გავრითმე, ლექსებად ვაქციე
სიტყვების ფეთქვა...
მამაო, უსიტყვო წყვდიადში
ვით გასძელ? ან რაი გერქვა?

– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განარჩენი...
ერთი დიდი სიზმარია
ყოველივე დანარჩენი.

სიტყვების ტყე...
სიტყვების ტყვე...
სიტყვა – სეტყვა,
სიტყვა – ტყვია.
ირგებ სიტყვებს, როგორც გვირგვინს
ქვემძრომი და თვითმარქვია,
როცა სიტყვა ტლუთა ტყვეა
იფოთლება ანარქია.

სიტყვა – სული, სიტყვა – სრული...
სიტყვა — სევდა. სიტყვა – დედა.

თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,
დედასავით დამიბერდა.
ერთი სიტყვით,
მხოლოდ სიტყვის
მსახურება დამებედა.

სიტყვა – მკვლელი. სიტყვა – მჭრელი...
სიტყვა – ჭრელი, სიტყვა – ხაზი...
სიტყვა – ნება. სიტყვა – ვნება,
ტკბილი, როგორც ალვახაზი,
ლოცვის მტევნებს დაიმშვენებს
უსიერ ველს უსურვაზი...

– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განაჩენი!
ქარია და სიზმარია
ყოველივე დანარჩენი...

თოჯინების სახელმწიფო

ნეტა, ვისი ხელი გმართავთ
ხისთავიან კაცუნებს,
ხმა უცხოა, რიხი უნდო,
თქვენ ტუჩებს აცმაცუნებთ.
ვერას ხედავთ, ვერვის ამჩნევთ,
ასე ვინ გაგიმეტათ?
და კვლავ ვრჩები გათოშილი
ბელურების იმედად.
ვინ გიწოდათ თოჯინები
შუშისთვალა მაცილებს?
თუ ხისა ხართ, როგორ აფრქვევთ
სიძულვილის ბაცილებს?
როცა წამით ხის კაცები
ხის ტახტებზე ისვენებთ,
რომელ ხისგან გამოგთალეს,
ნეტა, თუ გაიხსენებთ?
რომელ ტანჯულ მიწას შერჩა
თქვენი ძელქვა ფესვები?
თუ წამომცდა, ვაი, დედა,
ზიზღით შემომსევითო.
ან რა ერქვა იმ ფაბრიკას,
თქვენ რომ ასე გაგთალათ?
ზოგი მუნჯი, ზოგი გონჯი,
ზოგი კიდევ ცალთვალა.
დამღა გადევთ უცხოური
ქართულ ხისგან გათლილებს,

ხე ჩემია, ჩემი მიწის,
მე ეს მიწა მატირებს.
ნეტავი თქვენ, კაცუნებო,
თქვენს ფუჭ ფუსფუსს შევნატრი.
თოვჯინების სახელმწიფო.
სახელმწიფო თეატრი.

შურისძიება

თქვენ შემოხვედით და ქარებს ჩემსას,
როგორც სიზმარმა, მუხლი მოჰკვეთეთ,
ის კი, ვინც მართლა მიღირდა ჩირად,
ენამჭევრობდა, როგორც მოკეთე
მიკრავდა გულში, გამვლელ-გამომვლელს
აკრთობდა ჩემი ღიმილი წრფელი,
თვალებში – სხივი-მზეანაწური,
გადამსხვრეული მკლავებზე ნელი.
მე ვნებდებოდი და ამბორს ჩემსას
ერქვა მტრობა და შურისძიება
და ნატერფალზე ჩემი ცრემლები
ამოდიოდნენ მზისფერ იებად.
მე უარგყავით, რადგან მიყვარდით,
დაგტოვეთ, რადგან უთქვენოდ ჩემს დღეს
არ ჰქონდა ფასი,
ტანთ გავიძარცვე დიბა-ატლასი,
ჩავიცვი ხამი ტილო და ფლასი.
ვერ დავივიწყე ვერაფრით მაინც
თქვენი თვალების სილრმე და მწუხრი,
რადგან თქვენ ერთხელ შეჩერდით ჩემთან
და ქარებს ჩემსას მოჰკვეთეთ მუხლი.

შენს საუფლოში

გადამიარეს გულზე წვიმებმა,
სიმარტოვეში ჭკნება აპრილიც,
რად მახსენდები ასეთი ელდით?
სიზმრის ახდენას რატომ დამპირდი?
ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში
სულ სხვანაირი ქარები ქრიან.
სულ სხვანაირად თენდება დილა,
სულ სხვანაირი ფერი აქვს ნისლებს,
იმ ნისლებივით ჩამოვიღვრები,
ღმერთი შენს ხილვას თუკი მაღირსებს.
იმ ტკივილისთვის, იმ სიშორისთვის,

იმ სიგიჟისთვის გიხდი მადლობას,
მოდი, გააღე გალიის კარი
და გამახსენე ახალგაზრდობა.
იცი, რა ტანჯვა გამოვიარე?!
მთელი ნელია ვცხოვრობ ულექსოდ,
მოდი, მომხვიე მხრებზე ხელები
და გამაცოცხლე, სულზე უტკბესო.
წუთივით ნავა წუთისოფელი,
მალე ვიქცევით უსულო ქვებად,
შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე,
რომელიც ახლა სხვის ჭერქვეშ ქრება.

ძახილი

დედაო ევა, სად ხარ, დედა?!
დედა, დედა! დე!!!
მინდარომ ვიყო ქვეყნის მეფე
თიხად ქცევამდე.
მეც მიყვარს თავი. მინდა, ვიყო თავის უფალი,
სანამდე ჩემს სულს მიიბარებს მამაუფალი.
სანამ სხეულში მზე ბუღრაობს,
სანამ ცა მოთოვს,
სანამდე მკერდთან ვარდს დავაჭკნობ
და ფერხთან – ლოტოსს.
რადგან ქალი ვარ,
მეც მახელებს ცნობის წადილი,
მეც გამიმწარდა ბევრი თაფლით
ტკბილი წანდილი.
მეც ბევრჯერ ვნებით მომეხვია სხეულზე გველი.
ბევრჯერ დავძლიე მორჩილებით დაუძლეველი.
რა, არ იცოდი, მამაღმერთო, რომ მომეც სული,
ქალი სულმოკლეე, სულსწრაფია და სულწასული,
გამოცდილებით თუმც ათასჯერ ამიცრეს ტანი,
მაინც ათასჯერ ვიყავ მონა ტრფობის, სატანის.
ყელთამდე წყალში ვიდექი და მწყუროდა წყალი,
ვით ტანტალოსი, საუკუნო ტანჯვის ამტანი.
ხომ არ გრცხვენია, მამაღმერთო, შენი ხელობის?
ჩვენი სიბეცის, უღმერთობის, ასე ხელობის?
მზე ჭკნება ცაზე, დედამიწა იფარავს შვილებს,
დამდგარა ჟამი უკეთობის და თვითმკვლელობის.
ნლები გვამძიმებს
ცოდვებით და გამოცდილებით.
ვხვდებით ჯოჯოხეთს,
რა ჟამს წამით გამოგცილდებით.
და მაინც ველით და იმედი ბუუტავს კვარივით.
თვალები გვრჩება გახელილი ზეცის კარივით,
აგედევნებით ბოლოს მაინც მორჩილ კრავივით,
გავივლით, ნეტავ, ამ ბენვის ხიდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვერ გავივლით,
მოვასწრებთ რამეს გარდაუვალ ბედისწერამდე?
კულისებიდან განათებულ აიმ სცენამდე?
აღზევებიდან დაცემამდე, მიწად ქცევამდე?
ჩემო საწყისო, სახეე ჩემო, დედაო ევა,
ნლები გვაშორებს ათასობით, მაინც შენ გგევარ,
მშობელო ჩემო, პირმშოვ ჩემო,
სად ხარ, დედა, დე!!!
მტკივა სხეული დაქცეული თხემით ტერფამდე!

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში
ბაგით მღიმარით? თვალებით მშვიდით?
თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,
ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი,
თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე,
როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი
და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს
ჰქონდათ პროფილი დიდი ჰერროდის.
ვნება – ზმანება, შვილი – სიშორე,
სისხლის ცრემლებით გამოტირება.
რწმენა – სიმაღლე, გოლგოთა – ჯვარცმა...
მამაუფალმა ასე ინება.
ჰო, აღასრულა, რაც გარდუწყვიტეს,
რაც დაუწერა განგებამ ბედად,
თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი,
მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.
და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები,
მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს.
ზეცის ბილიკზე დამზრალ შროშანებს
ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე.
სხივი, რომელიც განათებთ გზანვრილს,
ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,
ხეებს რომ ასე აკენესებს ღამით,
ქარი კი არა, დედის გულია.
თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,
დღეები სევდით თუ დაიბინდა,
გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,
მამაუფალი და სულიწმინდა.

ფერიცვალება

ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

მე არც კი მახსოვს, როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
ზეცის ეკლიან მკერდზე გამიშვეს.

და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს.

ეჭვიანობდა უზომოდ ქარზე,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ დავეცი
ანდა დავხარბდი, გულს მოიოხებს.

ზეცა ხარხარით და მუქ-ლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქალთან მსგავსება,
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და ნამიერი ენებით ავსება.

ნუთუ არ იცის ცამ ყოვლისმცოდნემ,
ფერიცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული
თვით ანგელოსიც სუსტი ქალია.

ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

ძველი არღანი

რა კარგია, ქართველებს ისევ შერჩათ ღიპები,
რა კარგია, ღიპები ივსებიან ხინკლებით.
ჭიქა ჭიქას აკოცებს, თითებს ეძებს თითები,
„საყვარელო, მითხარი, ისევ ერთად ვიქნებით?“
მღერის ძველი არღანი, სიმღერაა ახალი,
მე კი რა მემღერება, ნაძლევს დავდებ „მაზიანს“,
ამ არღანზე დახატულ ვარდებსა და ბულბულებს,
ვიცი, გაამევებენ მალე ამ დარბაზიდან.
როგორც ქუჩის გოშია ან მშიშარა შოშია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათხოვარი ბიჭუნა ჩუმად მოიძურწება
და კაცები ჯიბეში მოჩხრიკავენ ლარიანს –
დუქნის ლამაზმანებმა არ ჩათვალონ ძუნწებად.
ხინკლის ოხშივარიდან დანახულო მამულო,
ლოთის სიყვარულივით ჭიქაში ჩატეულო,
როგორ ჰგავხარ მათხოვარს, ამ პაწია მათხოვარს,
ვითომ თავისუფალო, ობოლო და ეულო!
მაინც როგორ გიდდება ეს წყეული სიმღერა,
„მომავალი შენია!“ შენია და ელოდე!
ასე როგორ მივიდეთ, ასე დაჩოქილები,
ასე ხელგაწვდილები ხვალის საქართველომდე?!
მღერის ძველი არღანი, სიმღერაა ახალი,
მე კი რა მემღერება, ნაძლევს დავდებ „მაზიანს“,
ამ არღანზე დახატულ ვარდებსა და ბულბულებს,
ვიცი, გააძევებენ მალე ამ დარბაზიდან.

თაფლობის ზღამი

თბილისი თითქოს იყო „წვიმისი“,
ჩემსავით ველარ გამოიდარა,
დახურულია ყველა სარკმელი,
გადახსნილია ყველა იარა.
უკვე გასრულდა ჩვენი ბრძოლებიც,
უკვე გასრულდა და გაილია,
ამეკვიატა ფიქრები მაინც,
ის ქალი, ნეტავ, რანაირია.
ახლა თაფლობის მზეს ლოკავთ, ალბათ,
და ხარ სამოთხის ურცხვი სტუმარი.
მე კი ასპიტი მიკოცნის კერტებს,
მიდევს ნარ-ეკლის თავსასუმალი.
სხვას ერგო ჩემი წილი მზის სხივი,
სხვას ერგო ჩემი დიბა-ატლასი,
გარედან ერთი ტკივილიც არ ჩანს,
შიგნიდან მკენწლავს დარდი ათასი.
როგორ გაგწირო, როგორ დაგწყევლო,
დღემდე თუ მხოლოდ ლოცვად მოვედი,
გაჭირვეულდა სარკმელთან მარტიც,
უიღბლო, როგორც ქალი პოეტი.
ალბათ, შეგეხვდები ისე, ვით უცნობს,
სარკმელთან ღამენათევ გოლიათს,
როგორ გგონია, შეგვინდობს ღმერთი?
გამოიდარებს, როგორ გგონია?

●

მოგვდევს ქუჩები
ვნებიან მზერით,
შენი საყურეც
მზესავით ელავს
და იმის გარდა,
ვინც შენ გიყვარდა,
საოცარია,
უყვარხარ ყველას.
დარბაზი სავსე
ტკივილით, თრთოლით,
შენი ლექსები
იქცა თილისმად
და გულისყურით
გისმენს სუყველა,
ვისთვისაც წერდი
გარდა იმისა.
როცა გაჰყვები
გზებს უკვდავების,
ჩამოეშვება
მნუხარე ფარდა,
სუყველა მოვა
და დაგიტირებს,
ვისთვისაც მოკვდი,
იმ ერთის გარდა.

მკათათვე

კარებთან უკვე მოდგა მკათათვე,
თვე ყვავილობის გავიდა როდის?
მე დავიღალე და ახლა თქვენი
ნუგეში მხოლოდ სევდას თუ მომგვრის.
ისე შორი ხართ და ახლობელი,
როგორც წვიმაში ოცნება მზეზე,
როგორ მომქანცა თქვენმა სიკეთემ,
ეფვანივით რომ შემაბით ყელზე.
ვერც თქვენთან დავრჩი, ვერც მიგატოვეთ,
ვარ შებორკილი ურჩი კვიცივით...
და ყველა კართან, როგორც მოსისხლე,
ჩამსაფრება თქვენი სიცილი.

ნოდარ გრიგალაშვილი

გათამამებული სიბრიყვე

„ბრიყვი ჭკვიანის ბარგია,
ზურგით სათრევი გუდადა,
უნდა ჭკვიანმა ასწოროს
ბრიყვის ნათალი მრუდადა.
მაგრამ ჭკვიანთაც იჭკვეს,
მოსწყინდათ მრუდის სწორება,
მიტომ ნავარდობს უბირი,
ეტყობა თავმონონება,
გათამამებულს სიბრიყვეს
ან-კი რა შეენონება?!“

ვაჟა-ფშაველა

არიან ისეთი „სნავლულები“, რომელთაც საკუთარი „შემოქმედებით“ ვერა და ვერ მიიქციეს მკითხველის ყურადღება და ამის კომპენსაციას სხვათა ღვაწლის მუდმივი ქილიკითა და წუნიაობით ცდილობენ.

ვაუმ ამ საზოგადო სენს გათამამებული სიბრიყვე უწოდა, აკაკიმ კი გათამამებული სიბრიყვის ფსიქოლოგიურ მოტივაციაზე მიგვაქცევინა ყურადღება. აკაკის მიერ კრილოვიდან თარგმნილ ლექსში, „სპილო და ფინია,“ ასეთი სიუჟეტია:

სპილოს ფინია მისდევს და მიჰყეფს. როცა უთხრეს, ხომ ხედავ, ყურს არ გიგდებს და ტყუილად რად იღლებიო, ფინიამ

„უპასუხა: – მეც კი ვხედავ,
რომ არ მაქცევს ყურადღებას
თვარა ეს რომ არ ვიცოდე,
გავბედადვდი განა ყეფას?!
რა მაკლდება შორი-ახლოს
ასე ყეფით რომ მივსდიო?
ვინც შემხედავს ასე იტყვის:
მარჯვეა დო გულადიო!“

ქართველ ერს ჰყავს ასეთი „მარჯვე და გულადი“ ისტორიკოსი – გურამ ყორანაშვილი.

მკითხველი მას, უპირატესად, საკუთარ კოლეგებზე – ცოცხლებსა თუ გარდაცვლილებზე – თავდასხმებით იცნობს.

კრილოვისეული სურათის ანალოგის სრულად წარმოსადგენად იმასაც დავძენ, რომ კოლეგები, როგორც წესი, ბატონ გურამს, ორსიტყვიანი ქართული ანდაზის გათვალისწინებით, უბრალოდ, არ პასუხობენ...

ცხადია, არც მე გავიოჯვებოდი, ჩემი წიგნის – „თანამდევი სულის“ მიმართ მას აგრესია ერთჯერადად რომ გამოეხატა, მაგრამ, **ყველა მოსახვევში რომ კეტმომარჯვებული დაგხვდება კაცი, იმ ორსიტყვიანი ანდაზით ფონს ვეღარ გაბედავ – თავი უნდა დაიცვა.**

სულ რამდენიმე დღის გამოსული იყო წიგნი, ჯერ კიდევ სტამბის სინოტიკენ ან შუშრობოდა, როცა ყორანაშვილი მის მამხილებლად მოგვევლინა. საამისოდ, „შესაფერისი“ დროც შეარჩია, ახლად დაბადებული წიგნის პრეზენტაცია. შემდგომ ამისა, თუ საჯარო ლექციებზე, თუ საგაზეთო ინტერვიუში, თუ ტელევიზიის სხვადასხვა არხზე ბატონი გურამის სამიზნედ უკვე მე ვიქეცი.

ჩემი მხრიდან თავშეკავება მან სისუსტედ მიიჩნია და ახლა წერილობითი რეცენზიითაც წარმოგვიდგა დევიზით –

„რა მაკლდება შორი-ახლოს
ასე ყეფით რომ მიგსდიო?
ვინც შემხედავს ასე იტყვიან:
მარჯვეა და გულადიო!“

იყოს ნება ყორანაშვილისა. ამ პოლემიკის შემდეგ რაც მის მეცნიერულ რეპუტაციას შეემატება, იქ მე წილს ნუ დამიდებს...

●

სატელევიზიო დებატებში ბატონი გურამი დამექადნა, რომ წერილობით გააგრძელებდა პოლემიკას. საამისოდ ისევ „შესაფერისი“ დრო შეარჩია – ამა წლის 12 სექტემბერს, დიდი ილიას მკვლელობის დღეს, საგურამოს სახლ-მუზეუმში ვიყავით შეკრებილნი. იქ ყორანაშვილიც გამოგვეცხადა თავისი ახლად გამოცემული წიგნაკით – „მეცნიერების პროფანაციის მაგალითები“ (თბ. 2011 წ.).

ამ წიგნაკში ილიას რომდენიმე მკვლევარია მიწასთან გასნორებული. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, მათთან შედარებით ყორანაშვილი ჩემს მიმართ კორექტულიც კი არის. – ეს წიგნაკში თავმოყრილი წერილების სათაურებიდანაც ჩანს. მაგ. თავის ერთ-ერთ ოპონენტს უძღვნის სტატიას სათაურით – „თელაველი პროფესორის ახირებანი“.

ეს პროფესორი დიდი ბედენა სწავლული მართლაც არ არის, მაგრამ ვიცი, რომ თელაველობა პროფესურისთვის სამართალია რამ არ გახლავთ.

სამაგიეროდ, ვიცნობ ისტორიკოს ვახტანგ გურულს და ფილოსოფოს გურამ თევზაძეს. არც ერთი არ იმსახურებს თავში ხელის ნაბიჯიკებით საუბარს, არადა, მათ სწორედ ასე ექცევა გ. ყორანაშვილი. ჩემდამი მოძღვნილი წერილის – „წიგნი – დანერილი დიდი პრეტენზიებით“ ტონი, ამ მხრივ, როგორც ეთქვი, აკადემიურიც კია, მაგრამ ავტორს მიზნად დაუსახავს, მკითხველის თვალში გამიბიბრეოს ის შრომა, რასაც ნლები შევალიე.

ბატონი გურამ ყორანაშვილის არც ერთ შენიშვნას უპასუხოდ არ დავგზავნე, მაგრამ, ვინაიდან ამ შენიშვნების დიდი ოდენობა მხოლოდ მინი ოპუსების შედეგია, ანუ რეცენზენტი ზოგჯერ ჩემს აზრს გადააყორანაშვილებს, ზოგჯერ კი კორექტურასაც დიდ ცოდვად ნათლავს, მინდა მკითხველმა ნახოს, „შაურის“ დამწუნებელი სინამდვილეში რა „უზალთუნების“ პატრონი ბრძანდება.

არსებით მოთხოვნებს რომ თავი დავანებოთ, სხვისი ნაშრომის შემფასებელი ორ ელემენტარულ პირობას მაინც უნდა აკმაყოფილებდეს:

1). უნდა შეეძლოს თავისი აზრის ნათლად გადმოცემა, ანუ უნდა ხელეწიფებოდეს მშობლიურ ენაზე გამართულად წერა.

2). რეცენზენტს უნდა ძალუძდეს ნაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება, ანუ უნდა იცოდეს კითხვა.

ამ ორი ანბანური მოთხოვნის თვალსაზრისითაც კი გ. ყორანაშვილის რეცენზიაში („წიგნი – დანერილი დიდი პრეტენზიებით“) გამაოგნებელ ვითარება ვაწყდებით. თუ როგორ გამართულად წერს ბატონი რეცენზენტი, ამის საილუსტრაციოდ ჩავიკითხოთ მისი წერილის დასაწყისის სულ სამი აბზაცი. იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, დასაწყისში ავტორი ყოველთვის უფრო მობილიზებულია და, მეორე, ყველა გვერდი რომ განვიხრიკოთ, წერილის ორი მესამედის გადმოწერა მოგვიწევს, რადგან წინადადებას ვერ ნახავთ, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ამა თუ იმ სახის შეცდომას არ შეიცავდეს.

ოპონენტი წერს: „ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ ლიტერატორ ნოდარ გრიგალაშვილის წიგნზე [**ორ ნანილად] სათაურით** „თანამდევი სული“.

ამ წინადადებით ბ-ნი გურამი გვეუბნება, რომ ისაუბრებს ჩემს წიგნზე (ორ ნანილად), თან ისაუბრებს სათაურით — „თანამდევი სული“. მას სურდა ეთქვა, **ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ ლიტერატორ ნოდარ გრიგალაშვილის ორტომეულზე – „თანამდევი სული“.**

ოპონენტი: „საერთოდ, ილიას ცხოვრება-მოღვაწეობისა და ტრაგიკული აღსასრული თემა უფრო მეტად ისტორიკოსის **კომპეტენციაში შედის“.** უნდა იყოს: **საერთოდ, ილიას ცხოვრება-მოღვაწეობისა და ტრაგიკული აღსასრული აღნერა (ან კვლევა) უფრო მეტად ისტორიკოსის** კომპეტენციაა.

ოპონენტი: „აქედან გამომდინარე, **სხვა თანაბარ პირობებში** (ინტელექტის, ერუდიციის, შრომისმოყვარეობის) ისტორიკოსებს უფრო ღრმად და საფუძვლიანად უნდა ხელეწიფებოდეთ აღნიშნული საკითხების დამუშავება“.

ზოგადად მივხვდი, რისი თქმა უნდა ავტორს, მაგრამ ეს წინადადება გასწორებას, უბრალოდ, არ ექვემდებარება...

ოპონენტი: „ავტორს გააჩნია **ილუზია** იმისა, რომ ეყრდნობა ილიასეულ მეთოდს ისტორიული მოვლენების შეფასებისას **ჯერ** შესაბამისი ეპოქის „ქერქში ჩაჯდომის“ თაობაზე“.

ამ ჩიქოთუოლში ილუზიას თუ შევცვლით იმით, რასაც ის ნიშნავს, მივიღებთ კიდევ უფრო დიდ უაზრობას.

მას სურდა, ეთქვა: **ავტორს აქვს იმის რწმენა, რომ ისტორიული მოვლენების შეფასებისას ეყრდნობა ილიასეულ მეთოდს ეპოქის ქერქიდან ამოსვლის თაობაზე, მაგრამ მისი ეს რწმენა ილუზორულია.**

ოპონენტი: „ერთგან **ქართველი ბოლშევიკების ილიას მოკვდინებასთან** დაკავშირებით ვლადიმერ ლენინის როლის თაობაზე ნოდარ გრიგალაშვილი ასე მსჯელობს...“

რასაკვირველია, ყორნანაშვილმა იცის, რომ ილია ქართველი ბოლშევიკებისა არ იყო, მაგრამ წერა უჭირს. ალბათ, რეცენზენტს სურდა ეთქვა: **ილიას მკვლელობაში (რაც ქართველმა ბოლშევიკებმა ჩაიდინეს) ვლადიმერ ლენინის როლთან დაკავშირებით ნოდარ გრიგალაშვილი ასე მსჯელობს...**

ოპონენტი: „არის ისეთი შემთხვევები, როცა სათანადო ფაქტები ანგრევენ ლოგიკას, **მათ შორის** ავტორისეულ მოსაზრებებს“.

უნდა იყოს:

არის ისეთი შემთხვევები, როცა სათანადო ფაქტები ანგრევენ ლოგიკას, ავტორისეულ მოსაზრებებს.

სინტაგმა **„მათ შორის“** იწვევს სრულ გაუგებრობას.

ყველაზე საინტერესო მაინც ყორნანაშვილის წერილის პირველი-მეორე წინადადებაა. როგორც ზღვის ნვეთიდან იგრძნობთ ზღვის მლაშე გემოს, ისეა კონცეფცირირებული შესავალშივე მეცნიერის მთელი რაობა. მას, გამართულად წერის გარდა, უჭირს წაკითხული ტექსტიდან ადეკვატური შიაარსის გამოტანა. ნავიკითხოთ ეს ორი წინადადება სრულად: „ვაჟა ფშაველა წერდა: „ილაპარაკეთ, ბეერი ილაპარაკეთ, ბეერი წერეთ, ბაატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბეერი!“ ვაჟასეული **ეს მცნება** დიდად აქტუალურია დღევანდელ ვითარებაშიც, მაგრამ ერთია ლაპარაკი და წერა ჩვენი დიდი ერონნული-მოლვაწნისა და მოაზროვნის შესახებ სამოყვარეო, დილეტანტურ დონეზე და მეორე, პროფესიონალური, მეცნიერული **მიდგომით“**.

პირველი წინადადება ვაჟას ეკუთვნის. იქ, ცხადია, შეცდომა არ არის, მაგრამ ამ ამონარიდიდან ჩანს თუ როგორ ესმის ყორნანაშვილს წაკითხულის შინაარსი.

მეორე წინადადებაში კი, რაკი მისია, შეცდომა უნდა გაჰპარვოდა და ასეც მოხდა:

შეცდომაა:

„ერთია ლაპარაკი და წერა ჩვენი დიდი ერონნული მოღვაწისა და მოაზროვნის შესახებ სამოყვარეო, დილეტანტურ დონეზე და მეორე, პროფესიონალური, მეცნიერული **მიდგომით“**.

სწორია:

მეორეა პროფესიონალური, მეცნიერული მიდგომა. მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ის, რა ისტორიასაც პირველი წინადადება „შემოგვიჩვენებს...“

●

„ვაჟა-ფშაველა წერდა: „ილაპარაკეთ, ბეერი ილაპარაკეთ, ბეერი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბეერი!“ ვაჟასეული **ეს მცნება** (ხაზი ყველგან ჩემია, ნ.გ.) დიდად აქტუალურია დღევანდელ ვითარებაშიც...“

ის, რაც რეცენზენტს **ვაჟასეული მცნება**, ანუ სახელმძღვანელო დებულება ჰგონია, არც მეტი, არც ნაკლები, ვაჟას **რისხვაა** ილიას მტრების მისამართით...

ბატონ გურამს შეუძლია კონტექსტიდან ამოგლეჯოს ფრაზა, მერე კი ყველაფერი მისი ნარმოსახვის უნაზრეგზე დამოკიდებული, ანუ, ან ძალადობს ავტორის ნააზრევზე, ან, კიდევ უარესი, წაკითხული ტექსტიდან შესაბამისი შინაარსი ვერ გამოაქვს.

სხვა რა დასკვნას გამოიტან, მკითხველო, როცა ვაჟას ზემოთ ნახსენებ ფრაზას სრულ კონტექსტში წაიკითხავ?

სრული კონტექსტი კი ასეთი გახლავთ: ვაჟას წერილის სათაურია **„ყვავ-ყორნები** ილიას **აჩრდილის გარშემო“**. წერილი იწყება ასე: **„მე როდი მიკვირს** ილიის აჩრდილის გარშემო ყვავ-ყორნები **რომ ჩხავიან, არა ჩუმდებიან. ასე უნდა იყოს სწორედ: მსგავსი მოვლენა ხვედრია დიდებულ ადამიანთა, ხოლო ბრალდება ილიასი, რომელიც მხოლოდ ერთის მხრიდან გაისმის, ნიშნია იმისა, რომ ბრალმდებელთ მის მკვლელობაში ალბათ ფეხი უდგამთ და ამიტომ ყოველ ღონისძიებას, ათასგვარ საშუალებას ხმარობენ ილია დამნაშავედ გამოიყვანონ, მაშასადამე, მოკვლის ღირსად, რათა თავი იმარილონ საზოგადოების წინაშე“.**

ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ:

„შონნაალმდეგენ უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაკვეფნილნი, ამიტომ აბარტყუნებენ ხელებს და ჭეხებს, უნდათ ბარდიდან გამოძვრენ. რო რაღაც დაპრჩომიათ გამოსარკვევი, ჰსურთ გამოარკვიონ: ყვავ-ყორნებს ისეთი მოწყობილობა აქვთ ტვინისა და თავის ქალისა, რომ ჭაჭვავაძე ჯერ დიდხანს იქნება იმათთვის ამოცანად“.

„...დღეს ვინც ავს ამბობს ქაჯყავაძეზე, მე იმას ილიას მკვლელს ვეძახი. არ არის ასე? ინტელიგენტს, ავის მთქმელს ამ დიდებულ ადამიანზე, არაფრით ვარჩევ იმ რეგვენისაგან, რომელმაც ილიას ხელი შეახო და მის ფიზიკურად მოსაკლავად მახვილი მოიმარჯვა“.

აი ამ მკვლელების, ამ „ყვავ-ყორნების“ მისამართით, რომელნიც ილიას სიკვდილის შემდეგაც არ იშლიან ყრანტალს, ეაფა იტყვის: **„ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი!** მე ვერ გეტყვით გაწოვდითო. ვერ გეტყვით: დროა ბოლო, ბოლო მოელოს მოიქ-მა-მოოქმასაო, რადგან ნმემისონნა ჩვენის ქვეყნისა **არ დაგადუმებსო, ბევრს დაგაგდებსო ქადაგად“**.

ქადაგად დავარდნილი მკვლელების ამ შეჩვენებიდან, ამ დამფსათებიდან, – ილაპარაკეთ რამდენიც გინდათო, – ყორანაშვილმა გამოიტანა ასეთი აზრი, – ვაჟამ მცნება დაგვიტოვა და ეს მცნება დიდად აქტუალური დღეევანდელ ვითარებაშიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იქ, სადაც წყვეტს („არ დაგადუმებსო, ბევრს დაგაგდებსო ქადაგად“) ლოცვად მოეჩვენა, რა გასაკვირია, თუ ჩემი ჩანაწერის შინაარსიც ვერ გიიგო პატივცემულმა რეცენზენტმა და სავსებით დაუმსახურებლად მისაყვედურა – **„არა გგონია, ჩვენ, ქართველებს, კერძოდ ილიასა და აკაკის სახელებს, რაიმეს ჰმატებდეს ამის აღნიშვნა: „ამათი დარი ორი კაცი, დასტურ ვამბობ, თვით იტალიასაც არ ჰყავდა“.**

ახლა ვნახოთ, მე რას ვწერ და რეცენზენტმა რა შინაარსი გამოიტანა. 1890 წელია. საქართველოში ჩამოსულია მსოფლიოში ცნობილი მსახიობი, შექსპირის როლების საუკეთესო შემსრულებელი ერნესტო როსი, რომელსაც მასპინძლობს ილია. ციტატა ჩემი წიგნიდან:

„...როსი ერთად სვამს საქართველოს ორი მთავარი ფიგურის – ილიასა და აკაკის სადღეგრძელოს.

თავის მხრივ, ილია და აკაკი ისეთი სიტყვებით მიმართავენ დიდ მსახიობს, ისე ლაპარაკობენ შექსპირზე, რომ მსახიობი აღიარებს, არსად ისეთი ქვეყანა, ისეთი ხალხი არ მინახავს, როგორიც საქართველო და ქართველი ხალხია და არც შექსპირის მცოდნე და ასეთი დამფასებელიო.

ჩვენთვის რომ ვთქვათ, ცოტა კიდეც მეცოდება ეს დიდი არტისტი. მსახიობს რომ ილია და აკაკი შექსპირზე დაუწყებდნენ ლაპარაკს, მსახიობ კაცს კი შეექმნებოდა ცოტა დისკომფორტი. იმან ბოლომდე ხომ არ იცოდა, ვინ ელაპარაკებოდა, ესენი ვინ იყვნენ, რომ ამათი დარი ორი კაცი იმ დროში, დასტურ ვამბობ, თვით იტალიასაც არ ჰყავდა“.

ყორანაშვილმა ციტატიდან ორი სიტყვა – **იმ დროში** – ამოიღო, გააქრო და მერე აქეთ მომეფდაა...

ეს არ არის კარგი...

არ მინდა, ვიხმარო სიტყვა ვირეშმაკობა, სჯობს, ვიფიქრო – ალბათ, წაკითხულიდან შინაარსი ვერ გამოიტანა...

ჩემს წიგნში არის ერთი თავი – „ილიას მკვლელობის პარტიული დადგენილება“ (იხ. ტ. II, გვ. 473-478). აქ მოტანილია ძველი ბოლშევიკის, რაფდენ კალაძის წერილიდან ამონარიდი, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ ილია მოკლეს **სოც. დემოკრატიული პარტიის ბეჭედდადარტყმული დადგენილებით**, რომ ამ დადგენილების შესრულება დაევალა „ტყის ძმების“ მეთაურს. ამ ინფორმაციას ძველი ბოლშევიკი ისაკაც დასძენს, რომ დადგენილება, მისი აზრით, ინსპირირებული იყო ოხრანკისგან, „ტყის ძმების“ შეცდომაში შესაყვანად.

ჩემი კომენტარი: ძველი ბოლშევიკი ოხრანკას ახსენებს იმისთვის, რომ ჩირქი მოსწმინდოს თავის თანაპარტიელებს, მაგრამ შიშველი ფაქტი ასეთია: არსებობდა ბეჭედდარტყმული დადგენილება, ოხრანკისგან ინსპირირება კი კალაძის ვარაუდი გახლავთ. ჩამოვაცალეთ ამ უნიკალურ ცნობას კალაძის ვარაუდი და რა ფაქტი გვრჩება ხელთ? ჩემს ამ მსჯელობას ყორანაშვილი ასეთ დასკვნამდე მიუყვანია – „მაშინ გამოდის, რომ მეფის ხელისუფლებასაც მიუძღოდა როლი წინამძრის ტერაქტში“. არა მგონია, ჩემი მსჯელობიდან ეს გამოდიოდეს, ბატონი გურამი კი ყველაფერს კითხულობს ისე, როგორც კარნახობს „წარმოსახვის უნარი...“

ნაკითხული ტექსტიდან შინაარსის გამოტანის ორ ანეკდოტურ ფაქტსაც შემოგთავაზებთ.

თავისი წიგნის – „წინამძრის ტრაგედიის საიდუმლო“ – 168-ე და 169-ე გვერდებზე ყორანაშვილი კომენტარს უკეთებს ერთ „უნიკალურ“ დოკუმენტს: 1941-1942 წლის სასამართლო პროცესზე ბერიჰატშვილს „უთქვამს,“ ილია ფილიპე მახარაძეს მომაკვლევინონო. გავარდნენ ეიღაცები ფილიპესთან და ჰკითხეს, ასე და ასე ამბობს გასასაჯელი და შენ რას გვეტყვიო. ფილიპესაც „მოუღია პირი“ და სტალინიდან მოყოლებული ყველა ჩაუშვია...

ანეკდოტური მთელ ამ ამბავში ის არის, რომ, როცა ყოველივე ეს „ხდებოდა,“ ფილიპე უკვე გაღმა იყო გასული, გარდაცვლილი გახლდათ. ეს იცის ყორანაშვილმა, მაგრამ კიდევ უფრო ანეკდოტური ის არის, რომ ჩემს დასასკვნის: **„მიგვანია, რომ გარკვეული „რაციონალური“ მომენტი მოტანილი ცნობაში მაინც არსებობს“** (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 170), შემდეგ გუფლოდგინედ გვიხსნის, რა შეიძლება იყოს ეს „რაციონალური მარცვალი?“ იქნება და ფილიპემ ეს ყველაფერი გარდაცვალებამდე თქვაო. კი, თუ თქვა, ნამდვილად გარდაცვალებამდე იტყოდა... მაგრამ მის სიკვდილამდე პროცესი რომ არ გამართულა? ერთი სიტყვით, ბ-ნი

გურამი გამალებული ეძებს კატას ბნელ ოთახში, თუმცა კი იცის, რომ კატა იქ არ არის...

ტექსტის უკუღმა წაკითხვის ალსანიკური ნიმუში ჯერ კიდევ წინ გვაქვს. ყორნანაშვილის წიგნში (იხ. გვ. 107) კეკითხულობთ: **„ჯგაშს შალვა დადიანისათვის უსაყვედურნია მკვლელობას მე რად მაბრალებო და დუმამბებია: მე მაქვს მემუარები, იმას გამოვაქვეყნებ და მაშინ გაიგებთ, მკვლელი ვინც არის“.** დედაბიწის ზურგზე ვინც კი ქართული კითხვა იცის, ამ ციტატიდან გამოიტანს ერთადერთ დასკვნას – ჯაში უარყოფს ილიას მკვლელობაში მონაწილეობას. ქართულად მეტყველთა შორის ერთადერთი კაცი, ისიც მეცნიერი, აღმოჩნდა გურამ ყორნანაშვილი, რომელსაც ამ ციტატის შინაარსი ასე ესმის: **„კარგად დავაკვირდეთ: ჯგაშმა გააპრტყლესტა თავის მკვლელად მოხსენიება და არა მკვლელობის ორგანიზებურობა“** (იქვე, გვ. 107).

აქ კი კომენტარის გაკეთება ფილოლოგის საქმე ნამდვილად არ არის...

წაკითხული ტექსტიდან არაადეკვატური შინაარსის გამოტანის კიდევ უამრავი მაგალითის მოგანაზებ შეიძლება ბატონი გურამის „შემოქმედებიდან,“ მაგრამ წინ უამრავი კითხვა ითხოვს პასუხს და ამ თემას აღარ განვავრცობ. ერთს დავძენ, ზემოთ სიტყვა ვირეშმაკობა მართლაც არასწორად მოვიშველიე, რადგან, ამ საძრახის მოვლენასთან რომ გვქონდეს საქმე პატივცემულ ოპონენტთან მიმართებაში, მაშინ საკუთარ თავს მაინც ხომ დაინდობდა? არადა, მას შეუძლია თავისი წიგნის ერთ გვერდზე წერდეს ერთს და მეორე გვერდზე ამტკიცებდეს საკუთარი აზრის რადიკალურად სანინააღმდეგო დებულებას. ამაზე ქვემოთ შეეჩერდები.

●

რეცენზენტი არად დაგიდევთ, რომელი ჟანრის ნაწარმოებს განიხილავს. ილიას თქმისა არ იყოს, თუ მუხას წაუყენებთ პრეტენზიას ვაშლი რატომ არ გასხიაო, თქვენ „მართალი“ იქნებით – მუხას მართლაც კარ ასხია ვაშლი. ასეთი შარიანი „სიმართლე“ ჩყვარტია ბატონ გ. ყორნანაშვილს.

მოგუსმინოთ მას: **„როგორი მეცნიერებაა ამის დაწერა: „ეამთა მსვლელობას ვერავინ შეაჩერებს?“**

ვნახოთ სრული კონტექსტი, სიიდანაც მან ეს ფრაზა ამოგლიჯა.

ნიგნში ალნერილი მაქვს დროის კარნახის შედეგად ზემოდან, იმპერატორიდან დაწყებული პროცესი ბატონყმობის გადავარდნისა, რეტროგრად თავადთა მრისხანება, მათგან ილიასა და აკაკის სასიკვდილოდ გამეტება, რასაც მოსდევს ასეთი მსჯელობა: **„ქართველ მემამულეებს იმპერატორამდე არც ხელი მიუწვდებოდათ და არც სურნელი ჰქონდათ ხელმნიფისათვის გულის გადაშლისა, წინააღმდეგობას ხომ ვერა და ვერ გაუბედავდნენ, ამიტომ მოელს რისხვას ამ „ახალი თაობის კაცებს“ ატეხდნენ თავს, ისინი მიაჩნდათ ყოველგვარი უბედურების მოთავეებად. ერთი ბიბლიური სიუჟეტის არ იყოს, ქარიშხლისაგან გაბორტყებულმა მენავემ ტალღებს რომ დაუწყო ჯოხით ცემა, ისე იყო მემამულეთა საქმე. ბატონყმობის გადავარდნის აუცილებლობა ახალმა დრომ მოიტანა. დრო უხილავია. უამის მსვლელობას ვერავინ შეაჩერებდა, ახალი დროის მოციქულნი კი ხორციელნი და ხილულნი იყვნენ. პატრიარქალურო ცხოვრების წესების მომხრეთაც რა ექნათ: ვისაც თვალით ხედავდნენ, ვინც მათ სიახლოვეს იყო, მათ ებრძოდნენ და, როგორც ითქვა, ებრძოდნენ გააფფორებით, გაბორტყებით.**

კაცმა რომ თქვას, ეს ილიაც რომ ცეცხლზე ნავთს ასხამდა?“

თუ ამ ამონარიდს განიხილავთ, როგორც დოკუმენტურ-ესეისტური პროზისთვის დამახასიათებელ თხრობას, არა მგონია, რაიმე პრეტენზია ჰქონდეს რეცენზენტს, მაგრამ, თუ მას გაარჩევთ როგორც ლექსს ან როგორც მშრალ სამეცნიერო პუბლიკაციას, ცხადია, ის არც ლექსია და არც დისერტაცია. ბატონ ყორნანაშვილს ჰგონია, რომ განიხილავს დისერტაციას და ჩემგან ითხოვს მშრალ ცნებებსა და ფრაზეოლოგიას (ერთგან ისმასაც კი მსაყვედურობს, რუსის ნაცვლად ზოგან სკვითს რატომ ხმარობო. რა ვიცი? ასე მომწონს), ანუ მიმდგარა მუხასთან და, რაგორ ვაშლი არ გასხიაო, ამუნჯობს...

შენიშვნების დიდი ნაწილი მისი ამ უცნაური საქციელით არის გაპირობებული. მაგალითად, დაკვნებით იმეორებს: **„უალრესად მნირია ნიგნის სამეცნიერო აპპარატი“**-ო. მნირი კი არ არის, სამეცნიერო აპპარატი, ანუ ანბანზე გაწყობილი ლიტერატურის სია ნიგნს საეროოდ არ ერთვის, არც უნდა დამერთო, ისე, როგორც მუხას არამც და არამც არ უნდა მოესხა ვაშლი...

„ასევე მნირი გახლავთ ნიგნის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა,“ – განაგრძობს რეცენზენტი. ეს კი მამალი ტყეული გახლავთ. „თანამდევი სუეში“ ასაბუთია თითქმის ასწლიანი ეპოქა, ძირითადად, ბუენბრივია, **1837-1907** წლები. ილიაზე დაწერილი ნიგნის არც ერთ ავტორს იმდენი წყარო არა აქვს გამოყენებული და დასახელებული, რამდენიც თქვენს მონა-მორჩილს. ვინც გაირჯება და ამ ორტომეულს ნაკიითხავს, თავად დარწმუნდება, რა უსინდისოდ ტყეული ბატონი ყორნანაშვილი.

რეცენზენტს განსაკუთრებით აღელვებს ის, რომ თურმე **„ავტორი არ იცნობს და მას** (ე.ი. მე, ნ.გ.) **საერთო არ აინტერესებს ისტორიკოს ალე-**

ქსნადრე კოჭლავაშვილისეული ფონდი, დაცული ქართული ლიტერატურის მუზეუმში“.

სხვათა შორის, ყორანაშვილი ამ ისტორიკოს კოჭლავაშვილის ფონდის არცოდნას აყვედრის ისტორიკოს შოთა ბადრიძესაც.

ჯერ ერთი, ეს ფონდი ჩემს წიგნში რამდენიმეგზის არის მოხსენიებული, მეორე, მას, ვინც ამ ფონდში არსებულ ჩანაწერებს სამეცნიერო ღირებულების დოკუმენტებად მიიჩნევს, ისე მოუხდება მეცნიერის სახელი, როგორც ძრიხას უნაგირი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ილია ჭავჭავაძე მოკლეს ქართველმა ბოლშევიკებმა. 30 წლის შემდეგ იმავე ბოლშევიკებმა, მოინდომეს რა მკვლელთა სახელის ჩამორეცხვა, იგრძნეს რა, მკვდარი ილიაც საშიში იყო მათთვის, მიხვდნენ რა, რომ ილიას ზურგზე მათი ბინძური ნიხლებით დგომამს მათთვისვე სჯობდა ილიას მხრებზე ჯდომა, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საუკუნის დანაშაული ჩამორეცხათ. დაინყეს ისტორიის ტოტალური გაყალბება. ეს მისია დაავალეს ქ. გუგეშვილს, ქ. გორდღელაძეს, ა. სიგუასა, ა. კოჭლავაშვილს და სხვებს. კოჭლავაშვილი ეთაყვანებოდა სტალინს. კოჭლავაშვილი იყო საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. ნუთუ უცნაური არ არის, ამ კაცის მიერ პარტიული დავალებით შეკრებილი მასალები რომ მიაჩნია ყორანაშვილს ფასდაუდებელ დოკუმენტებად? მასალები, რომელთა ნდობამ ყორანაშვილი ანეკდოტურ ვითარებაში ჩააგდო. ამაში ქვემოთ დავწერნუნდებით.

ყორანაშვილი მსაყვედურობს, კოჭლავაშვილს არ ენდობი და ნდობას უცნაფებ ჯაბანსა და მისი ცოლის მოგონებებსო. ძვირფასო მკითხველო, ნდობაზე რა გითხრათ, მაგრამ ილიას ბიოგრაფიისა და ტრაგიკული აღსასრულის კვლევისას რომელი უფრო საინტერესოა, ილიას მოოურავის ჩანაწერები, რომელიც იბეჭდება 1908 წელს, როცა ილიას ცოლიც, დაც, ფისმენელიც – კოტე აფხაზი, სხვა ნათესავ-მეგობრები ცოცხალნი არიან და იოლი არ არის, ჯაშმა აჭკარა ტყუილები დაბეჭდოს, თუ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, იმავე ისტორიკოს კოჭლავაშვილის ფონდი, რომელიც ბერიას დავალებით შეიქმნა? ბერიას დავალებით აწერინებდნენ ხალხს „მოგონებებს“, ანერინებდნენ ისე, როგორც ბოლშევიკების ინტერესებში შედიოდა. ამ ფონდს ერთადერთი მაზნით ნადა ვაეცნოს მკვლევარი – ნაბოო, რა ურცხვად და, სხვათა შორის, რა უტეგინოდ ხდებოდა ისტორიის გაყალბება. ყორანაშვილმა კი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ფონდი, ეს აეგიას თავლა, ლამის არის წმინდა ხელნაწერთა საცავად გამოგვიცხადოს. მკვლელებმა – ბოლშევიკების პარტიამ – საუკუნის დანაშაულის ჩამოსარეცხად სწორედ 1936-37 წლებში, როცა ადამიანს გროშის ფასი არ ედო და მწერივით სრესდნენ, მოინდომეს, ყველას „სიმართლე“ ეთქვა ილიას მკვლელთის შესახებ. მაშინ „სიმართლე“ ერთი იყო – რა სურდა ბელადს...

რატომდაც სწორედ 1936-37 წლებში, ილიას გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ, დიდი მგოსნის ცოცხლად დარჩენილ თანამეგზოვრებს ერთად აუშალათ მოგონებათა საღერღელი და ყველა ერთ ხმაზე ალაპარაკდა... აი, ამ ვითარებაში პარტიული ფუქსეცოინერების მიერ შეგროვილ მასალებს ყორანაშვილი უწოდებს უნიკალურს.

მშვიდობაში მოაბმაროს ღმერთმა!

●

პატივცემული რეცენზენტი, ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან გულმოდგინედ ეძებს რა შეცდომებს, „პოულობს“ მათ თვით ილია ჭავჭავაძესთან, გრიგოლ ყიფშიძესთან და სხვა ავტორებთან! თუმც მან ეს არ იცის და შენიშვნებს მე მაძლევს...

რეცენზენტი წერს: **„ცერონის ნაცვლად უნდა იყოს ცერონინი. ქართული სოფლის სახელწოდებაა“**-ო. ოპონენტი კორეკტურას კი არ ახსენებს, მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ მე არ ვიცი, რა არის ცერონინი და მიხსნის, ქართული სოფლის სახელწოდებაო. ვნახოთ, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე. I ტომის 21-ე გვერდზე ვკითხულობთ: **„1914 წელს თბილისის თავადაზნაურთა სადგუტატო საკრებულის არქივში ილიას თხზულებების ცნობილი გამომცემლის მიხეილ გედევანიშვილისა და სარედაქციო კომისიის წევრების თაოსნობით მოეძებნოთ საბუთები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძის გენეალოგიური შტო სწორედ XV საუკუნეში იღებს დასაბამს. ჭავჭავაძეთა გვარზე საინტერესო გამოკვლევა აქვს ლევან ასათიანს, საოგის ცაიშვილს** (როგორც ხედავთ არსად მაფიწყდება ავტორთა დასახელებას). **კახეთში ფშა-ხევსურეთიდან ჩამოსულან. თუმცა მთაში ბარიდან, ქართლიდან ჩანან ასულები. ცერონსა და ავლეკს ასახელებს გრ. ყიფშიძე. სხვათა შორის, წერეთლებიც ქართლიდან, ფრონეს ხეობიდან გადასულნი იმერეთში“.**

ჩანს საინდამინ, რომ რეცენზენტმა უნდა აგვიხსნას – ცერონინი სოფელია ქართლშია? აქცია თუ არა კორეკტურა საგანგაშოდ, ანუ ბუზი სპილოდ... აქვე რეცენზენტი შენიშნავს – **ვინერის ნაცვლად უნდა იყოს ვინავერი.** მითითებული აქვს სათანადო გვერდი და მშვენივრად უხსაბავს, რომ ეს გვხვდება ილიას ბიოგრაფიას, მალაქია ბოლქვაძის ტექსტში. კერძოდ, მ. ბოლქვაძე წერს: **„ილიას მოსწონდა ნაბოკოვის, პეტრუნკევიჩის და ვინერის სიტყვები“.** მალაქია ბოლქვაძე პეტერბურგში მოღვაწეობდა, პირადად იცნობდა ამ ხალხს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორნანშვილის აზრით, **„გაუგებრობაა მეფისნაცვლის მთავარმმართველობა“**. ყორნანშვილი თავის რეცენზიაში ქეთი იხსენიებს ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის ერთობლივ ნაშრომს და სამართლიანადაც. არადა, ეს „გაუგებარი“ სინტაგმა რამდენიმე ათეულჯერ მეორდება მათ ნაშრომში. მათთან მოსაწონია, ჩემს წიგნში კი გაუგებრობა ყოფილა...

ყორნანშვილისთვის ასევე გაუგებრობაა **„რუსეთის ობერარო„ჯურორი“**. ეს „გაუგებრობა“ ეკუთვნით დიმიტრი ყიფიანის თანამედროვეებსა და შემდგომი თაობების ბიოგრაფებს, იმდროიდელ პრესას, მრავალ მწერალსა და მოღვაწეს, ყორნანშვილს კი რატომღაც ჩემს წიგნში მოსცრა ყური ამ დამკვიდრებულმა ფრაზამ. ასევე გაუგებარია ყორნანშვილის საყვედური ჩემდამი – რატომ ვიხსენებ ქუჩას, სადაც ილია ბოლო წლებში ცხოვრობდა, ხან **ანდრიას**, ხან კი **ანდრეევის** ქუჩად. ესაც შარია და არა შენიშვნა. ილიას თანამედროვენი – მისი და, მისი მოყვრები, მემუარისტები, იმდროინდელი გაზეთები ამ ქუჩას იხსენიებენ როგორც ანდრეევის ქუჩას, ისე, როგორც ერევანსკის მოედანს ყველა უნოდებდა ერევნის მოედანს.

ცხადია, უნდა იყოს ანდრიას ქუჩა, ერევანსკის მოედანი, მაგრამ ისიც ცხადია, მე ვერ ჩავასწორებდი ვერც ძველ გაზეთებს, ვერც მემუარებს... ამიტომ ვახსენებ ქუჩის როგორც ტრადიციულ, ისე სწორ სახელწოდებებს.

ჩემს წიგნში წერია: **„ამ ღვთისპირიდან გადავარდნილ ავ „ნინასნარმეტყველ მუხრანსკის“ 1877 წელს, საფრანგეთში ყოფნისას, მეორე ბროშურის გამოცემაც სლიმია ფრანგულად.** არ დასცალდა, იმავე საფრანგეთში მოკვდა. **ჩამოასვენეს და, როგორც ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნინაპაპთა საძვალეში, სვეტიცხოველში დამარხეს.** ესაც მოუვიდა **რა მამა-პაპათა ამოლუფლის ნანგრევთა...“**

რეცენზენტი კატეგორიული ტონით შენიშნავს: „იქნებ გავისარჯოთ და ვიზრუნოთ ამ „ბროშურის“ მოძიებაზე, რაც უნდა იყოს, იგი ხომ იმფამინდელ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მაჩვენებელია (ლეონთი დაგვიფაროს, ასე იყოს. ნ.გ). **სინამდვილეში საქმე ეხება 1872 წელს რუსულად დაბეჭდილი ანტიქართული ბროშურის ხელმეორედ გამოქვეყნების მცდელობას, ამჯერად ფრანგულ ენაზე“.**

განა რუსულად დაბეჭდილი ბროშურის ხელმეორედ, ან უკვე ფრანგულად გამოცემის მცდელობა იმას გამორიცხავს, რომ მუხრანსკის პირველ ნაწილთან ერთად ფრანგულად მეორე ნაწილის დაბეჭდვაც მოეწყოდა? ყორნანშვილის აზრით, გამორიცხავს, რადგან ეჭვი ეპარება, რომ ეს მეორე ნაწილი არსებობდა. ამ თავისი უსაფუძვლო ეჭვის გამო რეცენზენტი მე მაკრიტიკებს. არადა, რომ გარჯილიყო ისტორიკოსი და აკაკის ტექსტი, საიდანაც ჩემს წიგნში მომმობილია ციტატა, დედანში ბოლომდე ჩაეკითხა, ანუ მხოლოდ ჩემი წიგნიდან არ იცნობდეს საკითხს, მოიკითხავდა: **„მეორე წიგნაკი თუმც მზად ჰქონდა, მაგრამ აღარ გამოუცია“**.

ასევე აკაკის ლექსის – „ენების გასამართლება“ კომენტარში რეცენზენტს შეუძლია ამოიკითხოს: გიორგი მუხრანსკი „ცდილობდა ფრანგულ ენაზე გამოეცა თავისი წიგნი ხელმეორედ და **მეორე ნაწილიც ზედ დაერთო**, მაგრამ სწორედ ამ წელს გარდაიცვალა და გაზზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა“.

ახლა საკითხავია, ვის ეხება ყორნანშვილის სრულიად უსაფუძვლო შენიშვნა, მე, აკაკის თუ აკაკის თხზულებათა კომენტატორებს?

უსაფუძვლოდ თვითდაჯერებული კაცისაა შემდეგი შენიშვნაც:

„თითქოს ბუღგარეთის მთავარ ფერდინანდ I კორბეგელის არჩევისას, ნიკო დადიანის ნაცვლად, ინგლისს უფროზნია რუსეთისათვის. სინამდვილეში ინგლისი აქ არაფერ შუაში გახლდათ და რუსეთის მთავარი მონინაალმდეგე იყო ავსტრია-უნგარეთის იმპერია“.

ინგლისი ბულგარეთის ტახტის კანდიდატთან დაკავშირებით იქნებ მართლაც არაფერ შუაში იყო? ისტორიკოს ყორნანშვილს ხომ უნდა დავუჯერო? მაგრამ მე „შეცდომაში“ ილია ჭავჭავაძის მონათხრობამაც შემიყვანა. აი, რას წერს ილია წერილში **„სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბოლგარეთში“: „ბოლგარიის მთავრად დღეს ორი კანდიდატია. ერთი თავადი ნიკოლოზ მეგრელიისა და მეორე პრინცი კობურგ-გოთისა. თავადი მეგრელიის სურს რუსეთსა და სულთანმა ოსმალეთისამ რაკი შეიტყო, რომ რუსეთის სურვილი ეს არისო, მაშინვე ინგლისისა და ავსტრო-ვენგრიის სამწუხაროდ მიემხრო ამ სურვილს და ოფიციალურად გამოაცხადა თავადის მეგრელიის კანდიდატობა“.**

ჩანს, ინგლისი ნამდვილად ყოფილა შუაში.

ცოტა ქვემოთ კი ილია უფრო აზუსტებს: „ეხლა პრინცი კობურგისა **ავსტრო-ვენგრიისა** და **ინგლისის** კანდიდატად არის აღიარებული“.

არადა, რა კატეგორიულად ბრძანებდა ყორნანშვილი, ინგლისი არაფერ შუაში იყოო.

მუხრანსკის კარგად ცნობილი აკაკი წერეთელი წერს, გ. მუხრანსკის თავისი საშინელი წიგნის მეორე ნანილიც ზზად ჰქონდაო, ყორნანშვილს ეს არ სჯერა და მე მაკრიტიკებს.

ნიკო დადიანის უფროსი მეგობარი ილია ჭავჭავაძე ნერს ნიკო დადიანის მონინააღმდეგე ბულგარეთის ტახტზე ავსტრო-ვენგრიისა და **ინგლისის** კანდიდატი იყოო, ყორნანშვილს ეს არ სჯერა და, რაც მთავარია, მე მაკრიტიკებს...

ხოლო, თუ რატომ არ სჯერა ყორნანშვილს ან ერთის, ან მეორის, ეს იცის მხოლოდ მან და არავინ სხვამ ძეხოროციელმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რომელიმე შენნაშენა პასუხგაუცემელი რომ არ დამრჩეს, ახლა უკვე თემატურად კი არა, თანმიმდევრობით გადმოვწერ ყორანშვილის პრეტენზიებს.

„ეაშრად ოფრძნოა ავეტოოოوو ...

ამ ბრალდების დასტურად ყორანშვილის ჩემი ორტომეულიდან ვეძებ ერთი ციტატა ვერ მოაქვს. ვერც შეძლებდა ამას, რადგან ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა გქონდეს ამბიციური დამოკიდებულება სხვა პროფესიის ადამიანებისადმი? მით უფრო, ფილოლოგია და ისტორია ერთმანეთის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია. ეს სწორედ ბატონი ყორანშვილია, ლიტერატურის დამამცირებელ კონტექსტში რომ ახსენებს; ეს სწორედ ბატონი ყორანშვილია, მწერლის ცხოვრების კვლევას ფილოლოგებს რომ უკრძალავს – ეს **„უფრო მეტად ისტორიკოსის კომპეტენციაში შედის“**-ო...

თუმცა ამ ძალადაცხონე დამცველ-აბჯროსანის ისტორიკოსებისადმი სიყვარულიც ერთობ ორიგინალურია. დოსტოევსკის ერი ვგმრინ არ იყოს, ძალიან რომ უყვარს კაცობრიობა და სძულს ადამიანები, ისეა ყორანშვილის საქმეც. ის არათუ ამბიციურ დამოკიდებულებას ამყოვნებს, არამედ პირდაპირ სძულს ისტორიკოსები (ისტორია უყვარს)...

ყორანშვილისადან განსხვავებით, მე უარგუმენტოდ არასოდეს ვნერ. მაგალითად გნებავთ?

„გ. ყორანშვილი. მარიკელას უთქვამს ვიწრო წრეში...

კორესპონდენტი. – ბატონო გურამ, ვინაა ეს მარიკელა?

გ. ყორანშვილი. – მარიკა ლორთქიფანიძე... ჩამოგითვალო მაგისი სამუშაო ადგილები?..“

ვიდრე ყორანშვილი მხცოვანი აკადემიკოსის შრომით შემოსავლებს ითვლის, ჩვენ მისი მეორე დიალოგი ვნახოთ.

„კორესპონდენტი. თქვენ ჩახედული ხართ ისტორიოგრაფიაში... მოდით, დამისახელეთ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი ამ სფეროში...“

გ. ყორანშვილი. ...არქეოლოგია ავიღოთ. მე ერთი არქეოლოგი არ ვიცი ნორმალური, რომელიც განაზოგადებს ამ დარგს და სინთეზს გააკეთებს... **ასევეა ისტორიაშიც,** რომელიც ნაწილ-ნაწილ არის დაშლილი. ნერვები მეშლება!“

ქვემოთ ვკითხულობთ: **„ჩვენ არ გვაქვს ხეირიანად დაწერილი საქართველოს ისტორია.**

...პაპუასების უფრო უკეთესად აქვთ...“ (იხ. გაზ. „ქრონიკა,“ 2-9 მაისი, 2011 წ.).

ბევრი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება, განსაკუთრებით გარდაცვლილი ისტორიკოსების წინააღმდეგ ყორანაშვილისთვის ჩვეული „აკადემიური სტილის“ გამონათქვამებიდან, მაგრამ მის სულიერ პორტრეტს ყველაზე უკეთ ერთი „უმნიშვნელო დეტალი“ ძერნავს.

საქმე ის არის, რომ თავის დროზე ყორანშვილის წერილები ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით გააკრიტიკა ისტორიკოსმა შოთა ბადრიძემ. მას შემდეგ ბადრიძემ ხომ ფასი დაკარგა მის თვალში, მაგრამ კომიკური სულ სხვა რამ გახლავთ. ყორანშვილი თავის წიგნში ხშირად იმოწმებს იოსებ ირემაშვილის ნაშრომს – „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“. ეს წიგნი გამოიცა ბერლინში გერმანულ ენაზე 1931 წელს. მისი ქართული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთში „ერი“ 1991 წ. ყორანშვილი წიგნს მოუთითებს ასე: „(ციტატები მოგვაქვს ირემაშვილის წიგნის **ქართული თარგმანის მიხედვით.** „სტალინი და საქართველოს ტრაგედია,“ გაზეთი „ერი,“ 1991, №22, 24, 28“.

ყოველი ასეთი მითითებისას ყორანშვილს „ავიწყდება“ „უმნიშვნელო დეტალი“ – ყველაფერს ზედმიწევნით ზუსტად ასახელებს, გარდა მთარგმნელისა. მთარგმნელის დანაშაული კი მხოლოდ ის არის, რომ გვარად ბადრიძეა...

ერთი ციტატაც ყორანშვილის წიგნიდან: „საყურადღებოა, **რომ ამ სამმა უბირმა ადამიანმა** მკვლელობის (იგულისხმება ილიას მკვლელობა, ნ.გ.) უფრო ღრმა მიზეზი იცოდა, ვიდრე მაშინდელმა და დღევანდელმა ადამიანებმა, **მეტიც, ისტორიკოსებმა, სამეცნიერო ხარისხით აღჭურვილებმა“** (გვ. 255). მე მგონი, ამ კაცს ისტორიკოსები მარილაც სძულს...

ერთ-ერთ ნაშრომში იგი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე წერდა: **„არ მინდა დავეგმსგავსო მოსყიდულ ისტორიკოსებს და ვეცდილმა ავამაღალო ეროვნული მუზის მსახურთა დიდად შელახული რეპუტაცია“.** მოსყიდული და უწამებული ადამიანები ყველა დარგში ლეგიონია, მაგრამ ყორანშვილმა რომ სწორედ ისტორიკოსებს არ ნაბჯრას ეტყვის, ისე არაფერს დაწერს. არადა, დარგის შელახული ავტორიტეტის აღდგენა დეკალრირებით არ ხდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა აგდებულ დამოკიდებულებასაც ისტორიკოსებისადმი რეცენზენტი ამყოვნებს, მას უნდა გახარებოდა კიდეც, თუ ჩემს ნიგნში ნაგნები ეგრეთნაირ ისტორიკოსებისადმი ამბიციური დამოკიდებულება. მაშ, რაშია საქმე, რა ეწყინნა და რატომ იცავს ახლა ისტორიკოსებს?

საქმე ის გახლავთ, რომ ისტორიკოსი, რომლის ნააზრევსაც ჩემს ნიგნში აბდაუბდად მოვიხსენიებ, თუმც გვარს არ ვასახელებ, არის თვით გურამ ყორანაშვილი.

განვიხილავ რა ყორანშვილის მიერ მეცნიერულ წყაროებად მიჩნეულ კოჭლავაშვილის ფონდის

„ძვირფას მასალაა", ეწერ: **„შევადარო მკელვა-რისაგან მოხმობილი ეს სამი წყარო ერთმანეთს და მივიღებთ, უკაცრავად ბასუხია, სრულ აბდაუბდას"** (იხ. ტ. II, გვ. 55). სამი გვერდის შემდეგ მიწერია: **„ერთი სიტყვით, ერთ წიგნში, ერთმანეთის გვერდიგვერდ მოტანილი სამივე სიუჟეტი, „ერთი კაცის პირით"** მონათხრობი, არა მხოლოდ სასაცილოდ ყალბია, არამედ პირველი მეორეს გამორიცხავს, მეორე პირველს და მესამე ორივეს. ამ აბსურდს კი **„მეცნიერული" წყაროების ფუნქცია დაეკისრა"** (ტ. II, გვ. 458). აქაც ავტორის დაუსახელებლად ლაპარაკია ყორანაშვილის წიგნზე, იმ პერსონაში კი, ვინც ამ აბსურდს **„მეცნიერული წყაროების"** ფუნქცია დააკისრა, იგულისხმებოდა ყორანაშვილი. თუ რა აბსურდსა და აბდაუბდაზეა ლაპარაკი, ქვემოთ მოგახსენებთ.

ერთი სიტყვითი, ჩემს წიგნში ორგან დადებით კონტექესტში ვიხსენიებ გურამ ყორანაშვილს, ხოლო იქ, სადაც მისი ნააზრევი კრიტიკას ვერ უძლებს, მის მოსაზრებებს ვაკრიტიკებ, ამ მოსაზრებათა ავტორს კი ვინდოზ, არ ვასახელებ. მაგრამ ყორანაშვილმა ხომ იცნო საკუთარი თავი? აი, ამიტომ წერს ისტორიკოსებისადმი ჩემს ამბიციურ დამოკიდებულებაზე. ადგა და განაზოგადა; აბა, ხომ არ იტყოდა, მე ვარ ის ისტორიკოსი, აბდაუბდას რომ ვაგვირისტებო.

ამიტომ არ მოიტანა თავისი განცხადების დასტურად ჩემი წიგნიდან შესაბამისი ციტატა. აღმოჩნდებოდა, რომ სწორედ ისტორიკოსთა შელახული პრესტიჟის ამ **„გადამრჩენელს"** საკუთარი მეცნიერული პრესტიჟი ჰქონია გადასარჩენი...

●

ზოგჯერ თავს ძალა უნდა დაატანო, რომ გაიგო, რას ვასაყვედურობს ყორანაშვილი. იგი წერს:

„თავის დროზე 1987 წლის პირველ ნახევარში, მსგავსი პოპულარული ხასიათის ნაშრომის დაწერა ილიაზე ფრიად აქტუალური იყო და იგი ცალკე სტატიების სახით იბეჭდებოდა „ახალგაზრდა კომუნისტში".

ამ ციტატიდან მივხედი, რომ ყორანაშვილს რაღაც კარგის თქმა უნდა (ობიექტურობისთვის უნდა გითხრათ, შიგადაშიგ წიგნის მიმართ ქებასაც იმეტებს, მაგრამ მორცხვობს).

„მსგავსი პოპულარული ხასიათის ნაშრომის დაწერა"-ო.

ვისი მსგავსი, რისი მსგავსი? სინამდვილეში ჩემს წიგნზე აქვს ლაპარაკი, მაგრამ ხომ არ იტყოდა, **„ასეთი პოპულარული** ხასიათის ნაშრომის დაწერაო...

თუმცა მე ხომ გავიგე? მაინც ასასამოწმოა, მაგრამ „დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?.." უცებ მოაყოლა სიტყვა „მაგრამ..." რა მაგრამ? თურმე **მას შემდეგ,** მე რომ 1987 წელს ამ ნაშრომის პირველი ნაწილი (1837-1870 წლები) გამოვაქვეყენე, ილიაზე სხვა წიგნიც გამოსულა.

ყორანაშვილი კი დასძენს – **„ასეთსავე გზას აგრძელებს ნოდარ გრიგალაშვილიც".** რომელ **ასეთსავე** გზას ვგრძელებ, ადამიანო?! იმ წიგნების გამოსვლამდე რა გზითაც მოვდიოდი, რასაც ვწერდი, ის მივატოვე და სხვების გზა გავაგრძელე?

●

ყორანაშვილის მორიგი შარი: იგი წერს – **„ნოე ჟორდანიას 1905 წელს დაბეჭდილ სტატიაზე „ქართველ მოღვაწეებში" წიგნში აღნიშნულია, რომ „ეს წერილი მას შემდეგ აღარ დაბეჭდილა"** (ნ. II, გვ. 143). ეს მაშინ, როცა იგი ჩვენ დავბეჭდეთ".

მკითხველს ბოდიშს ვუხდი, რომ ყორანაშვილის ციტატებს აღარ ვთარგმნი და ამით თავსატეხს ვუჭენ. ყორანაშვილს დაბეჭდილი აქვს ამ წერილის ნაწილი, მე კი იქვე ვამბობ – „გთავაზობთ ამ წერილს **სრულად**-მეთქი.

ყორანაშვილმა წინადადების მომდევნო ფრაზა მკითხველს დაუმალა...

ასე რომ, ეს წერილი ხელახლა, **სრულად** მართლაც მე გამოვაქვეყენე, რაც არავისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ეს არც სამადლო საქმეა და არც სასაყვედურო.

რეცენზენტი წერს: „იგი, (ე.ი. მე, ნ.გ.) **იგნორირებას უკეთებს** ვახტანგ გურგენიძის, ალექსანდრე სიგუას, გიგი ჟორდანიას და გიორგი აბაშიძის სათანადო ნამრომებს, პირნმინდად უარყოფს რა მათში მოცემულ ფაქტებსა და დასკვნებს".

ამ შემთხვევაში ნაწილობრივ უნდა დავეთანხმო რეცენზენტს – ხსენებული ავტორების რიგ მოსაზრებებს ილიას მკელელობასთან დაკავშირებით მართლაც არ ვიზიარებ. ეს არ ნიშნავს, თითქოს ამ ავტორებს პატივს არ ვცემდე ან უარვყოფდე მთელს მათ შემოქმედებას.

ამავე ავტორების იგნორირებას საყვედურობდა ყორანაშვილი შოთა ბადრიძესაც. მოკლედ, ძალიან უნდა, ჩვენც ის წყაროები გამოვიყენოთ, რომლითაც თავად გაიმრეზდა გზა...

●

რეცენზენტი წერს: ილიას მოურავი დიმიტრი ჯაში **„დაილუპა 1922 წლის მაისში, დიდად საეჭვო ვითარებაში"**-ო.

რა შუაშია ეს ცნობა ჩემდამი მოძღვნილ რეცენზიაში?

პატივცემული რეცენზენტი დიდი მიდეკა კაცია – თუ რამ აიჩემა, ვეღარ გადაალმეშენებ. არადა, ჯაში დაილუპა ასე: ფულის გამო ჩხუბი მოუუიდა

საკუთარ ცოლისძმასთან, პოლიციელ კოპლაკაძესთან. ჯაშმა მას ხელი გაარტყა პატარძლის თვალწინ (კოპლაკაძემ ცოლი მოიყვანა იმ დღეს), შუურაცხყოფილმა ესროლა და მუხლში დაჭრა. ცოლისძმა დაპატიმრეს. ჯაში საავადმყოფოში ნაიყვანეს. ინვა ერთი თვე. ბევრი სისხლი ჭქონდა დაკარგული და ექიმებმა ვეღარ უშველეს – ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. სხვათა შორის, ჯაშმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ლეკესან დაწერა „ანდერძი". მართალია, ეს ლეკესი ისე ჰგავს ფრანსუა ვიიონის „ანდერძს," როგორც ფეშანდი ფაშვიბერტყაძის პოეზია რუსთველისას, მაგრამ ჯაშის „ანდერძი" ჩვენთვის სანიტერესოა იმით, რომ იგი განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებს თავის მეგობრებს, რომელთაგან ბევრი თავის დროზე ილიას ახლობელ-მეგობარი იყო (სანტბერესოა, რატომ გააგრძელებდნენ ისინი ჯაშთან მეგობრობას?), რაც მთავარია, დიდი სიყვარულითაც ამ მოკრძალებით ხსენებს თვით ილიას, არა მგონია, მომაკვდავი კაცი ფარისევლობის გუნებაზე ყოფილიყო და, რაც მთავარია, ერთი სიტყვითაც არ მიეზღო სამაგიერო მათთვის, ვინც მისი „შკვლილობა დაგეგმა". მოკლედ, ამ „ანდერძიდან" ჩანს, თვით ჯაში არ ეჭვობდა, რომ ვინმეს იდუმალ მისი მოკვლა სურდა და რომ ცოლისძმამ სხვათა დავალებით ესროლა ტყვია.

თუ შემკვეთის დავალებით მოსაკლავად ესროლა ცოლისძმამ ჯაშს, ერთი პატარა ოთახის სიფრცეში პოლიციელი კაცი მუხლში მოარტყამდა ან მეორე ტყვია აღარ ჭქონდა?

●

„ამასთანავე ვიტყვი იმასაც, რომ ავტორი მართალია პაატა გუგუშვილის 1938 წელს გამოქვეყნებული წიგნის მნვავე კრიტიკისას (მადლი უფალს, ნ.გ.), **სამაგიეროდ** (გახარეს ხომ არ შემპარჭენს, ნ.გ.) **იგი საერთოდ არ ახსენებს კოტე გორდელაძის შესაბამის ხელნაწერ წიგნს".** მეოთხეული, ეს ის კოტე გორდელაძეა, ბოლშევიკი, ცეკას იდეოლოგიური მდივანი, ბერიას დავალებას რომ ასრულებდა. გუგუშვილის წიგნი გავაკრიტიკეს იმის გამო, რომ ამ წიგნით დაინწყო ახალი ეპოქა ილიას მკვლელობის ბოლშევიკური ვერსიის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. კიდევ რამდენი ბოლშევიკი რა სისუფლეს წერდა, რატომ უნდა მეხსენებინა „თანამდეგი სუფთა?" აქაც ის შემთხვევაა – მუსაე, ვაშლი რატომ არ გასხიარ. მე ხომ ილიაზე გამოქვეყნებული ან ხელნაწერი ნაშრომების ბიბლიოგრაფიას არ ვიდგენდი? ასეთი წიგნი, უზარმაზარი მოცულობისა, არსებობს და ყველაფერი იქ არის თავმოყრილი.

„რასაკვირველია ნოდარ გრიგალაშვილი უთუოდ მართალია, როდესაც მოუთითებს ქართველი სოციალ-დემოკრატების (ესდეკების) **ფრად საძრახის როლს საუკუნის ჩვენს დიდ სირცხვილში."** – წერს რეცენზენტი, მაგრამ იქვე თაფლში კუპრიც უნდა გაურიოს – **„ეს პირველმა გააკეთა არქივარისტმა, მკვლევარმა ვახტანგ გურგენიძემ"**-ო. კი მაგრამ, მე სადმე მინერია, რომ ამ თემაზე პირველმა დავიწყე წერა (ჩამოთვლილი მყავს ის ავტორები, რომელთაც ამაზე უფრომიათ.)? რატომ მიპირისპირებს ეს კაცი ვახტანგ გურგენიძეს, რომელიც ნათელი ადამიანი და ჩემი უფროსი მეგობარი იყო, ვერაფერით ვხედავი. ისე, ობიექტურობისთვის უნდა დავძინო: პირველად საბჭოთა უკუნეთში ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებმა მოკლეს ილია, დაიბეჭდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას არალეგალურ ჟურნალში, არ მახსოვს – „ოქროს საწმისში" ან „საქართველოს მოამბეში" 1976 წელს, ოღონდ იქ ეწერა, რომ მკვლელი იყო სერგო ორჯონიკიძე. ბარემ აქვე ვუთასუხებ ყორნაშვილის ერთ მოთქმასაც: **ნოდარ გრიგალაშვილიც წერდა „იმერელი" ორჯონიკიძე იყოო**. კი, ბატონო, გრიგალაშვილს კი არა, 80-იანი წლების ბოლოდან მოეწყო საქართველოს ეს ასე სჯეროდა, მაგრამ, თუ ახალი დოკუმენტი მოვიძიე, რომლითაც გაიმიფრა, რომ უშუალო მკვლელთა ორგანიზაორი სხვა ბოლშეკეკი იყო, ყორნაშვილის ან სხვა ავტორთა ხათრით უნდდ დამემალა ეს დოკუმენტი?

რეცენზენტი წერს: **„ხსენებულ კონტექსტში** (ანუ ილიას მმრეგბზე საუბრისას, ნ.გ.) **სარეცენზიო წიგნის ფურცლებზე ხშირად მითითებულია მთლიანად ქართველი ესდეკები. ასე რომ დამნაშავეთა წრე უფრო ფართოდ ნარმოიდგინება".** ერთი წინადადების შემდეგ რეცენზენტი აგრძელებს – **„ავტორი ხშირად მემარცხენე, ბოლშევიკურ ფრთაზე ლაპარაკობს. ამდენად თხრობაში მეტი გარკვეულობის შეტანა იყო საჭირო".** წიგნის ასეულობით გვერდზე ეს საკითხი სრულიად გარკვეულად არის ნარმოჩენილი. ვნუხვარ, რომ ბატონ გურამს ვერ გაუგია. ვგონებ, ერთ წინადადებას უფრო იოლად აღიქვამს. კი, ბატონო, ერთი წინადადებით გაგარკვევთ – ილიას მკვლელობა იდეურად შეამზადეს სოციალდემოკრატებმა – ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა, ხოლო ფიზიკურად ილია მოკლეს ბოლშევიკებმა.

მე და ბატონ გურამს სადავო არ გვაქვს ერთ საკითხში: ორივე ვფიქრობთ, რომ ილიას მკვლელთა ორგანიზატორების კვალი მიდის სტალინისთან და ლენინთან.

რეცენზენტმს ჩემი ეს პოზიცია მოსწონს, მაგრამ დასკვნის სახით ამბობს: **„ჩვენ მივესალმებით ნოდარ გრიგალაშვილის მსგავს მედგელობას აღნიშნულ მიმართულებით. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ასეთი თვალსაზრისი ჩვენ უკვე გამოთქვით 2004 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო"** (...ამჟამად მეტი ვიცით), ნოდარ გრიგალაშვილი კი ამ გარემოებას აჩუმათებს".

თუ ასეა, თუ „წინამორბედის“ შრომა არ გავითვალისწინე და „მივაჩუმათე,“ უგვანად მოვქცეულვარ, ყორნანაშვილის საყვედური კი საფუძველიანი ყოფილა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ არის საქმე.

ყორნანაშვილმა თავდაც დაფიქსირა, რომ „თანამდეგი სულის“ ერთი ნაწილი – 1837-1870 წლები – დაიბეჭდა 1987 წელს. წერილი, რომელშიც ასაბული იყო 1870 წლის მოვლენები, დავამთავრე ასე: „იმ წელინაგს ილიას 33 წელი შეუსრულდა.

სწორედ იმ წელინაგს დაიბადა მისი მთავარი მკვლელი“.

ყორნანაშვილს თავის რეცენზიაში ეს ციტატაც მოაქვს და დასძენს – **„ცხადია, იგულისხმება ვლადიმერ ლენინი“**. შემდეგ შენიშნავს, რატომ 1868 წელთან დაკავშირებით არ ახსენე ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია; ან ჯუღაშვილი – 1878 წელთან მიმართებითიო? ეს საყვედური საერთოდ გაუგებარია – მე ილიას მკვლელთა ან იდეურ მოწინააღმდეგეთა დაბადების თარიღების დაფიქსირება კი არ მიინტერესებდა, არამედ სიმბოლურად სულ სხვა რამეს ვუსვამდი ხაზს – როცა ილიას 33 წელი შეუსრულდა, ანუ, როცა ილია ქრისტეს ასაკშია, მაშინ იბადება მისი მთავარი მკვლელი. ამის გარდა, 1987 წელს კომეხნისტებმა (სწორედ 1870 წელზე რომ მივედი) ბეჭდვა აკრძალეს „თანამდეგი სულისა“. თითქოს ესეც სიმბოლური იყო. ამ ფინალით ერთგვაროვან კომუნისტებზე ჯვარის ამოყრაც მინდოდა (ამ თემაზე სპეციალური წერილი მაქვს გამოქვეყნებული), მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. ბატონი გურამი თავად აღიარებს, რომ 1987 წელს მე უკვე ვიცოდი – ილიას მთავარი მკვლელი ლენინი იყო. ბუნებრივია, ლენინზე სტალინის გარეშე ვერ გავიდოდი, ხომ? ასე რომ, ფდეას ილიას მკვლელთა ორგანიზატორებად ლენინ-სტალინის მოძიების შესახებ 1987 წელს მე ვერ აყიალებდი 2004 წელს გამოცემული ყორნანაშვილის ნიგნიდან. სხვათა შორის, არა მტკიცებითი ფორმით, მაგრამ სტალინის როლს ამ მკვლელობაში ძალზედ არგუმენტირებულად უსვამს ხაზს შ. ბაფრიძე ყორნანაშვილზე ადრე, 1991 წელს...

მეცნიერული კეთილსინდისიერებით მე გვერდი არ ამიელია იოსებ ირემაშვილისთვის, რომელმაც საზარელი მკვლელობის საქმეში პირველმა ახსენა ჯუღაშვილის გვარი. კი, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა 2011 წელს გამოცემული ნიგნში სათანადოდ დამეფასებინა ამ მხრივ ყორნანაშვილის მიერ განეული „ღვაწლიც?..“ პირიქით, ეს იქნებოდა გაუმართლებელი რეკერანსი ბატონი გურამის მიმართ. რატომ? ერთი გარემოების გამო.

როდესაც დიდი ილიას მკვლელობაში მთელი მსოფლიოსთვის ცნობილ ლენინ-სტალინს ადებ ხელს, თუ ეს არგუმენტირებულად არ გააკეთე, მიიღებ უკუშედეგს: თუ მკითხველი ვერ დაარწმუნე, ალბის შეუქმნი ლენინსაც და სტალინსაც, ჩემი აზრით, ამ ნამდვილ მკვლელებს.

სწორედ ასე დაემრთა გურამ ყორნანაშვილს. ვინც მისი ნიგნის შესაბამის თავებს ნაიკითხავს, დარნმუნდება, რომ ილიას მკვლელობაში არც სტალინს და არც ლენინს ხელი არ ჰქონიათ გარეული. ყორნანაშვილის ბრალდებები მათთვის სნორედაც რომ ალიბად გამოდგება. კი, მაგრამ, ირემაშვილი მხოლოდ ერთ ნინადადებას წერს – ილიას მკვლელობაში არაპირდაპირ ჯუღაშვილიც იყო გარეულთო და, ეს დეკალარაციული განცხადება თუ დამაჯერებელია და მის ავტორს ასახელებ, ჩემს შრომას რატომ უვლი გვერდსო, – იტყვის ყორნანაშვილი. საქმე ის გახლავთ, რომ სოსო ირემაშვილი იყო სტალინის თანაკალასელი გორშიც და თბილისშიც. უახლოესი მეგობარი. 1905 ნლამდე მისი თანამებრძოლი. სტალინზე წერს ულარესად ობიექტურად, ამიტომ მისი ერთი ფრაზაც კი ფასდაუფდელი მნიშვნელობისაა. ყორნანაშვილს სიტყვაზე ვერ დავუჯერებთ, მას არგუმენტებიც, დოკუმენტებიც მოხმობა მართებდა. ეცადა კიდეც ამის გაკეთებას, მაგრამ, ვიმეორებ, მკითხველი, მისდა უნებურად, იმაში დაარწმუნა, სტალინი არაფერ შუაში ყოფილაო.

არგუმენტები გნებავთ? ინებეთ.

ყორნანაშვილის ნიგნში სამი თავია სტალინთან დაკავშირებით.

1). როგორ იცოდნენ ნოე ჟორდანიამ, იოსებ სტალინმა და სხვებმა მარქსიზმი.

შეიძლება ეს საინტერესო საკითხი იყოს და ბატონი გურამი – ამ საქმეში კომპეტენტური, მაგრამ აქ ილიას მკვლელობა არაფერ შუაშია და ამ თემაზე არც არის ლაპარაკი (ისე, რა უნდა ამ წმინდა წყლის თეორიულ საკითხს ილიას მკვლელობაზე დანერილ ნიგნში, ცოტა ძნელი ასახსენელია, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის).

2). „ილიასა და სტალინის ურთიერთმიმართების შესახებ“.

ამ თავში ბატონი გურამი ჰყვება, რომ ილია უბეჭდავდა სტალინს ლეტსებს, რომ კრემლში სტალინი კეთილად იხსენიებდა ილიას და ა.შ. მკვლელობის შესახებ ვერც ამ თავიდან გაიგებთ რაიმეს.

3). „იდგა თუ არა ი. სტალინი ილიას მკვლელთა ზურგს უკან, ანუ მართალი იყო თუ არა იოსებ ირემაშვილი?“ აი, ამ თავში უნდა აეცადოს საიდუმლოს ფარდა.

შესავალში ყორნანაშვილი ასაბუთებს, რომ სტალინი იყო ტერორისტი.

ამის დასაბუთებასაც ეძღვნება მთელი თავი და, უნდა ითქვას, ამ ამოცანას ავტორი შესანიშნავად ართმევს თავს.

ასევე, ყორნანაშვილი ასაბუთებს, რომ სტალინი იყო გულქვა (ცუდი კაცი), მაგრამ რა არგუმენტი

აქვს, რომ ილიას მკვლელობაში მაინცდამაინც ეს ტერორისტი და გულქვა მონანილეობდა?

მას მოჰყავს სანმი არგუმენტი. ენახოთ, რა ფასი აქვს ამ არგუმენტებს.

1). ტროცკი თავის ნიგნში „სტალინი“ წერს, რომ სტალინი და ლენინი ერთმანეთს ორჯერ შეხვედნენ ბერლინში. ყორანაშვილს მოაქვს ტროცკის ციტატა – **„ამ შეხვედრების ქრონოლოგია ძალიან მნიშვნელოვანია: ერთი მთგანი წინ უსწრებდა ექსპროპრიაციას (ე.ი. შედგა 1913 წლის 13 ივნისამდე გ.ყ.), მეორე კი უშუალოდ მოსდევდა მას. ამით საკმარისად გამოიკვეთება მათი მიზანი. მეორე შეხვედრა უნდა ვიგულისხმოთ, მიძღვნილი იყო საკითხისადმი გაგრძელდეს თუ შეწყდეს (ექსები)“ (იხ. გ. ყორანაშვილი, „წინამორის ტრაგედიის საიდუმლო,“ გვ. 240.).** ყორანაშვილს თავის ჩანაჩანში უნებლიე შეცდომა მოსცელია – 1913 წლის ნაცვლად უნდა ეწეროს 1907 წ.

აქ ტროცკი გვიამბობს შემდეგ ფაქტზე: 1907 წლის 13 ივნისს სტალინის ხელმძღვანელობით კამმომ გაძარცვა ბანკი ერევანსკის, ახლანდელი თავისუფლების მოედანზე. ნაძარცვი ფული, 250 000 მანეთი ჩაუტანა ლენინს. ამ დროს ძარცვა და ტერორი უკვე აკრძალული იყო პარტიის მიერ. ტროცკი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სტალინი ლენინს ბერლინში ხვდება სპეციალურად 13 ივნისამდე, ანუ ბანკის ძარცვამდე, ანუ, ტროცკის არცთუ უსაფუძვლო ეჭვით, ლენინი აძლევს სტალინს დავალებას ბანკის გაძარცვის შესახებ. ამ ფაქტის გამო სტალინი პარტიიდან გარიცხეს. სტალინი ისევ ხვდება ლენინს. ტროცკი ვარაუდობს, რომ ამ შეხვედრისას მათ ილაპარაკეს, შეეწყვიტათ თუ გაგრძელეთანით „ექსები,“ ანუ ძარცვა. ყოველივე ამას ყორანაშვილი უკეთებს შემდეგ კომენტარს: **„თავიდათავად ობადება კითხვა, ხომ არ განიხილებოდა ამ შეხვედრებისას კერძოდ ტერორისტული აქტი ილიას მიმართ. ორივესთვის ხომ საერთო იყო პოლიტიკური მოტივი... რის გამოც შეიძლება ვივარაუდოთ, საჭიროდ ჩათვალეს ჩვენი დიდი მოღვაწის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორება“** (იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 240).

ერთი სიტყვით, ძეხოროცელმა რომ არ იცის, რა ილაპარაკეს ბერლინში ლენინმა და სტალინმა, ყორანაშვილს ვარაუდის უფლებას აძლევს, ალბათ, ილიას განადგურებაზე იყო მსჯელობაო. ფიქრსა და ვარაუდს კაცი არ მოუსვამს, ივარაუდოს მეცნიერმა, რა უჭირს, მაგრამ ცოტა ქვემოთ ვარაუდების ეშხში მედის – **„არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას იმისა, რომ ილიას მოკვლნებაზე გადაწყვეტილება აგრეთვე საქართველოს გარეთ ყოფილიყო მიღებული** (ბერლინი რა, საქართველოშია? ნ.გ.) **ლენინის, აგრეთვე ნიკოლოზ II-ისა და პეტრე სტოლიპინის მონაწილეობით“** (დასახელებული ნაშრომი, გვ. 241).

ვარაუდების სფერო აქ გაფართოდა, მაგრამ ისე, რომ ამ ვარაუდებისთვის **არავითარი არგუმენტი** არ მოუყოლებია, მომდევნო წინადადებაში **უცებ, მოულოდნელად** ყორანაშვილი კატეგორიულად დაასკვნის: **„ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე** (რაშიც ნაწილობრივ კარგად (!) იყო გარკვეული იოსებ ირემაშვილი) **აშკარად ჩანს კობა-სტალინის ვერაგული როლი ილიას მკვლელობის საქმეში“.**

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ ამ კაცის მეცნიერული მეთოდის გადამკიდეს კობა-სტალინი პირველად შემეცოდა ცხოვრებაში. რა ჩანს, ადამიანო, ზემოაღნიშნულიდან აშკარად? ზემოთ აღნიშნული იყო სტალინის ტერორისტობა, ცუდკაცობა და ლენინთან შეხვედრა, მეტი არაფერი.

თუ ეს არის არგუმენტი, რატომ სტალინი და არა, ვთქვათ, კამო? კამო დიდი ტერორისტიც იყო, ცუდი კაციც და ლენინსაც სწორედ ის პერიოდში შეხვდა – ფული მან ჩაუტანა. ან კიდევ რამდენი მამამაცული ბოლშევიკი იყო ასეთი?..

ვერც ყორანაშვილის მეორე არგუმენტი გამოდგება – ორჯონიკიძე სტალინის გარეშე ვერ მოკლავდა ილიასო. ეს მართალია, მაგრამ, თუ არ აგხსენთ, რატომ ვერ გააკეთებდა ორჯონიკიძე სტალინის გარეშე ამას, ასეთ განცხადებას ფასი არა აქვს. მაგრამ ორჯონიკიძეს ილია არ მოუკლავს. ის იმ დროს აზერბაიჯანში, ბალახანში იმყოფებოდა (შემკვეთი, შესაძლოა, არც ყოფილიყო მკვლელობის დღეს საქართველოში, მაგრამ შემსრულებელი აქ უნდა ყოფილიყო, ხომ?), იყო ძებნილი. მასზე ძებნა თბილისში გამოცხადდა 1907 წლის ივნისში. ძებნილ კაცს ილიას მოსაკლავად საქართველოში არაგინ გამოუზავნიდა. ტერორისტები საქართველოშიც ბევრი ჰყავდათ ბოლშევიკებს, თან იმ დროისთვის ორჯონიკიძეზე მეტი „დამსახურების“ მქონე ტერორისტები.

მე-3 არგუმენტი გახლავთ შემდეგი: ყორანაშვილს მოჰყავს დარია ჯაშმის მოგონებებიდან ცნობა, რომ სტალინი იცნობდა ილიას მკვლელ ინანშილს, რომელსაც საგურამოში საგიბაცეიოდ გაზეთებს აძლევედა. მაგრამ რად გინდა, არ დაივჯერებთ და ამ კვალსაც ყორანაშვილი შლის. თავად ვერ ხვდება, ისეთ ალიბს უკეთებს სტალინს. ენდობა რა კოჭლავაშვილის ფონდის ბოლშევიკთა ჩანაწერებს, იქვე მოჰყავს ერთი ცნობაც – სტალინმა თქვათო, ილიას მკვლელობა თუ გინდათ გახსნათ, ინანშილი დაიჭირეთ და იმან ყველაფერი იცისო. მაგე ინანშილი მარილაც დაიჭირესო – დასძენს ყორანაშვილი, თან თავგამოდებით ამტკიცებს, ეს სასაცილო ცნობა არის მარილაღო, კოჭლავაშვილი აღმერთებდა სტალინს და მის შესახებ ტყუილს არ იკადრებდაო (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 241-242). ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამ მტკიცებას წაიკითხავს, მხოლოდ

ერთ დასკვნას გამოიტანს, რომ სტალინმა ილია კი არ მოკლა, არამედ მან დაადგრინა ილიას მკვლელი ინაშვილი. კოჭლთავაშვილსაც სწორედ ეს მიზანი ჰქონდა, ემტკიცებინა, რომ სტალინი და ბოლშევიკები არაფერ შუაში იყვნენ. ერთადერთია გურამ ყორნანაშვილი, რომელიც ამ ამონაწერებს კითხულობს ასე – სტალინმა მოკლა ილია, რადგან მან დაადგრინა ილიას მკვლელი...

ახლა მინდა ვიკითხო, რა მიმეთითებინა ჩემს წიგნში? უკეთ ვთქვი, რომ იდეა ყორნანაშვილს არ ეკუთვნის. კიდევ რა? ის, რომ ყორნანაშვილმა თავისი სასაცილო არგუმენტებით, ფაქტობრივად, ალიბი გაუკეთა ლენინსაც და სტალინსაც? მე ვწერდი წიგნს ილიაზე და არა ყორნანაშვილის წიგნის რეცენზიას. თუ არ ავყევი მას და „მივაჩუმათ" ყორნანაშვილის კვლევის შედეგები ლენინ-სტალინთან მიმართებაში, ვფიქრობ, მკითხველიც დარწმუნდა, რომ წიგნის ავტორისგან მხოლოდ მადლობას ვიმსახურებდი.

●

ბატონი ყორანაშვილი ამ რეცენზიაში კვლავ აფიქსირებს პოზიციას, რომ ილია ესდეკეებთან (სოც. დემოკრატებთან) ერთად მოკლა მეფის მთავრობამ, რომ უშუალო მკვლელების ორგანიზატორი იყო ილიას მოურავი ჯაში, რომ უცნობი იმერელი არის სერგო ორჯონიკიძე, რომ მეფის მთავრობამ სეროოზულად არც საქმე გამოიძია და მათი სასამართლოც ფარსი იყო, რომ წესიერად არც კი დაჰკითხეს ინაშვილი, რადგან ძაღლმა ძაღლის ტყავი არ დახიაო.

ეს საკითხები ჩემი წიგნის ასეულობით გვერდზე მაქვს განხილული. ამ თემებზე მასთან კამათს არ ვაპირებ.

არ არის სავალდებულო, მას ჩემი სჯეროდეს, მაგრამ ფრიგო არ იქნებოდა, თუ დაუჯერებდა შიშველ ფაქტებს.

1). 1906-1907 წლებში მომხდარი ტერაქტების შედეგად 136 თანამდებობის პირი დაილუპა, მათ შორის გენერალ-გუბერნატორი გრიაზნოვი, ასევე სარდალი ალიხანოვ-ავარსკი, ცოტა მოგვიანებით – საქართველოს ეგზარქოსი. ძიებამ და სასამართლომ ვერ დაადგინა ვერც ერთი ტერაქტის ორგანიზატორი, ხმირად – შემსრულებელნიც კი. დამეთანხმებით, მეფის მთავრობა ძალიან მონდომებული იქნებოდა თავისი გენერლებისა და თავისი ეგზარქოსის მკვლელთა აღმოსაჩენად მაინც, მაგრამ ეს ვერ შეძლო.

ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით რამდენიმე მკვლელი მაინც დაიჭირეს და დასაჯეს. ასევე, სასამართლომ დადგინა, რომ შემკვეთი იყო პარტია, პარტიული კომიტეტი. სჯობდა უფრო მეტის გაკეთება, მაგრამ, თუ ამ მოტივიით დავადებთ ხელს მეფის მთავრობას, იმავე მოტივით მას მოუკლავს ალიხანოვ-ავარსკიც, გრიაზნოვიც და ეგზარქოსიც. რაც მთავარია, თავად ყორნანაშვილიც კი ერთგან აღნიშნავს, რომ „რუსეთის მეფის ხელისუფლება განსხვავებით საბჭოურისაგან, ნაკლებად იყო დაინტერესებული ხელი დაეფარებინა „იმერლისათვის," ილიას ერთ-ერთი მკვლელისათვის". არადა, იცოდნენ, რომ „იმერელი" ერთ-ერთი მკვლელი კი არა, მეთაური იყო. ცოტა ძნელია ყორნანაშვილის ლოგიკაში გარკვევა... თუ შემკვეთები თავად იყვნენ, ბანდის მეთაურს ხელს რაღომ არ დააფარებდნენ? ამან დააბნია და მეორე გვერდზე მოხსნა პრობლემა, დაწერა – ხელს აფარებდნენო...

ჯაშთან დაკავშირებით ბატონ გურამს სჯერა ბერიას დავალებით შექმნილი კოჭლავაშვილისეული ფონდის „უძვირფასესი" მასალებისა და არ სჯერა ილიას უმცროსი მეგობრის, **დუშეთის** მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ამ საქმის უშუალო გამომძიებლის, – დაუყოვნებელივ რომ გაჩნდა ტრაგედიის ადგილზე – ყარამან ფაღავასი.

ყარამან ფაღავამ დააპატიმრა ყველა ეჭვმიტანილი, მათ შორის ჯაშიც. სწორედ მან იეჭვა ჯაშზე პირველად. შემდეგ უდანაშაულო პირები გამოუშვეს. გაათავისუფლეს ჯაშიც, რომლის შესახებ ფაღავა **იმთავითვე** აღნიშნავდა, რომ მისი ეჭვები ეყრდნობოდა მხოლოდ გლეხების რწმენას – ჯაშიც იქნება საქმეში გარეულიო; რომ, ფაღავასს თქმით, ეს არ დადასტურდა.

ყორანაშვილს ეს არ სჯერა, სამაგიეროდ, ღრმად სწამს ის, რომ საბჭოთა დროში ფაღავა ბერიას აგენტებთან ლაპარაკობს „მართალს" ჯაშის დანაშაულის შესახებ.

თავისი აზრის გასამყარებლად ბ-ნი ყორანაშვილი რეცენზიაში კვლავ იმეორებს კოჭლავაშვილისეული ფონდიდან მოტანილი პირდაპირ ანეკდოტურ ამბავს. კერძოდ, იგი წერს: **„დოკუმენტურ საფუძველზე დაყრდნობით მოგახსენებთ რომ ალექსანდრე კოჭლავაშვილისეულ ფონდში დაცულია ცნობა, თუ როგორ შეხვდნენ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე დ. ჯაში და გ. ბერძენიშვილი მცხეთაში შესაბამისი უბნის (უსანტაკის) ბოქაულის (პრისტავის) მოვალეობის შემსრულებელს სტანისლავ გრიგიოუნასს, რომელიც მათ მოსახდენ ტერაქტზე ეთათბირებოდა".**

თავი რომ დავანებოთ იმას თუ რამდენად წარმოსადგენია, მცხეთის პრისტავის დონეზე დაგეგმილიყო საუკუნის ტრაგედია, ყორანაშვილის აზრით, ნიკოლოზ მეორისა და სტოლიპინის თავებმა რომ მოიფიქრეს;

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ამ პერიოდისთვის ბერძნიჭაშვილი, როგორც ნითელრაზმელი, როგორც ტერორისტი, იყო ძებნილი, ცხოვრობდა ტყეში და არა საკუთარ ოჯახში, ხოლო ასეთ კაცს პრისტავი დავალების მისაცემად კაბინეტში არ დაიბარებდა, ბატონ ყორანაშვილის ერთი „უმნიშვნელო" დეტალიც გამორჩა – ჯაშს ბერძნიჭაშვილი თვალით არ ჰყავდა ნანახი, მას, უბრალოდ, არ იცნობდა.

ვინ ამბობს ამას? ამას ამბობს თვით ბერძნიჭაშვილი 1941 წლის სასამართლო პროცესზე – ჯაშს არ ვიცნობდიო. ვინ ადასტურებს ამას? იმ პროცესის დამსწრე დარია ჯაში (მხოლოდ მას ნუ დაგუშვერეთ), მაგრამ სხვაც რომ ამბობს? ეს სხვა თვით ხელისუფლებისაგან პროცესზე მიწვეული აკაკი ძიძიგური იყო. მოკლედ, ყორანაშვილს არ სჯერა ბერძნიჭაშვილის, არ სჯერა ჯაშის მეუღლის, არ სჯერა აკაკი ძიძიგურის, სამაგიეროდ, სჯერა სუკის გენერლის, კოჭლავაშვილისეული ფონდიდან და ცეკას იდეოლოგიური მდივნის, გორდელაძის ჩანაწერებისა...

კიდევ უფრო გამაოგნებელია ყორანაშვილის ერთი კომენტარი მკვლელობის მონაწილე წინამურელ გლეხ ხიზანიშვილის ჩვენებასთან დაკავშირებით.

ხიზანიშვილი დაკითხვისას აღიარებს: „მკვლელობის წინა ღამეს, ვიყავი რა სოფელ წინამურში პავლე ფშავლიშვილის ნათესავებთან, საღამოს წინ იქ მოვიდნენ პავლე (უნდა იყოს ივანე, ნ. გ.) ნიაშვილი, გიგლა ბერძნიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი და კიდევ ერთი იმერული, რომელსაც მე პირველად ვხედავდი. ისინი ამბობდნენ რომ კომიტეტმა გადაწყვიტა მოკლას ილია ჭავჭავაძე, რომ იგი ხალხის მავნე წევრია და გლეხებს ანიოკებს. იმ ღამეს ისინი წავიდნენ".

ვიდრე ამ ჩვენების ყორანაშვილისეულ კომენტარს გაგაცნობდეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ვინ არიან ჩამოთვლილი პირები.

ივანე ნიაშვილი – საგურამოს ყოფილი მამასახლისი (სოციალისტი), ილიას დაუქინებელი მტერი, რადგან მეკრთამეობისა და სხვა ცოდვებისთვის ილიამ გაადგინნა იგი მამასახლისობიდან. კაცი, რომელიც გლეხებს მოუწოდებდა, მოეკლათ ილია. მეორე დღეს მონაწილეობას მიიღებს ილიას მკვლელობაში.

გიგლა ბერძნიჭაშვილი – წინელრაზმელთა, ანუ ყაჩაღთა ბანდის წევრი, ტერორისტი, ძებნაში მყოფი. ერთი დოკუმენტის მიხედვით – ფშავლიშვილთან ერთად ილიას მოურავის, მოსეს მკვლელი. სოფ. ახატნიდან, საიდანაც წინა დღეებში ნითელრაზმელთა სახელით ილიას მისდგიოდა მუქარის წერილები ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ. მეორე დღეს მონაწილეობას მიიღებს ილიას მკვლელობაში.

პავლე ფშავლიშვილი, – ტყეში ყაჩაღად გასული ილიას მამულის ყოფილი დარაჯი, რომელმაც 2 თვის წინ სისხლის გუბე დაიყენა ილიას სახლში – მოკლა ილიას მოურავი და მოურავის ცოლი, გაძარცვა სახლი და გაუჩინარდა. მეორე დღეს მონაწილეობის ილიას მკვლელობაში.

ვიღაც იმერული – ბანდის მეთაური. მეორე დღეს მოკლავს ილიას.

რა ხდება ამ დროს ილიას სახლში, საგურამოში? იქ არიან: მგოსნის ნათესავი, ყოფილი სამხედრო პირი, პოლკოვნიკი ზაალ ჭავჭავაძე; მოურავი და მისი ცოლი; ოცზე მეტი მოსამსახურე; ხუთი სტრაჟნიკი, რომელთაც სწორედ ამ ყაჩაღებისგან ეკავებათ ილიას მამულისა და საგურამოს მოსახლეობის დაცვა.

იმ ღამეს ისინი, ანუ ილიას მკვლელები წავიდნენ. სად შეიძლებოდა ნასულიყვნენ? **„ალბათ საგურამოში, სადაც შესაძლებელია დ. ჯაშმა ისინი აპურმარილა"**.

არა, მკითხველო, არ ვიგონებ, ამას ნამდვილად წერს გურამ ყორანაშვილი (იხ. „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო," გვ. 201, სტრიქონი მე-2). ცნობილია ასეთი ფაქტი, მათ შორის გ. ყორანაშვილისთვისაც: როდესაც პეტერბურგის ციხეში, „პრედვარილკაში" დაპატიმრებულ ისიდორე რამიშვილს ილიას მოკვლა შეუტყვია, უთქვამს: „ეს მხეცი კაცი ინაშვილი იქნება ამ უბედურების ჩამდენი"-ო.

ერთი მინდა ვიკითხო: შორეულ პეტერბურგში თუ ინაშვილის გვარი ამოუტიტვნედა რამიშვილს, კი, მაგრამ, რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ცნობილი გახდა თუ ვინ იყვნენ ილიას მკვლელები, ილიას სახლში მყოფთაგან აღარავის გაახსენდა, რომ ყველა ამათ წინა ღამეს სწორედ ჯაშს სწორედ მათ თვალწინ აქეიფებდა? ან წინა მოურავის მკვლელი ფშავლიშელი რომ ილიას მამულში ილხენდა, ვერავინ იცნო ამ მამულის ყოფილი დარაჯი?

ამის შემდეგ მე ამ „მეცნიერისაგან" აღარაფერი მიკვირს, მიკვირს მხოლოდ ის, რაზომ არის ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ამოუხსნელი ბევრი საიდუმლო, როცა გვკვის ისეთი „ერუდიციისა და წარმოსახვის უნარის" მქონე მკვლევარი, როგორიც ყორანაშვილია?!

და განა მხოლოდ წარმოსახვის? მისი თვალთახედვის ისარიც (პირდაპირი მნიშვნელობით), გლას მოკვდავთაგან განსხვავებით, ძალზე შორს სწვდება. მაგალითად, მას შეუძლია, დაბეჯითებით ამტკიცოს: **„დიდი ფსიქოლოგობა არაა საჭირო იმის გასაგებად, რომ ჯაში, რომელიც საზიზღარი საქმის აღსრულებაში მონაწილეობდა, (როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი) და მის კურსში იყო, მარილაც დაინტერესდებოდა მომაღლო ადგილიდან, ხეზე ასულს დაენახა თუ რა ხდებოდა წინამურის სანახებში"** (იხ. დასახ. ნაშრომი. გვ. 31). აქ საუბარია ილიას მამულში მდგარ კაკლის ხეზე, რომელიც დღესაც

ადგილზეა და, 100 წლის შემდეგ თუ არ გაიზარდა, არ დაპატარავდებოდა მაინც. ყორანინეთი მთლად კენწეროზეც რომ შემოსკუპდეს ყორანაშვილი, თუ იქიდან არათუ წინამორის სანანები, ილიას ბალს იქით საერთოდ რამე დაინახოს, მისი ხმალი და ჩემი კისერი, თუ არა, იმ კენწეროზე უნდა დატოვოს კაცმა...

●

რეცენზენტი მამუნათებს: **„რას ნიშნავს ავტორის პათეტიკური წამოძახილი: „ჰოი, ირონია ბედისა, თუ ქუჩას, სადაც ილია ცხოვრობდა, სერგო ორჯონიკიძის სახელი უწოდეს, ფილიპე მახარაძის გვამი მთანმინდაზე ილიას გვერდით დამარხეს. ეს მხოლოდ სატანას შეეძლო მოეხერხებინა“** (ჩემს ტექსტში არის „მოეფიქრებინა“). რას ნიშნავს, ბატონო გურამ, და იმას, რაც ტექსტში წერია – აუცილებელი არ იყო, ორჯონიკიძესა ან მახარაძეს ჩამბარებოდნენ გამოეკრთო ხელი. ორივე ილიას იდეური მკვლელია და ამიტომ ბედის ირონია გახლდათ, ილიას წუთისოფელში საცხოვრებლის ადგილს რომ ორჯონიკიძის ქუჩა დაარქვეს, ილიას სამუდამო განსასვენებლის გვერდით კი ფილიპე ჩაფლეს, ისე, როგორც მიხა ცხაკაია.

„ნოდარ გრიგალაშვილის მიერ ხსენებული არამზადის (ს. ორჯონიკიძის, ნ.გ.) **ნაცვლად ილიკო იმერლიშვილზე** (დაბადებული იყო 1888 და არა 1886 წელს) **ხელის დადება ძალზე არადამაჯერებელია“.**

ვერც ამ თარიღის გასწორებაში დავეთანხმები იპონენტს, რადგან სწორედ 1886 წელს მიუთითებს იმერლიშვილის ძმაკაცი, ბოლშევიკი სტურუა, რომელმაც იმერლიშვილის ბიოგრაფია გამოაქვეყნა 1923 წელს. არ ვიცი, რატომ არ დავუჯერო იმერლიშვილის ბოლშევიკ თანამებრძოლს მისი მეგობრის დაბადების თარიღის სიზუსტესთან დაკავშირებით და რატომ დავუჯერო ყორანაშვილს?

რაც შეეხება ფაქტის დამაჯერებლობას – ვინ იყო მკვლელთა ბანდის ორგანიზატორი, ორჯონიკიძე თუ იმერლიშვილი?

ეს კრეკული თემა, მოკლედ მხოლოდ შემდეგის თქმა შემიძლია: საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სერგო ორჯონიკიძის წარმოდგენა ილიას მკვლელთა ბანდის მეთაურად, ძალზედ იოლია, რადგან ასეთი ანტიქართველი ჯერ ქართველი დედის ძუძუს კი გაუწოვია. ამ გარემოებამ თითქმის ყველას უკრტიკოდ მიგვაღებინა ვერსია „ვილაცა იმერლისა“ და ორჯონიკიძის იგივეობის შესახებ. ამ ვერსიის წარმოშობას, თუმცა საჯაროდ ვერთქმას, ლოგიკური ახსნა ჰქონდა XX საუკუნის 30-იან წლებში. ვერსიიან „შემთხვევით“ გამოყონა ორჯონიკიძეზე გადამტერებული ბერიას კაბინეტიდან. ბერმა დაიჯერა, რომ ორჯონიკიძე იყო ილიას მკვლელი, მაგრამ ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა. სული ყველასთვის ტკბილი იყო... ეს საიდუმლო საჯაროდ მაშინ დაფიქსირდა, როცა კომუნისტების ძველი ძალა აღარ ჰქონდათ და ეს ვერსია უკვე მთელმა ერმა ირწმუნა.

ბატონი გურამი უფრო შორს მიდის და სურს დაგვარწმუნოს, თითქოს ილიას მკვლელობის შემდეგ, 1907 წლიდან მოყოლებული, ხალმბა უკვე იცოდა, რომ ილია ორჯონიკიძემ მოკლა, რომ „იმერელი“ იგივე სერგო იყო. როცა ამას „ლოკუმენტებით“ „ამტკიცებს“, ყორანაშვილი არ ფიქრობს, როგორ შეურაცხყოფს ის მთელ ქართველ ინტელიგენციას.

როგორ, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე ვერავინ გაბედა ამ ცოდნის პრესაში გახმაურება? თუ 1907 წელსვე ყარამანი ფაღავას, ილიას საქმის გამომძიებელს, თვით ფედერალისტებმა უთხრეს, როგორც ამას ყორანაშვილი „გვიმტკიცებს,“ მკვლელი ორჯონიკიძეო, იმავე ფედერალისტებს, ჭეშმარიტ პატრიოტებს, ამ დროისთვის 21 წლის ბოგანო, ძენნილი ორჯონიკიძისა ისე შეეშინდათ, რომ ეს ფაქტი არსად დაბეჭდეს? ან თვით ფაღავაც ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლას ელოდა, რომ ორჯონიკიძე დაედანაშაულებინა? იმ დროს საყოველთაოდ უცნობ ორჯონიკიძესთან შედარებით ბევრად მეტი ავტორიტეტი და ძალა ჰქონდა ფილიპე მახარაძეს. ფილიპესი არ ეშინოდათ, პირდაპირ ილიას მკვლელს ეძახდენ, ვალერიან გუნიაშ მახარაძე მთლად ქვეყნის სასაცილოდაც გახადა თავისი გაზეთით და ორჯონიკიძის მიმართ დაიდგმა ყველამ შიშით პირი?

ერთი სიტყვით, თუ ყორანაშვილი მართალია თავისი უცნაური „საბუთებით“ (1952 წელს ხანდაზმულმა ქალბატონმა ფუტკუნიამ თქვაო, ფაღავამ საბჭოთა დროში თქვაო და ა.შ.), მაშინ მთელი საქართველო თავლაფდასმული ყოფილა. თურმე ილიას მკვლელი „შიშით“ ვერც მაშინ ამხილეს, როცა ის მეფის თავადრობამ სწორედ 1907 წლის ნოემბერში დააპატიმრა; ვერც მაშინ, როცა ის 1909 წლიდან სპარსეთში იყო გადახვეწილი; ვერც მენშევიკების დროს, როცა ორჯონიკიძის პირადი მტერი რამიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. არადა, ამხილეს როდის? 30-იან წლებში... როცა ორჯონიკიძეს დედამიწის ერთი მეექვსედი ემორჩილებოდა, უეცრად გავაჟკაცებულა ყველა და ორჯონიკიძისკენ გაუშვერია ხელი. ნუთუ ძნელია თუნდაც იმ ფაქტით იმის დანახვა, რომ ბერიასგან ზურგმიცემული რამდენიმე დამქაში მის დავალებას ასრულებდა? ჭორმა გამოიღო თავისი შედეგი: თავის დროზე საბჭოთა ხელმძღვანელობის საბზარეულოში ორჯონიკიძის ნინაალმდეგ დამუშავებული ეს ჭორი საბჭოეთის დაისის ჟამს ქართველმა

ხალხმა თვით საბჭოთის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გამოიყენა – ეს იყო და ეს.

ასე რომ, ორჯონიკიძის ავად სახსენებელმა ფიგურამ ეროვნული მოძრაობის ინტერესებისთვის თავის დროზე თავისი როლი ი ბ შესრულა, მაგრამ მე ჭეშმარტება მაინტერესებს. კონკრეტულად ვინ არის ჩვენი დიდი წინაპრის მკვლელი? თუ ამ ცოდვას ტყუილად აკეიდებთ ორჯონიკიძეს, ამით მის ცოდვებს განსაკუთრებულად ვერ დავამიმებთ (რადგან მან ილიაზე მეტი – საქართველოს თავისუფლება დახვრიტა), მაგრამ, ჩვენდა უნებურად, სამედამო ალიბს შევუქმნით ილიას ნამდვილ მკვლელს.

დამტკიცებითი არგუმენტი, რაც რეცენზიაში მოიტანა ბატონმა გურამმა ორჯონიკიძის „სასარგებლოდ," კოჭლვაფშველისეული ფონდის არგუმენტებს ჰგავს. თუმრე 1937 წელს ვიღაც რუს ემიგრანტს სოციალისტს უთქვამს ნოე რამიშვილის დისშვილისთვის, 1911 ნელს ორჯონიკიძემ პარიზთან ახლოს ლენინის ლექციის შემდეგ მთელს ავდიტორიას გვიამბო, მე მოვკალი სახელმწიფო საბჭოს წევრი, ცნობილი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძეო.

კი, ბატონო, მსმენელთაგან ეს საიდუმლო 1911 წლიდან 1937 წლამდე ყველამ საიდუმლოდ შეინახა. ნოე რამიშვილის (ნოე მტერი იყო სტალინისა და ორჯონიკიძის და სწორედ ამათ მოაკვლევინეს ემიგრაციაში) დისშვილი ამ ამბავს გებუღლობს 1937 ნელს. ის ემიგრანტია. ისიც საიდუმლოდ ინახავს ემიგრაციაში და მხოლოდ 1991 ნელს ამჟღავნებს ამ საიდუმლოს საქართველოში? ქართულ ემიგრაციას რომ ასეთი უნიკალური ცნობა ჰქონოდა, ამას დამალავდა ვინმე?

ორჯონიკიძე 80-იანი ნლების ბოლოდან მოყოლებული მართლაც იყო ერისა და ბერის მიერ მიჩნეული „ვიღაც იმერლად". არც მე მომსვლია ფიქრად, ამის რევიზია მომეხდინა. შარშან, 2010 ნლის ზაფხულში, გაზეთი „24 საათში" ისე დავამთავრე ჩემი წიგნის ბეჭდვა, რომ „უცნობ იმერლად" ყველგან ორჯონიკიძე მყავდა წარმოდგენილი. დასასრულებელი მქონნდა წიგნის ერთი თავი – ლენინ-სტალინის როლი ამ ტრაგედიაში. ვეძებდი, დამატებით იქნება რაიმე დოკუმენტი მეპოვა. როგორც ნესი, მკვლელი დანაშაულის ადგილზე ადრე თუ გვიან თავად მიდის ხოლმე. ამიტომ დავიწყე ილიას თანამეგზაროვ მამალი ბოლშევიკების სტატიების, მოგონებების, მათი პოლემიკური წერილების კითხვა, მათი ცხოვრებიდან საარქივო მასალების გაცნობა.

ამ ძიებაში მოულოდნელად წავაწყდი ძველი ბოლშევიკის, რაფიელ კალაძის უნიკალურ ცნობას, რომ არსებობდა ილიას მკვლელობის ბეჭედდარტყმული პარტიული დადგენილება, რომლითაც მკვლელობის აღსრულება დაევალა „ტყის ძმების" უფროსს.

მე უკვე შესწავლილი მქონდა ბოლშევიკური ტერორის მთელი ანატომია.

ყველა ტერაქტს ისინი პარტიული დადგენილებით ახორციელებდნენ, სანე რომ, არასწორია ბატონი გურამის ის შენიშვნაც, თითქოს დანაშაულის ჩადენისას სათანადო დოკუმენტს არ აფორმებენენ.

ბოლშევიკები ტერორის დანაშაულად რიდი მიიჩნევდნენ. ტერორი მათთვის იყო რევოლუციის გაგრძელება, დიდად სასახელო რამ და ტერორისტობით ამაყობდნენ კიდეც. სათანადო მასალები უხვად მაქვს მოტანილი ჩემს წიგნში და აქ აღარ გავიმეორებ. ბუნებრივია, დავიწყე შესაბამისი ორგანიზაციის (დუშეთის მაზრის პარტიული ორგანიზაციის – ვინც ეს დადგენილება მიიღო) „ტყის ძმების" ვინაობის დადგენა. მაზრაში რვა ტყის სამძო აღმოჩნდა, მაგრამ მეთაურთა შორის პარტიის წევრი, ანუ ბოლშევიკი, „სასახელო" ბოლშევიკური ტრადიციებით, სტალინის ახლო მცნობი, ყველაზე დაუნდობელი, ამასთან, პარტიული დავალებებთან თანამდებობის პირების მკვლელი აღმოჩნდა მცხეთის სამმოს მეთაური ილია იმერლიშვილი.

ეს ჯერ კიდევ არ იძლეოდა საიმისო საფუძველს, რომ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაურად იმერლიშვილი მიეჩნია, თუმცა მცხეთელი კაცის გვარი და „კლიჩკა" იმერელი ასოციაციურად თითქოს რაღაცას მიგანიშნებს კაცს.

შეეუფლები ამ იმერლიშვილის „საგმირო საქმეების" გაცნობას. ის აღმოჩნდა უახლოესი მეგობარი ილიას მკვლელებისა – პავლე ფშაველიშვილის, ლადო ფეიქრიშვილის, იმავე ჭრიკაშვილისა და გიგლა ბერიჩიჭაშვილის.

იმერლიშვილმა მოაწყო მეტხეის ციხიდან პატიმრების გაქცევა, თავის მხრივ, იმერლიშვილს დაეხმარნენ გარეთ მყოფი ბოლშევიკები, მაგ. კამო. იმერლიშვილი ციხიდან გარბის და ტყეში ყაჩაღის მაინცდამაინც ილიას მკვლელ ფშაველიშვილთან ერთად. ფშაველიშვილის მოკვლის შემდეგ – მაინცდამაინც ილიას მკვლელ ფეიქრიშვილთან ერთად.

გარდა ამისა, ყარამპარ ფაღაკვამ იცოდა, რომ „იმერელი" უთუოდ წარმოშობილი იმერლებში არ უნდა ეძებნოთ. სწორედ ამიტომ „იმერლის" ბრალდებით დაიჭირეს ორი **ქარხელელი** ყაჩაღი და ერთიც **კახელი**. თუმც ბანდის მეთაურობა არც ერთ მათგანს არ დაუმტკიცდა. ფაღაკვა რა, იმერელსა და **კახელს** ან **ქარხელელს** ვერ არჩევდა ერთმანეთისგან?

ერთი სიტყვითო, ჩემს მიერ მოძიებული დოკუმენტში წერია, რომ ილიას მკვლელობას „ტყის ძმების" მეთაური ხელმძღვანელობდა. დუშეთის მაზრაში ტყის სამმოები იყო რაიონების მიხედვით. დუშეთის მაზრის „ტყის სამმოებზე" უხვია კორესპონდენციები 1907-1908 ნლების ქართულ პრესაში.

ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური ერთ-ერთი „ტყის სამმის“ ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. ბოლშევიკების სიკვდილის მანქანის სტრუქტურა ასეთი გახდებათ: ტერორის ადგილები 1). სოფელი, შემდეგ ამტკიცებდა 2). რაინინ, 3). მაზრა, 4). ცენტრი. ცხადია, ცენტრს ამათ გარეშეც შეეძლო მოქმედება, მაგრამ დავალებას აძლევედა ზემოდან ამავე თანმიმდევრობით თავის პარტიულ ბანდებს.

ამ სტრუქტურის მიხედვით დუშეთის მაზრის ტყის 8 „სამმოდან რჩება“ 3 სტრუქტურა: 1). დუშეთის მაზრა; 2). მცხეთის რაინონს „ტყის სამმო“; 3). საგურამოს, როგორც მცხეთის რაინონში შემავალი, „ტყის სამმო“. ტყის სამი სამმოდან ერთი, საგურამოს „ტყის სამმოს“ ხელმძღვანელი, როგორც ბანდის მეთაური, გამოირიცხა ან უბრალო მიზეზით, რომ იგი ილიას მკვლელობის მონაწილე იყო და დაპატიმრებულიც. მისი „იმერრლბა,“ ანუ ბანდის მეთაურობა, რაშიც იყო ეჭვმიტანილნი, არ დადასტურდა ძიების მიერ. ვგულისხმობ ლადო ფეიქრიშვილს, ოგივე ჭრიკაშვილს. სტრუქტურის მიხედვით ბანდის მეთაურობა ეკალებოდა ან სოფლის, ან რაინონს „ტყის სამმოს“ უფროსს. დასადგენი დარჩა „კოლმეურნეობის თავმჯდომარის“ მხოლოდ გვარი და სახელი. მცხეთის რაინონს „ტყის სამმოს“ მეთაური იყო ილიკო იმერლიშვილი. აღმოჩნდა, რომ ილიას მკვლელებთან არა ორჯოხეიძეს ან სხვა ვინმეს, არამედ სწორედ იმერლიშვილის ჰქონდა განსაკუთრებული კავშირები.

გაირკვა, რომ იმერლიშვილის წყალობით დააღწიეს ილიას მკვლელებმა – ფეიქრიშვილმა, იმავე ჭრიკაშვილმა და ფშავლიშვილმა მეტეხის ციხეს თავი.

სხვათა შორის, ახლახან კიდევ ერთმა დოკუმენტმა მიიქცია ჩემი ყურადღება. თავადი ხიმშიაშვილი, რომელიც მცხეთის ბოქაულ მარკვეიჩთან ერთად ეძებდა ილიას მკვლელებს, რადგან ამ ხიმშიაშვილსაც ემუქრებოდნენ მოკვლით, ამბობს შემდეგს: **„რომ ეშინია არ მოჰკლან ილია იმერლიშვილმა, გიგლა ბერძიჭაშვილმა და ლადო ფეიქრიშვილმა“** (იხ. დოკუმენტი თ. ბადრიძის ნიგნში „ნინამორის ტრაგედიის გამოცანები,“ გვ. 226).

როგორც ვხედავთ, ილიას მკვლელთა ბანდის წევრები აქაც იმერლიშვილთან ერთად იხსენებიან.

1910 წელს თავადი ხიმშიაშვილი მართლაც მოკლეს.

დაბოლოს, არც იმერლიშვილია და „იმერლის“ სემანტიკური აღქმის საკითხია ნაკლებსაყურადღებო დეტალი. ერთი იმდროინდელი ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, „იმერელი“ მიჩნეულია გვარად. უფრო დაწერილებით არგუმენტები ნიგნში მაქვს მოხმობილი.

ვფიქრობ, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ ბოლშევიკ რაჟდენ კალაძის წერილებით დოკუმენტში, რომ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური „ტყის ძმების“ უფროსია; ასეთი კი ნამდვილად იყო იმერლიშვილი და არა ორჯოხეიძე.

რაც შეეხება ყორანაშვილის შენიშვნას, რომ მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვდა, ამ საკითხთან დაკავშირებით მიმეთითებინა თელავში მოღვაწე პროფესორის, თ. სიმაშვილის ნაშრომი, ვუპასუხებ – რაც არ მქონდა ნაკითხული, ვერ მივუთითებდი. აღნიშნული ნაშრომი არ არის შეტანილი ილიაზე გამოცემულ არც ერთ ბიბლიოგრაფიაში და ბატონი სიმაშვილის არც ერთ წიგნში. მისი არსებობა შეეიტყვე თვით ბ-ნი ყორანაშვილისგან და მისი მხრიდან ეს შენიშვნა უსამართლოა არის და არავითიკერიც.

ჩემი და ბატონი სიმაშვილის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული პოზიციების თანხვედრა იმერლიშვილისა და „იმერლის“ იგივეობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს პოზიციებს, თუმცა ჯაშთან მიმართებაში თ. სიმაშვილის დასკვნებს მე ვერ გავიზიარებ.

ის, ვინც იმ დროს მომხდარ ტერორისტულ აქტებში ან ეპოქის დოკუმენტებიდან შეისწავლის, ბუნებრივად მიგა საერთო დასკვნამდე: ვინც კოჭლთავაშვილის ფონდიდან მოინდომებს სიმართლის შეტყობას, კიდევ უფრო ბუნდოვანს გახდის ის საიდუმლოს, რომელიც სულ ჩაავეკისნელა თავისი უცნაური არგუმენტებით ბ-ნმა ყორანაშვილმა. მას მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე საუბრის უფლება, უბრალოდ, არა აქვს, ვინაიდან ყორანაშვილის ნაშრომში არათუ რაიმე დეტალი, არამედ თითქმის მთელი წიგნის ფაქტობრივი მასალა გადმოძღერებული ვიხტანგ გურგენიძისა და, განსაკუთრებით, შოთა ბადრიძის ნიგნებიდან. ამასთან, „მაღლიერი“ პლაგიატი გუფლოდგინედ აკრიტიკებს თვით შოთა ბადრიძეს. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ბადრიძის ნიგნის ფაქტობრივი შეცდომებიც თავის ნიგნში უდუთქია პატ. მეცნიერს.

ის ფაქტი, რომ ყორანაშვილი, უბრალოდ, შარზეა, ჩანს იქიდანაც, რომ ჩემი ნიგნის ის მონაცემთი, სადაც „იმერელზეა“ საუბარი, გადაბეჭდილ იქნა ჟურნალ „ცისკარში,“ 2011 წლის მარტ-აპრილის ნომერში, სადაც მიეუთითებ ბატონი სიმაშვილის შრომას შესაბამის კონტექსტში. ყორანაშვილმა ამას წაუყრუა.

უფრო მეტიც, „ცისკარის“ მარტ-აპრილის ნომერში მე ვნერდი, რომ ნიგნში გაიპარა რამდენიმე კორექტურული და ტექნიკური შეცდომა, რომ პეტრე უმიკაშვილის ფოტოს ქვეშ წერია პეტრე უშიკიშვილი, რომ დაკარგულია სტრიქონი, რის გამოც მოხდა ორი მსგავსი სახელისა და გვარის აღრევა – გეორგ ებერსისა და გეორგ ბრანდესისა. ასევე მივუთითებდი რუსეთის იმპერატორის ბიძასთან დაკავშირებით გაპარული ლაფსუსის შესახებ. უფრო ადრე კი, ჩემი და ყორანაშვილის სატელევიზიო დებატების შემდეგ, პირადად ვუთხარი პატი-

ვცემულ ოპონენტს, დედამიწის ზურგზე წიგნი არ გამოსულა, სადაც ტექნიკურ შეცდომას ვერ იპოვი, მაგალითად, თქვენს წიგნში ეს და ეს ტექნიკური შეცდომები შევამჩნიე-მეთქი. ცხადია, ამ ტექნიკური შეცდომებით აქ არ დავამუნათებ. ჩემს წიგნშიც ვნახე ასეთები, მაგალითად-მეთქი, – და სამი შეცდომა ჩამოვთვალეს: უმიკაშვილი – უშიკიშვილი, გეორგ ებერსი – გეორგ ბრანდესი და კიდევ რუსეთის იმპერატორის ბიძა – ერთგან სწორად მაქვს მითითებული, მეორეგან შეცდომით, მაგრამ ამის გასწორებას 1 წუთი უნდა, 1 წუთში კი წიგნი ვერც კარგი გახდება, ვერც ცუდი, წიგნის ღირსება სხვა პარამეტრებით ფასდება-მეთქი.

ახლა კი მომდგა პატივცემული მეცნიერი და, რაც ჩემგან მოისმინა, რაც თავად გავასწორე ჟურნალ „ცისკრის" ხსენებულ ნომერში, ამ მექანიკურ შეცდომებზე ლექციის კითხვა დამიწყო. მაგალითად, მიხსნის, რომ პეტრე უმიკაშვილის სურათის ქვეშ არ უნდა ებეროს უშიკიშვილი; მიხსნის, ვინ არის გეორგ ებერსი. ვთხოვ, გადაშალოს ჩემი 1988 წელს გამოცემული წიგნი „ზრუნვის საგანი," იქ მოძებნოს წერილი „გზა ხსნისა" და ნახავს, რომ ამ მწერლის შესახებ, უხერხულია, ის მმოდღვრავდეს; ან რამდენად ეთიკური, შენგან მინვდილ ზეპირ ინფორმაციას, თან შენგანვე წერილობით გასწორებულს, კაცი რომ თავისი შენიშვნების სახით შემოგიბრუნებს?

ასევე მმოძღვრავს ეგნატე ნინოშვილთან დაკავშირებით. **„განათლებით ფილოლოგს არ ეპატიება ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების ადგილად ჩორჩათის მოხსენიება"**-ო. ცნობილია, რომ მწერალი გარდაიცვალა სოფ. ჩიქვეთში.

ცნობილია კი არა, ბატონო გურამ, ლამის ჰომეროსის დაბადების ადგილზე არ არის იმდენი კამათი, რაც ეგნატეს დაბადებისა და გარდაცვალების ადგილის შესახებ.

აბა, ერთი, გადაშალეთ განათლებით ფილოლოგის, ანუ თქვენი მონა-მორჩილის წიგნი „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები" (1990 წ.) და ნახეთ, რას ამოიკითხავთ იქ. აი, რასა: „იოსებ მეგრელიძის მოგონებებიდან: „1929 წელს აღინიშნა ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან 70-ე წლისთავი. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი საქართველოს მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის წინამძღოლობით ეგნატეს მშობლიურ სოფელს, ჩანჩეთს ეწვივნენ. მწერლის ხსოვნის პატივსაცემად გაიმართა მიტინგი. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე მიცვალებულს ერთ დამფასებელს მეორე ცვლიდა. ორატორი ორატორს ენაცვლებოდა. სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძემაც. მიტინგის შემდეგ სტუმრებმა მწერლის სახლს მიაშურეს. ამ დროს გარეთ ხალხში ყვირილი და ჩოჩქოლი ატყდა. ოზურგეთის პარტიის რაიკომის მდივანი ამბის გასაგებად გავიდა. აი, რა გაიოქვა. სოფელ **ცაცხვანილების** ერთი ჯგუფი **ჩანჩეთელებს** ნაჯიდებიან – ეგნატე უფრო ჩვენ გვეკუთვნოდა. ჩვენი სოფლის შვილი იყო და ჩვენსავე სოფელში უნდა გადადასვენოთო. ეს დავა იმდენ ხანს გაგრძელებულა, რომ **ჩანჩეთელებს** ნინოშვილის საფლავზე დარაჯიც კი დაუყენებიათ, **ცაცხვანილელებმა** მწერალი ჩუმად არ გადადასვენონ" (იხ. ნ. გრიგალაშვილი, „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები," თბ. 1990 წ. გვ. 60).

ეს აურზაური ატყდა იმის გამო, რომ ფ. მახარაძე ხალხს შეპირებია ეგნატეს მშობლიურ სოფელს აკადეკვიდობო, ჩანჩეთელებისა და ცაცხვანილელების გარდა სხვა სოფლებიც დაობდნენ. დასახელებული წიგნის 62-ე გვერდზე ნაკიოთხავთ: „ეგნატეს დაბადების ადგილადაც სხვადასხვა სოფელია გამოცხადებული: ჩიქვეთი, ჩანჩეთი, ჩორჩათი, ყელა, ჯვარი. ესეც ბედის ირონია გახლავთ – კაცი, რომელმაც სიცოცხლეში ვერსად მოიკიდა ფეხი, ვერსად შექმნა საკუთარი კერა და ოჯახი, მერმე ხუთი სოფლის დავის საგნად იქცა". ხედავთ, ბატონო გურამ, მთლად უკატეგორიად არ მქონია საქმე. და მაინც, საიდან გაჩნდა ეს ჩორჩათი? ჩორჩათი არანაირი შეცდომა არ არის. არსებობდა ჩორჩათის საზოგადოება, ანუ ჩორჩათის თემი, რომელშიც ეს სოფლები შედიოდა.

ასე რომ, მე შემეძლო დამეწერა, ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა ჩორჩათში. ან მიმეთითებინა უშუალოდ ის უბანი, რომელიც ჩორჩათში შედიოდა.

სხვათა შორის, ის, რაც ყორანაშვილისთვის „ცნობილია," ანუ ჩიქვეთი, სადავოა სახელწოდების თვალსაზრისით. ფილიპე მახარაძე ნინოშვილის პირადი ნაცნობი იყო, მის სოფელში არაერთგზის ნამყოფი, ამის გარდა, ნაშრომიც დაწერა ეგნატეზე – „ეგნატე ნინოშვილი, დრო ცხოვრება და შემოქმედება" (იხ. „პროლეტარული მწერლობა," 1930 წ. №2).

ფილიპე წერს: „ეგნატე ნინოშვილი დაიბადა 1859 წელს გურიის ერთ პატარა სოფელში – **ჩირგვეთში, ჩორჩათის საზოგადოებაში"** (იხ. დასახ. წყარო, გვ. 107). ამავე ნაშრომში ნაკიოთხავთ: **„ეგნატე გარდაიცვალა თავის მამის სახლში სოფ. ჩირგვეთში, იქ სადაც დაიბადა".**

ამ შემთხვევაში ყორანაშვილზე მეტი ფილიპეს დაეჯერება.

ხედავთ, ბატონო გურამ, ეს ჩიქვეთიც საკამათო გახდა. ჩიქვეთი კი არა, ჩირგვეთიო, – ფილიპემ, თქვენ კი რა იოლად იკით წანკალიპრტება ცნობარებიდან შეცსებული ცოდნის იმედით... ბარემ ერთსაც დავაზუსტებ: მახარაძესაც ეშლება, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითებს, **ეგნატე დაიბადა იქ, სადაც გარდაიცვალა**, თავის მშობლიურ სოფელში, ანუ ჩიქვეთში. სინამდვილეში ეგნატე დაიბადა სოფ. ყელაში. „ეგნატეს მამისა და ბიძის, თომას და აღექსის ოჯახი აქ სოფელ ყელადან გადმოსახლებულა. გადმოსახლების მიზეზი კი იყო შემდეგი: ეგნატეს დედა ჭლექით დაავადებულა. ხალხში გავრცელებული რწმენით, ჭლექიანის ოჯახის, თუკი შესაძლებლობა ჰქონდა, ფუძე უნდა გამოეცვალა. ეგნატე დედას 5 თვისა დარჩა" (ის. ჩემი ნაწერი „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები", თბ. 1990 წ. გვ.62). რაკი ოჯახი ეგნატეს დედის გარდაცვალების შემდეგ, გადადის ჩირგვეთში, ბუნებრივია, ეგნატეს დაბადების ადგილი ჩირგვეთი ვერ იქნება.

ასე რომ, უნდა განსრულდეს – ჩემი იქნება თუ სხვისი – უნებლიე შეცდომები.

რაც შეეხება გარდაცვალების ადგილს, წარმოვადგენ კიდევ ერთ არგუმენტს – თუ მოძებნით თვით ეგნატეს **პირად წერილებს**, მაგალითად, ოდესის სასულიერო სემინარიის მონაფის ალფეში ბარამძისისადმი, ქვეშ ამოიკითხავთ: **„სოფ. ჩოჩხათი, ეგ. ინგოროყვა"**. ანუ ჩოჩხათის ჩვენგან დაწერა უცოდინარობის შედეგი არ ყოფილა...

ერთი სიტყვით, თვით ეგნატე, როცა სურდა, თავის სოფლად ჩოჩხათს ასახელებდა, რადგან მისი სოფელი იყო ჩოჩხათის თემში.

„თანამდვილი სულის" ფინალში, ანუ მე-2 ტომის უკანასკნელ გვერდზე მოვათავსეს ილიას ცნობილი ფოტო: ილია ზეაწეული ხელით და მოხრილი თითით ვიღაცას უზმობს – ალბათ, მეეტლეს. ჩემი კომენტარია – „ის გვიხმობს ჩვენ უკეთესი საქართველოსთვის".

ყორანაშვილი აქაც „მამხელს" – ამ ფოტოზე მსგავსი კომენტარი გერონტი ქიქოძეს ეკუთვნისო. არ ვიცოდი, მაგრამ გერონტი ქიქოძის შენუხება არ არის საჭირო. ამ ფრაზაში ჩემი მარცალვა ორად ორი სიტყვაა – „უკეთესი საქართველოსთვის". ხოლო „ის გვიხმობს ჩვენ" ჩემი არ არის, არც გერონტი ქიქოძის. ეს გაბლაუთი ფრთანანი გამოოქმა, რომელსაც, ალბათ, საფუძვლად დაედო ჰემინგუეის კითხვა – „ვის უზმობს ზარი?" თავის მხრივ, ჰემინგუეი რომანის ამდაგვარი დასათაურებისას დაესესხა ცნობილ ინგლისელ პოეტს ჯონ დონას.

ილიას ეს ცნობილი ფოტო 1000 კაცს რომ აჩვენოთ და მისი **განზოგადება** სთხოვოთ, 999 სწორედ ასე განაზოგადებს – „ილია გვეძახის ჩვენ," ან „ის გვიხმობს ჩვენ". ერთადერთი, ალბათ, გურამ ყორანაშვილია, ვინც იტყვის, ჯერ ნაკალ, სამეცნიერო ლიტერატურას მოვეძებნი, რა კომენტარი ახლავს ამ ფოტოს და მერე გიპასუხებთო.

თუ ყორანაშვილის მარს აავყვები, წინადადებისთვის „ის გვიხმობს ჩვენ უკეთესი საქართველოსთვის" ასეთი სამეცნიერო აპარატი უნდა დამეჭრაო. წინადადების პირველ სამ სიტყვასთან დაკავშირებით იხ. გ. ქიქოძე, ესა და ეს ნაშრომი და ეკ. ჰემინგუეი და ჯონ დონი „ვის უზმობს ზარი". დარნმუნებული ვარ, მსგავსი კომეენტარი ფოტოს სხვადასხვა გაზეთებშიც ექნებოდა – ის გაზეთებიც უნდა მომეძებნა და მიმეთითებინა.

თუ ასეთი გზას გავყვებით, ფრაზას ვერ დაწერ, პირველწყაროს მითითება რომ არ დაგჭირდეს. მაგ. საკმარისია დაწერო, – „ილია საგურამოში ნასასულელად ემზადება. გარეთ ცივა. ქარი ქრის" და ა.შ.

ყორანაშვილი მიგითითებს: აქ პირველი ორი სიტყვა – გარეთ ცივა – უნდა იყოს ბრჭყალებში! რატომ? ს. შანშიაშვილის გამო – „გარეთ ცივა," მესამე-მეოთხე სიტყვაც უნდა იყოს წყაროს მითითებით. რატომ? ისევ ს. შანშიაშვილისა და გ. ტაბიძის გამო. ს. შანშიაშვილი – „გარეთ ცივა, ქრის ქარი". გ. ტაბიძე – „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის," ანუ უნდა იყოს ოთხმაგ ბრჭყალებში?..

აი, ასეთ აბსურდადე მიხვალ კაცი, ჩემი რეცენზენტის შარანაფოს რომ აჰყევ.

რეცენზენტი კატეგორიულად შენიშნავს, **„ვერავითარ შემოხვევაში ვერ დაავთანხმებით იმ მოსაზრებასაც..."** რა მოსაზრებას? არ ეთანხმება ჩემს ლირიკულ წიაღსვლას იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგჯერ შემოხვევითობასაც შეუძლია ისტორიის ბორბალი ნაღმა ან უკუღმა დაატრიალოს-მეთქი.

ლაპარაკია იმაზე, რომ მკვლელობიდან 10-15 წუთში მკვლელობის ადგილზე გაჩდნენ ილიას მამულიდან წამოსული შეიარაღებული სტრაჟნიკები.

„ცხადზე უცხადესია, ავაზაკებს ეს ხელს არ ააღებინებდა სხვა დროს შეესრულებინათ ავი განზრახვა"-ო. რას მიბრაზდები, შე კაი კაცო, მე კანონი კი არ გამომიცია, ვამბობ, ილია, დიდი ალბათობით, იქნებ გადარჩენილიყო-მეთქი. ალბათობა იმასაც გულისხმობს, იქნებ მანეც ვერ გადარჩენილიყო. ეს კი კატეგორიულია, არა, მანეც მოკლავდნენო. კი მაგრამ, იმ დღეს რომ ტერაქტი ჩაშლილიყო, რატომ არ იყო ალბათობა გადარჩენის? მით უფრო, 1907 წლის შემოდგომიდან ყველა მამალი ბოლშევიკი წლობით გადაიხვეწა საქართველოდან.

განა მსგავსი მაგალითი ცოტა იცის ისტორიამ, როცა ჩაშლილი ტერაქტის შემდეგ ტერორისტები დაუჭერიათ და ადამიანი გადარჩენილა?

რეცენზენტი შემინშნავს, შენ პირველი არა ხარ ვინც ჯაბის უდანაშაულობას ამტკიცებო და ჩამოთვლის იმ ავტორებს, რომელთაც ჯაბი მკვლელად არ მიაჩნდათ. ფუჭი საყვედურია. მე მის მიერ დასახელებული ბადრიე და მარკოზაშვილიც დამოწმებული მყავს ჩემს წიგნში და კიდევ რამდენიმე სხვაც

სწორედ იმ გარემოების აღნიშვნით, რომ მათ არ სჯეროდათ ილიას მოურავის მონანილეობა მკვლელობაში, მათ შორის ბაქრაძეს, შარადეს და სხვებს.

გურიის აჯანყების შესახებ ეწერდი, ქართული ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი, თითქოს ის მხოლოდ სოციალური ხასიათის აჯანყება იყო-მეთქი, არადა, ეს იყო ეროვნული ჩაგვრისგან გამოსახსნელი ბრძოლაც, რის არგუმენტად მომყავს ის ელემენტარული ფაქტი, რომ აჯანყებაში თავადები და ბეგები მონაწილეობდნენ. **ეს დამკვიდრებული აზრი კარგა ხანია გადალახულია ქართულ ისტორიოგრაფიაშიო,** – წერს ყორანაშვილი.

მეც კარგა ხანია დავწერე ეს სტრიქონები, 1986 ან 1987 წელს. არაგის არ დავსუხებიგარ, ან რა დიდი აღმოჩენა ამას უნდა – სოციალურ აჯანყებაში გურიის თავადები და აჭარის ბეგები მიიღებდნენ მონაწილეობას?

ვინმე იზმაილოვი რამ დაგაწერინა, ვინც იმ ეპოქას იცნობს, მისთვის იზმაილოვი განა ვინმე იყოო? – მსაყვედურობს რეცენზენტი, არადა, ამ იზმაილოვს ჩემს წიგნში 2-3 გვერდი მაინც ეძღვნება. „ვინმეს" დაწერა მისი ვინაობის აჩიგოდსაკი კი არ ნიშნავს, ბატონო გურამ, ჩემი მხრიდან, არამედ იმის ხაზგასმასა, რომ არჩევნებში ის ილია ჭავჭავაძის კონკურენტია და, თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინდელ თბილისში იმარჯვებს კიდეც.

დიახ, ერთი მხრივ, ვინმე ი ზმაილოვები და, მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე. მტერს ამის ვერგაგება...

მე ეწერდი, ბატონყმობა აღმოსავლეთ საქართველოში 1864 წელს გადავარდა, დასავლეთ საქართველოში – ერთი წლის შემდეგ-მეთქი.

ნამდვილად არ ვიკვლევდი ბატონყმობის გადავარდნის ისტორიას, დაეწერე რეს, როგორც ჩემამდე ბევრს, მათ შორის ისტორიკოსებსაც დაუწერიათ. რა თქმა უნდა, ბატონყმობა 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში გადავარდა და არა მოელს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ, ყორანაშვილის „ბუკვაედობას" თუ გავყვებით, თვით ილიას, აკაკის, გოგებაშვილს თავი უნდდა ვამართლებინოთ, რატომ წერდნენ და ჩვენც რატომ ვიმეორებთ, ალიხანოვ-ავარსკის თავისი დამსჯელი ექსპედიციით ილაშქრა დასავლეთ საქართველოშიო? ავარსკიმ ილაშქრა იმერთასა და გურიაში, არ ყოფილა სვანეთში, აფხაზეთში და ა.შ.

ნაწილობრივ მართალია ყორანაშვილის შენიშვნა, ბესარიონ ჯორჯენაძე რომ თვალში მოხვედრია და ამ გვარის შეცვლას ითხოვს. მართლაც, ტყეტსაში ბესარიონ ჯორჯენაძის ნაცვლად უნდდა ეწეროს ბესარიონ ჯაფარიძე, მაგრამ მისთვის ჯერობა კი, ეს შენიშვნაც არ მოეცა – **„ბესარიონ ჯორჯენაძის მაგიერ უნდდა ფიგურირებდეს ბესარიონ ლოლობერიძე."** – წერს იგი. ტყეულდან არ ამბობენ ეშმაკი დეტალებშიაო. ამ ერთი უწყინარი შენიშვნით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ პატივცემულ მეცნიერს ის ეპოქაზე ძალიან ზერწელეკ ცოდნა თუ აქვს. საქმე ასე იყო: 1876 წელს ბანკის საკითხებზე ილიას წაკიდნენ აკაკი და ნიკო ნიკოლაძე. ამ ჩხუბამდე კი ყველა ამათ, სერგეი მესხის ჩათვლით, ერთად უნდდა ეთანამშრომლათ გაზეთი „დროებაში," გაეძლიერებინათ ეს გაზეთი. გაბარაზებულმა ილიამ მესხს შეუთვალა: „დროების" ჯგუფში დავრჩები, თუ აკაკისა და ნიკოლაძეს გაიყვანან და მათ ნაცვლად ბესარიონ ჯორჯენაძესა და დავით ჩხოტაულს შემოიერთებო. მესხმა უარიც თქვა და ეს ამბავი გაზეთშიც გამოცხადდა. ნიკოლაძე და აკაკი სულ გადაირივნენ, ჯორჯენაძე და ჩხოტაუა როგორ არჩია ჩვენს თავსო" (იხ. „თანამდევი სული," ტ. I გვ. 254).

ჯორჯენაძის ნაცვლად უნდდა ეწეროს ჯაფარიძე, თუმც აქაც კი ბატონმა გურამმა საკუთარ თავს კარგი სამსახური ვერ გაუწია. აკაკი და ნიკოლაძე სწორედ იმიტომ გადაირიენენ, საყოველთაოდ უცნობი ბესარიონ ჯაფარიძე და დავით ჩხოტაუა გაბრაზებულმა ილიამ მათი თავს რომ არჩია. ბესარიონ ლოლობერიძე არათუ საყოველთაოდ უცნობი, საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწე იყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, პეტერბურგის უნივერსიტეტში მათი ლიდერიც კი. ასე რომ, აქაც ვერ გავიზიარებ პატივცემული მეცნიერის შენიშვნას – **ბესარიონ ლოლობერიძე უნდდა ფიგურირებდესო,** პირიქით, ის ამ კონტექსტში არ ფიგურირებს და არც უნდდა ფიგურირებდეს...

ჩემს წიგნში არის ასეთი პასაჟი ილიას მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობასთან დაკავშირებით: „პირდაპირ შეგშურდება, **რას წერენ ფლობერის ბიოგრაფები.** ის დროს, როცა ეს ჩვენი ილია გაცოფებულ პატიმსა და გლეხს შუაში უდგას, რათა ერთმანეთი არ დაზოცონ იმაზე, მამულის გამყოფი სამანი ერთი მეტრით მარჯვენივ უნდდა ჩაარჭონ თუ მარცხნივ, ფლობერთან უკვდავნი იკრიბებიან ხელოვნებაზე სამსჯელოდ. **კრუასენთო,** სადაც ფლობერი ცხოვრობდა, ლიტერატურულ შეხვედრებს მართავდნენ ზოლა, ძმები გონკურები, თეოფილ გოტიე, მოპასანი, ხშირად **სტუმრობდაო** ტურგენევიც.

მოდი და ნუ შეგშურდება. ფლობერს კართაგენზე რომ რომანი დაეწერა, მასალების შესაკრებად ორჯერ იმოგზაურა ალჟირში, ილია კი დუუშეთიდან თბილისში ვერ ჩამოდის თვეებით".

როგორც ხედავთ, მე ვეყრნინი ფლობერის ბიოგრაფებს.

ყორანაშვილის კომენტარი: **„მაგრამ კართაგენი რომ ტუნისში მდებარეობდა?"**

მეც მინდა შეკუბრუნო კითხვა: **მაგრამ ფლობერმა თუ ალჟირში იმოგზაურა?** ამ ცნობას გვანდდის ფრანგული ლიტერატურის აღიარებული მკვლევა-

რი მ. ვ. ელიზაროვა: „ კრუასედან მოახდინა მწერალმა ორი დიდი მოგზაურობა **ალეგორში, რადგან წერდა რომანს კართაგენზე და მასალები უნდა შეეკრიბა**". ასე რომ, ბატონი გურამის ვერც ამ შენიშვნას მივიღებ.

ღრმად პატივცემული მეცნიერი შენიშნავს – **„ტექსტის საგაზეთო ვარიანტში, რომელიც გაზეთ „24 საათში" დაიბეჭდა, ერთგან ვკითხულობთ, რომ ნოე რამიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე გახლდათ 1918-21 წლებში. თუ ასეა მაშინ რა თანამდებობა ეკავა ნოე ყორდანიას, პრეზიდენტისა?!"**

ცხადია, ამ ამონაწერიდს სხვა კომენტარები აღარ სჭირდება. მეცნიერი მშრალად და კორექტულად აჩვენებს, რომ უბრალოდ დიღეტანტთან აქვს საქმე. ბუნებრივია, 1100-გვერდიანი წიგნი არ შეიიღება ზეპირად მახსოვდეს. არც ის მახსოვს ზეპირად, გაზეთის 104 ნომერში გამოქვეყნებული მასალიდან კონკრეტულად სად, რომელ ნომერში დავუშვი ასეთი შეცდომა. შეგწუხდი. ერთადერთი იმედი დამრჩა, რაკი ოპონენტი საგაზეთო ვარიანტს ახსენებს და წიგნში იმავე შეცდომას არ მიუთითებს, ეტყობა, საგაზეთო შეცდომა წიგნში გამისწორებია-მეთქი. თუმცა იმან კი დამაეჭვა, რომ ღრმად პატივცემულს არც გაზეთის ნომერი აქვს მითითებული და არც ჩემი სიტყვები აქვს ბრჭყალებში ჩასმული. რაკი ვაჟა-შუაგული ციტატებსა და ჩემს სხვა ამონაწერიდებში მყავდა ძალადობაში შემჩნეული, სიტყვაზე არ ვენდე, გავიხარჯე და მოვძებნე გაზეთში ის ფრაზა, რომელიც პატივცემულმა ჩემი ციტატის სახით ასე წარმოგვიდგინა – **„ნოე რამიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე გახლდათ 1918-21 წლებში"**. ახლა ვნახოთ, სინამდვილეში რა წერია საგაზეთო ვარიანტში „ერთგან," ანუ გაზეთ „24 საათის" 2010 წლის 10 ივნისის 123-ე ნომერში.

„გასათვალისწინებელია ის, რომ ნოე რამიშვილს, რომელიც მენშევიკებში სოლიდური სახე იყო (1918-1921 წლებში მთავრობის პირველი თავმჯდომარე და **შინაგან საქმეთა მინისტრი**), ალია არ სძულდა ბოლშევიკებივით ან ზოგიერთი მენშევიკივით". იგივე წერია მე-2 ტომის 466-ე გვერდზე. ანუ, თუ რამიშვილის შემდგომ თანამდებობას, შინაგან საქმეთა მინისტრობას არ გააკრობთ, ყველაფერი წერია ისე, როგორც იყო. მოსაწონია ახლა ამ პატივცემულის საქციელი?

ზემოთ დავწერე, ყორნანაშვილი საკუთარ ნაბრეკვლაც ეჯრძენის-მეთქი და შესაბამისი მაგალითების მოტანას შეგპირდით.

ალ. ქართელი ანდაზის – „ასე, ჩემო მანასავო, ხან ისე და ხან ასეო" – პრაქტიკული ხორცშესხმის ნიმუშები:

გ. ყორნანაშვილის წიგნის 298-ე გვერდზე ვკითხულობთ: **„საბჭოთა სასამართლომ ჭეშმარიტების ნანილი დაადგინა (სხვათა შორის, მეფის სასამართლოს ესეც არ გაუკეთებია)".** 5 გვერდის შემდეგ ის თავად ებრძვის თავის ნინარე ნათქვამს. მისი წიგნის 303-ე გვერდზე წაიკითხავთ: საბჭოთა სასამართლოს **„ეყო თავხედობა-უტიფრობა თავისი წინამორბედი მეფისეული სასამართლოს მიმართ განეცხადებინა..." „...თავიდანვე არაობიექტურად ნარიმართა საქმის გამორკვევა და გამოძიება დაადგა აშკარა თვალსაზვეული გზას".**-ო

მოდი და გაიგე რამე, რა ხდება ყორნანაშვილის გონებაში. თუ საბჭოთა სასამართლომ ჭეშმარიტების ნანილი მაინც დაადგინა და ძველ სასამართლოს ესეც არ გაუკეთებია, მაშინ კი ჰქონია უფლება საბჭოთა სასამართლოს, წინამორბედის მიმართ საყვედურო გამოეთქვა.

თუ ამის უფლება ჰქონდა, ყორნანაშვილი რაღამ აღაშფოთა – ახალს ეყო თავხედობა-უტიფრობა თავისი წინამორბედი, მეფისეული სასამართლოს მიმართ განეცხადებინა, თვალის ახვევის გზას დაადგა? რაც მთავარია, მთელ წიგნში სწორედ ამას ამტკიცებდა თავადაც, ამ 303-ე გვერდზე კი ერთბაშად თავისიავე რუდუნებას ბოლო მოუღო.

კიდევ უარესი, ამ თარს 303-ე გვერდზე მას იმის უარყოფაც მოუხდა უნებურად, რისთვისაც საკუთარ წიგნს წერდა – რომ ილია სერგო ორჯონიკიძემ მოკლა... ცხადია, ასე არ სურდა, მაგრამ...

აბა, ნავიკითხოთ ეს წინადადება: **„ბრალდებული** (იგულისხმება ბერნიჭაშვილი, ნ. გ.) **განგებ გახაზადა: „არც იმერელი, არც მოძღვრიშელი იქ არ ყოფილა. არავითარი „იმერელი" იქ არ ყოფილა".** იქ – იგულისხმება ილიას კვლელობის ადგილი. ამ წინადადების თუში ჩაროვნია გ. ყორნანაშვილის კომენტარი: **„(ულანასკნელ შემთხვევაში მართლაც ასე გახლდათ, გ. ყ.)"** მართალი გითხრათ, თავიდან შევშინდი – ეს უკვე გულმავიწყოობას აღარ ჰგავდა...

ბოლოს მივხედი, რისი თქმა სურდა ყორნანაშვილს და ამოვიხუნთქე. მას უნდოდა ეთქვა, არა უკანასკნელ შემთხვევაში, არამედ უკანასკნელის შემთხვევაში ის მართალი იყოო. ე.ი. იქ მოძღვრიშელი არ ყოფილაო. მე მზად ვარ, ყორნანაშვილის ტექსტში ქართულად ვთარგმნო და ავტოროს ჩანაფიქრი სწორად მივიგებინო კეთილეულთან, მაგრამ ვერაფერი გავაწყევე, მაგ: ამ შემთხვევაში:

გ. ყორნანაშვილი წერს: **„უნდა ითქვას, რომ რუსეთის მეფის ხელისუფლება, განსხვავებით საბჭოურისგან, ნაკლებად იყო დანნტერესებული ხელი დაეფარებინა „იმერლისთვის," ილიას ერი ერთი(?) მკელელისთვის"** (იხ. „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო," გვ. 186.).

იქვე, მომდევნო, ანუ 187-ე გვერდზე კი იგივე ყორნანაშვილი იმავე „იმერელთან" და მეფის მთა-

ვრობასთან დაკავშირებით ამტკიცებს: **„იმერელის“ ვინაობა ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ ჯერ კიდევ 1907-1909 წლებში იყო ცდები, შეგნებული თუ შეუგნებელი, „საქმიდან“ მისი „სუფთად“ გამოყვანისა“.**

ეს მეჩვენებული მანიცდამაინც აქ გამოთქვამს აზრს ნათლად და მკაფიოდ. ვერაფერსაც ვერ ჩაუსწორებ, რომ მდგომარეობიდან გამოიყვანო, არადა, მიხვდი და გიგიე, საბოლოოდ რისი თქმა უნდა?

ჯერ წერს, მეფის მთავრობა იმერელს ხელს არ აფარებდაო, მერე კი – მეფის მთავრობა „იმერელს“ პატრონობდაო. „საქმისა“ და „სუფთასა“ ბრჭყალებში ჩასმაც საქმეს ვერ შველის, რადგან ამ სიტყვებს მხოლოდ ჯარგანის მნიშვნელობით სვამს ბრჭყალებში. ესეც არ იყოს, იმ აზრს, მეფის მთავრობა რომ „იმერელის“ დანდობას არ აპირებდა, დოკუმენტებით განამტკიცებს, ისე, როგორც, ჰაერზე კი არ აქვს ნათქვამი, იმასაც „დოკუმენტებით“ ასაბუთებს, ძიება „იმერელს“ რომ ხელს აფარებდა. მოკლედ, ხან ისე და ხან ასეო.

ალპათ, გახსოვთ, როგორ მამუნათებდა, კოტე გორდელაძის ხელნაწერ წიგნს რატომ არ იყენებ შენს ნაშრომშიო. მე ვუპასუხე, სისულელეა იმ წიგნზე დაყრდნობა და იმიტომ-მეთქი. არადა, ნახეთ, რას წავაწყდი თვით მ. ყორანაშვილის წიგნის 288-ე გვერდზე **„მას** (კ. გორდელაძეს, ნ. გ.) **თან გადაჰყვა მისი ნაცოდვილარო წიგნიც (ვითომდა „ოხრანკის“ მიერ ილიას მკვლელობაზე)“.** აბა, რაღას მირჩევდი, ბატონო გურამ? როგორც თქვენ იტანჯებით ამდენ გაუგებრობაში, გსურდათ, მეც ისე დავტანჯნულიყავ?

ბატონი გურამი ორიგინალური იდეების სიმწირეს მიჩივის. ჩემი ამოცანა ილიასა და მისი ეპოქის დოკუმენტური, ფოტოგრაფიული სიზუსტით აღდგენა და დაცოცხლება იყო. ორიგინალური იდეები ცუდი მეგზურია დოკუმენტურ ყანრში მუშაობისას. მეკითხეკოს ჩემი ორიგინალური იდეები კი არა, დიდი ილიას ყოველდღიურობის ნამდვილი, მართალი სიუჟეტები ინტერესებდა. მე ამისთვის დავშვერ და, თუ შეეძელი, წიგნი ორიგინალურად სწორედ ამით იქნება წარმოჩენილი და იმ უამრავი უცნობი ფაქტით, რაც ისტორიის ანალებში იყო ჩაკარგული.

ყველა ჟანრს თავისი ხერხები აქვს. ბატონ გურამს ეს ნაკლებად ინტერესებს, ამიტომაც არის, რომ თავის წიგნში თუ მასალის მოწვდის მხრივ სრულიად გატკეპნილ გზებზე იარა, კომენტარებში მართლაც ერთობ ორიგინალური მკვლევარია. ასე მაგალითად, რატომ იყო ჯაში ილიას მკვლელთა ორგანიზაბორი? ყორანაშვილისთვის ერთ-ერთი არგუმენტი გახლავთ ის ფაქტი, რომ ჯაში მახინჯი ყოფილა, მახინჯ სხეულში კი მახინჯი სული. მაშასადამე, ჯაში მკვლელია. გადაშლეთ მისი წიგნის 98-ე და 99-ე გვერდები და ამაში თავად დარწმუნდებით. ასეთი ორიგინალობისგან ყველა დაიფაროს ღმერთმა...

ერთადერთი შენიშვნა, რაშიც ყორანაშვილი მართალია, არის ჩემს მიერ ნაპოლეონის მარშლების – ვიქტორ ნეისა და ემანუელ გრუშის როლების აღრევა.

თუმც აქაც კი გამოუერია თავისებური... მოაყოლა ახსნა-განმარტება, რომ გრუშის ორჭოფობის მაგალითზე დიდად ვაზეიადებ შემთხვევითობის როლს. არადა, ეს საყვედური, თუ მანიცდამაინც, შტეფან ცვაიგის ეკუთვნის...

ასე დასრულდა ბატონ გურამ ყორანაშვილის შენიშვნების ნუსხა, რომელთაც რეცენზენტმა ამდაგვარი საერთო შეფასება მოაყოლა – **„ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ლიტერატორ ნოდარ გრიგალაშვილის „თანამდევი სული“ თუმცა კი დაწერილია ჩვენი დიდი წინაპრისადმი დიდი სიყვარულით** (გმადლობთ, ნ. გ.), **მიზნად ისახავს რა თემის პოპულარიზაციას მკითხველთა ფართო მასებში, აღძრავს ინტერესს განსაკუთრებით წინამორბილ ტრაგედიისადმი** (გმადლობთ, ნ. გ.) **და ამასთანავე ავტორს გაარნია გარკვეული ეერედიცია** (ამაზედაც გმადლობთ, ნ. გ.) **1837-1907 წლების საქართველოს ისტორიის თაობაზე, მაგრამ...“** ისევ მაგრამ... საკმარისია, ბატონო გურამ, აბალა, როგორც დასაწყისში, ისევ მივეცეთ სიტყვა ვაჟა-ფშაველას, ოღონდ ინტერპოლატორის უფლებით და დიდ ვაჟასთან ბოდიშის მოხდით, ბოლო ოთხ სტრიქონს ჩემსასაც დავუმატებ:

მაგრამ შენ „უსამართლობას
ბევრჯერ მრავალსა ამბერებია,
დაუნაშავრის კაცისა
დიდს ცოდვებშია სდგებია;
აფუჭებ კაცის ამაგსა
მოულოდნელის წყრომითა;
გაატიალებ ერო წუთში
კაცის მონაგარს შრომითა.
ან რა მოიგე, სანყალო,
მაგ უსამართლო ომითა?!“
რად მაქვერნე ნაგავი,
რად აგვაყოლე მბორითა?!
ახლო ჩაგხვდე, ბავშვებუნდი –
სნაკელულ მეგონე შორითა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცყიჩი

(გაგა ჭინჭარაული)

მტკივიხარ, გრძელო სოფელო

მტკივიხარ, გრძელო სოფელო,
ნაოჭარივით გამჭდარო,
ერთ დროს ერთმანეთს გამბულო,
ძმა-სახლიკაცის ბან-კარო.
სუმუდამ ძახილ-ძუხილო,
ბან-წინგარდაზე ხახანო,
წუხრ-წუხრ ერთუცის პატიჯო,
საერთო სადილ-ვახშამო.
შაყრილო უფროს-უმცროსო.
თავ-თავის სკამზე დამსხდარო,
ერცხვის მანდაურ ქალ-ზლითა
აყვავებულო ქაზდარო.
შაკრულო ისრის კონაო,
გადასატეხად მაგარო.
მგონდები, მამის სიზმარო,
გასახსენებლად საზარო,
ნანახვი ქრისტეს ღამესა,
დილას ცრემლებით ნათქვამო.
იმ დროში წარმოუდგენო,
რაღაც მითო და ზლაპარო,
დღეს კი მზის მასვლასავითა
ასრულებულო, ამჭდარო.
საიდან მახვე შავ წყალო,
სახლის ყორეებს მამდგარო,
კეზო, მუხისგან გათლილო,
დედაბოძზეით გამხტარო.
კერაში გადაზელილო
მინავ, ნაკვერჩხალ-ნაცარო,
ცრემლს მადენ, იფნის უღელო,
ერთ დროს მანძილათ ნადგამო.
შუაზე გადამტვრეულო,
ტაბიკ-აპეურდამწვარო,
დროთა ქარების ნალოკო,
სანთლის ფეხივით გამდნარო.
მამულო, დამეწყრებულო,
მაშლილო სამან-სამძღვარო,
ხრამ-ნაპრალებად ნაქცევო,
საბელთ გაშლაზე გამხტარო.

ლექსი მოგვანოდა
ბაბუა ალუდაურმა



ზურაბ თორია

მახარებელი

პალატის ფანჯრიდან მანქანებით ჩახერგილი ეზო მოჩანდა. რკინის მაღალი ლობის გასწვრივ ჩარიგებული დგგალული ხეები ბუტაფორიას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე წიწვოვან ნარგავებს. ეზოს დაუპატიჟებელი სტუმრებივით მოსდგომოდნენ, ოთხსართულიანი, ბათქაშშემოძარცული ნაცრისფერი კორპუსები, მათ უკან სამანქანო გზა მიიზლაზნებოდა, მერე შიშველი გორაკები, უფრო შორს კი ფერდობებს შეფენილი სასაფლაო განმარტოებულიყო.

ფანჯრიდან თვალის საამებელს ისეთს ვერაფერს შეამჩნევდი, თუმცა ყავარჯნებიანი, ძალტყავა, ოცდასამიოდე წლის თმაგადახოსრილი ახალგაზრდა ამ ერთფეროვანსა და უღიმღამო სურათს ღიმილმოფენილი სახით გაჰყურებდა და, ისე ხატოვნად აღწერდა, თვეობით ლოგინს მიჯაჭვული სნეული კი არა, შესაძლოა, ერთი საათის წინ ფანჯარასთან მდგომიც კი შეცდომაში შეეყვანა.

– ნიკა, ი გოგო ხო არ გამოჩენილა? – მოუთმენლად გაანწყვეტინა პალატის მარჯვენა კუთხის სანოლში პირაღმა მწოლმა, ფანჯარასთან ატუზულზე, ალბათ, ხუთი წლით უფროსმა, წვერულვაშმოშვებულმა, შავგტუხა ნუგომ.

– დღეს რაღაც არ ჩანს, მაგრამ სად წაგვივა, აივანზე გასაშრობად გაფენილი სარეცხი მაინც ხომ უნდა...

– იქნება, სულაც დედამისმა ან სხვა ვინმემ ჩამოხსნას! – შეანყვეტინა ნუგომ და სახე კედლისკენ მიაბრუნა.

ნიკა ერთხანად გატრუნული იდგა, შემდეგ რაფას იდაყვით დაეყრდნო და საავდროდ მოქუფრულ ცას ახედა. „დახე, წვიმა პირში უჭირავს, ამ შლეგი მარტისგან, აბა, სხვას რას უნდა ელოდო... კაცი მოწმენდილი ცის ცქერით თვალს მაინც დაასვენებდა!" – გაიფიქრა ნაღვლიანად.

ხელისგულისხელა მოჭყვიტინე ტრანზისტორიდანაც სახარბიელო არაფერი ისმოდა. დიქტორები ერთიმეორეზე უარეს ამბებს ისეთი თანმიმდევრულობითა და რიხით გადმოსცემდნენ, საძაგელ გუნებაზე დაგაყენებდა. როგორც კი ამ ინფორმაციებს გადმოაფრქვევდნენ, მხიარულ მელოდიებს მოაყოლებდნენ, თითქოს ქვეყნად არც სადარდებელი და არც რამე საავალახო არსებულიყო.

წინა თვეში გულისგამზეთქი ამბების შემდეგ ზღვარსგადაცილებულმა კაკაფონიამ ნუგო მოთმინებიდან იმდენად გამოიყვანა, ტრანზისტორი კედელს მიანარცხა. სერი ის იყო, დაიმალა, მაგრამ ჭყვიტინს მაინც განაგრძობდა. ნიკა სიცილით ლამის ჩაბჟირდა, მაგრამ ნუგო ამ მოჭყვიტინე მოჩვენებას ნირშეუცვლელად დაჰყურებდა. ეგ ზუსტად შენი ჭკუის არისო, გაკენწლა ნიკა, შემ-

დეგ ტრანზისტორის ნაწილების აკრეფა სთხოვა, ტკივილებსდა მიუხედავად, გულმოდგინედ შეაკონინა, შეანება და ტუმბოზე ხელმისაწვდენ ადგილზე დადო, თუმცა იმ დღიდან მხოლოდ ამინდის ცნობებს და სპორტულ მიმოხილვებსღა სჯერდებოდა, დანარჩენ დროს ტრანზისტორი ღუმდა, ხოლო ნუგო ერთთავად ნიგნებში და გაზეთებში იყო თავრგზული ან ჭერს აჰყურებდა.

ნიკამ კარგა ხანს ითმინა, ამასნინათ კი, დერეფანში გავიტანა და იქ ჩავრთავო, სთხოვა. სასიკეთოს მაინც ვერაფერს შეიტყობ, გირჩევნია, რამე ნაიკითხო, ურჩია ნუგომ. ასე გამოყოლუებულები როდემდე ვიყოთ, იქნება ქვეყანა აშენდა, ჩვენ კიდევ ბაიბურში არა ვართო, თავი დაიძვრინა ნიკამ. მისმა პასუხმა ღამის გადარია ნუგო, მაგრამ თავს მოერია და ტრანზისტორი უსიტყვოდ გაუწოდა.

რამდენიმე ხანში ნუგოს ყურთასმენას დერეფნიდან აღმოსაცლური გაბმული მელოდია და ახალგაზრდების მხიარული ხმები მისწვდა...

აქ ყოველი დილა ერთი და იმავე თანმიმდევრობით იწყება: სავალდებულო პროკედურებს საუზმე მოსდევს, საუზმეს – ექიმების შემოვლა და ამ რიტუალის აუცილებელ აბრიბუტად გადაქცეული დამიმედებელი ფრაზები... და ახლოობების ლოდინი, რომლებსაც ჰოსპიტალში სიარული მობეზრებოდათ ან ხელცარიელად მოსვლის ერიდებოდათ.

ნუგოს თავშესაფარი ნიგნები და ფიქრებია. ფიქრები, მისიგე თქმით, ორთქლის საქვაბები, ანუ მის გონებაში გაუთავებლად თუხთუხებენ. როგორც კი მედგრად შემოუტეევენ და კრიტიკულ ზღვარს მიაღწევენ, ხუფს ოდნავ მოუშვებს, ანუ სიტყვებს უწოშრად გასაქანს მისცემს, საქვაბე ორთქლისგან დაიცლება და ნუგოოც შეებას იგრძნობს, რაც თოქმის აღსარებასაგითაა, იმ განსხვავებით, რომ მიმტევებელი და მაზხარებელი არავინა ჰყავს...

ეს საფიქრალი მისი სამშობლო, ანუ კუთხე, ანუ „შინაა". ამ „შინში" ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს: წინაპართა ხსოვნას, მშობლებს, მეგობრებს, მტერსაც და მოყვარესაც, მაგრამ განსაკუთრებული მაინც, აქედან შორს მყოფ ერთ ქალს, რომელსაც სიზმარში თუ ცხადში მოსვლა მოსდევს ხედვას, მაგრამ ეს გზა არა და არ ილევა. სანამ ამ პალატაში იქნება, გული უგრძნობს, გზას დასასრული არც ექნება, თუმცა იგი ამხნევებს, ხშირად შორიდან ეძახის კიდეც.

„ნუგო!.. ნუგო!..." – ჩაესმა ახლაც.

„ია!" – ხმამღლა დასცდა, ძილ-ღვიძილის თავი გამოსტაცა და მიმოიხედა.

ის „ეშმაკის ფეხი" ნიკა ისევ ფანჯარასთან იდგა. ამჯერად ცალი ყავარჯნისთვის ხელი გაეშვა, მთელი ძალით ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და ეზოს დასჩერებოდა.

– ნიკავ, ფრთხილად, ეგ შენი ძალისძალათი გაპარჩნაკებული ფეხი ისევ არ მოიტეხო! – გასძახა ლამის ფანჯარას აკრულს.

– ეგლა მაკლია! – გამოსძახა იმან და გაყურდა. რაღაცას იყო მიყურადებული, – გინდა, ფანჯარას შეეფიქ და ფაიზალ რამეს მოგასმენინებ? – ღიმილით ჰკითხა ბოლოს.

– ინდურ სიმღერასაო, არ მითხრა, თორე, რო წამოვხტები! – მარჯვენასთი ცრუ მოძრაობა გააკეთა ნუგომ.

– არნამომხტომის?! – გაეხუმრა ნიკა.

– ბაღლო, თავს არ გაგიივდეს, თორე! – ისევ გულს გარეთ დაექადნა ნუგო.

– გეყო, დაშოშმინდი, აჰა, ყური დაუგდე და...

„ჯარისკაცებო, გაგიმარჯოთ! როგორა ხარო, რა გიჭირო, რა გილხინო, ჭრილობები ხომ არ განუბებთ. ოქვენს ვაჟკაცობაზე ქვეყანა ლაპარაკობს და აი, მეც თქვენთან მოვედი, რომ გაგამხნევოთ... აგე, ჩემი ფანდური, კიდევაც დაგიკრავთ და კიდევაც გიმღერებთ. თუ ვინმეს რამე სჭირდება, სიხარულით გავეგზავნები. იცით თუ არა, რომ დღეს ხარებაა, ხარებას გილოცავთ, ღვთისმშობელი გფარავდეთ!.." – ბავშვური, ტკაცრის პანაწინა ვერცხლის ზარივით წკრალოა ხმა ნიკას ხრინწში გაძვრა და ნუგოს გულს მიესალბუნა.

– ნეტა ვინაა, იქნება აქაც შემოიხედოს! – ინატრა ნუგომ.

– ერთი ბიჭია... მაგრამ პატარაში აქ რო არ უშვებენ? – იკითხა ნიკამ.

– რატო, რა, ჭირიანები ვართ რო?

– პირიქით, ვირუსი თუ რაღაც დოზანაა, არ შემოიტანონო.

– ვირუსი არა, ფლავი... ახლავე ჩადი და ამოიყვა. მთავარ ექიმთანაც რომ მოგიხდეს შესვლა, მაინც ამოიყვა, თვითონ მაგ ვირუსიანებს ასე გადაეცი, ნუგომ, არ ამაყენონ და აქაურობა არ ამაყირავებინონ-თქო!

– გეყო, გეყო, ეგ საათში ჩავალ და... – აჩქარდა ნიკა და ყავარჯნების ჩლახუნით კარისკენ გაემართა.

დერეფანში რომ გავიდა, ნიკას მორიგე ექთანი შემოეყარა. მთავარი ექიმი შემოვლაზე, ახლავე პალატაში შებრუნდიო, დაუცაცხანა. პასუხად ნუგოს სურვილი და მუქარა გადასცა. მორიგე ექთანმა ხელი უმწეოდ გაასავსავა, მთავკენ მომავალი თეთრხალათიანების ჯგუფისკენ გაეშურა და მათ შორის როგორც ჩანდა, მთავარრთან ხმადაბალ დიალოგში ჩაება.

– კარგი ბატონო, როგორც კი შემოვლა დამთავრდება, ამოიყვანეთ და, ვისაც სურვილი ექნება, შეახვედრეთ. – იყო იმ „მთავარის" პასუხი.

ბიჭის გამოჩენას მთელი საათი ელოდნენ. ამასობაში იგი წუთით არ დადუმებულა, ფანჯრის მომდგარ ავადმყოფებს ამხნევებდა, ფანდურზე დაუკრა

და დაამღერა. მისი ბავშვური ხმა მკაფიოდ ისმოდა. ნუგრს უკვირდა, რომ ბიჭის ნამღერი სამარშრუტო ტაქსებსა და ბაზრობებზე ხოსმენილის არ აგონებდა. ამ სუსხსა და ქარში, – ნიკას თქმით, – ცას აპყურებდა, ფანდურის სიმებს აწკრიალებდა და პატარა მგალობელი ჩიტივით მსმენელთ ატკბობდა...

ნიკა პალატაში რომ შემოუძღვა, კართან იატუზა და კუთხეში მწოლ ნუგრს რიდით მიესალმა. ცხრა ან ათი წლის თუ იქნებოდა. ბავშვურად გაწლეკულიის ოდნავ მოგრძო, ხორბლისფერ სახეს ჯიღი თვალები უწვეულო იერს სძენდა.

– აქეთ მოინე, – გასძახა ნუგრმ.

ბიჭმა ორი ნაბიჯით წაინია და შედგა.

– რაო, უკმეხიაო, ხომ არ დგაფეთეს, ჰა?! – ღიმილით ჰკითხა ნუგრმ.

ბიჭმა პალატაში საქმიანად მიმოიხედა, ფანჯარასთან მიდგმული სკამისკენ გაიმართა, აიღო, შუა პალატაში დადგა, ზედ კოტაკად ნთალი მომცრო ფანდური დადო, «კაპიშონიანი» ფერადი ქურთუკი გაიხადა, სკამზე გადაკიდა, ტანზე შემოგმასნილი ნაცრისფერი სვიტერი დაბლა დაქაჩა, საყელო გულდასმით გაისწორა, გვერდზე გადავარცხნილ ღია ნაბლისფერ თმაზე ხელი გადაისვა, ქურთუკის გულისჯიბიდან «ხარების" მომცრო ფერადი ხატი და რამდენიმე სანთელი ამოაწყო, ნუგრს სანოლთან მდგარ ტუმბოსთან მივიდა, ხატი ჭიკარტით კედელზე მიამაგრა, სამი სანთელი ტუმბოზე დაანთო, დანარჩენი იქვე დაანწო, პირ-ჯვარი გადაისახა და სკამთან დაბრუნდა.

– არავისაც არ დაკეფფეთებიგარ... მრავალ ხარებას დაგასწროთ, ჯანის სიმტკიცეს და სულის სიმშვიდეს ზიარებოდეს... ახლა კი, მოდით, ერთად ვილოცოთ. – არაბაკვშური სიდარბაისლით წარმოთქვა ეს, სანამ დამხდურნი რამის თქმას მოისაზრებდნენ, პირჯვარი ხელმეორედ გადაიწერა და საუფლო ლოცვა ნამიიწყო.

„ბაბან, ეგ ვინაა, ტოო... თავი მთლად დიდი კაცივით არ უჭირავს?!" – გაიოცა ბიჭის სიტყვებითა და საქციელით გაღიზანებულმა ნუგრმ, მაგრამ, მორჩილად თავდახრილს რომ დაკკვირდა, მოლბა, თავისდა უნებურად აპყვა და, როცა მის კვალდაკვალ ღვთისმშობლისადმი ლოცვა ჩაადუღუნა და პირჯვარი სამჯერ გადაიწერა, იგრძნო, რომ მის სულსა და სხეულს საოცარი სიმშვიდე და სიმსუბუქე შესდგომოდა.

– ახლა კი გავეცნოთ ერთმანეთს... მე მათე ვარ, ამ უბნის ღვთისმშობლის ტაძრის საბერძნესაინ. ჩვენი ტაძრის დეკანოზისგან კურთხევა მაქვს, ვილოცო თქვენთვის და, თუ რამე ჭირდებათ, ვეცდები. – თქვა და ნუგრს და ნიკას მიაჩერდა.

პალატაში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

– ბიჭო, შენ ყოველთვის ასე იქცევი, თუ?.. – წამოიწყო ნიკამ ოდნავ დაყოვნებით.

– შენ გაზრდას, მითხარი, სადაური ხარ. – შეაწყვეტინა ნუგომ.

ბიჭი შეიშმუშნა, თვალებში სევდა ჩაუდგა.

– ახალგორიელი, – ჩაიბუტბუტა მოგვიანებით.

– მერედა, იმისი არ იყოს, აქ რა ქარმა გადმოგაგდო...

– ქარმა არა, შარშანდელმა ომმა. აგე, იმ სახლებიდან განაპირას ერთოთახიანში დროებით შეგვასახლეს, – ხელი ბალკანშემოძარცული ნაცრისფერი კორპუსებისკენ გაიშვირა, – დედაჩემი, მე და ჩემი პატარა ძმა ჯღერჯერობით იქა ვდგავართ.

– მამა?

კითხვამ შეაკრთო, იატაკს დააჩერდა.

– თუ გეუხერხულება, არ გინდა. – დაიხია ნუგომ.

– შარშანდელ ომში დაიკარგა. – დაიჩურჩულა.

– რას ამბობ, კაცო!.. – გაიოცა ნუგომ, მაგრამ ბიჭის სახის გამომეტყველებამ მაშინვე კილო შეარბილებინა, – იცოდე, უეჭველად გამოჩნდება, ალბათ, ტყვედ ჰყავთ, თორემ ნემსი ხომ არაა რო, ეგრე...

– ჩვენც მაგის იმედით ვართ.

– მერედა, როთლა ცხოვრობთ...

– კეთილ ხალხს რა გამოლევს... ეკლესიაც გვეხმარება... მთლად სხვების შემყურე არც მე ვარ... უბანში ჟურნალ-გაზეთები დამაქვს, ცოტას მიხდიან, და ასე...

– სწავლობ?

– მააშ, მეხუთე კლასში. სკოლის შემდეგ გაკვეთილებს ვსწავლობ, მერე ცოტას დედაჩემს ვეხმარები, მერე ფოსტაში შევიარ-ბენ, წერილებს და ჟურნალ-გაზეთებს ჩამოვარიგებ, მერე ტაძარში მივდივარ, მერე...

– რა ყორნალი ვიღაცა ყოფილხარ! – შეაქო ნუგომ.

– გინდათ, გიმღეროთ?.. – შეიგება პასუხად, ქეციბოთვის ყურადღება თითქოს არც მოუქცევია, ფანდურს დასწვდა და საქმითნი გამომეტყველებით სკამზე ჩამოჯდა.

ნუგომ თავიდან ეგონა, რომ იგი ამგვარად ვინმეს რჩევით იქცეოდა, მაგრამ მალე მიხედა, ასეთი იყო: თვალსა და ხელს შუა დაკაცებული პატარა ბიჭი, ოჯახის უფროსის მოვალეობები გამოუვალი მდგომარეობის გამო თავად რომ ეტვირთა.

ნუგომს მშობლები მერრე მსოფლიო ომის დროს, ალბათ, ამ ბიჭის ტოლები იქნებოდნენ და ბავშვობაში განცდილ შიშსა და უბედურებებზე ხშირად უყვებოდნენ; სადღაც, გადასაკარგავში ჩავლილ ომს ხელშესახებ რეალობასავით უცოცხლებდნენ და, თქვენ რა გიჭირთ, ომის სუსხი არ გიგემიათო, თითქოსდა აყვედრიდნენ კიდეც... მაგრამ თვითონ აგერ, ახლახან ნახა და გამოსცადა ომი მთელი თავისი საშინელებებით. ყველა ომი თავისთავად სიცოცხლის ნინაღმდეგაა მიმართული, მაგრამ,

მშობლები რომ უყვებოდნენ, იმ ომში საერთო მტრის ზრახვები აშკარად ჩანდა და ყოველდღიურ ილუზიას გამორიცხავდა, ეს ომი კი შეფარული იყო: მოყვარედ მინნეული დიდმპყრობლის მზაკვრული თავდასხმა, ნგრეცა, უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი...

ვინ იცის, ამ პატარამ რა შიში და ზაფრა გამოიარა, ეიღაცის სისასტიკეშ თავის მყუდრო და სიეკარულით გამთბარ მშობლიურ კერას მოგლიჯა; და ამ ჭრელსა და ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე ქალაქში გადმოისროლა.

– შენი მოსმენსა როგორ არ მინდა, მაგრამ, გინდა თუ არა, იმღერე-თქო, ჩემი მრნიდან რაღაც ვერ გამოდის... მოდი, ვისაუბროთ, შენ შენს ახალგორზე, მე ჩემს ლალისყურზე... აგე, ნიკა კიდევი, თავის ხაშმზე მოგვიყვება და ასე...

– სიმღერებს შორის რომ ვილაპარაკოთ? – გამოსავალი თვითონ ბიჭმა იპოვა, – ფანდურს დასწვდა, მოიმარჯვა, რამდენიმე მოძრაობით სიმები მომართა, მერე რაღაც არბაბეშვური ძალით ჩამოჰკრა და სიმღერა დაიწყო.

ამ სიმღერების ცალკეული სტრიქონები ნუგოს საიდანღაც ახსოვდა, თუმცა ვერაფრით იხსენებდა, საიდან. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, თანდათან თითქოს ყურადღებაც მოუდებდა, მაგრამ ბოლო სიმღერამ გამოაცოცხლა.

„ბანდისხან ამიფრინდება
ჭალისპირს უცნო ციცარი,
სხვანარ სითამამით და
ჭრელ საყელოთი ეიცანი.
მიდის და ეარში მიღელავს,
ხან ჩქარეს მისდევს მდინარის,
მოზიდული მაქეს ისარი,
მივდევ ოფლგადამდინარი.
არ ვიცი, ჩემი ბედია
თუ ზეცისაა ზიარი,
ღმერთო, არ მომაკვლევინო,
ისეთი ლამაზი არი!"

– მოიხედე, ეს ლექსი საიდან იცი?! – ნუგომ ისე მოულოდნელად და აღელვებით ჰკითხა, ბიჭს ფანდურ ლამის ხელიდან გაუვარდა.

– რატო?!. – კითხვითვე მიმართა ბიჭმა და მიაჩერდა.

– ძალიან მომეწონა. – უპასუხა ნუგომ, მაგრამ შეეტყო, რომ აგრერიგად მხოლოდ ლექსს არ აუღელვებია.

– დედაჩემმა მასწავლა, – მოგვიანებით უპასუხა ბიჭმა.

– ფანდურზე დაკვრაც? – ბიჭის ყურადღების მოდუნება სცადა.

– არა, პაპამ.

– აბ... პაპა! – აღმოხდა ნუგოს და თვალწინ ვაზის თალარქვეშ მჯდომი მხეთი მოსილი მოხუცი წარმოუდგა.

– პაპაშენს რა ერქვა?

– იორამი.

არა, იმ მოხუცს იორი ერქვა, თანაც ის სოფელი ახალგორიდან შორსაა, თუმცა... მართლაც იორის მოთმინებითა და სიკეთით საცსე პაპა იყო. შისი სახლის წინ ჯარისკაცები რამდენჯერაც ჩაიელიდნენ, მომცერო კალათით მწიფე ატმებსა და თაფლის სურნელოვან, გემრიელ მსხლებს დაახვედრებდა.

ერთხელაც მინ შეინეგია.

„ყველა ადრე დავკარგე... ცოლმა სულ ახალგაზრდამ დამმოცა, მერე მის კვალს სხვის ოემებში ამაოდ დამაშვრალი შვილები გაუყვნენ. შვილოშვილებს აქაურობა არ უნდათ, ბალღობისას წელინნდში ერთხელ ძლივს თუ ჩამოჰყავედათ და ვერ შეიყვარეს. აი, ეს სახლი ამიშენეს და დამიმშვენეს შვილებმა. ნახე, სადღაც ახლო აღმოსავლეთში მამეულებიანი ნაბრძოლთა ნაწვალებითაა აშენებული. ვემუდარებოდი, არ მინდა, ჩემი ქოხი მაკმარეთ, იქ ვიყავი ბედნიერი, დედათქვენის სული მანდ ტრიალეს-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა. ვითომმაო, ასეთი ვაჟკაცების მამას ქოხი როგორ ეკადრებაო და, აი, ეს სრა-სასახლე ნამოჭიმეს, თვითონ კი სულ მალე რიგრიგობით მოუსავლეთის გზას დაადგნენ... შემოდი, ნახე, თვეები ისე ჩაიელის, მეორე სართულზე ფეხს არც ავადგამ, ან რა დამრჩენია მანდ რო, აგერ, სამზარეულოში ვტრიალებ, აქვე ვიძილეეთიძილებ, დანარჩენ დროს კი ბაღ-ვეენაში ვჩერთიფერთობ...“– გაანდო.

იმ სახლივით მშვენიერი და ძვირფასად გაწყობილი სატხოერებელი ქალაქმიაც იშვიათად ეგულებოდა ნუგოს. საშენი მასალა საუკეთესო გამოუყენებიათ, პირველ სართულს იატაკი, კიბეები და სააბაზანო სპილოსძვლისფერი ძვირფასი ფილებით ჰქონდა მოპირკეთებული, ხოლო აგეჯი და ფარდები დიდი გემოვნებით იყო შერჩეული. მოხუცს ეს კეთილდღეობა სულაც არ სჭირდებოდა, მაგრამ შვილებს თავისი მაინც გაეტანათ.

ნუგოს ყურადღება სახლის მეორე სართულზე ვეება ზალამი ძველებურმა, შანდლებიანმა შავმა პიანინომ და წიგნის თაროებმა მიიპყრო. მგზრით დაფარულ პიანინოზე ნოტების მთელი დასტა ეწყო, თაროები კი ნარჩევი ქართული და უცხოური ლიტერატურით იყო გამოჭედილი. მოხუცმა – ჩემი შუათანა ვაჟი და მისი ცოლი უკრავდნენ, ხოლო წიგნებით ნაბოლარა იყო გატაკვებული, ყოველ მათ ჩამოსვლაზე სოფლის ახალგაზრდობას ჩვენთან მოუხაროდა, მაგრამ ახლა არც ისინი არიან, ახალგაზრდები კი ამ ჯვალეთასა და გაუტანლობაში ან დაიხოცნენ, ან აქედან სამუდამოდ გადაიკარგნენ. ამიტომ თავისუფალ დროს მოდი ხოლმე, რამდენ ხანსაც გინდა, დარჩი, თუ გესიამოვნება, პიანინოზე დაუკარნი, წიგნები იკითხე და ზოგჯერ შემეხმიანეო...

პიანინოსი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ გადარბენებს შორის ორი გასაოცარი წიგნის წაკითხვა მაინც მოასწრო, ერთ-ერთ თაროზე კი შემთხვევით აქეს ბლოკნოტს გადაანწყდა. ვიღაცას გაკრული ხელით, როგორც ჩანდა, თავისი საყვარელი პოეტის ლექსები ჩაეწერა. ამ ლექსებს მარტო სათაურები ჰქონდა, ავტორის ვინაობა კი რატომღაც არსად იყო მინიშნებული. იმის მიხვედრას რა უნდოდა, ლექსების ავტორი ქალი იყო, მაგრამ მისი სითამამე და ნიჭიერება ბევრ ვაჟკაცს შეშურდებოდა.

პოეტის ფიქრები ერთთავად ქართლის გამჭვირვალე ცას და მზით დაფერილ ზურმუხტისფერ ველ-მინდვრებს, მცხეთასა და ჯვარს, ბებერ ძსნის ციხეს და მის შემოგარენს დასტრიალებდა და ნუგოსთვის ეს სტრიქონები იმდენად მახლობელი აღმოჩნდა, სოფლის შემოგარენში განფენილ პეიზაჟებსა და თითქოსდა ხელის განვდენაზე მოკიანთე, მაგრამ დროდადრო ლეგა ნისლებში გახვეული კავკასიონის თოვლიან ქედებს მათ გაგრძელებად მიიჩნევდა...

– იცი, ეს ლექსები ვისია?

– როგორ არა, მანანასი, მაგრამ... – ბიჭი შეყოვნდა, მახსოვრობა დაძაბა და ცოტა ხნის შემდეგ გულდაწყვეტით დამატა, – აი, ვვარი კი... თუმცა, ჩვენები სახელითლა იხსენიებდნენ, – თავი იმართლა.

– ეგ ვინ, ოქვენები...

– დედილოსები... კორინთაში ერთ სკოლაში უელიათ, ერთ დროს ახალგორშიც უცხოვრია.

– ახლა?

– არ ვიცი, დედილოს ეცოდინება.

– ნანახი თუ გყავს?

– როგორ არა, ორჯერ!

– მაინც, როგორია?

– შავგვრემანია, თუმცა ისეთი ნათელი სახე და დიდი, ლამაზი თვალები აქვს როო!..

– ოჰო, შენსავით?! – აღფაცებით გაიოცა ნუგომ.

– მე ქალი კი არა ვარ! – შედარება იუკადრისა პატარა ვაჟკაცმა, – ქმარი და მოსწრებული შვილიცა ჰყავს, – ვითომ, სხვათა შორის დამატება მოგვიანებით.

– მე ეგ როდის გკითხე რო?! – ხმაში ბრაზი შეეტყო ნუგოს.

– ერთ დროს მაინც მკითხავს-მეთქი, ვიფიქრე და... – ნამოინყო ბიჭმა ოდნავ დაყოვნებით და ნუგოს გამხდარსა და წვერ-ულვაშგაბარჯღლულ ფერმკრთალ სახეზე აკვესებულ თვალებს მზერა ღიმილით გაუსწორა.

ნუგოს ბიჭის თამამ პასუხზე სიცილი ნასკდა. მისი სიცილი ნიკასაც გადაედო.

– კაი კერკეტი ვიღაცა კი იზრდები! – დაასკვნა გახალისებულმა ნუგომ.

– სხვა გზა მაქვს რო?! – შეეპასუხა ბიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის პასუხზე ნუგოს ისევ გაეცინა.

ბიჭი ერთხანად მშვიდი გამოშეტყველებით შეჰყურებდა, მერე ფანდურს დახედა და იკითხა.

– კიდე დავუკრა?

– თუ არ დაიქანცე, დაუკარი. – უპასუხა ნუგომ.

ბიჭმა სიმებს ჩამოკრა და პოეტი ქალის ლექსი დაამღერა ისევ.

ნუგოს თვალწინ მოხუცი იოში და მისი სახლკარი დაუდგა.

სოფლის შესასვლელში მათი მისვლიდან სამ კვირაში ის დიდებული სახლი დაბომბეს. მოხუცი ამ დროს ეზოდან მოშორებით, ახოში ბალახს თიბავდა. დაუნახავს სახლი სათამაშოსავით როგორ შემხტარა და ზედ მტვრისა და კვამლის უზარმაზარი სვეტი როგორ აღმართულა.

მეზობელო, დაწექით, უყვირია თურმე, მაგრამ გაიწარბენილი მოხუცი არც გაწყრეულა, მერე მუშტი ცისკენ შეუმართავავ და მთელი გულისწყრომა მფრინავის მისამართითი გადმოუღვრია. ერთხანად მტვრისა და კვამლის ქუმესგან ბოლოებიანი მისჩერებოდა, მერე ცელი დაუგდია და იქითკენ დაძრულა. სანამ მტვერი და შავი კვამლი ნისლივით მდგარა, დაბომბილ ადგილს ვერავინ მიჰკარებია, ხოლო, როცა გაფანტულა, სახლის ადგილს უზარმაზარი, პირდაფჩენილი ხარო და ირგვლივ მმოფანტული ქვებისა და ახრჩოლებული ხის ნახლეჩების გროვაღა დახვედრიათ. დიდხანს ცოცხალ-მკვდარი ჩაჰყურებდა თურმე, ქვესკნელივითი პირდაფჩენილ ხაროს, მერე ქოხისკენ წალასლასებულა, კუნძზე დაშვებულა და დუმილად ქცეულა.

ნუგომ რომ მიაკითხა, სიტყვა არ დაუძრავს. მეზობლებთან კი, დახეთ, ჩემი შვილების წვალებით ნაგები სახლი მტერ-მოყვარემ თვალის დახამხამებაში როგორ დამიქციაო, – გულს ეგლა ამოაყოლა, მერე ცალ მხარეზე გადაზნექილ თავისი ქოხისკენ ხელი გაიშვირა და კაცს ამის მეტი არცრა სჭირდება, ის ადგილს ჩემი ძველი სახლო რომ მდგარიყო, ასე საგულდაგულოდ მიზანში არავინ ამოოიებდაო, დაამატა და ისინი თავისი სიმტკიცით გააოცა...

ვაზნის თალარქვეშ განმარტოებული ჭარმაგი, სიკეთით სავსე ბრძენი მოხუცი ხშირად წარმოუდგება. მის თვალებში მოყვასის მიმართ საოცარ სიყვარულსა და სიმხნეევეს ჭვრეტს, რაც ხშირად უმეტდობამძიძალებულს უდიდეს სიმშვიდესა და ძალას ჰმატებს. ნუგოს წარმოდგენაში ამგვარი შთაგონებული სახე ექნებოდა სამყაროს შემოქმედს, როცა თავის ხატადქმნილს თიხისგან ძერწავდა. ხშირად უფიქრია, კიდევ კარგი, იგი რამე მკვრივი მასალისგან არ შექმნა, თორემ სიყვარულის ნიჭს ასე უხვად ვერ მიიმადლებდაო...

ნუგო ნაღმის ნამსხვრევებით რომ დაიჭრა, ბიჭებმა მოხუცის ეზოთი, მოკლეზე გადაატარეს.

მოხუცი გამოუდგა, მოაბრუნებინა, თალარქვეშ ხის ტახტზე დაანვენინა, გასაოცარი სიფაქიზით მობანა და დოლბანდებით შეუხვია ჭრილობები. მერე მანქანაში ჩაუყვდა და გზატკეცილამდე გაიცილა. გამომშვიდობებისას გაამხნევა და ჩამოსართმევად გაწვდილ ხელში გაზეთის ჩამონახვევი გაბეკეული რაღაც ჩაუკუჭა. ჰოსპიტალში ყოფნისას გონისმამღები ტკივილები რომ დაუამდა, ის გაზეთის ჩამონახვევში გაბეკეული რაღაცა მოიკითხა და როგორ გაოცდა, როცა ბიგ გაცრეცილი, წერილად დაკეცილი ოცლარიანი და ათლარიანი აღმოაჩინა. გაშრა. უბედურებაში მოყოლილ მოხუცს, ვინ იცის, ამის გარდა იქნება გროშიც არც ებადა, მაგრამ ჩანდა, მისთვის რამეთი მაინც ხელის გამართვა უნდოდა...

მაშინ გუფში ამოიჭრა, თუ აქედან საღ-სალამათი გავიდოდა, მოხუცი მოეძებნა და სიკეთე ერთი ათად მიეგო. თუმცა აქედან „მშვიდობიანად" გასვლა კარგა ხნით გადაიდო. თითქმის რვა თვე ხდება, რაც მის დაჩეხილსა და დასახიჩრებულ მუხლებს მკურნალებმა ვერაფერი მოუხერხეს და ცარიელი დაპირებებითაღ სულდგმულობს...

როცა ბიჭი დაკვრას მორჩა, ქურთუკი ჩაიცვა, ფანდური აიღო, სკამი თავის ადგილზე დადგა და ნასასვლელად გაემზადა.

– პატივისცემა რო გეკუთვნის, ნაღდია, მაგრამ... – წამოიწყო ნუგომ.

– მე მოწყალებისთვის კი არა, თქვენს გასამხნევებლად მოვედი! – ისეთი გამომეტყველებით მოუჭრა ბიჭმა, ნუგომ და ნიკამ კინაღამ ირწმუნეს, რომ მათ წინ ათი წლის მოზარდი კი არა, ასაკოვანი კაცი იდგა.

– კი არ გეწყინოს... სხვა დროსაც შემოიხედე. – დატუქსულივით უპასუხა ნუგომ.

– ზეგისთვის უეჭველად... ვეცდები.

– ისე, შენ კი გაგვეცანი, მაგრამ ჩვენი ვინაობა რომ არ იცი?

– სანამ შემოვიდოდი, თქვენზე ბევრი რამ გავიგე. ასე, რომ...

სიტყვა სიცილმა გააწყვეტინა. ბიჭი გაოცებით მიაჩერდა ნუგოს.

– შენ რო გიყურება, ჩვენზე დიდი მგონიხარ.

– მერე ეს ცუდია?

– ვერაფერს გეტყვი.

– ეს სხვებმაც მითხრეს...

– კარგი ახლა, ფრთებს კი ნუ ჩამოყრი, მე ისე...

– მივხვდი.

– ახლა წადი, გეტყობა, გეჩქარება... კიდევ თუ მოხვალ, დედაშენს იმ პოეტის გვარი ჰკითხე... მერიდება, მაგრამ იქნება მისი ნიგნიცა აქვს და სულ ცოტა ხნით გვათხოვოს...

– ჩვენ სახლიდან უეცრად გამოვიქეცით... მაგრამ ჩვენებიდან ვინმეს ექნება და უეჭველად გიშოვით. – იყო მისი პასუხი.

– ესე იგი, მოვილაპარაკეთ. – თქვა ნუგომ და ხელი გაუნდოდა.

ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ხელი ჩამოართვა, „შშვიდობა!" დაიბარა და ჰალატიდან გავიდა.

... მესამე დღე ჩვეულებრივად ტაატით დაიწყო: გულისგამაწყალებელი დილის პროცედურების შემდეგ დიეტური უგემური საუზმე, მოგვიანებით ექიმების შემოვლა, არაფრისმთქმელი ფრაზები და საკუთარ თავთან განმარტოება.

ცაც მოღრუბლული იყო და ქარიც ცივი ქროდა.

ფანჯარასთან მოყურყუტე ნიკას მთელი დილა და შუადღე სიტყვა არ დასცდენია. ნუგო დროდადრო გახედავდა, მაგრამ ერთხელაც არ შეხმიანებია. სხვა დროს აუცილებელად კითხავდა, აივანზე „ი გოგო" ხო არ გამოჩენილაო. ნიკა ან დაუფასტურებდა, ან ცივ ნყალს გადაასხამდა, მაგრამ თვითონაც შშვენივრად იცოდა, რომ „ი გოგო" არც არსებობდა და ნიკა იმ არარსებულ გოგოს და საავადმყოფოს უსახურ შემოგარენსაც მის გასამხვეებლად ამკობდა უბადლო სილამაზით.

ორივენი დაძაბულები იყვნენ. თუმცა ნიკას დაძაბულობა იმდენად ძნელი ასატანი არ ყოფილა, რამდენადაც ნუგოსი, რადგან სურვილი კლავდა, საავადმყოფოს შემოგარენი, რაოდენი უსახურიც არ ყოფილიყო, საკუთარი თვალით ენახა.

ეს უამური სიჩუმე, ალბათ, მთელი დღე გასტანდეა, ასე, ექვს საათზე ეზოდან უცნო ხმისთვის ყური რომ არ მოეკრათ. რაღაცის ლოდინით დაქანცული ნიკა ამ დროს სანლოზე წამოწოლილიყო და თვლემას ძლიან უმკლავდებოდა, მაგრამ უეცრად გამოცოცხლდა, წამოდგა, ყავარჯნები მოიირგო, ფანჯარას მკვირცხლად მიაშურა და შეაღო.

– ჯარისკაცებო, გაგიმარჯოთ, როგორა ხართ, მითხარით, რა გიჭირთ, რა გილხინთ, რით გაგახარეთ!.. – პალატაში სასიცოცხლო სუნთქვასავით შემოიჭრა ბიჭის ხმა.

ნიკა და ნუგო თავს არ უტყდებოდნენ, თორემ, მთელი დღე თურმე, ამ დამაიმედებელი ხმის მოლოდინში ყოფილან.

ნიკა ფანჯრის რაფაზე გადაიხარა და ჭრელ „კაპიშონიან" ქურთუკსა და ჯინსის შარვალში გამოწყობილი ბიჭი დაინახა. იგი ფანდურითთა და იელიაში ამორჩილი მომცერო პარკიფურო ეზოში იდგა, საავადმყოფოს ფანჯრებს ასაქერეოდა და ვიღაცებს ეხმიანებოდა.

– აი, მახარებელიც მოვიდა! – წამოიძახა ნიკამ და ტაძრის პანაშინა ეერცხლის ზარივით ნკრიალა ხმას მიყურადებულ ნუგოს გახედა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

ციკლიდან: *ფიქრები და ხსნა ფიქრი*

ვფიქრობ ვალზე

ხერხემალს მიმტვრევს ვალის სიმძიმე,
ჯერ რომ ვერაფრით გადავუხადე
ცას, რომლის თვალშიც გამოვიძინე,
მიწას, რომელშიც ვდგევარ მუხლამდე...

დასალიერი მწუხრის წრე არი...
ჩემი სავალი ბნელმა მოლობა...
იღება ღამე: ისმის ჭრიალი,
გადაიარა ცაზე ობობამ!

გულში წარსულის დარდი დამიარს,
ეკლად მეხევა ჟამი, ურვილი...
ფიფქს მაყრის ფიქრი: ფიქრი შხამია,
ღამის მუცლიდან გამოწურვილი...

მიწავ, ყვავილის ფურცლისოდენო,
გადაბუგვილო ხვატით მინდორო –
მე თქვენს ბილიკზე რა გამოვდენო,
რა შეგისრულოთ, რა მოვინდომო –

რომ ვთქვა, აღსრულდა, რაც მე მთრგუნავდა,
რითაც ვიყავი მარად სნეული:
მორჩა ჭრილობა, განუკურნავი,
გამთელდა ხმალი, გადამტვრეული!

2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

დაუმეგობრდი ცხოვრებას, ამკლებს,
გაითავისე მისი ქვითინი...
ვინც იმას ენდო, ცხვარია სამგლე,
გზას გადაგიჭრის ხმლიან სკვითივით!

არა, არაფერს არ გაპატიებს,
სულამოცლილი და უნამუსო...
ტოვებ ყველაფერს, რაც გაბადია,
კაცო, იმისი ხელით ნამუსრო!

სიტყვა და სეტყვა მოგდევს ორივე,
ქარებმა შენი გზები დათრთვილეს...
თანდათან გართმევს ჟამი ქორივით
ამ შემოდგომის დღეებს, დათვლილებს!

2011

კრწანისი

ზოგიც ერეკლე, ზოგიც დავითი:
შესანდობრების ეხლა არის სმა!..
რამდენი დანვა: ვეღარ დაითვლი,
რამდენი სისხლი შესვა კრწანისმა!

იყვნენ: შავლეგო, ზვიადი, ხაწე...
ცა ისტორიის ჯავრით აივსო...
ო, რა მნუხარე ღრუბელი განევს!
რამხელა დარდი განევს, კრწანისო!

2011

ის სიმღერა

პირშავ ღამეს რომ წაართვი,
ის სიმღერა დაგეკარგა თეთრ უდაბნოში,
გზა აერია
და ოაზისს ვეღარ მიაგნო...

არსაით მიდის, გზააბნეული...
ყელი უშრება წყურვილისგან
და თვალები ქვიშით ევსება!

2011

სიბნელის აპოლოგია

ლანდად მომდევდა მე ივერია;
თვალში დავმარხე ღამეები, გაუთენები...
იქ მე სიბნელის წლებში ვერიე;
სიბნელის წლები: შავი ენები...

ნათელში ყოფნა ვის დაუფასდა,
მე ძმადა ვყავდი ღამეს, შორიელს...
სინათლის წლები ვაჩუქე ცას და
სიბნელის წლებმა გამიყოლიეს.

საგზლად გამომყვა წყვდიადის თებო,
ის დრო, რომელიც აქ უნდა ვხარჯო...
ვამბობ: მშვიდობით, სინათლის წლებო!
ვამბობ: სიბნელის წლებს გაუმარჯოს!

2011

●

არ გაიკვირვო დროის წვეთები,
დროის ჯაჭვი და დროის ნიშანი:
ღალატი: თვალთა მწარედ წვეტება
და დარჩენილი გზაზე ქვიშანი!..

არ დაივინყო, დარდო მარადო,
მოღალატეთა შუღლი, დებოში...
ნუ გიკვირს, გულმაც რო გიღალატოს
ღალატით მოკლულ საქართველოში!

2011
ბებრისციხე

იმედი

თამაზ ბერულავას

თვალების ციდან მოდის ქარცივი:
ფიქრი, გულების გადამნასკვავი,
თანდათან ისიც წყდება ქანცივით,
ილევა დარდი, ქრება ვარსკვლავი...

შემზარავია დროის ავი ზნე:
მისი სიმძიმე აწევს საფლავებს...
დილა ჰკიდია ლორთქო ყვავილზე,
სისხამს შამვები სტკენით თაფლავენ...

ილევა დარდი, არ ჩანს წამალი,
ვერ იტყვი, უკვე აღარ ვტირიო...
იმედი მაინც გულში დამალე,
რომ ისიც ცრემლში არ აირიოს!

2011

გული დამარხე

გული დამარხე: დღეს ორმოციც გადაუხადე!
საფლავის ქვაზე წარწერაა:
„აქ მარხია პოეტის გული...“

სანამ აქ იყო: იგი წერდა ეპიტაფიებს...
წიგნებს წერდაო, ასეც იტყვიან...
სინამდვილეში იგი წერდა ეპიტაფიებს!..

ჰო: ხანდახან ლექსებსაც წერდა:
ზოგი უცხო გულებს აჩუქა...
ზოგი თავისთვის დიმოვა:
წიგნის ყდებში დაამწყვდია: დაუმალა ადამიანებს!

2011

●

უკვე აგკუწეს ასო და ასო
და შენი ხალხი, ტვინდაბნეული,
ლაფში აგდია და ვერა პასუხს
ვერ გეუბნება: ვინმე წყეული

რატომ მეუფებს შენ მთა-გორებზე
ან ის პატრონი სად გყავს, რჩეული:
ის ბოლმის კვერი და გულგოროზი,
მამულის სიხლში ამოთრეული!..

მიწავ და ცაო, სამოთხის მსგავსო,
ყორნებისაგან შენ ხარ ძლეული...
და, აკუწული ასო და ასო,
გააქვთ და გააქვთ შენი სხეული!

2011

ბოლო იმედი

მოხველი: კაცად ყოფნა მოიწყვე,
მაშინ სისხამმა თვალი შეგინდა...
საკუთარ მინას და გულს მოინყენს
სისხლი, ნადენი ჭრილობებიდან!

ცა მოახლოვდა: ის შენს წინ არი,
ცისკე ამართე, მგზავრო, ხელები...
რა გემართება: ამ მოუწყინარ
სიცოცხლეს რატომ ვეღარ ელევი!

ჯარჯი ფხოველი
ბიბლიოთეკა

თვალი მიეცი ამ აგონიას:
გულში წარსულის მინა თხარე შენ...
სხვა არჩევანი არა გქონია:
აქ კაცად ყოფნის და ცის გარეშე!

ისიც ცის არის, შენ რაც გეკუთვნის;
სხვას რაც ეკუთვნის, იმას ნუ წაშლი...
ქართული სიტყვის ერი მეგუთნე,
დღეებს ნუ გალევ ბედის მდურვაში!
დრო შენში არი: შენც დროს ეკუთვნი,
დრომ შეგიღება თეთრად ულვაში!

დღეს ხელებს გინვდი, ბოლო იმედო,
იქ, სადაც ჟამმა გული შებინდა...
გადასაღვრელად არ გაიმეტო
სისხლი, ნადენი ჭრილობებიდან!

ჩემი წინაპრები

ამ მთებს შეადნენ თქვენი ხმები, თქვენი სიტყვები
არახიჯის ღრმა ხევებში
და ვანხევის ულრანებში,
მიჩხის ტყეებში...

აქ ბალახსა რწყავს თქვენი სიტყვა,
გზებსა ღორღავს,
კედლებს ამაგრებს...
ლოცვად გაისმის კვრივ ადგილებში,
ლოცვად ისმის ხატის კარებზე.

თქვენ აქა ხართ: ჩუმნი, უხმონი;
თვალმონკურულნი, ეჭვით მზირალნი
მომჩერებიხართ და ჩემ ბილიკს თვალს არ აშორებთ...

ჩამომძახეთო, რომ დაიბარეთ,
თავისუფლება ჩამომძახეთო!

ეს სიტყვები მიყინულია
მისელურის კლდეებზე ხავსად...
ჩანჩქერებად იმსხვრევა არახიჯის ღრმა ხევებში,
მიჩხის ტყეებში...

დიდო ციგრო ქისტაურო,
გვარის ლეგენდად ქცეულო...
გუთნისდედებო შიოშ და შარმაზან,
გივო და მარტიავ, ცხვარბევრო,
ბახავ და ხიზანავ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაგზაზე რომ შემოგაღამდათ:
ზოგი მტრის ჯავრით მახვილს დაეგეთ!..
ზოგმა ყულფში რომ გაჰყავით თავი!..
სამწევრის გორი ჩაიარეთ,
მაგრამ ვეღარ ამოიარეთ!

ნეტავ, ვინმემ თუ ჩამოგძახათ
საქართველოს ეს ნახევართავისუფლება!

თქვენი ხმები, თქვენი სიტყვები
შერჩენილია მისელურის კლდეებზე ხავსად...
ქარის ქვითინად გადმოისმის
უბისთავის ფერდოებზე, თეთრკაბიან არყიანებში...

ხოლო თვითონ აქა დგეხართ:
ჩუმნი, უხმონი...
მომჩერებიხართ
და ჩემ ბილიკს თვალს არ აშორებთ!

დიდი სოფელი არახიჯა,
ბედისწერამ რომ წაშალა,
თქვენით არის დასახლებული...

და გაისმის თქვენი სიტყვები
თქვენს დარგულ ხეთა მერქნის წრეებში...

და, თუ კარგად მივაყურადებ,
თქვენი მერნების ფეხისხმას ვიცნობ:
ზოგნი დიდგორის გზას ადგეხართ,
ზოგნი კიდევ კრწანისისკე მიეშურებით!

ამ ლექსში რომ შეგაყოვნეთ,
პატიებას მოვითხოვ, ძმებო,
აბა, რა გითხრათ, თქვენნაირი სიცოცხლე და
თქვენნაირი სიკვდილი მინდა!

2011

●

მოდი, შენც ის შეიყვარე:
ის დაუნთე გულს სანთელივით,
ამ ლექსს ვინც თმებით შეუმშრალებს
ობლობის ცრემლებს!

2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცი გურიელი

ხე ცხოვრებისა

ჩვენი ცხოვრება მხოლოდ სიკვდილით არ მთავრდება.

იოანე ოქროპირი

გაღებულ ფანჯარასთან იჯდა და ნაწერებს ათვალიერებდა – ძველებს, ახლებს, ზოგს შუა გზაზე მიტოვებულებს, მოუმთავრებლებს, მაგრამ მაინც თავიანებს – ტკივილიანს, უიმედო დარდით ჩატეტკილი სტრიქონებით დამძიმებულს...

ფანჯრის ჩარჩო წვიმისგან დამპალიყო, მოეჭამა უკვე თავისი – გამოსაცვლელი იყო, მაგრამ: ფული უნდა ყველაფერს. ახლა მოდაში მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებია, კარგი ცხოვრება კი მუდამ ძვირი ჯდება. ჩამპალი ფანჯრები თუ გამოცვალა, ვიღამ იაროს კაზინო-კაზინო?! – აემრიზა ქმარს ფიქრით ქალი.

ფანჯრიდან გადაეყუდა. პატრული დიდი მონადინებით ანგრევინებდა ხილ-ბოსტნეულის გამყიდველ ცოლ-ქმარს საზამთროს გორას.

ჩამოშლილი თმის მუქი ჩალისფერი თვალების ნაღვლისფერშერეულ სილურჯეს უსვამდა ხაზს. სულ რაღაც მნიშვნელოვანი აკლდა ცხოვრებაში, სულის დასაპურებელ საზრდოს ეძებდა მუდამ. შეშფოთებული შეძრწუნებებით ადევნებდა თვალყურს, როგორ ემსგავსებოდა სიცოცხლე ერთ დიდ ტრაგედიას, რომელიც სათავეს რკინის ყუთებში ამოჭედილი, გაუფასურებული ღორებულებებიდან იღებდა.

... ცხოვრებას სიძულვილი განაგებდა... სიკეთე სიკეთეს აღარ ჰგავდა...

ორგულობა და ღალატი ზეიმობდა, მაგრამ მართალი სიტყვა ხალთაში დამალული შუბივით მაინც ძალაობდა.

სიყვარული აღარ სიყვარულობდა...

სიყრმის მეგობრებს ფულზე გაცვლილი ურთიერთობებით ივინყებდნენ...

გულმტკივანი ადამიანებით სავსე ქუჩებით წუხდა ქალაქი. ფურცლებს შორის მეგობრის ბარათს წაანყდა: – „ჩემო კარგო! სული გრძნობად დაიღვენთა, მეც მტკივა ფრთები, უკვე ძირში ნასხეპილები, ძალიან მიყვარხარ, გეხვეწები იყავი ისეთივე იმედიანი, როგორი ლამაზიც ხარ!!! – შენი დაიკო ლატავრა". – ნესტბოი აუწვა აჩუყებულმა გულმა. გახედა მზის სითაკარეში დამწვარ აგვისტოს, ალმურმოდებულ ქალაქში მირაყებად ქცეულიყო ყველაფერი. უშინაარსო იყო თითქოს ნებისმიერი მოძრაობა ქუჩის. ტუჩები თავისით აჩურჩულდნენ:

– უფალო ჩვენო და მაცხოვარო იესო ქრისტეო, შეგვინდე შეცოდებანი. წმინდაო მარიამ, დედა ღვთისმშობელო, ილოცე ჩვენთვის – აქ, მიწაზე მოხეტიალეთათვის!

– ილოცე მანამ, სანამ სიცოცხლე ფეთქავს ჩვენში!

– მოგვეცი მოსანანიებელი წუთი და ძალა მონანიების... – სიტყვები თითქოს ფანჯრის წინ ერთმა-

ნეთზე ლაგდებოდნენ, მერე კი თეთრი ღრუბელივით აინია ლოცვა ცაში...

... დილიდან გულდადმძიმებული იყო.

დიდი ხნის უსახავმა მეგობარმა – ქეთინო ბექაურმა – დაურეკა...

ერთხელ მცხეთაში, მამა გაბრიელის საფლავზე ასულს შეხვდა. ოქტომბრისთვის ბოლო დღეები ხმელი ფოთლების ნაზ შარიშურად დაჰფენოდა წმინდა ბერის უკანასკნელ ნავსაყუდელს. ხუთი წლის ინვალიდი ბიჭი პირდაპირ საფლავზე დაეწრნინათ.

– აქ სასწაულები ხდება, ამ საფლავიდან იმდენი მადელი გადმოდის, რომ შენს ბიჭსაც დაედება წამლად! მამა გამრიელი გვასწავლიდა დიდ ჭეშმარიტებას – სიბრძნე მოთმინებაშიაო! – მიეხდე სულით ხორცამდე აქაურობას და დაელოდეო! – ეფერებოდა ბიჭს ქეთინო.

ისინი ერთად დაიზარდნენ – ერთ უბანში, ერთ ეზოში, ერთ სკოლაში... თითქოს მთელმა ცხოვრებამ გაიარა მათ თვალწინ რამდენიმე წუთში...

ობოლი ბავშვი იყო და, რაც არ ჰყოფნიდა – სითბო, სინათლე, ღიმილი, დაუყვედრებელი ლუკმა – ბექაურები ახვედრებდნენ...

ობოლი ბავშვი იყო და მუდამ აკლდა გაადფსუსებული, გრძნობათაგან უმთავრესი, სახელად დედის სიყვარული!. ცრუანარეული დედინაცვლის გუგის ფსკერიდან ყინულის ნაწყალს უფრო ჰგავდა, ვიდრე სიყვარულს... არ უყვარდა გერები, ქმარს კი სიცრუის სამისეცში გამოხვეული ეგებებოდა.

ამიტომაც მიუწევდა ზშირად გული ბექაურებისკენ. მოსწონდა ეზო, ტერასებად ჩამავალი დიდი ქვის კიბე, იასამნის უშველებელი ბუჩქები, რომელიც ღობედ ჰქონდა შემოვლებული მთელ ეზოს და ყვავილობისას რაღაც ღვთიური სურნელი თანგავდა იქაურობას...

სიმწვანეში და მრავალნაირი ყვავილების ფერადოვნებაში ნებივრობდა ქეთინოს სახლი – ამაყი და ძლიერი, ქვით ნაშენი. დიდი ოჯახიდან საუკუნეს მიღწეული, სპეტაკკთმიანი, უსაზღვრად თბილი დიდი ბებო – ელენე უყვარდა ყველაზე ძალიან.

ანდამატივით იზიდავდა იქაურობა. გრძელი ტალანის აქეთ-იქით ოთახები იყო განლაგებული, ტალანის ბოლო კი მისაღები ოთახით მთავრდებოდა – ულამაზესი ავეჯით, ფარდებით, ფერწერული ტილოებით და გობელენებით. ამშვიდებდა ჩარჩოებიდან გადმოსული ფერთა სინათლე; კომპმოზიციებით მიღებული უაღრესად სათუთი სიამოვნების სიმძაფრე სულ ახსოვდა.

ერთ-ერთ ოთახში კედლიდან ქორბედა ირმის თავი გადმოიყურებოდა. ფიტულს ნაღვლიანი, უცაბაურად ცრემლჩამდგარი თვალები ჰქონდა. რამდენჯერ ეგონა – ჰა და ჰა, ადამიანურ ენაზე დაილაპარაკებდა: რა დაგიშავეთ, რატომ მომისწრაფეთ სიცოცხლეო?! – შელის ნუკრივით სტკიოდა ირმის სიკვდილი და დაწურულ გულში ხიჭვივით ესობოდა გაბერილი სევდა...

ეზოში მუხის ქვეშ მუხისაევ გადასაჭერზე მოიტანდა ხოლმე ელენე სადილს და ბავშვებს დასხამდა. საოცარი ყუთთიანობით აპურებდა იქაური პურის ნაჭერი...

გადიოდა დრო. ნლები მიფრინავდნენ, იზრდებოდა გოგო და მის სამყაროს ყელზე ყუდფვივით ეჭდობოდა ობლობის დაუნდობლობა, ბავშვის გოანაბაში ისეთ ფასეულობებზე ჩამოყალიბდა შეხედულებები, როგორიც არის მზისა და მთვარის არსებობა-დანიშნულება, სიცოცხლე და სიკვდილი, ოცნება და სინამდვილე...

საერთოდ, სიცოცხლე ზღაპრული სიდიდის მნვანედ მოშრიალე ხედ წარმოედგინა, დაკორძებული ტანით, დატოტვილი დაბურულობით ტოტებში... მის წარმოსახვაში ამოზრდილი, უცნაური საიდუმლოებით მოცული. სიცოცხლის ხე დაარქვა იმ წარმოსახულ ხეს, რომელიც თითქოს დაბადებისთანავე გასაზზვრავდა ადამიანების ბედს. ამ ხის განადგურებას ბნელი ძალები მრავალჯეს უშედეგოდ ცდილან – უკვდავება ცხოვრობდა თავად მასში და რას დააკლებდნენ... ამიტომაც იყო სულ მარადმწვანე და უსაშველოდ ღვთიური სილამაზის. ადამიანები იქამდე ცოცხლობდნენ, სანამ ხეზე ასულები საკუთარ გვარსახელებიან ტოტს ან ყლორტს არ მიაღწევდნენ. მაგრამ, ვაი რომ, ყველა მსხვილი თუ წვრილი ტოტი ადრე თუ გვიან ჩამოსატყდომია, ღვთისგან მონიჭებული სიცოცხლით კი ადამიანს ეძლევა შანსი ჭეშმარიტ ქრისტიანად განვლოს ცხოვრება, არ დაიშალოს სტიქიონებად დემონისგან, რომელიც დაბადებიდან ცხოვრობს სიკეთესთან ერთად ადამიანში... ჭეშმარიტ ქრისტიანებს შეუძლიათ, ცოდვის უფსკრულებიდან ამომზირალ ცათა მდუმარებაში, როგორც სარკეში, ისე დაინახონ სისუფთავე ადამიანებისა, ნაკლებად შესცოდონ და გულის უსასრულობაში ეგულებიდეთ სულის ის გრძნობათა დამანგრეველი ძალა, რასაც მიტევება, შეცოდება, სიყვარული და მონანიება ჰქვია.

... ელდანი გამოდგა ქეთინო ბექაურის ზარი – ბავშვობის უბანში მარადისობის თბილი ნისლი ჩამომდგარიყო და ერთი უსაყვარლესი ადამიანი, უბრალო, უპრეტენზიო გოგო – ლია გიგაური ნაეყვანა.

ვერაფერით ეგუებოდა გონება სიტყვას – „სიკვდილი...“

თაალხისფერი სინანული ეკიდა მცხეთის თავზე ძაძებად.

დაკრძალვაზე მუხლების კანკალით ავიდა. გულართრთოლებული მიაბიჯებდა ბავშვობის უბანში. ყველა იცნო – ოდნავ შეცვლილები, წლებმოამაგებულები, მსუბუქი ფანტელებით თმებში, თავისუფნელები... უკანასკნელ გზაზე უნდა გაეცილებინათ ბავშვობის სახლიდან კიდევ ერთი ბინადარი... ისი-

ნი ხომ არასოდეს არავის ავიწყდება... გაახსენდა ფრანგი ფერწერული, ანრი მატისის ფერწერული ტილო – „მუსიკა“ – პირველქმნილი სამყაროს უბინოობის ხატი. ბედისწერის გორგალს მითოლოგიური ქალღმერთები – მოირები ართავენ. მისი ბედისწერაც ეს იყო, ალბათ – უნდა დაჭკარგვოდ ბავშვობის სახლი თავისი მობინადრეებით... მარტო იარები, იარები... კიდევ კარგი, სიკვდილს ნასულების სიყვარული ერევა და სააკაოში გრძელდება ნათესაველის, მეგობრების, ახლოობლების გულში მტკივნეულ და მტანჯველ ხსოვნად.

ვეღარ აიტანა იქაურობა. ქვითინ-გოდებას წელმოწყვეტილი ძალლივით გამოვექეა. გაღმა, მცხეთაში გადასული დედათა მონასტერს ეახლა. ლოცით ეხუტებოდა მზით გამთბარ ტაძრის კედლებს, ზმანებად კი ერთ-ერთი კუთხეში მხრებაწურული ატუზეოდა იმ სუფთა ბავშვს, მისი გვარ-სახელი რომ ჭმნდა... უბოროტო გულით ეხვეწებოდა ღმერთს – ნუ ამოართმევ სულს ჩემს ქვეყანასს მარტო იმიტომ, რომ საქართველო ჰქვია! ნუ მოკლავ ჩემს ერს მარტო იმიტომ, რომ ქართველი ჰქვია! არ გადააჩვინო ხალხი ერთმანეთის სიყვარულს, სამყაროს დაუბრუნეო სათნოებას!

... მერე დიდი მოწინეებით დაჰყურებდა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის საფლავებს; ხედავდა, როგორ ილეწებოდნენ ნარმრთული კერპები არმაზში, როგორ დადიოდა კაპადოკიელი ასული ამაყად შემართული ვაზის ჯვრით ხელი, როგორ ითესებოდა ქრისტიანული რწმენის და ღვთის სიყვარულის ცხოველი ნაპერწკლები ხალხში. მერე დიდხანს ჩაჰყურებდა ღვთისმშობელს თვალებში და სნამდა – ეშველებოდა ქვეყანასს!

მას შემდეგ მთელი ცხოვრება გავიდა...

ტაძარში მგლოვიარე ფერის ბალდახინი ელოდა ლიას. დიდი კელაპტარი აუნთო, ბალდახინზე მინდვრის ყვავილების უნაზესი კონა დაუტოვა, მაპაპტიეო! დაიჩურჩულა; არ უნდოდა, მისი ბოლო გზა-სავალი დარჩენოდა მეხსიერებაში.

ოიანე ოქროპირის სიტყვები უამებდა ტკივილს – „ჩვენი ცხოვრება მხოლოდ სიკვდილით არ მთავრდება!“

მგლოვიარე იყო მცხეთა, ის დღე კი ნაღველივით მწარე...

ვერ შეხედავდა თუ როგორ ჩამოატარებდნენ ლიას სამთავროში მომლოდინე ბალდახინამდე, ვეღარც გზადაგზა დაფანტულ უკანასკნელ ყვავილებს გაუსწორებდა თვალს, არც ჭირის სუფრაზე უყვარდა დარჩენა. ვინ იცის, რა დარდი გაჰყვა გოგოს, ალბათ, სულში დაბერებული ოცნებები თეთრი მტრედებივით აიფრენდნენ სამთავროს ზარების რეკვასთან ერთად, ნამდვილად იხამუშებდა ნუთისოფლის ესოდენ ფერიცვალებას...

ფიქრებმა გაიტაცეს ქალი... ნიღბების თუატრი ყოფილა ცხოვრება... თვალსა და ხელს შუა ჩამდნარი ნღები გახსენებენ სიბერესთან მიახლოებას, სულში მინყნარებული ქარიშხლები და ამქვეყნიურ ენებათა ნაწკრეტი ლექი უსაშველო ტკივილით გახსენებს, რომ თურმე ბავშვობა თავისი სისუფთავით, განუმეორებლობით და ჭეშმარიტი გრძნობით გასულდგმულებს მთელი ცხოვრება. მერე გწყინს ძალიან, რომ არ გერგო რწმუთა ხვედრი, რომ ვერაფერი შეძელი შენი ქვეყნისთვის, შენი ხალხისთვის... ჩამოგაფარებს ნაცრისფერი ნისლების ფარდას და ნესტიანი შმორის სუნი აუვა სულში შენთან ერთად დაბერებულ ოცნებებს... სიბერე კი თვალში ლიბრი და ჯანის სიძაბუნეა, ხელფეხგაციებული და ნაოჭასხმული... მერე კიდევ ის, რომ აუხდენელი ოცნებები რჩებიან ცხოვრების ხეზე მოუწედომელ ოდესებად, ედებათ დროის მტვერი და უფიურულდებიან...

თვითონ რაც იყო, იგივე დარჩა... ვერ მოირგებდა ვერანაირ როლს და ნიღაბს, თუმცა ხედავდა, რომ ნიღბიანები უფრო ადვილად ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაში და უნდოდა, ეყვინო: ადამიანებო!..

ეხოეთ კელაპტრებად სიცოცხლეში, რომ სულის სისუფთავემ გაგინათოთო თვალები, ეცადეთ, იყოთ გამორჩეულები, მაშინ ნუღარ ეძებთ ცხოვრების სადასურს, სიკვდილი თავისით დაგადებთ ფასს...

... გზაზე დაენია სამთავროს ზარების თავგადაკალული რეკვა... მცხეთა ეთხოვებოდა კარგ გოგოს, შვილეფითი გაზრდილს, თავისას, მგლოვიარე ზარებიც კი თითქოს იმას გაჰკიოდნენ, რომ ცხოვრება მხოლოდ სიკვდილით არ მთავრდება...

თბილისი ყვითელი, ბლანტი და ცხელი ნებოვანებით შეეგება. ვითომც არაფერი მომხდარაო, ისევ ისეთი იყო ყველაფერი, მხოლოდ აუტანელი, ყურთასმენის წამლები სიჩუმე ედგა ყურებში – დაეყრუებინა ტკივილის მისი სმენა – ის გოგო ხომ მასაც მოუკვდა...

სიცოცხლე ისევ ფუფერი და გადმოდიოდა მაშინ, როცა მიწის შავი ბეტტებით ავსებენი და ყვავილებით დაზვინული საფლავი გარინდებული სინანულით აჰყურებდა ცას...

P.S. ეძღვნება ყველას – უკანასკნელად დაირეკა
ვისთვის ზარები,
უკანასკნელად დაეწურა ვისაც იმედი,
უკანასკნელად გაულიმა მიმქრალ მაისებს,
თითქოს სიზმარში ნანახიაო მთელი ცხოვრება...

... და კიდევ: სიკვდილით გულნაბეკენ ადამიანებს, ვისაც ყოველთვის მოეძებნება ნასუფთა სულის საცხონებლად ასანთები სანთელი და თბილი სიტყვა – ჭიქა ღვინოთი შესანდობარი!

მარიამ წიკლაური

„ლეკვის ამბები“

როგორ გაჩნდა შავი არაგვი?

– ერბო? – ასიოდ ქილა.
– კვერცხი? – ათასი ცალი.
– ცეცხლი? – ტკაცანით დაფრთხა
ტყეში ჭინკა და ალი.
ერბოკვერცხს უწვავს შვილებს
მელანო – დევის ქალი.
სურნელი გასცდა სამანს,
ცეცხლზე ლაპლაპებს რვალი.

შეწვას ვინ აცლის ან კი?!
ჟრიამული აქვთ დევებს,
– „ლუკმას ნუ ელის ჩემგან,
ვინც არ დაიბანს ხელებს!“–
თქვა მელანომ და მშვიდად
პურიც ჩააკრა თონეს,
ძმებმა დახედეს ზანტად
თავის ჭუჭყიან ტორებს.

დევები ჰქვიათ, მაგრამ
ურჩობას ვერვინ ბედავს,
ვინ შეუბრუნებს სიტყვას
ცხრა შვილის გამზრდელ დედას?!

ცხრავე მიასკდა არაგვს,
რას ეყიდფოდათ ფშანი?
ქვით უხეხიათ დიდხანს
დევებს ტორები შავი.
ჰოდა, გამუქდა თურმე
ჭუჭყით ანკარა წყალი,
მას მერე მოდის ასე
ამღვრეული და შავი.

– ის ერბოკვერცხი ჭამეს?
– გამოუყვანეს წირვა.
– ეგ როდის მოხდა?
– როდის?
ალბათ, დიდი ხნის წინათ...

მზის დაბნელება

იალბუზიდან მყინვარზე
გადაეჭიმა თოკი.
დევს წამოედგა სარეცხი,
რას იკმარებდა დოქი?
ან კოკა რას ეყოფოდა,
ან ჩაფურა და ლიტრა?
შვიდი არაგვი ჩაკეტა,
წყალი ზღვასავით იდგა.
შიგ ერთად გადაუძახა
ჯუბა, ფარდაგი, წინდა.
მერე ზედ შედგა ფეხებით,
ქვებზე ხეხა და წმინდა.
რეცხა, რაც რამე ებადა:
ჯამი, დოქი თუ ქვაბი,
ჩამოიწუნა კალთები
ნამზითვი ჯვალოს კაბის.
გრიხა და წრიხა ფლასები,
დატბორა გზა და შარა,
თან თოკზე ფენდა ღიღინით
ცხრა შვილის
ცხრა-ცხრა შარვალს.
სარეცხმა მზე დააბნელა,
ვაიმე, ჩვენი ბრალი!
კიდევ კარგი, რომ ხშირ-ხშირად
არ რეცხავს დევის ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრანდი-ბრუნდი

ერთი დევი ხმელი წნელით
ბუდეს წნიდა მთელი წელი.
ბუდისათვის ტყიდან ვირმა
ზურგით ზიდა ხმელი გვიმრა.
დევმა დასცა ორი კრუხი:
ერთი – ჭროღა, ერთიც – რუხი.
შეარჩია ორი კვერცხი:
ოქროსი და ერთიც ვერცხლის.
როცა ცაზე მზეს და მთვარეს
ერთად ედგა დღეც და ღამეც,
შეუულოცა საბუდარს
ცხრაჯერ დევის ბაბუდამ:
„ბრანდი-ბრუნდი,
ბრანდი-ბრუნდი,
კვერცხო, სამჯერ გადაბრუნდი!
გამოჩეკე ასი ფრთა,
ბრანდი-ბრუნდი,
ბრა-ბრა-ბრა!"
დევიც ელის ნინილებს,
დარდით ვეღარ იძინებს.
განა ჭროღას? განა რუხს?
თურმე ოქრო-ვერცხლის სურს!
ბრანდი-ბრუნდი,
ბრა-ბრა-ბრა,
კვერცხიც გატყდა,
ჩხაკ-ჩხუკ-ჩხაკ!
– ვინ გამოძერა? – წინილი!
იჭაჭება სიცილით:
– რის ოქროსი და ვერცხლისო,
ქათამს, აბა, რა შემცვლისო?!

ანტრია

ფხიტურზე ისმის ტკაცანი,
კერას რომ ცეცხლი ანთია.
ადრე ამდგარა დევქალი,
მონატრებია ანტრია.
ქვაბი შემოდგა ცხრა ფუთი,
ჭერხოს ავარდა ნაფუტი.
ცეცხლს შეუძახა, რაც რამე
ებადა ძველი, ნაბურდი.
მიფხიკ-მოფხიკა კოდები,
ხედავს, რომ ფქვილი არ აქვს,
ადგა და თოვლი გამოცრა,
ერბო ადინა არაგვს.

ცომს ზელდა მერე სამი დღე,
ჭრა და აბრტყელა ყინჩად,
ქვაბში ჩაყარა ნაჭრები,
ცხრა დღე ხარშავდა იჯრას.
კეცეულებიც დააცხო,
იმდენი ცომი ჰქონდა,
ყინულის ხაჭოს აყრიდა
მზითვში მოყოლილ ქონდარს.

თავში არ მოსდით აზრად

მელანომ ცხრავე დევუკას
ჯუბა ჩააცვა მაუდის,
სკოლის ჩანთები აჰკიდა,
წიგნის ყიდვას ვერ აუდის.
სწავლობენ დევთა ლეგენდებს,
სიმღერას, ცეკვას, გარმონს,
როგორ გალესონ ეშვები,
როგორ გალეწონ კალო.
–კიდევ? – ლექსების წერას,
ირმის ჯოგების წველას,
ისეთ ფარდაგის ქსოვას,
ბაბო რომ ქსოვდა ძველად.
სალებავების ხარშვას,
მატყლისგან ძაფის დართვას,
სწავლობენ პურის ცხობას,
ავის და კარგის ცნობას.
გრდემლზე ფოლადის წრთობას,
ნათელ-მირონის ძმობას.
– გრამატიკას და ინგლისურს?
– კომპიუტერსა და ხაზვას?
– სწავლა თუ უნდა, ჩერჩეტებს
თავში არ მოსდით აზრად.

ჩემს პირველი თავმჯდომარის მოგონებები

ვოტე ცინცაძე

ჩემი მოგონებანი

1903 წლიდან 1920 წლამდე

1917 წლის 4 მარტი იყო. თითქმის მთელი კვირა გასულიყო რევოლუციის შემდეგ, მაგრამ ქ. ტფილისს სრულებით არ ეტყობოდა ცვლილება. ძველი მთავრობა ისევ თავის ადგილას იყო. პოლიცია – ჯარი, მეფის მოადგილე, აფიცრები და გენერლები ავტომობილებით დაპქროდნენ. რაღაც გამოურკვეველი მდგომარეობა სუფევდა. თითქო ხალხს არ სჯეროდა პოლიტიკური გადატრიალება, თითქო რაღაცა მოლოდინში იყო რევოლიუციონური ძალები, ნამძინარევ და ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულ ადამიანს წააგავდა მცხოვრებთა მდგომარეობა.

გული ვერ ურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას, მუშათა დეპუტატების სხდომაზე გაჩქარებით მივექანებოდი. იმედი მქონდა, რომ იქ მუშების წარმომადგენლები, რევოლიუციონერები, პარტია და მისი რევოლიუციონური ნაბიჯები უკმაყოფილო სულს დააკმაყოფილებდა, რევოლიუციის სადავეს მაგრად ხელს ჩასჭიდებდა და მეფის მთავრობის მოსპობას მშრომელთ აგრძნობინებდა. როდესაც შევედი სახალხო სახლის დარბაზში, კრება გახსნილი იყო. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ციხიდან გამოსული ამხანაგები გვესტუმრო. იგრიალა ტაშმა. მხოლოდ პრეზიდიუმს, რომელიც თითქმის მენშევიკებისაგან შესდგებოდა, უგულო ტაშის ცემა ეტყობოდა. მიზეზი არ არის ძნელი ასახსნელი. შეიქნა მსჯელობა შექმნილ მდგომარეობის შესახებ. ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. საბჭოს კრება დიდათ არ განირჩეოდა საერთო მასის მდგომარეობისაგან: იგივე გაუბედაობა, იგივე გაურკვევლობა, რაღაც პესიმიზმი ახასიათებდა მუშათა წარმომადგენლების კრებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კრების ბალშევიკურ ნაწილს, რომელსაც გაცილებით მეტი სიცოცხლე, მეტი რევოლიუციონური აღფრთოვანება ემჩნეოდა.

მსჯელობის დროს გამოირკვა ორი მიმდინარეობა, ორი შეხედულება რევოლიუციაზე. აქ ერთმანეთს დაუპირდაპირდა მენშევიზმი – მოდამ მშვიდობიანი, გაუბედავი, მოძრაობის მაჩანჩალა, უგულესულო, მშიშარა ყოველი რევოლიუციონურ ნაბიჯების წინაშე და ბოლშევიზმი – მოდამ რევოლიუციონურად განწყობილი, გაბედული აღფრთოვანებული, იმედებით აღსავსე.

კითხვა იბადება: რა ვაკეთოთ, რა აკეთოს საბჭომ. ჩვენ, ბალშევიკები, წინადადებას ვიძლეო-

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ №3-4. 5. 6. 2011.

დით საბჭო მთავრობის როლში გამოსულიყო, ძალა-უფლება ხელთ ეგდო, რეაქცია ან მოსალოდნელი კონტრ-რევოლიუცია განეიარაღებინა, რევოლიუციონერი წესრიგი დაემყარებინა, მუშები შეეიარაღებინა და სხვადასხვა. მენშევიკები კი დიამეტრალურად წინააღმდეგ წინადადებებს იძლეოდნენ: ჯერ მოლაპარაკება გავმართოთ მეფის მოადგილესთან, გავგზავნოთ დელეგაცია მუშებისაგან და ქალაქის თვითმართველობისაგან. გავიგოთ რას ფიქრობენ ისინი, მდგომარეობას ნუ გავამწვავებთ, აღვიფიქვათ თვითმართველობას ჩვენი თანამშრომლობა ეკონომიურ ორგანიებში, რომ სასურსათო კრიზისი შევასუსტოთ და რევოლიუციის გაღრმავებას შემდეგაც მოვესწრებითო.

ჩემი წინადადება აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის და მისი ყველა უფლებებით აჭურვის შესახებ ყუმბარასავით გავარდა მენშევიკთა ბანაკში. მხოლოდ რამდენიმე ძველი მუშა მენშევიკი – ალექსანდრე დგებუაძე, სანდრო მაისურაძე და ორანსამი, რომელთაც კიდევ შერჩენოდათ რევოლიუციონერი აღლო, მხარს უჭერდა ამ წინადადებას. მენშევიკების თითქმის ყველა ლიდერები წინააღმდეგი იყო ამისა. აღმასკომის არჩევა დასამრბეველი იქნებოდა, რომ ამ დროს (კამათის დროს) ერთი მუშა (რომლის გვარი სამწუხაროდ არ მახსოვს) არ შემოსულიყო გარედან და არ განეცხადებინა შემდეგი: „ამხანაგები, ჭუჭში ხულიგანები, ჭეშმარიტი რუსები დათარეშობენ, მუშებს იჭერენ, სცემენ, ისვრიან, რაღაც პროვოკაციას ამზადებენ, ერთი მუშა, მგონი, კიდევაც მოჰკლეს, მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებას, მოგვეცით იარაღი მუშებს, რომ თავი დავიცვათო".

ამ უბრალო განცხადებამ, უბრალო მუშისამ, ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა და კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო წინადადება აღმასკომის არჩევისა და მისი უფლებებით აღჭურვისა. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი. ნევრების სახელი და გვარები არ მახსოვს, მხოლოდ მახსოვს, რომ ბალშევიკებიდან შეიყვანეს (უმრავლესობა საბჭოს მენშევიკეი იყვნენ) ორი თუ სამი კაცი. მათ შორის ვალიკო ჯუღელი, რომელიც მაშინ ბალშევიკების ფრაქციას ეკუთვნოდა და ასე თუ ისე რევოლიუციონერად ეჭირა თავი. (შემდეგ კი უსაზიზღრესი რნეგატი გახდა).

კრების დახურვის შემდეგ შეიკრიბა აღმასკომი სხვადასხვა კითხვების გადასაჭრელად. სხდომაზე ოროგორღაც მეც მიმიწვეს. პირველი და უმთავრესი კითხვა იყო ნოეელი გვარდიის შექმნა, რაც დიდი კამათის შემდეგ მიიღო აღმასკომმა. მეორე კითხვა, ჟანდარმერიისა და მთავრობის დაწესებულებათა ხელში ჩაგდებაც, გადაწყდა. დამახასიათებელია ის, რომ ჟანდარმერიის გაჩხრეკა-დაპატიმრება და მასთან შეკავშირებული მოქმედება მხოლოდ ბალშევიკებს მიანდვეს: ს. ქავთარაძეს, თომა ჩუბინიძეს, მე, ჯუღელს და სხვებს. მონდობილობა ზედმინევნით იქნა შესრულებული, მხოლოდ რაღას იპოვიდი ჟანდარმთა სამმართველოში, როდესაც თითქმის ერთი კვირა გავიდა რევოლიუციის შემდეგ და მისთვის ყურადღება არავის მოუქცევია: ყველა საინტერესო დოკუმენტები და ქალალდები ან დამწვარი იყო, ან გადამალული. ერთი სიტყვით, ტფილისის ორგანიზაციას ვერ ისარგებლა მომენტით, ვერ გამოიჩინა რევოლიუციონერი ინსტინქტი და ამიტომ ბევრი საყურადღებო რამეები ხელიდან გაუშვა. ამის მიზეზათ ითვლება ის, რომ ორგანიზაციაში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდენ.

ჩვენ, ბალშევიკებმა, ვიგრძენით რა რევოლიუციის წინაშე პასუხისმგებლობა, ვიგრძენით რა მენშევიკების უილაჯობა, მათი დაკნინება, მათი საგრძნობლად გადახრა ბურჟუაზიის მხარეზე – მოვინდომეთ გამოყოფა და ცალკე ორგანიზაციის შექმნა. მოვიწვიეთ პირველი დამფუძნებელი კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა ტფილისის კომიტეტი (ბალშევიკებისა) და ბალშევიკების ინფორმაციული ბიურო. კრებას დაესწრო 50 კაცამდე. ტფილისის კომიტეტში არჩეულ იქმნენ: მიხა ჩოდრიშვილი, რაჟდენ კალაძე, იასონ ჯორბენაძე, ერმილე კალანდაძე, არუსიაკ ტერ-პეტროსოვი, თედორე კალანდაძე, კ. ცინცაძე და სხვა, რომელთა გვარები აღარ მახსოვს. აქვე არჩეულ იქნა ბალშევიკების ინფორმაციული ბიურო, არჩეულ იქნენ (თუ მეხსიერება არ მღალატობს): თედორე კალანდაძე, სერიოოკა ქავთარაძე, კ. ცინცაძე, მ. ტოროშელიძე, ლადო დუმბაძე, არ. ტერ-პეტროსოვი და კიდევ ორი თუ სამი ამხანაგი, რომელთა გვარები აღარ მახსოვს.

ჩვენი, ბალშევიკების, მიზანი იყო რევოლიუციონერ პროლეტარული პოლიტიკა დაგვეპირპირებინა მენშევიკური ოპორტიუნისტული პოლიტიკისთვის, გაგვეტარებინა რევოლიუციის გაღრმავებული ხაზი და მენშევიკური შემრეგებელი პოლიტიკისათვის ლაზვარი ჩაგვეცა. ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი ორგანიზაცია გამოეყოფოდა მენშევიკურ ორგანიზაციას და საკუთარ პოლიტიკის წარმოებას შეუდგებოდა. მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში ყოფნა, მათი დისციპლინის დამორჩილება ჩვენს ხაზს, ჩვენს მოქმედებას, რევოლიუციურ პოლიტიკას დაჩრდილავდა, გათქვეფდა მენშევიკურ უმრავლესობაში.

მუშათა მასისათვის გაურკვეველი დარჩებოდა, თუ სად იყო რევოლიციონერი ფრთა ჩვენი პარტიისა და სად ოპორტუნისტული. ერთი სიტყვით, ჩვენი მიზანი იყო მუშათა კლასისათვის გარკვეუ-

ჩრდილ პირველი თავმჯდომარის მოგონებები

ლი, ნათელი პოლიტიკა დაგვენახვებინა. ამისთვის საჭირო იყო ცალკე ორგანიზაცია, ცალკე გაზეთი, პრესა, მუშაობა და გამოსვლები. მაგრამ ამ ჩვენს ტაქტიკას სასვენთ არ იზიარებდნენ ზოგიერთი ბალშევიკები – ინტელიგენტები, როგორიც მა. მაშინ იყო კოლია ქარცივაძე, ნიკო ელიავა და ერთიორი ამხანაგი კიდევ, რომლებიც ამბობდნენ, რომ პარტიიდან გამოოთშვა რევოლიუციონურ ფრონტს შეასუსტებს, კონტრ-რევოლიუცია ისარგებლებს ჩვენი დაქსაქსვით და სხვადასხვა. ეს კითხვა ხელმეორედ იქნა დასმული ბალშევიკების გაფგართოოვებულ პასუხისმგებელ ამხანაგების კრებაზე, რომელსაც 100 კაცამდე დაესწრო. დიდის უმრავლესობით (თითქმის კრების 9/10) გათიშეს მონინააღმდეგეთა წინადადება – მენშევიკებთან ერთად მუშაობისა – უარყოფილ იქნა. ყველა ის პირები, რომლებიც იმ დროს რყევას განიცდიდნენ მენშევიკებისაგან გამოთიშვის საკითხში, თითქმის ყველა რენეგატები გახდნენ შემდგები და მუშათა და გლეხთა მთავრობის მოსისხლე მტრებად გადაიქცნენ.

ამის შემდეგ ბოლშევიკების ბიურომ გადასწყვიტა ბაქოს ნავსულიაკენ კაჟშირის აღსადგენად და უმთავრესად კი იქაც ჩვენი, ბოლშევიკური, ორგანიზაციის ცალკე შესაქმნელად.

მეც გავემგზავრე ბაქოში დავალების შესასრულებლად.

ბაქოში ამ დროს არ იყო მაინც და მაინც ჩამოყალიბებული, შეერთებული ორგანიზაცია ბოლშევიკ-მენშევიკებისა. არც ცალკე ორგანიზაციები არსებობდა. ეფორო თითქო მთლიანი ორგანიზაცია არსებობდა, მაგრამ განწყობილება ისეთი იყო, რომ არც მთლიანი ორგანიზაცია დაერქმეოდა. მე გავაცანი ადგილობრივ ამხანაგებს ჩამოსვლის მიზანი. ყველა გამოიწენილი მომუშავეები, განსაკუთრებით მუშები (ვანია ფიოლეტოვი, ბასინი და სხვები) მომხრე იყვნენ გათიშვის და ცალკე ორგანიზაციის დაარსებისა. მოვიწვიეთ პასუხისმგებელი ამხანაგების და ორგანიზაციის საერთო კრება, რომელსაც 70 კაცზე მეტი დაესწრო. მე მოკლე მოხსენება გავუკეთე კრებას გათიშვის უპირატესობის შესახებ, მივაწოდე ინფორმაცია ტფილისის ორგანიზაციის შესახებ და წინადადება შეეტანენ ცალკე ორგანიზაციის დაარსებისა.

ჩემს წინააღმდეგ გაილაშქრა ამხ. გიორგი სტურუამ, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი გამოდგა მენშევიკებისაგან გათიშვისა და მოუწოდა კრებას ასეთი ნაბიჯი არ გადაედგა. მისი მოსაზრებანი გათიშვის წინააღმდეგ შემდეგი იყო: გათიშვა დაქსაქსავს რევოლიუციონურ ძალებს, საჭიროა მთლიანი რევოლიუციონურ ფრონტი და სხვა და სხვა. მისმა გამოსვლამ ბევრი მერყევი ამხანაგი კიდევ უფრო შეარყია და კენჭის ყრის დროს ხმები ორ თანასწორ ნაწილად გაიყო. ამგვარად გ. სტურუას გამოსვლამ და ხმების გაყოფამ გამოონენა ძველი მდგომარეობის დატოვება, ე.ი. მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში მუშაობა; ძვირად დაგვიჯდა შემდეგ ამ შეცდომის გამოსწორება – თითქმის მთელი სამი თვე მოუუნდი იმის მოწყობას, რომ მენშევიკებს გამოვთიშოდით და ცალკე ორგანიზაცია, პროლეტარული ორგანიზაცია, დაგვეარსებინა.

ამის შემდეგ ბაქოში თანდათანობით მოიყარა თავი ძველმა მუშაკებმა, ბაქოს მუშების საყვარელ და საამაყო ამხანაგებმა. ბაქოში ჩამოვიდა ალიოშა ჯაფარიძე, სტეფანე შაუმიანი, ზვენი, მუშაობას მოჰკიდა ხელი ვიქტორ ნანეიშვილმა, (რომელიც რამოდენიმე წლით რევოლიუციამდის თითქმის ჩამოშორებული იყო პარტიუულ მუშაობას) და სხვები.

გაჩაღდა მუშაობა. მომენტი სერიოზული იყო. ხდებოდა უძლიერესი ბრძოლებსა: სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური. პოლიტიკურ მოღვაწეს, რევოლიუციონერს, პროლეტარულ მოძრაობისათვის გამოცდა უნდა ჩაბარებინა. ბევრი, ბევრი გამოჩენილი, წარსულში კარგი რევოლიუციონერი, შედგა იმ ჯერ არ ნახულ ნგრევისა და ცვლილების წინაშე, რომელსაც რევოლიუცია ადგებოდა. წვრილ-ბურჟუაზოელმა და ბურჟუაზოელმა პარტიებმა შექმნეს ერთი მთლიანი ფრონტი პროლეტარული პარტიის წინააღმდეგ. კერენსკის მთავრობა არავითარ საშვალებას არ ზოგავდა, რომ პროლეტარული ორგანიზაციები დაენგრია, შეეეფიწროებია, მათი გავლენა დაეკარგა. საზზიღარი პროვოკაციით, დაუშვებელი აგიტაცია-პროპაგანდით ცდილობდა გაბატონებული პარტიები – ესერები და მენშევიკები – პროლეტარულ პარტიის, კომუნისტური პარტიის – სახელის გატეხას, დამცირებას, არევ-დარევას. ეს ის დრო იყო, როდესაც თვით კომეფისტებშიაც, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ბოლშევიკებშიც აქა-იქ რყევა ემჩნეოდა, ლენინის მიერ ნაკარნახეგ გზას, მის მიერ აღებულ გეზს ზოგიერთი ბოლშევიკები გაბეფფულად ვერ მიყვებოდა. ლენინის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები: სამოქალაქო ომი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგიერ კომუნისტურის შექმნა, ძალა-უფფლების ხელში ჩაგდება მუშათა კლასის მიერ, – ბევრ ბოლშევიკს აშინებდა, კონსერვატიულ განწყობილებას ბადებდა მათში. ასეთ „კონსერვატიულ“ ტენდენციებს პირობებია ხელს უწყობდა. ერთი მხრით ლოზუნგების სიდიადე, თითქო მათი ცხოვრებაში შეუსაბამობა, მომეტების სირთულე, მეორე მხრით კი მონინააღმდეგეთა მიერ შექმნილი ვაკანსალია; ფეფნა, პროვოკაცია, პროლეტარული პარტიის იზოლაცია ერთგვარ შიშს ბადებდა ჩვენს რიგებში, შიშს ბადებდა მომავლის წინაშე. ამიტო-

მაც იყო, რომ პირველ მოხსენებაზე, რომელიც ამბ. ლენინმა გააკეთა პეტროგრადში, მან მხოლოდ რამოდენიმე ხმა მიიღო (3-4).

უსწორო ბრძოლა გაიმართა. მოუხდავად იმისა, რომ ესერებსა და მენშევიკებს მასის დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს, ჯაჭრში და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებში (მუშებში კი საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენდნენ), ისინი (ესერებ-მენშევიკები) მაინც ძრწოდნენ პროლეტარული პარტიის წინაშე, თითქოს გრძნობდნენ, რომ მათი დღეები დათვლილიაო. ამიტომ ისინი იბნინებოდნენ როგორც შემოდგომის ბუზები. არ ჩერდებოდნენ არავითარი დეენისა და შეურაცყოფის წინაშე. ხშირი მაგალითი იყო ჩვენი ამხანაგების თვითგასამართლება მიტინგებზე და კრებებზე მენშევიკებისა და ესერების პროვოკაციული მოწოდებების გამო.

ჩვენ, ბოლშევიკები, მაინც არ ვერიდებოდით და არ ყოფილა ისეთი მიტინგი ან კრება, რომ ჩვენი ამხანაგები არ გამოსულიყვნენ და პროლეტარული ლოზუნგები მასაში არ გადაესროლოთ. მახსოვს ერთხელ კასპის ზღვის მატროსებში გამგზავნეს მიტინგზე. მატროსების დიდი უმრავლესობა ესერებს თანაუგრძნობდა. თან გამაყოლეს კრონშტადიდან ჩამოსული ამხანაგი მატროსი, რომლის საშალებით გვინდოდა მატროსებზე გავლენა მოგვეხდინა. ესერები ტრიბუნაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენს გინებაში. განსაკუთრებით ილაშქრებდნენ ამხ. ლენინის წინააღმდეგ, რომელსაც გერმანიის ჯაშუშს უწოდებდნენ. თავს იჩენდა ლენინის გინებაში, განსაკუთრებით განირჩეოდა ვიღაც თოურქა. როგორც იყო, სიტყვა ჩვენს ამხანაგს კრონშტადელს ერგო. გაიგეს თუ არა, რომ ის ბოლშევიკია, ტრიბუნიდან ჩამოაგდეს – სული რაღაც 5-8 წუთი არ დააცალეს ლაპარაკი ესერების კლაკიორებმა. სიტყვა მეც მერგო. საშინელი სულიერი განწყობილება არსებობდა. მტრული სულისკვეთებით იყო მთელი მიტინგი გაჟღენთილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბიბიეიბაინის მუშებს, რომლებიც ლომებივით იბრძოდნენ, მაგრამ უმცირესობაში იყვნენ. არავითარი იმედი რაიმე გავლენის მოხდენისა არ იყო. გადავწყვიტე ამიტომ რაც შეიძლებოდა მწვავეთ გამოვსულიყავი. ჩემი სიტყვა დავიწყე ასე: „ეე ვამაყობ მით, რომ ვეკუთვნი კომუნისტურ პარტიას, იმ პარტიას, რომელიც შერჩა მუშათა კლასს და თავგამოდებით იცავს მის ინტერესებს, კიდევ უფრო ვამაყობ მითი, რომ არ ვეკუთვნი ამ (მიუთითე ესერებს) ბურჟუაზიულ ინტელიგენტცოა ხროვას, რომელიც მუშათა კლასს სისხლში ახრჩობს“ და სხვადასხვა.

ასეთმა მკვახე და გაბედულმა გამოსვლამ ამ საშინელ ატმოსფეროში რაღაც გავლენა იქონია და ჩემი სიტყვა გაგრძელდა 1/2 საათს. მიგიჩნეი სდუმდა. ეს არ ესიამოვნა ესერებს და შექმნეს ყვირილი: „ძირს, პროვოკატორი, ძირს ბერმანიის აგენტი, თვითგასამართლება მაგას“ და სხვა. მაგრამ მიტინგი თითქმის ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი მკიცხავდა, მეორე მუშტებით მოინევედა, კინალამ სისხლი დაიღვაროს, რომ ბიბი-ეიბათის მუშებს ხერხისთვის არ მიემართათ. რამოდენიმე მუშა მოვიდა ტრიბუნასთან და მითხრა: ამხ. ცინცაძე, ჩაბოდი ტრიბუნიდან, წავიდეთ ჩვენ, მუშები, აქედგან, მუშებს ამათთან არაფერი საქმე არა აქვთო. გამიტაცეს და გავედით მიტინგიდან. ესერები ნანობდნენ, რომ ვერ მოახერხეს ჩემი თვითგასამართლება და ერთი „ურჯულოს“ სისხლი ვერ დაღვარეს.

ასეთი მაგალითები ფრიად ხშირი იყო, მოუხედავად ამისა ბაქოს პროლეტარიატი თავის ხაზს მედგრად აგარებდა, მას ვერ აშინებდა მბრძის გველური სისინი. ყველა ამას ისიც უნდა დავუმატოთ რომ ჩვენი პრესაც შევიწროვებული იყო. პირველ ხანებში, როდესაც პრესა თავისუფალი იყო, თვით ბოლშევიკები ვერ სარგებლობდნენ. პირიქით, ცდილობდნენ დამოკიდებულება არ გაემწვავებინათ გაბატონებულ პარტიებთან და ათასეულებნენ „ლმობიერ“ წერილებს, თუმცა ბოლშევიკურს, მაგრამ მაინც „შშვიდობიანს“. პირადათ მე ასეთ მდგომარეობას ვერ ვურიგდებოდი. არ ვიცი რითი აიხსნება დიდი რევოლიუციონური ინსტინქტით, თუ დიდი უჭკუობით ასეთ მშვიდობიან კილოს ჩვენი პრესასას ვერ ვიტანდი. ამავე დროს პეტროგრადიდან და მოსკოვიდან ვლებულობდით ბალშევიკურ გაზეთებს, რომლებთან შედარებით ბაქოს ჩვენი გაზეთები „მეშვეიკურ“ გაზეთს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბალშეკიკურს. რამდენჯერმე მე და ნუშიკ ზავაროანანმა მივეკით წინადადება რედაქციას და ორგანიზაციას, რომ ზოგიერთი უფრო მწვავე წერილები გადმოგვეტვნდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ არ თანხმდებოდენ – დამოკიდებულებას გაამწვავებსო*). ამის შემდეგ ორგანიზაციის „გარეშე“ („დისციპლინა დავარღვიეთ“). ამხ. ნუშიკ ზავარიანის ქალმა და მე მოვილაპარაკეთ, მოგნახეთ მესტამპე, ამოკკირიფეთ ყველა მოსული ნომრებიდან მოსკოვის „სოციალ-დემოკრატიდან“ და პეტროგრადის „პრავდა“-დან რაც რამ მწვავე და მაგარი წერილები იყო და გამოვუშვით გაზეთის კრებული „პრავდა“-ს სახელით რიცხვით 8 ათასი ეგზემპლიარი. 5 ათასი ბაქოში გავავრცელეთ უფასოდ და სამი მე წამოვიღე ტფი-

*) ჩემზე უფრო თავგამოდებით გაზეთის საქმეში მუშაობდა ამხ. ნუშიკი. აღსანიშნავია, რომ ამხ. ნუშიკი დაუღალავი მუშაკი იყო. ყოველთვის თითქმის ყველაზე მეტს მუშაობდა პრაქტიკულად. არალეგალური მუშაობის დროს ერთად ერთი ამხანაგი იყო ნუშიკი, რომელიც ცალთითქმის მთელი ბაქოს ორგანიზაცია ამ დროს მასზედ იყო დამოკიდებული. ეს უნარი მუშაობისა მას შერჩა მენშევიკების დროსაც და დღემდისაც.

ლისში გასაჯარცელებლად. ასეთი კრებული გამოშვების ნინაალმდეგ ამბ. სტეფანე შაუმიანიც იყო. ეს კრებული ყუმბარასავით გავარდა, როგორც ესეიერები და მენშევიკებში, ისე ჩვენებშიაც ნაწილობრივ. მუშები და ჯარისკაცები პირდაპირ იტაცებდნენ გაზეთებს. ამ ხანებში ბაქოს კომიტეტის მდივანი ვიყავი. ორგანიზაციამ ბასუხი მოგვთხოვა ასეთი „ურრნიბისთვის", მაგრამ აქ დაგვეხმარა ამბ. შაუმიანი, რომელმაც გამოსახა რაღაც პარტიული წესდების მუხლი, რომლის ძალით ყველა ჯგუფს უფლება ჰქონდა თავისი გაზეთი გამოეშვა. თუმცა მე და ნუშიკი ჯგუფი არ ვიყავით, მაგრამ საკითხი უყურადღებოთ დასტოვეს: არავითარი ზომებისათვის არ მიუმართავს ორგანიზაციას, მხოლოდ ჩვენ ვატყობდით, რომ კომიტეტის წევრებს არსებითად ამ კრებულის სანინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

აგვიანების შუა რიცხვებში ავათმყოფობის გამო იძულებული ვიყავი ბაქო დამეტოვებინა და ტფილისს ვსტუმრებოდი. ტფილისსშიდაც სამინელი გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა. განსხვავება ის იყო, რომ ჯარისკაცები ტფილისში თავის დიდი უმრავლესობით ბოლშევიკებს უჭერდა მხარს, მხოლოდ მუშებში და გლეხებში მენშევიკები სჭარბობდნენ, შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ამ დროს უკვე ამბ. ლენინის ცნობილი თეზისები და მისი ლოზუნგები ჩვენი პარტიის უმრავლესობის მხრით მიღებულ იქნა. ამ ნიადაგზე გაჩაღდა ხელ-ჩართული ბრძოლა მენშევიკებთან. ბოლშევიკური ლოზუნგები: „ძირს ომი", „გაუმარჯოს ზავს", „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს", „მინა გლეხებს" მალამესავით მოეფო რუსეთის მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს. როგორც გაზაფხულზე ყინული, დაიძრა ჯარისკაცები ფრონტიდან და სახლისკენ გაეშურა. ფაქტიურად ოსმალეთის საზღვარზე ომი შეწყდა, ზავი ჩამოვარდა. კერენსკის მთავრობას არ შეელოდა არავითარი აგიტაცია, არ უშველა არც 18 ივნისის შეტევამ დასავლეთის ფრონტზე. ჯარს დასვენება უნდოდა, ჯარი სახლისკენ მიიღტვოდა, ასეთივე სურათს წარმოადგენდა რუსეთ-ოსმალეთის ფრონტიც. ნიადაგი მზადდებოდა ჩვენი გამარჯვეებისა. ჰაერში ოქტომბრის გადაგრიალების სუნი დატრიალდა. ყველაფერი იმაზე ლაპარაკობდა, რომ დღეს თუ ხვალ ბოლშევიკები ჩაიგდებდნენ ძალა-უფლებას ხელში. მხოლოდ ამიერ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ჩვენი ორგანიზაცია სუსტი იყო მენშევიკებთან შედარებით. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა მენშევიკების, მუსავატისტების და დაშნაკების ბლოკი. მუშების უმრავლესობა მენშევიკების მხარეზე იყო, რადგან ამ უკანასკნელებმა თავისი ცრუ-სოციალისტური ფირმით შესძლეს მუშათა მონინავე რიგების გაბიბაურება და ანტი-მუშურ გზაზე დაყენება. ბალშევიკურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა საოლქო კომიტეტი, რომელიც არჩეულ იქნა რევოლიუციის შემდეგ კავკასიის პირველ ლეგალურ ყრილობაზე. საოლქო კომიტეტში შედიოდა: ფილიპე მახარაძე, სტეფანე შაუმიანი, სერგო ქავთარაძე, ალიოშა ჯაფარიძე, არშაკ ათაბეგოვი, ვანო ფიალეტოვი, მალაქია ტოროშელიძე, ნაზარეტიანი ამაიკ, ორი ჩრდილო კავკასიიდან (გვარები არ მახსოვს), სხვების გვარები აღარ მაგონდება. მხოლოდ შემდეგ კოოპტაციის საშვალებით შეყვანილ იქნა ლადო დუმბაძე და კოტე ცინცაძე. უმთავრესი ყურადღება საოლქო კომიტეტს მიქცეული ქონდა მასის უმრავლესობის დაპყრობისაკენ, მისი ორგანიზაციულად დარაზმვისაკენ. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ამ ამოცანას ის ასრულებდა. საოლქო კომიტეტთან არსებობდა სამხედრო ორგანიზაცია, რომლის სულის ჩამდგმელად იმ დროს ითვლებოდა ამბ. კორგანოვი. სამხედრო ორგანიზაციაში შუამაღნენ ამბ. კუზნეცოვი, მარტინოვი, პისკუნოვი. მათ მოვალეობას შეადგენდა ჯარში შუმაობა და მისი ორგანიზაცია. გარდა ამისა, არსებობდა საოლქო კომიტეტთანვე პარტიული სამხედრო შტაბი, რომლის სათავეში იდგნენ ლადო დუმბაძე და კ. ცინცაძე. შტაბის მოვალეობა იყო მუშების შეიარაღება, იარაღის შეძენა და მზადება აჯანყებისთვის. თუ არ ვცდები, ეს იყო 1917 აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში. საოლქო კომიტეტი გაფაციცებით ემზადებოდა იმ მომენტისთვის, როდესაც პეტროგრადისა და მოსკოვის მუშები ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებდნენ, რომ აქაც შეგვძლებოდა აჯანყების საშვალებით ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მოახლოვდა მეორე საბჭოთა ყრილობა. საშინელი ნერვიულობა ეტყობოდა მენშევიკ-ესერებს, ვნერვიულობდნი (ვლელადეთ) ჩვენნც. ყველა რაღაცას მოველოდით, გაფაციცებული მუშაობაა: ორგანიზაბორების კრებები, ინსტრუქციების დარიგება მათთვის, ძალთა აღნუსხვა, იარაღების აღწერა, ხუთეულების და ათეულების შედგენა რაიონებში, აგიტაცია, პროპაგანდა, ერთი სიტყვით, ყველა ამხანაგი, ყველა გულ-წრფელი ბალშევიკი, რომელთაც არ გაჰქრობოდა რევოლიუციონური ცეცხლი თითქო ელექტრონით იყო გაფიენთალიო, დაუღალავად მოქმედებდა, რაც შეეძლო არ ზოგავდა ენერგიასა და ძალ-ღონეს. მოახლოვდა საბჭოთა (რუსეთის) მეორე ყრილობის დღეც – 25 ოქტომბერი. ძარღვებ დაჭიმული ველოდებით ცნობებს, საკმარისია პაბარა ნაპერწკალი, რომ ცეცხლი დაინთოს, შეებას ორი ძალა, ძალა ბურჟუაზიული წყობილების დამცველებისა და

პროლეტარული რევოლუციის მებაირახტრითა: მენშევიკ მუსავატ – დაშნაკთა ბლოკი და ბოლშევიკები კბილებ დალესილები ერთმანეთს შესცქერიან. გავიდა 25 ოქტომბერი, ცნობები არ არის, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არ იძლევიან მთავრობის განკარგულებით. ისმის კანტი-კუნტათ, რომ ბალშევიკებმა გაიმარჯვეს, ძალა-უფლება საბჭოებმა აიღეს ხელშიო, სწორი ცნობა არ არის, მაგრამ დიდხანს ვერ მოახერხეს ცნობების დამალვა. მეორე თუ მესამე დღეს დეპეშები გამოქვეყნდა. პროლეტარულმა რევოლიუციამ გაიმარჯვა, ლენინის სტრატეგიამ გასჭრა, მუშათა და გლეხთა მტრები ჩამოგდებულ იქნენ, ბა გიკაფა საერთაშორისო რევოლიუციას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელიც წინად ცენტროვიკების ბუდეს წარმოადგენდა, ბურჟუაზიულ ცენტრს ემორჩილებოდა, პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ, პროლეტარულ ცენტრს არ დაემორჩილა და ამიერ-კავკასიის კომისარიატი გამოაცხადეს.

გაალილერეს დეკნა ჩვენი ორგანიზაციისა, ალაგმეს პრესა, გაანაღეს საზიზღარი კამპანია ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გავიგეთ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება, მაგრამ ამავე დროს ჩვენი სიხარული მწუხარებითაც იყო მოცული: ჩვენ ვერ შევსძელით მხარი დაგვეჭირა და პეტროგრად-მოსკოვის მუშებთან ერთად აგვეფრიალებია ოქტომბრის დროშა ამიერ-კავკასიაშიც.

ცდით ვცადეთ, მაგრამ მოწინააღმდეგეთა სიმრავლემ გვძლია. პირველი ცდა ჩვენი იყო არსენალის ხელში ჩაგდება. არსენალს იცავდნენ კომპარტიის თანამგრძნობი ჯარისკაცები. ჩვენც ვისარგებლეთ ამით და მოვინდომეთ არსენალიდან დაგვეწყო მოქმედება, მაგრამ არც მენშევიკ-დაშნაკელების ბანაკს ეძინა. მათაც კარგად იცოდნენ, რომ არსენალი დიდ ძალას წარმოადგენდა და ამიტომ განიზრახეს მისი სავსებით დაუფლება. მიეალეთ ცნობა, რომ არსენალს მენშევიკ-დაშნაკებმა ალყა შემოარტყესო. მაშინვე შეიკრიბა საოლქო კომიტეტი და სამხედრო შტაბი, სადაც გადაწყდა უბრძოლველად არსენალი არ დაგვენებებინა, თუ ამისთვის ცოტაოდენი შესაძლებლობა იქნებოდა. ამ დროს შტაბის უფროსი ვიყავი. მოვამზადეთ ტყვიისმფრქვეველების გუნდი ამმ. კიკვეცანის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის გუნდით უნდა შესულიყო არსენალში და შიგ მყოფი მომხრე ჯარის ნაწილისთვის მხარი გაემაგრებია. მე, ამმ. კუზნეცოვი და პიასუნოვი დელეგაციის სახით არსენალში უნდა შევსულიყავით. საოლქო კომიტეტმა და შტაბმა დელეგაციის ფორმა მოიგონა, რომ როგორმე მენშევიკებს ალყა გაგვევლო და არსენალში ამხანაგები გაგვემხნეებინა და მათთან ერთად გვემოქმედა, სამხედრო ხელმძღვანელობა გაგვეწია. თუ ამმ. კიკვეცანი მოასწრებდა ალყის სავსებით შემორტყმამდის არსენალში შესვლას, – საქმეს თითქმის მოგებულად ვთვლიდით. ამავე დროს ჯარის სხვა ნაწილებშიაც ენერგიული მუშაობაა აჯანყების მოსაწყობად. თან მუშათა რაზმებიც მზადდება. ჩვენ (მე, კუზნეცოვი, პიასუნოვი) გავსწიეთ არსენალისკენ, თან სადელეგაციო მანდატი გვაქვს (დელეგაცია თითქო იმიტომ მიდიოდა, რომ საქმე მშვიდობიანად გაეთავებინა). გულში კი სხვა სხვა გეგმები გვიტრიალებდა. მივადექით არსენალის კარებს. აქ სადარაჯოზეს წავაწყდით. ყველა მენშევიკებია. ჩვენ ვუჩვენეთ მანდატები. აქაევე გვესმის ლაპარაკი, რომ ავტომობილი დაიჭიროს ბოლშევიკებით სავსე, ტყვიისმფრქვეველები უპოვეს და სხვა. ჰკა მაგალთი – გაისმოდა. დარაჯების პირველმა რიგმა გაგვიშვა. მეორე რიგს წავაწყდით. ისინიც გაგვიშვებდა, რომ ნოე ხომერიკის არ დაეენახეთ. დამინახა თუ არა, ხომერიკმა, მოვარდა და ბრძნება გასცა დაიჭირეთო. „გაჩხრიკეთ, მაგას იარაღიც ექნება, ალბათ ჩვენი სისხლის დასაღერესად არის მოსულიო". არსებითად არ სტყუოდა. მომინდომეს იარაღის აყრა. მე არ დავანებე. მოვიდა ალექსანდრე დგებუაძე, რომელმაც მთხოვა მისთვის მმებრებინა რევოლვერი. ვხედავდი, სხვა გზა არ იყო. აკიღე და მივეცი, ვითომ „მივაბარე". ასევე მოექცნენ ამმ. კუზნეცოვს და პიასუნოვსაც, ჩვენ დავანენეთ ფორმალურ მხარეს და შეტევაზე გადავედით: „არც კი გრცხვენიათ დელეგაციას იჭერთ, ჩვენ გვინდა საქმე უსისხლოდ გათავდეს, თქვენ კი გვიჭერთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლი გწყურიათ და სხვა და სხვა". ჩვენს ასეთ განცხადებაზე გვიპასუხეს, რომ ჩვენ არავინ დაგვიჭერია, თავის თავს დატუსაღებულად ნუ სთვლითო და სხვა. ამის შემდეგ დაინყო მოლაპარაკება. ჩვენ მოვახერხეთ არსენალის დამცველ ჩვენი ამხანაგებისათვის შეგვეტყობინებინა საქმის მდგომარეობა, გავგაგებინეთ, რომ არსენალის დაცვა ჯარის სხვა ნაწილს არაფრამდის არ დაუთმინ და სხვა. წინააღმდეგობის განევაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგან არსენალი ფაქტიურად დაჭერილი იყო ჯარიანთ – ქართველი და სომხური ნაციონალური ჯარიანთ გავსებული იყო ყველაფერი. ამმ. კიკვეცანმა ვეღარ მოასწრო არსენალში შემოსვლა და სადარაჯოზე დაატყვევეს თავის გუნდით და ტყვიისმფრქვეველებით. ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მართლაც დელეგატების როლი უნდა შეგვესრულებინა. მსჯელობა ტრიალებდა იმის გარშემო, თუ ჯარის რომელ ნაწილს

მიენდოო არსენალის დაცვა. ჩვენი „დელეგაცია“ საკითხს აყენებდა ასე: რა მოსაზრებით და რისთვის არ ენდობით თქვენ ამ ნაწილს, რომელიც აქამდე იცავდა და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ისინი სდუმდნენ ამ კითხვაზე, რადგან აშკარად ვერ ბედავდნენ უნდობობა გამოეცხადებინათ ჯარის ნაწილისთვის. თვით ის ნაწილი, რომელიც არსენალს იცავდა, აგრეთვე აყენებდა კითხვას: რა უფლება გაქვთ, რომ ჩვენ უნდობლობას გვიცხადებთო. მიუხედავად მენშევიკ-დაშნაკების ლონისძიებისა მათ ვერ შესძლეს ნაწილის გამოცვლა და თავისიანების ჩაყენება. დაბოლოს შევთანხმდით, რომ დაგვეტოვებინა ისევე ძველი სადარაჯო და კიდევ ერთი ნაწილი ქართულ სომხურ ნაციონალური ჯარისა, რომელსაც მენშევიკ-დაშნაკები ენდობოდნენ, და მოლაპარაკება კი დაგვემთავრებინა სასახლეში. ამავე დროს თითქო სასახლიდანაც დაეძახათ, რომ მოლაპარაკება შესწყვიტეთ, აქ მოდით და გავაგრძელეთო ლაპარაკიო. ჩავსხედით ავტომობილში და წავედით სასახლეში. ჩვენ გზაში პროტესტს ვაცხადებთ ჩვენი დატყვევების გამო. გზაშივე ალექსანდრე დეკ-ბუაძემ დამიბარება ჩემი რევოლვერი. სასახლეში მისვლისთანავე კიდევ განვაცხადეთ პროტესტი. გამოვიდა ნოე ყორდანია და გამოგვიცხადა, რომ ჩვენ სულ ტყეულ უბრალოდ ვთვლით თავს დატყვევებულად, რომ ჩვენ არავის დაუტყვევებიჯართ, მხოლოდ აქ თუ მოგიყვანეს – ეს იმიტომ, რომ მოლაპარაკება დავამთავროთ და ბოლო მოვფუოთ მოსალოდნელ გაუგებრობასო. ჩვენს გარდა კიდევ გამოიწვიეს ერთი წევრი საოლქო კომიტეტისა, მგონი ამმ. ნაზარეტიანი. დაიწერა ხელშეკრულება, რომლის ძალით არსენალის „მფლობელათ“ მესამე მხარეთ ბოლშევიკებიც შედიოდა. არსენალის დაცვა ენდობა (თუ მეხსიერება არ მღალატობს) შერეულ ჯარის ნაწილებს, არც ერთი თოფი არ გაიცემა თუ სამივე მხარეს თანხმობა არ არის. საქმე იმაში იყო, რომ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები იარაღს იტაცებდნენ. უფრო სარგებლობდენ დაშნაკები. ათასობით თოფები, მილიონნობით პატრონები გაჰქონდათ „დაშნაკებს“ და „მუსავატლებს“ და ამ დროს ჩვენ, ბოლშევიკები უიარაღოთ ვიჯექვით. ჩრდილო-კავკასიის კონტრრევოლიუციონურ რაზმებს, რომლებიც ყარაულოვის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, ტფილისის არსენალიდან გაჰქონდათ იარაღი. სწორედ ამიტომ შევიტანეთ ის მუხლი, რომლის ძალით იარაღის გაცემა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო სამივე მხარის დაუთანხმებლად. დაწერილებით მოგონება ფრიად ძნელია ხელშეკრულებისა. ცხადია, რომ ხელშეკრულება უბრალო ფარატინა ქაღალდი იყო, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ძალთა განწყობილება იქნებოდა მუშათა და ჯარის ორგანიზაციებში. თუ კი ჩვენ, ბოლშევიკები, შევძლებდით უმრავლესობის შექმნას ჯარში და მუშებში, კითხვა გადაჭრილი იქნებოდა. მენშევიკ-დაშნაკებიც ასე მოიქცნენ; გრძნობდნენ რა უმრავლესობას მუშათა და ჯარის ორგანიზაციებში თავის მხარეზე, მათ იერიში იერიშზე მოქონდათ, რომ მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაგვდოთ, სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყვნენ მდგომარეობისა. ცხადია, ისინი ცდილობდნენ, ზურგი გაემაგრებინათ და ჩვენის მხრით მოსალოდნელი იერიშები ადვილად მოეგერიებინათ, ამ მიზნით ისინი განუწყვეტელ აგიტაციას ეწეოდნენ რუსის ჯარის ნაწილებში სახლში ნასვლის შესახებ. იმათ იცოდნენ, რომ რუსის ჯარში ჩვენ დიდი გავლენა და ავტორიტეტი გვაქვს. ჩვენ კი ვცდილობდით ჯარის საუკეთესო ნაწილები შეგვემაგრებინა და გვესაარეტა მით მენშევიკ-დაშნაკების ჩამოსაგდებათ.

მგონი დეკემბრის პირველ რიცხვებში, როდესაც მენშევიკებმა იარაღით ხელში არსენალი ხელთ იგდეს და რამდენიმე დარაჯი მოჰკლეს, – საშინელი მღელვარება დაიწყო ტფილისის გარნიზონში. განსაკუთრებით ღელავდა „საპაორნი“ ბატალიონი. ამავე დროს ჩვენ შევსძელითო ქართული ჯარის რამოდენიმე პოლკი ხელთ გვეგდო, ბოლშევიკურად მოგვემზადებინა. ასეთი გარემოებით ვისარგებლეთ და მოვიხდოდით ამ ჯარისა და ჩვენი მუშათა ორგანიზაციის საშვალებით გადატრიალება მოგვეხდინა.

სიგნალი „საპაორნი“ ბატალიონიდან უნდა მიგვეცა, ამ მიზნით მე და კუზნეცოვი ჩავჯექით ზემოხსენებულ ბატალიონის ყაზარმაში. საბურთალოზე ქართული ჯარის ნაწილებიც მზად იყო. თითქმის გარნიზონის დიდი უმრავლესობა მზათ იყო გამოსულისათვის. უკანასკნელ ცნობებს ველოდებით ყაზარმაში, რომ გამოსვლის ნიშანი მიეცეთ. მივიღეთ ცნობები, რომლებიც ხელ-საყრელი არ იყო. თითქმის გარნიზონის უმრავლესობაში მენშევიკებს თავისი საზიზღარი აგიტაციით რყევა შეეტანა: მათ გადაეგდოთ ლოზუნგი სახლში ნასვლისა: რათ უნდა დაღეაროთ ძმათა სისხლი, უმჯობესი არ არის ცოლ-შვილთან მშვიდობიანად წახვიდეთ და სხვადასხვა. ჯარში ისედაც იყო ძლიერი განწყობილება სახლში წასვლისა, ასე რომ, მენშევიკების აგიტაცია ნოყიერ ნიადაგზე დაეცა. ჯარი მშიერაა. ცხადია, რომ ასეთი სულისკვეთება დაფარული არ დარჩა „საპაორნი“ ბატალიონისთვისაც, რამაც ისინი რყევაში შეიყვანა. დაეინახეთ რა ასეთი სულიერი მდგომარეობა, ჩვენ იძულებული ვიყავით, ლიკვიდაცია მოგვეხდინა დანაყებული საქმისა. ასე და ამგვარად, ჩვენი მეორე ცდაც უსაყოფოდ დამთავრდა.

ამის შემდეგ საოლქო კომიტეტმა გადაწყვიტა უფრო ხანგრძლივი და დადებითი მუშაობა ეწარმოებინა მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატთა მთავრობის ნინაალმდეგ და ამ მიმართულებით გადაავჯგუფა თავისი ძალები. საჭირო იყო რუსეთთან ჭმდგრო კავშირის დამყარება. თითქმის სავსებით მოწყვეტილი ვიყავით ოქტომბრის რევოლიუციის ცენტრს. ბაქო კერენსკის მთავრობის მომხრეთა ხელში იყო. ჩრდილო კავკასიაში (თერგის ოლქში, დაღესტანში) ყარაულები თარეშობდა. ყუბანი და დონის ნაწილები კონტრ-რევოლიუციონერი ყაზახების ხელში იყო. ეს ის ხანა იყო, როდესაც კონტრ-რევოლიუციონერი ძალები ირაზზებიდან საბჭოთა მთავრობის წინააალმდეგ გასალაშქრებლად. ბუდეი ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებმა ყუბანი და დონი ამოიარჩიეს. ამგვარად ჩვენი, – ბოლშევიკური, ორგანნიზაცია ამიერ-კავკასიაში ერთთავად მოწყვეტილი იყო თავის ცენტრს. მოუხდავად ამისა, ადგილობრივი ორგანნიზაცია საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით სავსებით სწორს, პროლეტარულ პოლიტიკას ანარმოებდა ამიერ-კავკასიაში.

საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა ჩემი გაგზავნა პეტროგრადს – კავშირის აღსადგენად, ინფორმაციის გასაკეთებლად და მატერიალური დახმარების გამოსათხოვად. ფრიად ძნელი იყო დავალების შესრულება, რადგან მე უნდა გამევლო მენშევეკ-ესერების ბაქო, კონტრ-რევოლიუციონერი დაღესტანი, თერგი, ყუბანი და დონი. მიმოსვლა საშნელი ძნელი იყო. მატარებლები თითქმის კვირაობით არ იძვროდნენ ხაზებზე ან თუ დაიძვროდნენ, იმედი არ იყო მიგვიყვანდნა დანიშნულ ადგილამდის, თუ სადმე გადაიჩეხებოდა. როსტოვში ჩავედი. აქ უნდა გადადმეჯდარიყავი ხარკოვში მიმავალ მატარებელში. როსტოვის სადგურზე გულმოდგინეთ გაგვჩხრიკეს. მეშინოდა წელზე აკრული სერიოფას და სტეფანეს წერილები არ გამოექროთ, თორემ ციხეში არ წამიყვანდნენ – იქვე, ხალხის დასანახავად, ალბათ, სადგურის პირველ ბოძზე ჩამომკიდებდნენ. აუწერელი ზიზღი და მტრობა ეტყობოდა სულ უბრალო ყაზახებს ბოლშევიკებისაგმი. როგორც იყო, ყაზახების გულმოდგინე ჩხრეკას ჩემმა წერილების გულმოდგინეთ „შემოკვრმა წელზე“ აჯობა და გადავრჩი. ყაზახებს კი გადავრჩი, მაგრამ მატარებელში შესვლა არ გინდა?! ჯერ ერთი, მატარებელი სახელად ჰქვიოდა, მხოლოდ არც ერთი ფანჯარა არ ჰქონია, თითქო არას დროს არ ქონებოდეს შუშებიო. აუარებელი ხალხი, ბავშები, მოხუცები, ქალები. არც კი არჩევენ სადა მიდის მატარებელი. სულ ერთია, ოღონდ როსტოვს გაშორდნენ, სადმე ახალ ადგილას მოიკალათოს და კვირაობით კიდევ უცადოს რომელიმე მხარეზე მიმავალ მატარებელს. ვაგონში შესასვლელად მუშტი-კრივი იყო საჭირო. მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა და როგორც იყო, ვაგონის კიბეებამდის მივედი. რა ახლოს არის ბედნიერება! რამოდენიმე ნამის შემდეგ თუ ვაგონში არა, კარიდორში მაინც მოვხვდები. დიდის გაჭირვებით კარიდორში მოვხედი, მატარებელიც დაიძრა. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ხარკოვში ჩავედით. აქ კიდევ გადაჯდომა დაგვჭირდა. ხარკოვი ბოლშევიკების ხელშია. სადგური გაჭედილია ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისაცებით. ნარმოიდგინეთ, რომ ბილეთის ყიდვაში დამეხმარა ბოლშევიკური დოკუმენტები, რომელიც აქ უშიშრად გამოიღე დღის სინათლეზე. გაამზადეს მატარებელი, მაგრამ ის უკვე ხალხით გატენილი აღმოჩნდა, პირველ ზარს და მეორეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც მატარებელი უგდებს ყურს. ხან ზარამდის მიდის, ხან კი მესამე ზარის შემდეგ ნახეკარი დღე დგას. უკანასკნელი ენერგია მოეკიბება და ვაი-ვაგლახით ზოგი ძალით, ზოგი ხერხით ვაგონის ასასვლელ კიბეებამდის მივალწიე. პირველ საფეხურზე ფეხი ჩამოვდგი და ხელი რკინის მოაჯირს ჩავკიდე. წინსვლაზე ფიქრი ოცნებაა. ჩემს გარდა კიდევ ხუთი კაცია (ჯარისაკაცი) დაკიდული საფეხურზე. მატარებელი დაიძრა. საშინელი ყინვა და სიცივეა. ორი თუ სამი საადგური საფეხურზე დაკიდებული ვმგზაურობთ, მეოთხე სადგურზე ორი საფეხური ავიცვალეთ და მხოლოდ თავი შევყავი კორიდორში. მეექვსე თუ მეშვიდე სადგურზე კორიდორში დავდექი, მხოლოდ ისეა გატენილი კორიდორი, რომ ფეხები იატაკზე აღარ მიდგას, ჰაერში ვარ აყვანილი. ვორონეჟს რომ მიუახლოვდით, ვაგონის შიგნით კარიდორში შეველი თუ შეიძლება შესვლა დაუძახოთ ასეთ შეორეკას. აქ კი თითქო პირველი კლასის კუპე იყო რემთვის. ადამიანები ერთმანეთს აწევან, მეც ვიღაცეებს დავაწევი. არაქანთი აღარ არის ფეხზე დგომის. შეუოლებელია საპირფარეშოში შესვლა. ბუნებრივ მოთხოვნილებას, სადაც წვანან თუ დგანან, იქვე იკმაყოფილებენ. მგონია, რომ არავის შეეხარბება ასეთი მგზავრობა. გულში ვფიქრობ: რა პირუტყვია ადამიანი! ყველაფერს შეურიგდება, ყოველ გაჭირვებიდან გამოძვრება. ერთ-ერთ რომელიღაც სადგურზე მატარებელი დადგა და გავიგეთ, რომ ამას იქით ის აღარ წავა. იქვე გვერდით მეორე საბარგო მატარებელი დგას. ორთქლმავალი მოსკოვისაკენ უბია. ბევრი აღარ მიფიქრია, ერთ-ერთ „ტეპლუშკაში“ შევდარე თავი. სავსეა ვაგონი ჯარისკაცებით, „მეტმორეკებით“ (Мешочники), ვაშლი ვერსად დავაოდებაო, ისეთი მდგომარეობაა. კარები ვაგონის ღიაა. სიცივე და ყინვა ძვალ-რბილში ატანს.

ჩრდილ პირველი თავმჯდომარის მოგონებები

ასეთ ყოფაში მოსკოვს მივალწიეთ. მოსკოვში სურათი თითქმის სავსებით იცვლება. აქ წესიერების აღდგენა მოუსწრიათ. ყველაფერი თავის ადგილას დგას; მატარებლებზე ისე ანარქისტულად, როგორც სხვა საადგურებზე, ხალხს აღარ უშვებენ. სახალხო მატარებლები ოდნავ უკეთეს მდგომარეობაშია. პეტროგრადში მიმავალი მატარებელი გამზადებულია. თვალი მოვავლე პროტექციონულ ვაგონს. აღარ მახსოვს, მგონი ამხ. სკლიანსკის ეკუთვნოდა. მოუხდებავთ ვაგონის კომენდანტის პროტესტისა, შევედი ვაგონში. ადგილები არ არიანო მითხრეს. რათ მინდა ადგილი, როდესაც პირველი კლასის ვაგონის კორიდორი სულ თავისუფალია. იატაკზედაც ნოხი აგია. ამასთან ერთად თბილა საუცხოოდ. რომ შემეხვეწონ, კუპეში არც შევალ. დოკუმენტები გამისინჯეს და ვაგონში დამტოვეს. თავისუფლად ამოვისუნთქე მაშ, პეტროგრად ჩქარა ვინახულეს, ოქტობრის რევოლიუციის დედა ქალაქს ვესტუმრები, მის შტაბში – სმოლნი ინსტიტუტში – რევოლიუციის ბელადებს ვნახავ. პირველად ვარ პეტროგრადში. საადგურიდან გავედი. გზა არ ვიცი. იქვე ეტლი დგას. მინდა შენობებს, ქუჩებს შევხედო, წავიკითხო ოქტობრის სიდიადე. თითქო გავიზარდე. ჩემი თავი დიდი რაღაც მგონია, როდესაც პეტროგრადში ვიმყოფები. გამახსენდა თბილისელი ამხანაგები, რომლებსაც პეტროგრადი ოქტობრის შემდეგ არ უნახავთ. ბევრია ისეთი ამხანაგები, რომლებიც ნიკოლოს II-ის პეტროგრადში ცხოვრობდენ, ყველა ქუჩები იციან, უბრძოლიათ თვითმყორობლობის წინააღმდეგ; მე კი მეფის მთავრობის პეტროგრადი არ მინახავს, ეხლა კი წითელი პეტროგრადი ვნახე, ვამაყობ ამით, თითქო ინ ამხანაგებზე უფრო გავიზარდე. მე ვნახე, მათ ამბავს ვეტყვი. – ასე ვფიქრობდი თავისთვის, სანამ მეეტლეს დაველაპარაკებოდი. საუბედუროდ ჩემდა, ბურუსიანი დღეა, კარგათ არ სჩანან შენობები, ხალხი, ქუჩები. მეეტლეს ვაჭრობა არც კი დავუწყე, მეჩქარება, რა დროს ვაჭრობაა: სმოლნისკენ მივეჩქარები, იქ ლენინს ვნახავ, იმ ლენინს, რომელმაც ახალ ცხოვრებას, ახალ ბრძოლას საფუძველი ჩაუყარა, დედამინა შეარყია, ვნახავ ოქტობრის ავტორს, უნებლიეთ თვალ წინ მეორე ბუბბერაზი წარმმოიდგა, მეორე საუკეთესო თანამშრომელი ამხ. ილიჩისა, ამხ. ტროცკი. ამას მესაამე, მეოთხე მოყვა. გონებაში ამიცურდა ოქტომბრის ყველა ხელმძღვანელები. არც კი გამიგია ისე მიუახლოვდით „სმოლნის“. ეზოში შემიყვანა ეტლმა. „სმოლნის“ წინ ადამიანების ფუსფუსი, ავტომობილების ხრიალი, ზოგი მიდის, ზოგი მოდის. ეტლები, ადამიანები, შეიარაღებულები, წითელი მოლაშქრენი, წითელ გვარდიელები, ერთი მეორეს სცვლილან. ფანჯრებში ტყვიის მფრქვეველების ტუჩები მოსჩანს... ყველას საქმიანობა ემჩნევა. ყველა სადღაც მიიჩქარის, მოჩქარის, ასე მგონია „უსაქმო“ მხოლოდ მე ვარ; ბევრი დრო მაქვს არე-მარის სათვალიერებლად, სხვებს კი ამისთვის არ სცალია; ალბათ რევოლიუცია მოითხოვს ყველას საქმიანობას, სიჩქარეს: რაღაც გამზრარნა ტანში, ჭრუანტელმა დამიარა, გრძნობები ამიჩუდა: მეც მინდა ამ საერთო ფურხულში ჩავეერო, სადმე მივეჩქაროდე, რაიმე დავალებას, დიდ დავალებას ვასრულებდე. თფილისი დამავიწყდა, რამოდენიმე წამით თავი პეტროოგრადის მუშაკათ წარმოვიდგინე: თითქო მეც გავრბივარ სადღაც, ვფუსფუსებს, დავალებებს ვისმენ, ვასრულებ, სხვას ვავალებ, პასუხს ვსთხოვ და სხვა და სხვა. ითასგვარი ფიქრები მიტრიალებს თავში, ერთი ოცნება მეორეს სცვლის ელვის სისწრაფით. არც კი გამიგია, როგორ გავისტუმრე მეეტლე, არც ვიცი, ფული მივეცი თუ არა: ალბათ მივეცემი, რადგან არ მაწუხებს. კიდევ დიდხანს ვიძენებოდი ოცნებაში გართული, რომ ერთი ჯარისკაცი არ მოსულიყო და არ ეკითხა: „ოჯეენ რა, ან ვინ ბნეებავთ“? ამ კითხვამ გამმართკვია. პასუხი უცბათ ვერ მივეცი. შემდეგ უთხარი სტალინთან უნდა მივიდე თქვა. დოკუმენტები გასინჯა, ტელეფონით შეეკითხა სტალინს შეიძლება თუ არა ჩემი გაშვება. დასტური მიიღო. ადგილი მიჩვენა სად უნდა გავჩერებულიყავი რიგში და გასაშვები ბარათი მომეღო. ის „სმოლნის“ კომენდანტი გამოდგა. საეჭვო პირათ მოვეჩვენე, როდესაც რამოდენიმე წამი უსაქმოთ დგა ნყნარად ვიდექი „სმოლნის“ შესავალ კარებში. რევოლიუციონერი ხანა იყო – ბუნებრივია ასეთი ეჭვები. ჩემი რიგიც მოვიდა, ბარათი მივიღე. ელვის სისწრაფით მეორე თუ მესამე სართულში ამოვყავი თავი. სტალინის კაბინეტი ვიკითხე. კარებზე მიმითითეს. შესვლა დავაპირე, მაგრამ ტანში ისევ სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა: ვიფიქრე, იქნება სტალინის კაბინეტში ილიჩს ნავაწყდე თქვა. ალბათ ყველას გამოუცდია ასეთი მდგომარეობა: როცა რაიმე გინდა მთელი არსებით, ილტვი მისკენ და სურვილი მოულოდნელად აგისრულდება – რაღაც გული ატოკდება, თითქო გაექანაო, სისხლი მთელ ძარღვებში დაგიელის და უცბათ შეჩერდები, მიზნის მიღწევის რამოდენიმე წამით მაინც დაგაკვიანებ. ასეთ ფსიხოლოგიურ განცდას განვიცდიდი, როდესაც სტალინის კაბინეტის კარები შევალე და შევედი. ოთახში მხოლოდ სტალინი იჯდა. დიდი ხნის უნახავები ვიყავით. ძლიერ გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა.

მოკლე ინფორმაციის შემდეგ ამხ. შაუმიანის წერილი ლენინისადმი გადავეცი. ის იყო ამხ. ლენინთან უნდა მივსულიყავით, რომ კარები გაიღო და ილიჩი

შემოვიდა. სანამ სტალინი იტყოდა ლენინიაო რაღაც ინსტინქტიურად ვიგრძენი, რომ ის იყო და ვკითხე – „ეს ლენინი ხომ არ არის თქვა“ მანაც დამიდასტურა. წამოვდექი და მივეგებე. სტალინმა ორიგინალურად გაიცნო ჩემი თავი: „ეს არის საქართველოს ძველი ექსპროპრიატორ-ტერორისტი კოტეო“.

ლენინს სახე ულიმოდა, ეტყობოდა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც დეენისათვის თავი დაუხნევია. იელისის დღეებში გაპარსული წვერ-ულვაში ახლად ამოსდგომია. „აბა მომიყევით საქართველოს ამბები“-ო, მითხრა მან. ამბების მოყოლამდის წერილი წაიკითხა. ვიცოდი, რომ დრო ცოტა ერნდება და მინდოდა მოკლედ მოვყოლოდი ჩვენი ამბები, მაგრამ ვერ მოვახერხე. როგორც იყო, არსენალის ამბებსამდის უთხარი ყველაფერი. როდესაც არსენალის ამბავს უყვებოდი და აღვნიშნე მისი (არსენლის) მენშევიკების მიერ ხელში ჩაგდება, მან შემაჩერა და მითხრა: „მაშ, არსენალი მენშევიკებს მიეცით?!“ მე მინდოდა მიზეზები მეთქვა, ამეხსნა, რატომ მოხდა ეს და განვაგრძე, მაგრამ მან კიდევ გამაწყვეტინა და ხელმეორეთ შემეკითხა: „არსენალი ხომ მაინც ჩააბარეთ მენშევიკებს!“ მე გავიგე, რომ მიზეზები მას ჩემზე უკეთ ესმის, ან უკეთ გაიგო და გავსწყვიტე ლაპარაკი. შემდეგ ამისა მკითხა ყველა მისი ნაცნობი ამხანაგების შესახებ, მოიგონა თითქმის ყველანი. ამ დროს ამხ. კამოც შემოვიდა. ლენინს ეჩქარებოდა, წამოდგა, ხელი გამომიწოდა და სტალინს მიმართა... „ყველაფერი, რაც საჭირო იყოს და მოითხოვონ, შეუსრულეთი საჩქაროდ, ნუ დაიგვიანებთო“. ნასვლისას სთქვა: „მე წავალ, თქვენ კი განაგრძეთ მუსაიფი, ჭუჭუნი“-ო აუწერელი შთაბეჭდილება დასტოვა. სულ უბრალო ადამიანი, უბრალო ამხანაგი. ადამიანი, რომელიც მთელ ქვეყანას აზანზარებს, რომელიც ყველას საშინელ ადამიანად ყავს წარმოდგენილი (ცხადია ამხანაგები არ მყავს მხედველობაში), აგერ, სულ რამდენიმე წუთის წინ ჩემთან მუსაიფობდა, იცინოდა, მასხარაობდა, უბრალოდ, სადათ ჩაცმული, უბრალოვე მოქცევით მოსაუბრეს იზიდავდა, განნყობილიც რომ არ ყოფილიყავი, მოკრძალებასაც რომ არ ჰქონებოდა ადგილი ანუ უხერხულობაც რომ გეგრძნო, ისე დაინყებდა ლაპარაკს, ისე მოგექცეოდა, რომ ყველაფერი დაგავიწყდებოდა და თავს მის სნორად იგრძნობდი, ან უკეთ რომ ვთქვა გაგრძნობინებდდა, რომ საქმე სრულებით შენს თანასწორ ამხანაგთან გაქვს. ამიტომ სითამამე გემატებოდა და რაც საოქმელი იყო, გაბედულად, დაუფარავად ეუბნებოდი (ამას მით უმეტეს ვამბობ, რომ მე მასთან შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ მომიხვდა შეხვედრა), მაგრამ მის უბრალოებაში (თუ შეიძლება ასე ითქვას) გრძნობ სიძლიერეს, გრძნობ, რომ ეს ადამიანი გიპყრობს, გხიბლავს, გაგჯადოებს, რწმენას გიმტკიცებს. გიღრმავებს შეხედულებას და ერთიანად ბრძოლის ენერგიას გიმტკიცებს. ვისაც მასთან ულაპარაკნია, ვისაც ის უნახავს, აფვიდად ახსნის მის ასეთ გავლენას ას ავტორიტეტს.

ერთი სიტყვით, სრული კმაყოფილება ვიგრძენი, ვიგრძენი, რომ ოქტომბრის ბეჭი მძლავრ ხელებშია და მიუხედავად სერიოზულ მდგომარეობისა, რომელშიაც მაშინ საბჭოთა მთავრობა იმყოფებოდა, ვგრძნობ რომ რევოლიუცია გაიმარჯვებს.

ლენინის გასვლის შემდეგ სტალინმა, კამოს და მე ვილაპარაკეთ ჩემი და კამოს ჩასვლის მიზნის შესახებ, გადავწყვიტეთ, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა, ორ დღეში უნდა გამოვბრუნებულიყავით. რამდენიმე მილიონი მანეთი (ნიკოლოზის ფულების ნიმნებით) მივიღეთ, თან ერთი სამხედრო პირი (ერთ-ერთი იმ აფიცერთაგანი, რომელიც პირველ დღეებშივე მიემხრო ოქტომბრის რევოლიუციას) პოლკოვნიკი ამხ. შერემეტიევი უნდა წამოგვეყვანა, როგორც სამხედრო ხელმძღვანელი ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში.

როდესაც ყველაფერი გავამზადეთ, პეტროგრადს გამოვეთხოვეთ მგონი 25-26 დეკემბერს ძველი სტილით.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასი სამარცხვინო წელი

სანდრო ეული

ჩვენი ლექსი

დღესაც ნალმია
ჩვენი ლექსი იმდროინდელი,
რომ გვითხზავს ბრძოლის შერჩეულ დროს ბარიკადებში,
დარაჯად უდგას
ყოველ სიტყვას აზრი ფხიზელი,
ცეცხლში ნაჭედი და ნაფერი მზის ნაკადებში.

განა ჩვენ იმ დროს
„პოეზიით წვა“ გვეყოფოდა,
რომ მოგვეხადა
ბოლშევიკი-მებრძოლის ვალი?
„ბულბულის სტვენა“-ს
ჩვენი გული ვერ შეეტრფოდა, –
ახალ მსოფლიოს ბედსა სწყვეტდა ტყვია და ხმალი!

გადაძახილზე
„საყვირითა რევოლუციის“
მილიონებთან საუბარი გაგვიმართია,
„მირონცხებულებს“
გაუხდივართ საგნად დაცინვის,
როცა წითელი დროშა ლექსში აგვიმართია.

და ჩვენი ლექსი,
დაწერილი ამბოხებისთვის,
რომ ასკდებოდა
მტრების ბანაკს, როგორც ყუმბარა,

ი30/1

ლექსი ბრძოლისა
ძველი ქვეყნის აოხრებისთვის, –
ცეცხლის ალებად
მილიონებს გულს ჩაეღვარა.

და ჩვენი ლექსი
დატენილი გვქონდა ვაზნებით,
ყოველი სიტყვა
ჩვენი ლექსის ტყვიად ვიხმარეთ,
ყოველი ასო
გვიწერია და ვწერთ ალგზნებით,
ლექსი გვქონია
და გვაქვს მტრისთვის შხამივით მწარე.

ნურავის სჯერა
აღარ ვიხმართ ლექსებს ნაღმიანს,
ეგებ ხვალისთვის
მოწოდება ლექსად დავწეროთ, –
ეს ჩვენი ლექსი
ახალ ყოფის ზრდის ადამიანს,
ამხანაგებო!
ლექსის ტემპი არ შევაჩეროთ!

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ.

ცისკრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲙᲠᲔᲪᲔᲓᲘᲚᲘᲜᲢᲝ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲒᲐ!!!

ᲘᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔ „ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲗᲐᲜ“ ᲓᲐ ᲐᲘᲮᲓᲘᲜᲔᲗ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ!

მიმდინარე წელს „ცისკრის“ თორმეტი ნომერი გამოვა. იგი
ტრადიციულად მოგაწვდით მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ამასთან, გთავაზობთ საგზურს იერუსალიმში.

თუ გინდათ, 2012 წელს ქრისტეს ბრნყინვალე აღდგომას შეხვდეთ ჯვრის მონასტერში, მაცხოვრის საფლავზე,
და საკუთარი თვალით იხილოთ სასწაული – ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა,
გამოიწერეთ, შეიძინეთ „ცისკრის'' ყველა ნომერი, მოიძიეთ გარეკანის მესამე გვერდზე მონიშნული ასოები,
შეაგროვეთ ჟურნალის სახელწოდების შემადგენელი შვიდიე ასო (ც-ი-ს-კ-ა-რ-ი) და აიხდინეთ
ოცნება – თქვენი მგზავარი „ცისკრის“ მეოხებით და საპატრიარქოს თანადგომით, საკრალური შვიდი ასოს
წყალობით უფასოდ
იმოგზაურეთ წმინდა მიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასალი წიგნები



ხელმომწერთა საყურადღებოდ!!!

ხელმონერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

„პრესექსპრესი"-962 311; „მაცნე"-341 070; „საქპრესა"-518 518; 515 905

შპს „ელვა.ჯი" ტელ: 38-26-73; 38-26-74

ინდივიდუალური ხელმონერის გაფორმება ასევე შესაძლებელია უშუალოდ „ცის.ცრის. რედაქციაში მისამართზე: თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ რედაქციაში: 98-36-43; 899188093

ISSN 0132-6023